PRIME Time

N19 (217) ორშაბათი, 13 მაისი, 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



„მარგველაშვილის დასახელება ნიშნავს, რომ პრეზიდენტის პოსტი დროებით უქმდება“



„ბაქრაძე ახალ პარტიას შექმნის და კოალიციის რამდენიმე პარტიასთან ითანამშრომლებს“

დავით ბაქრაძე: „ჩემთან დაკავშირებით ვერც ვერაფერს დაგიდასტურებთ და ვერც ვერაფერს უარვყოფ“

EXCLUSIVE

# ნაციონალებს ბაქრაძე დატოვებს

# ბრავო ირაკლი!!!



„ჩემი ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე დააკავებულია“

ხვედელიძე დაკავებულია, რა ბედი ელის ნაცვლიშვილს?

„ახალი გაზეთის“ სკანდალური ჟურნალისტური გამოძიება ქუთაისიდან

ახალი გაზეთი



ჩინოვნიკთა კორუფციული სქემები და თანამდებობით მიღებული წილები ბიზნესში

EXCLUSIVE



კახა კუკავა: „თუ ალასანია კანდიდატურას დააყენებს, ჩვენ მას განვიხილავთ...“



# „თუ კანონი არ აღსრულდა, ლინჩის წესზე გადავა საქართველო“

EXCLUSIVE

გია კორკოტაშვილი: „შეიძლება ვიღაცის ყურადღების ქვეშ ვარ, ჩემი ტელეფონიც ისმინება, მაგრამ არაფერი მაქვს დასამალი...“

„ერთ მშვენიერ დღესაც ასეთი ქართველი ძალიან დათვრება და მიხვდება, რომ ეს მთავრობა არაფერს აკეთებს, რასაც კანონი ჰქვია და დაუჩეხენ თავებს ერთმანეთს“



დავით ზურაბიშვილი: „როცა ვანო მერაბიშვილი გყავს, მიხეილ სააკაშვილი გყავს და გიგა ბოკერია გყავს, არავითარი პერსპექტივა არ გაქვს...“

EXCLUSIVE

„ყველას უნდა კოალიციაში შემოსვლა. ზოგს აქვს მატერიალური ინტერესი, ფიქრობენ, კარგ ფულს გავაკეთებთო“

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გახდება



EXCLUSIVE

„საკრებულოს თავმჯდომარე შეიცვლება, ამას ვადასტურებ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბრავო, ირაკლი!!!!

ქეთი ხატიაშვილი



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩემი ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე დაკავებულია“

**რამდენიმე ხნის წინ პრემიერმა თქვა: ირაკლი ღარიბაშვილი არასოდეს გახდება ვანო მერაბიშვილიო და იქვე დასძინა: „პოლიციაში რაღაცა გაფაჩუნდება და მაშინვე ღარიბაშვილს მერაბიშვილს ადარებენო“.**

**და ასეც იყო დღემდე. ვანო მერაბიშვილს, როგორც წარმატებულ მინისტრს, რეფორმებისა თუ თანამშრომლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მართლაც ხშირად ადარებდნენ ღარიბაშვილს. შეძლებს ახალი მინისტრი, გააკეთოს იმდენი, რამდენიც ვანომ? ასეთ კითხვებს ხშირად სვამდნენ.**

თუმცა, დღეიდან ირაკლი ღარიბაშვილმა დაამტკიცა, რომ მას აქვს შანსი. მან არ გაიმეორა ის შეცდომა, რომელიც თავის დროზე ვანო მერაბიშვილმა დაუშვა საკუთარ მოადგილეებთან დაკავშირებით. ახლა ამ კონტექსტში ხშირად დათა ახალაიას ახსენებენ ხოლმე. დათა ახალაია მერაბიშვილისთვის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა. ასეთ შეცდომებს, როგორც ჩანს, ღარიბაშვილია არ დაუშვებს.

პირველად საქართველოში, მაღალი თანამდებობის პირი რეალურად დაისაჯა. ხმაურიანი და სკანდალური ისტორია ფარესაშვილის ფირის შესახებ დასრულებულია. ირაკლი ღარიბაშვილის ასეთ პრინციპულ გადაწყვეტილებას ცოტა თუ ელოდა და მინისტრის ფრაზა: „ჩემი ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე დაკავებულია“ – შოკისმომგვრელი იყო.

**ირაკლი ღარიბაშვილი, შს მინისტრი:**

– გელა ხვედელიძემ ჩაიდინა არა მარტო დანაშაული, არამედ საჯარო მოხელისა და შს სამინისტროს თანამშრომლისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი საქციელი. მან არაადეკვატურად და ძალზე მტკივნეულად მიიღო მის მიმართ ბოლო პერიოდში მედიით გავრცელებული სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები, ცილისწამებები და გიორგი ფარესაშვილზე შურისძიების მოტივით დამოუკიდებლად განათავსა ეს კადრები ინტერნეტსივრცეში. მისი ფიქრით, ამ ფორმით მის მიმართ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანია შეწყდებოდა.

## ხვედელიძე დაკავებულია, რა ბედი ელის ნაცვლიშვილს?

**ვინ იყო გელა ხვედელიძე?**

„პრაიმტაიმის“ დოსიე: ლაშა ნაცვლიშვილი ერთადერთი არაა, ვინც შევარდნაძის დროს უშიშროების სამსახურში მაღალ პოსტს იკავებდა. ლევან მამალაძის გუბერნატორობის პერიოდში ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე, გელა ხვედელიძე ხელმძღვანელობდა. ხვედელიძე მოგვიანებით „ეროვნული ფორუმის“ წევრი გახდა და ხშირად ჩანდა გუბაზ სანიკიძის გვერდით, ერთი პერიოდი მის დაცვასაც ახორციელებდა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ გუბაზ სანიკიძის თხოვნით დაინიშნა ის თავის დროზე მაღალ თანამდებობაზე. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში უშიშროების სამინისტროს სანიკიძის ახლო მეგობარი, ვალერი ხაბურძანია ხელმძღვანელობდა. გელა ხვედელიძე 1993-2004 წლებში სამართალდამცავ სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მათ შორის იყო ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსი და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი.

თავდაპირველად ივანიშვილის კარზე იმდენად დიდი ნდობით სარგებლობდა, რომ ბიძინამ ის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ 11-კაციან პოლიტსაბჭოშიც კი შეიყვანა... მას შს მინისტრის პირველი მოადგილის სტატუსიც კი მიანიჭეს – მინისტრის მოადგილეობიდან პირველი მოადგილის სავარძელში გადაინაცვლა, მოადგილის პოსტი კი ვახტანგ გომელაურმა დაიკავა. ეს უკანასკნელი უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის ახლო გარემოცვას წარმოადგენს. ის ივანიშვილის პირადი დაცვის სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ.

ხვედელიძესთან დაკავშირებული ისტორია ამოიწურა (თუმცა, გამოძიებამ ბევრ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი, მათ შორის იმას, თუ რა ინფორმაციას ფლობდა ფარესაშვილი)! მაგრამ დადგება თუ არა ნაცვლიშვილისა და ხუხაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი? ხმაური სწორედ მათ წინააღმდეგ წარმოებდა. სკანდალური ჩანაწერის შემდეგ ხვედელიძე დააკავეს, „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე ამბობს, რომ ხუხაშვილის არა, მაგრამ ნაცვლიშვილის წინააღმდეგ კონკრეტული ფაქტები არსებობს.

– მე მქონდა ფირი ჩანაწერის სახით, სადაც ფიგურირებდა გელა ხვედელიძე. ის იმყოფებოდა ერთ-ერთ პრივატულ შეხვედრაზე, სადაც განაცხადა, რომ იცის ფარესაშვილზე ჩანაწერის თაობაზე, აღწერა ეს ფირი და თქვა, რომ ეს ბიჭი თუ არ გაჩუმდება, ზომებს მიმართავს. ეს იყო ჩანაწერის გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე. მე ვაპირებდი სამშაბათს ამ ჩანაწერის გასაჯაროებას. შინაგან საქმეთა მინისტრმა იცოდა ამ ჩანაწერის შესახებ, მან სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და საკუთარი პირველი მოადგილე, რომელიც გარეული იყო მსგავს უმსგავსობაში, არა მხოლოდ გადააყენა, არამედ დააკავა კიდეც. თუ აღმოჩნდება, რომ სხვა თანამდებობის პირებიც გარეული არიან ამ საქმეში, იმედს ვიტოვებ და ცხადია, რომ ეს ასეც იქნება, ივანიშვილის ხელისუფლება არ აპირებს, ვინმეს ხელი დააფაროს. იმიტომ რომ პერიოდულად ვრცელდებოდა ხმები, რომ გელა ხვედელიძე არის მისი ახლო ნათესავი, შეუცვლელი კადრი და ა.შ.

**– ამ ყველაფრის შემდეგ როგორ ფიქრობთ, რა ბედი ელით ლაშა ნაცვლიშვილსა და გია ხუხაშვილს, შესაძლოა, მათი პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს?**

– კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მე ხუხაშვილის მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. სხვა საქმესთან, რომელიც ეხება ბიზნესის ტერორს, ლაშა ნაცვლიშვილი დაკავშირებულია და ჩვენ ამასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნებას, ცხადია, განვაგრძობთ. ჩვენ იმ ჩანაწერს, რომელიც ხვედელიძესთან დაკავშირებით გვაქვს, აუცილებლად გავასაჯაროებთ.

**გია ხუხაშვილის შეფასებით:**

– მე მაქვს ამაზე ნათქვამი არაერთხელ, ვისი გავრცელებულიც არ უნდა იყოს, ეს ჩემთვის ადამიანური გაგებით არის ძალიან მძიმე. მე არ ვიცი, ამაზე სისხლის სამართალი რას ლაპარაკობს, ეს არის უმძიმესი დანაშაული და ვინც არ უნდა იყოს ის, უნდა დაისაჯოს. რაც არ უნდა მძიმე იყოს გადაწყვეტილება, ასეთი რაღაცები უნდა დამთავრდეს. ვფიქრობ, ეს არის წყალგამყოფი და ამის შემდეგ მსგავსი რაღაცები არ უნდა განმეორდეს.



გელა ხვედელიძე

# რისთვის ემზადება შსს?



my View

მირიან ბოქოლიშვილი

**გრძელდება თუ არა ქვეყანაში ტოტალური თვალთვალი? – ეს კითხვა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ე.წ. ღარიბაშვილის ღილების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განგაში ატეხა – სხეულზე დასამაგრებელი 3 000-მდე ვიდეოსათვალთვალო კამერის შესყიდვას შსს ტოტალური თვალთვალის მიზნით გეგმავსო. კაცმა რომ თქვას, კითხვები მართლაც ჩნდება, მაგრამ „ნაციონალების“ მიერ ფარულ თვალთვალზე საუბარი, როგორც მინიმუმ, გადამოწმებას ექვემდებარება. საზოგადოების დიდი ნაწილი ხომ წლების განავლობაში სწორედ მათ ადანაშაულებდა ფარულ თვალთვალში. ამიტომ გადავწყვიტეთ ცოტა უფრო კარგად გაგვერკვია, რეალურად რას წარმოადგენს ე.წ. ღილები.**



## სამეთვალყურეო კამერების შეძენას ღარიბაშვილის უწყებაში პოლიციის რებრენდინგს უკავშირებენ

„ჩემს კოლეგებს ვურჩევ, ნუ განგაშობენ, რადგან საგანგაშო იყო მაშინ, როცა მერაბიშვილის ღილები იყო ყველა კაბინეტში, ყველა პარტიის ოფისში და საძინებელ ოთახებშიც კი“

როგორც გავარკვიეთ, შსს ზუსტად იმ ტიპის კამერების შეძენას გეგმავს, რომელსაც თქვენ ფოტოზე ხედავთ. ის პოლიციის თანამშრომელს მხარზე უმაგრდება და მისი გამოყენების შესახებ მოქალაქეს წინასწარ აფრთხილებს. შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ მუშაობის ეს მეთოდი წლების განმავლობაში აპრობირებულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2 900 ცალ უნიფორმაზე სატარებელი სამეთვალყურეო ვიდეოკამერის შეძენის შესახებ ტენდერი 7 მაისს გამოაცხადა. აღნიშნული ვიდეოკამერები გათვალისწინებულია საპატრულო ეკიპაჟებისა და პატრულ-ინსპექტორებისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ვიდეოკამერების შეძენის ტენდერი ღიად და გამჭვირვალედ ტარდება. პატრულ-ინსპექტორების კამერებით აღჭურვის შესახებ საზოგადოებას წინასწარ ეცნობება, ხოლო მედიისთვის პრეზენტაცია ჩატარდება. ვიდეოკამერები გამოიყენება საპატრულო პოლიციის მუშაობის მონიტორინგისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის საიმედოობის ამაღლებისთვის, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის, კონკრეტულ შემთხვევაში პატრულის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შეფასებისთვის. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ვიდეოკამერების გამოყენებისას, მოქალაქე დაუყოვნებლივ იქნება გაფრთხილებული პატრულ-ინსპექტორის მიერ. ვფიქრობთ, აღნიშნული სიახლე ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანს მოქალაქისა და პატრულის ურთიერთობას, ვინაიდან კამერების ჩანაწერების გამოყენება შესაძლებელი იქნება ორივე მხარისთვის საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად“, – აცხადებენ ღარიბაშვილის უწყებაში.




EXCLUSIVE

რამდენად შესაძლებელია ამ კამერების უკანონო თვალთვალისთვის გამოყენება? პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ოპონენტებს ღარიბაშვილის ღილებზე დაკვირვების ნაცვლად, ვანო მერაბიშვილის ღილების გახსენებას ურჩევს.

**ეკა ბესელია, საპარლამენტო უმრავლესობა:**

– ჩემს კოლეგებს ვურჩევ, ნუ განგაშობენ, რადგან საგანგაშო იყო მაშინ, როცა მერაბიშვილის ღილები იყო ყველა კაბინეტში, ყველა პარტიის ოფისში და საძინებელ ოთახებშიც კი. საგანგაშო იყო სწორედ მაშინ, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა უკანონოდ. დღეს, სრულიად განსხვავებული ვითარებაა და ეს კამერები არანაირად არ გამოიყენება ვინმეს სათვალთვალოდ. აქ საუბარია იმაზე, რომ როდესაც ხდება პოლიციელის მიერ ღია დემონსტრირება, ის იღებს კონკრეტულ სიტუაციას, ან კანონდარღვევას, მოქალაქე ამის შესახებ ინფორმირებულია და მას პოლიციის თანამშრომელი წინასწარ აფრთხილებს. ეს საკმაოდ ცივილიზებული ფორმაა და აპრობირებულია ბევრ ქვეყანაში. თვითონ მოქალაქის ინტერესშიცაა, თუ მისი უფლება ირღვევა ან პოლიციელი მოქმედებს არასწორად, მოხდეს ამის ასახვა და შემდეგ, საჭიროებისამებრ გამოყენება ან სასამართლოში, ან საგამოძიებო ორგანოში. ერთი მხრივ, პოლიციელიც დაცულია, რომ ამტკიცოს სიმართლე, რომ მოქალაქის უფლება არ დაურღვევია და მეორე მხრივ, მოქალაქესაც უფრო მეტი გარანტია აქვს საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად.

**P.S. ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციის დღისთვის ემზადება, რომელიც 19 მაისს გაიმართება. ცნობილია, რომ ამ დღეს პოლიცია საზოგადოების წინაშე განახლებული ეკიპირებით, უნიფორმითა და ახალი საპატრულო მანქანებით წარდგება. გარდა აღნიშნული კამერებისა, შსს 2.250 ერთეული ელექტროშოკის შეძენასაც გეგმავს. ამასთან, შსს ტენდერს აცხადებს ავტომანქანის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაზეც. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 310 ერთეული ავტომანქანის სამეთვალყურეო ვიდეოკამერის შეძენა სურს, რომლის სავარაუდო ჯამური ღირებულება 210.800 ლარია. ღარიბაშვილის უწყებაში განმარტავენ, რომ ეს ყოველივე პოლიციის რებრენდინგის ფარგლებში ხორციელდება.**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კოალიციაში ირწმუნებიან, რომ მარგველაშვილს ალტერნატივა არ ჰყავდა





ნატუკა მხეიძე

**ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. კოალიცია „ქართული ოცნება“ დარწმუნებულია, რომ მას ალტერნატივა არ ჰყავდა და პოლიტსაბჭოზე ყველამ ერთად უყარა კენჭი მის კანდიდატურას. თუმცა, აქამდე კულისებში სხვადასხვა კანდიდატურები განიხილებოდნენ. დღეს კი აცხადებენ, რომ მარგველაშვილი ყველაზე სწორი და უალტერნატივო კანდიდატურა იყო.**

**ლევან ბერძენიშვილი:** „ვფიქრობ, ის ძალიან სერიოზული კანდიდატურაა, რომელსაც აქვს სერიოზული შანსები, რომ გაიმარჯვოს და არა მგონია, საქართველოში რომელიმე ოპოზიციურ ძალას შეეძლოს კონკურენცია გაუწიოს მას. ფაქტობრივად, დღეს ისეთი ვითარებაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ვერც ერთი კანდიდატი მას კონკურენციას ვერ გაუწევს. მარგველაშვილი არის გაწონასწორებული, მშვიდი, განათლებული, უცხო ენების მცოდნე, ინგლისური იცის ძალიან კარგად, ნამუშევარია, აქვს გამოცდილება, არ არის ის პოლიტიკაში რომელიმე პარტიასთან პირდაპირ დაკავშირებული. თქვენ იცით, რომ მომავალ პრეზიდენტს პარტიული თანამდებობა არ უნდა ეკავოს. ამ თვალსაზრისით, ის მნიშვნელოვანი კანდიდატი იქნება და დარწმუნებული ვარ, სიმპათიით იქნება განწყობილი მთელი სახელისუფლებო კოალიცია. ეს კანდიდატი ერთხმად იყო ყველას მიერ მოწონებული, არანაირი პრობლემა მას კოალიციაში არ ჰქონია. ჩვენ ახლა ველოდებით, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ ოპოზიციური პარტიები. არჩევნები იქნება საინტერესო, თუმცა შედეგი წინასწარაა ცნობილი, ჩემი აზრით“.

**ანი მიროტაძე:** „დიდი ხანია, ვიცნობ მას, ძალიან განათლებული ადამიანია. მიმაჩნია, რომ, ერთი მხრივ, მისი პერსონა არის გზავნილი იმისკენ, რომ ჩვენ ბევრად წინ წავედით პოლიტიკაში, იმიტომ, რომ ძალიან ჭკვიან ადამიანებს ვასახელებთ და მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისაა, რომ ამ ექვსი თვის განმავლობაში ყველაზე საუკეთესო მინისტრია, ახალი ხელისუფლების ყველაზე წარმატებული პროექტები სწორედ მისია, რომლებითაც ბავშვებს მივეცით განათლების უფლება, რაც, ჩემი აზრით, არის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი. მე ის კოალიციაში მოსვლის შემდეგ არ გამიცნია, ამიტომ ვიცი მისი შესაძლებლობები, ვიცი მისი დამოკიდებულებები, ზოგადად, რაც ძალიან მომწონს“.



**ვახტანგ ყოლბაია:** „ეს არის კოალიციის არჩევანი და მეც მხარს ვუჭერ ამ არჩევანს... დამოკიდებულება, მგონი, სრულიად ცხადი უნდა იყოს, წარადგინეს კანდიდატურა და, ბუნებრივია, დადებითი დამოკიდებულება ექნებოდათ. უშუალოდ არავისთან მისაუბრია“.

# ალასანიას ადგილი მარგველაშვილ



## კახი კახიშვილი: „ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დავით ბაქრაძე ნაციონალებს დატოვებს, ის ახალ პარტიას შექმნის და კოალიციაში შემავალ რამდენიმე პარტიასთან ითანამშრომლებს“

ქეთი ხატიაშვილი

**გიორგი მარგველაშვილმა, შეიძლება ითქვას, ირაკლი ალასანიას ადგილი დაიკავა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ჯერ ვიცე-პრემიერის პოსტზე შეცვალა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატიც გახდა. საპრეზიდენტო მარათონზე ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ის გაიყვანა.**

**ირაკლი ალასანიამ ვიცეს პოსტი მაშინ დატოვა, როცა ივანიშვილის ყურამდე იმ კონსულტაციების შესახებ მივიდა ამბავი, რომელსაც თითქოს თავდაცვის მინისტრი პრემიერის ზურგსუკან განიხილავდა. როგორც ითქვა, ივანიშვილმა მას საპრეზიდენტო ამბიციები ვერ აპატია.**

**პრემიერ-მინისტრმა მაშინ თქვა:**

– მან მოახერხა და მის გუნდში დაიწყო განხილვა, შეიძლებოდა თუ არა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტად. მერე მოხდა ისე, როგორც საქართველოში ხდება. ვიწრო წრეში ნათქვამი გავიდა, გავიდა და იმით დასრულდა, რომ ამაზე ერევანში მეკითხებოდნენ უკვე ჟურნალისტები... ირაკლის პატარა შეცდომა მოუვიდა, რომ საკუთარ გუნდთან დაიწყო განხილვა. ამ გუნდმა კი ეს ინფორმაცია გაიტანა და სხვანაირად გავრცელდა რეგიონებში.

პრეზიდენტობის კანდიდატურაზე მძიმე საუბრის შესახებ პირველად თავად თავდაცვის მინისტრმა ილაპარაკა. თუმცა, მაშინ ის ჯერ კიდევ ვიცე-პრემიერი იყო:

– მე არ დაგიმალავთ იმასაც, რომ ჩვენ საკმაოდ მძიმე საუბარი გვქონდა პრემიერ-მინისტრთან რამდენიმე დღის წინ ამ საკითხზე. პრემიერ-მინისტრს ჰქონდა გარკვეული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს განხილვა (პარტიაში) ხდებოდა მასთან შეუთანხმებლად... მე მთლიანად ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კანდიდატურა უნდა იყოს შეჯერებული კოალიციასთან და მის ლიდერთან ბიძინა ივანიშვილთან... მე თავად არ მესიამოვნა, რომ ასეთი უხერხული საუბარი შედგა და მიზეზი გაჩნდა ასეთი უხერხულობის... დაძაბულობა არ არის, უბრალოდ, ეს იყო აბსოლუტურად ჯანსაღი დიალოგი ხელმძღვანელსა და მისი გუნდის წევრს შორის. ეს არის ბუნებრივი.

ამ კომენტარიდან რამდენიმე საათში ივანიშვილმა ალასანია გადააყენა. მოგვიანებით, საკუთარ პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა მოულოდნელად თქვა: არავინ არ იცის ჯერ ჩემს გუნდში და ახლა გავამხელ, ალასანიას ადგილას გიორგი მარგველაშვილს ვნიშნავო.

– ჯერ გუნდისთვის არ მითქვამს, მაგრამ გაგიმხელთ: გიორგი მარგველაშვილზე ვფიქრობ, ალბათ, კარგი ვიცე-პრემიერი იქნებოდა... გიორგი, რა თქმა უნდა, იქნება ვიცე-პრემიერი და იქნება მოადგილე... მარგველაშვილი არის ინტელექტუალი, ჩემი მეგობარია, არ ვმალავ და ძალიან მიყვარს მასთან პოლემიკა...

„პატარა შეცდომა“ ალასანიას მთელ კარიერად დაუჯდა. ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილი ჯერ – ვიცე-პრემიერად, ახლა კი პრეზიდენტად დანიშნა. ირაკლი ალასანიას ქართული ოცნება აღარ აქვს. ეს ოცნება გიორგი მარგველაშვილს აუხდა.

ახლა მთავარია, რას იზამს ირაკლი ალასანია. მას არჩევანიც აქვს და შანსიც. ვიცე-პრემიერობიდან გადააყენეს, ახლა თავად შეუძლია თავდაცვის მინისტრობიდან გადადგეს. მას შეუძლია ახალი პოლიტიკური ცენტრის ლიდერი გახდეს. მისი რეიტინგი, როგორც მიანიშნებენ, ყველაზე მაღალია. რას იზამს ალასანია – შეეგუება ბედს და იმ რეალობას, რომელიც შეუქმნეს, თუ თავად გახდება პოლიტიკური პროცესში ლიდერი და ახალ პოლიტიკური თამაშის წესებს შემოიტანს?

იმ კომენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ალასანიამ რამდენიმე დღის წინ გააკეთა, ის ივანიშვილს დაემორჩილა.

**ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:**

– თვისობრივად იცვლება დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ; ახალი რეალობა გაჩნდა, ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. „თავისუფალი დემოკრატები“ ვართ და ვრჩებით მომხრედ საპრეზიდენტო რესპუბლიკის, თუმცა რეალობა არის ის, რომ კოალიციაში შემავალი ძალების უმრავლესობა საპარლამენტო რესპუბლიკას უჭერს მხარს. ჩვენმა ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა აღნიშნა კიდეც, რომ ჩვენ ასეთი კონსულტაციები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გვქონდა და მათ ჰქონდათ გამოკვეთილი პოზიცია იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა იყო მისაღები რესპუბლიკელებისთვის. დებატები გრძელდებოდა და მე ისევ ვრჩები ჩემს აზრზე, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ რეალობას, რა რეალობაშიც ვართ. ბუნებრივია, მხარს დავუჭერ კოალიციისა და საზოგადოების უმრავლესობის მოსაზრებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დადგება ის დრო, როდესაც ჩემი ოპონენტები ახალ რეალობას გაუსწორებენ თვალს და შეიძლება, სხვა მოსაზრება ჰქონდეთ. დღეს კი ასეთი რეალობაა და მიმაჩნია, რომ აუცილებელია, შანსი მივცეთ მმართველობის ამ ახალ ფორმას ჩვენს ქვეყანაში.

შეიძლება ალასანიამ აზრი შეიცვალოს? გაბედავს თუ ვერ გაბედავს? ბევრი ექსპერტი და პოლიტიკოსიც სწორედ ასე სვამს კითხვას ალასანიასთან დაკავშირებით.

ბიძინა ივანიშვილმა ფსონი არა პოლიტიკურ ფიგურაზე, არამედ პირად მეგობარზე გააკეთა. ბევრი ფიქრობს, რომ პოლიტიკოსებს, უბრალოდ, არ ენდობა და მათი არც ესმის. ირაკლი ალასანია აქტიური, პროდასავლური ტიპის პოლიტიკოსად არის ცნობილი, გიორგი მარგველაშვილი უფრო პრორუსული ორბიტისკენ იხრება. ამის დასტურად ლიბერალისთვის მიცემული მისი ინტერვიუც შეიძლება ჩაითვალოს. გიორგი მარგველაშვილი ერთი წლის წინათ ამბობდა:

– განიხილება და რეალურია მოსაზრება, რომ ივანიშვილი შეშფოთებულია ქვეყანაში არსებული უსამართლობით და თავად გადაწყვიტა არსებული რეჟიმის შეცვლა. ასეთი ემოცია ბევრ ადამიანს შეიძლება გასჩენოდა საქართველოში, მათ შორის – ივანიშვილსაც. თუმცა, ასეთი შემთხვევა ნაკლებად საინტერესოა ჩემთვის, ვიდრე ის ვერსია, რომლის მიხედვითაც ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა რუსეთის სახელისუფლებო წრეებში შეთანხმებული პროექტია.

ეს მესამე შემთხვევა მე უფრო რეალურად და ბევრად საინტერესოდ მიმაჩნია. მეტიც, ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს. როდესაც რუსეთთან მის კავშირზე საუბრობენ, ამ ფაქტს შესაძლო პოზიტიური კუთხიდან განვიხილავ: საკითხი ასე დგას, ივანიშვილი წარმოადგენს რუსეთის ხელისუფლების ქართულ პოლიტიკაზე ზემოქმედების მშვიდობიან და პოზიტიურ ვარიანტს...

მანამდე მარგველაშვილი ნინო ბურჯანაძის პარტიაში იყო.

თუმცა, ალბათ, აქ გადამწყვეტი როლი პოლიტიკური ორიენტაციის გარდა, იმანაც ითამაშა, რომ მარგველაშვილი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს.

## კახა კუკავა: „მარგველაშვილის დასახელება ნიშნავს, რომ პრეზიდენტის პოსტი დროებით უქმდება“

მაგრამ ახლა მთავარია, ვინ იქნებიან მთავარი კონკურენტები. ყველა ბიძინა ივანიშვილს ელოდებოდა. ამ კვირიდან უკვე სხვა პოლიტიკური პარტიებიც დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციებს. ექსპერტი კახი კახიშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, ვინ დაფიქსირდება მეორე ადგილას. ექსპერტის აზრით, სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, ჩატარდება თუ არა ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები. „თუ არჩევნებში ნაციონალები დაიკავებენ მეორე ადგილს, მაშინ ვადამდელი არჩევნები არ იქნება, მაგრამ თუ პარლამენტსგარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალები შეძლებენ ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას და მეორე ადგილს სწორედ ისინი დააფიქსირებენ, როგორც ნაძალადევში, მაგალითად, კახა კუკავამ დააფიქსირა, მაშინ ვადამდელი არჩევნები აუცილებლად ჩატარდება. ეს, უბრალოდ, გარდაუვალი იქნება“, – აცხადებს კახი კახიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში.

საინტერესოა, რომ სალომე ზურაბიშვილი ის ერთადერთი კანდიდატურა იყო ბიძინას კარზე, ვინც ღიად თქვა: ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდესო. პრემიერმა კი საგარეო სამინისტროს ყოფილი მინისტრი არათუ კანდიდატად დაასახელა, სავარაუდოდ, პოლიტიკურ გუნდშიც კი არ მიიღო. მას სხვა თანამდებობა შესთავაზეს.

სალომე ზურაბიშვილის გარდა, ვა-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## მა დაიკავა

დამდგელ არჩევნებს ითხოვს ნინო ბურჯანაძეც. ამ ორ ქალს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს სწორედ არასაპარლამენტო ოპოზიციას. რამდენად შეძლებენ ერთ ფიგურაზე ჩამოყალიბებას, რთული სათქმელია, უფრო სწორად, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც კი. კახა კუკავა საკუთარ პოზიციას ამ კვირაში დააფიქსირებს. რატომ გაკეთებთ აქცენტს მასზე? იმიტომ რომ ნაძალადევში სწორედ მან აჩვენა მეორე შედეგი და ახლა ის ხდება თითქოს ერთ-ერთი მთავარი ფიგურა პარლამენტსგარეთ. გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა მან ასე შეაფასა:

– მარგველაშვილის დასახელება ნიშნავს, რომ პრეზიდენტის პოსტი დროებით უქმდება.

ჯერ გაურკვეველია, ვისზე დადებს ფსონს „ნაციონალური მოძრაობა". გავრცელებული ინფორმაციით, ეს დავით ბაქრაძე იქნება. თუმცა, კახა კახიშვილი საინტერესო ანალიზს აკეთებს. ის მიიჩნევს, რომ დავით ბაქრაძემ ამ შემთხვევაზე უარი უნდა თქვას, თუკი დამოუკიდებელ პოლიტიკაში ჩართვას გეგმავს.

– თუკი დავით ბაქრაძეს გადაწყვეტილი აქვს, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დამოუკიდებელ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდეს, მაშინ მან საპრეზიდენტო კანდიდატობაზე ნაციონალების მხრიდან უარი უნდა თქვას. ოქტომბრის შემდეგ „ნაციონალური პარტიის" დაშლა გარდაუვალი გახდება. იქ არიან ისეთი ადამიანები, ვინც ფიქრობს: მე ამათთან ერთად მილიონები არ მიკეთებია და მათთან ერთად რატომ უნდა ავიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მათ მოუწევთ, გაემიჯნონ მერაბიშვილისა და სააკაშვილს. ასე რომ, ისინი დაიშლებიან სხვადასხვა ჯგუფებად. შესაძლოა, ისინი მოგვიანებით ისევ გაერთიანდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე ასეთ ტაქტიკას მიმართავენ სწორედ იმიტომ, რომ ზოგს უგულავა არ მოსწონს, ზოგს – ბოკერია, ზოგს – მერაბიშვილი, ყველა ერთად კი შეიძლება საააკაშვილს ვერ იტანს... ბაქრაძის პარტია, სხვათა შორის, მიმზიდველი იქნება... ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დავით ბაქრაძე ნაციონალებს დატოვებს, ის ახალ პარტიას შექმნის და კოალიციაში შემავალ რამდენიმე პარტიასთან ითანამშრომლებს... ის ცენტრისტულ პარტიას შექმნის.

დავით ბაქრაძის გარდა, ცალკე თამაშისკენ ირაკლი ალასანიასაც მოუწოდებენ. კოალიცია „ქართულ ოცნებაში" სწორედ მას აქვს ყველაზე მაღალი რეიტინგი, „ნაციონალურ მოძრაობაში" კი – დავით ბაქრაძეს. ასე რომ, მთელი ეს ხმები და სურვილები ერთი ან მეორე ფიგურის მიმართ, რომ ისინი შეძლებენ და უნდა გახდნენ დამოუკიდებელი ფიგურები, შესაძლოა პოლიტიკური ხაზიდან უფრო იყოს, ვიდრე შორსმიმავალი პერსპექტივა, რადგანაც სერიოზული დასაყრდენის გარეშე ვერც ბაქრაძე და ვერც ალასანია ცალკე სერიოზულ ძალად ვერ ჩამოყალიბდებიან. სხვა საკითხია, რომ ბაქრაძეს პოლიტიკური გუნდი ნაციონალების სახით ჰყავს, ირაკლი ალასანიას კი, ამ მხრივ, სირთულეები აქვს. მაგრამ ისიც საკუთარ დროს დაელოდება.

მაგალითები კი ქართულ პოლიტიკაში იყო. თავის დროზე სალომე ზურაბიშვილსაც მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ლევან გაჩეჩილაძესაც და სოზარ სუბარსაც, თუმცა დღეს ისინი პოლიტიკაში, შეიძლება ითქვას, არაფერს წარმოადგენენ.



# დავით ბაქრაძე: „ჩემთან დაკავშირებით ვერც ვერაფერს დაგიდასტურებთ და ვერც ვერაფერს უარვყოფ"



## EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

**საპრეზიდენტო მარათონი უკვე გაიხსნა. ბიძინა ივანიშვილმა პირველმა დაასახელა საკუთარი კანდიდატურა. ნაციონალები კანდიდატურის გამოსავლენად პრაიმერს ჩაატარებენ. როგორ აფასებენ მარგველაშვილის კანდიდატურას, რას ფიქრობენ ალასანიას პოლიტიკურ შესაძლებლობებზე და ვინ გახდება ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი? ამ საკითხებზე „პრაიმტაიმს" „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე ესაუბრა:**

**– „ქართულმა ოცნებამ" საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელა. სხვადასხვა ვარიანტზე იყო საუბარი, საბოლოოდ შეირჩა მარგველაშვილი. როგორ შეაფასებდით მის კანდიდატურას? როგორც თქვენი პარტიის კონკურენტი, რამდენად ძლიერია და, თქვენი აზრით, რა ძალები დგანან მის უკან?**

– გიორგი მარგველაშვილის უკან დგას პრემიერ-მინისტრი. გამომდინარე პრემიერის მხარდაჭერიდან, მის უკან დგას პოლიტსაბჭო და მთლიანად უმრავლესობა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის არჩევანში განმსაზღვრელი ფაქტორი იყო პირადი ლოიალობა და პირადი კომფორტი, რომელიც მას ჰქონდა მარგველაშვილთან მუშაობისას.

რაც შეეხება მარგველაშვილის შეფასებას, ერთი მხრივ, ის საინტერესო პიროვნებაა, აკადემიურ სფეროში მას დიდი და კარგი გამოცდილება აქვს, თუმცა პრეზიდენტობა და პოლიტიკა არ არის აკადემიური სფერო. პრეზიდენტობა იმ ფუნქციებითაც კი, რაც იქნება ოქტომბერში, არის ძალიან მძიმე ტვირთი. უკავშირდება ძალიან მძიმე საერთაშორისო მოლაპარაკებებს, მათ შორის ქვეყნის დეოკუპაციასთან, რუსული ჯარის გაყვანასთან და ქვეყნის გამთლიანებასთან დაკავშირებით. უკავშირდება საგარეო პოლიტიკის ძალიან სპეციფიკურ პროცესებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსთან მიმართებაში. ვერ გეტყვით, რამდენად აქვს ბატონ მარგველაშვილს ამ ყველაფრის გამოცდილება. ყოველ შემთხვევაში, ამ მიმართულებით მას არასდროს უმუშავია. ხილული გამოცდილება, რაც ცნობილი იქნება ჩემთვის და ქართული საზოგადოებისთვის, მას ამ მიმართულებით არ გააჩნია. ამიტომ ვერ გეტყვით, რამდენად წარმატებულად შეძლებს ის, ქართული საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ის შესაბამისი კანდიდატია. პიროვნულად მის მიმართ არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს. მას ძალიან საინტერესო აკადემიური წარსული აქვს. განათლების სფეროში ის ძალიან საინტერესო ადამიანია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ყველა იმ გამოწვევაში, რომელიც დღეს საქართველოს წინაშე დგას და იმ ფუნქციებთან მიმართებაში, რომელიც უნდა შეასრულოს საქართველოს პრეზიდენტმა, მეჩვენება, რომ მას არანაირი გამოცდილება არ აქვს. მხოლოდ პრემიერის პირადი დამოკიდებულება და პირადი კომფორტი, ვფიქრობ, განმსაზღვრელი ვერ იქნება და მას ძალიან სერიოზული მუშაობა მოუწევს იმისთვის, რომ დაამტკიცოს, რომ ის პრეზიდენტობის კვალიფიციური კანდიდატია.

**– მე იმიტომ გკითხეთ, ვინ დგას მის უკან-მეთქი, რომ ის არ არის პოლიტიკური ფიგურა. ის არ არის არც ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი. თუმცა ადრე საუბარი იყო, რომ საარჩევნო მარათონზე გავიდოდა პოლიტიკური ფიგურა კოალიციიდან. ბიძინა ივანიშვილმა რატომ არჩია პირადი მეგობარი პოლიტიკურ ფიგურას?**

– კიდევ ვიმეორებ, როგორც ჩანს, ეს უკავშირდება პრემიერისა და მარგველაშვილის ძალიან ახლო პირად ურთიერთობებს, ეს უკავშირდება იმას, რომ პრემიერი მარგველაშვილთან მუშაობის პროცესში თავს კომფორტულად გრძნობს. ენდობა მას, რადგან ის არ არის გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურა და არ შეუქმნის პრობლემას. რამდენად გაიზიარებს ამ არჩევანს ქართველი ხალხი, ეს რამდენიმე თვეში გამოჩნდება. თუმცა ვფიქრობ, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის უკეთესი იქნებოდა, ამ პოსტზე პოლიტიკურად უფრო განათლებული ფიგურა წარდგენილიყო. თუნდაც ირაკლი ალასანია თუ ნებისმიერი სხვა ადამიანი, ვისაც გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პოლიტიკური პლატფორმა აქვს, განსხვავებით ბატონი მარგველაშვილისგან. კიდევ ვიმეორებ, პიროვნულად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ეს არის პრემიერის არჩევანი, რომელიც ამ შემთხვევაში გაიზიარა „ქართულმა ოცნებამ". რამდენად კარგი იქნება ეს არჩევანი ქვეყნისთვის, ამას მალე ვნახავთ.

**– გიგი უგულავამ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მარათონი ალასანიასა და ბაქრაძეს შორის გაიმართებოდა. ირაკლი ალასანია არ არის „ქართული ოცნების" კანდიდატი. რამდენად მოსალოდნელია, თქვენ იყოთ კანდიდატი „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან?**

– შეფასების ნაწილს ნამდვილად დავეთანხმებოდი. ვფიქრობ, ირაკლი ალასანია საქართველოს პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პოლიტიკური ოპონენტები ვართ, ეჭვი არ მეპარება არც მის პატრიოტიზმში, არც მის ერთგულებაში დემოკრატიული და დასავლური ღირებულებების მიმართ და არც იმაში, რომ ის არის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი პოლიტიკური გამოცდილებით, რომელიც შეძლებდა რუსეთთან, აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობასაც. ირაკლი ალასანია ნამდვილად იქნებოდა ძლიერი კანდიდატი, თუმცა ეს არის ჩემი პიროვნული შეფასება, გადაწყვეტილებას კი იღებს „ქართული ოცნება".

რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, ვერაფერს დაგიდასტურებთ. ერთი მხრივ, ძალიან რთული უბანი მაბარია პოლიტიკურად, ეს არის პარლამენტი, საპარლამენტო პოლიტიკური ბრძოლა. ყველა დამეთანხმება, ალბათ, რომ ძირითადი პოლიტიკური ბრძოლის ხაზი გადის პარლამენტზე. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი საპარლამენტო ოპოზიცია. ამიტომ მე ვთვლი, რომ ის პოზიცია, სადაც მე ვარ, უაღრესად მნიშვნელოვანია და მეორე მხრივ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება პარტიის გადაწყვეტილებაზე. იცით, რომ მივდივართ კანდიდატის არჩევნის თვისობრივად ახალ მექანიზმზე. ეს არის პრაიმერისი, ეს არის პარტიის გადაწყვეტილება, რომ პარტიამ აარჩიოს, ხალხთან ერთად, ვინ იქნება მისი კანდიდატი. ამიტომ ჯერჯერობით ჩვენს კანდიდატზე საუბარი ნაადრევია. ამას განსაზღვრავს ხალხი, სოციალური კვლევები და ამის შემდეგ გამოიკვეთება „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი. თუმცა ჩვენი პირადი აზრია, მე პირადად მიმაჩნია, რომ პარლამენტში ყოფნა და საპარლამენტო უმრავლესობისთვის ბრძოლა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ვიდრე პრეზიდენტობის კანდიდატობა.

**– ვეთანხმები თქვენს შეფასებას, თუმცა კახი კახიშვილმა განაცხადა, რომ თქვენ არ დასთანხმდებით საპრეზიდენტო კანდიდატობას, რადგან არჩევნების შემდეგ დამოუკიდებელი პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას აპირებთ, შექმნით ახალ პარტიას და გახვალთ „ნაციონალური მოძრაობიდან". სხვათა შორის, კოალიციის ერთ-ერთმა დეპუტატმა დაადასტურა, რომ თქვენ პირად საუბარში უთხარით მას, არჩევნების შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას" ვტოვებო...**

– მე არ ვაპირებ „ნაციონალური მოძრაობის" დატოვებას. მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს პოლიტიკურ მიზანშეწონილობასთან ერთად უნდა ჰქონდეს ელემენტარული ადამიანური ღირსება და ჩემი ადამიანური ღირსება მე მკარნახობს, რომ იმ პარტიაში, სადაც ცხრა წელი ვიყავი და ვისი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც მე ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე, ახლა საუბარი იმაზე, რომ მე ამ პარტიას ვტოვებ, ელემენტარული ადამიანური უღირსობაა. არ შეიძლება, რომ პარტია, რომლის უმრავლესობაში ყოფნის დროსაც კარგად იყავი, მიატოვო იმის გამო, რომ ის გადადის უმცირესობაში, და წახვიდე სხვაგან, რადგან იქ კარგად იქნები, ეს უღირსობაა. ჩემთვის ადამიანური ღირსება ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე პოლიტიკური მიზანშეწონილობა. ამიტომ ექსპერტებს შეუძლიათ, ისაუბრონ იმაზე, ჩემთვის კარგი იქნება თუ ცუდი ცალკე გასვლა. მაგრამ ჩემთვის მთავარია გუნდურობა და ადამიანური ღირსება. თუ იმ გუნდს, რომელთანაც ცხრა წელი უმრავლესობაში გავატარე, ყველაზე კრიტიკულ მომენტში დავტოვებ, მე ჩემს საკუთარ ღირსებასთან არ ვიქნები მართალი და მე ამას ვერ გავაკეთებ. ჯერჯერობით პოლიტიკაში ვრჩები. როცა იქნება პოლიტიკიდან წავალ, როგორც ყველა ჩვენგანი, მაგრამ სანამ ვარ პოლიტიკაში, ვრჩები ამ გუნდში.

**– მესმის, რომ ახლა არ გააკეთებთ კონკრეტულ მინიშნებასაც კი, მაგრამ მაინც გკითხავთ. ვინ მიიღებს პრაიმერში მონაწილეობას და რამდენად შეიძლება ვანო მერაბიშვილი იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი?**

– პრაიმერის მთავარი ეშხი და ღირსება ის არის, რომ კანდიდატი გამოვლინდება არა ჩემი ან რომელიმე სხვა პარტიული ლიდერის შეფასებით, არამედ მთელი პარტიისა და ჩვენი საზოგადოების შერჩევის საფუძველზე. სწორედ ამიტომ ვაპირებთ კანდიდატის არჩევას პრაიმერით, რომ გამოვლენა მოხდეს არა იმის მიხედვით, რას ვფიქრობ მე ან რომელიმე სხვა პარტიის ლიდერი ამა თუ იმ კანდიდატზე, არამედ ვიცოდეთ მთლიანი პარტიისა და ჩვენი მხარდამჭერების აზრი. ჩემგან ძალიან არაკორექტული იქნება იმაზე საუბარი, ვინ შეიძლება იყოს პრაიმერის შედეგად კანდიდატი. იქნება ის, ვისაც პარტია და მისი მხარდამჭერები გადაწყვეტენ. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ის არის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და მე არ გამოვრიცხავ მის გამოჩენას რომელიმე პოზიციაზე. ვერ გიდასტურებთ, რადგან ყველაფერი პრაიმერში გადაწყდება, მაგრამ ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ვანო მერაბიშვილი მოხვდეს პარტიის მხრიდან წარსადგენ ნებისმიერ თანამდებობაზე, რადგან ის არის პარტიის გენერალური მდივანი და ის უდავოდ არის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

**– ბატონო დავით, ცნობილია, ვინ ჩაერთვება ამ პრაიმერისში? იყო საუბარი თქვენი, ბარამიძისა და ვანო მერაბიშვილის კანდიდატურაზე, კიდევ ვინმე შეიძლება დაასახელოთ?**

– არა, მე ნამდვილად ვერავის დავადასტურებ. შემიძლია, ერთი დავადასტურო, რომ გია ბარამიძემ თვითონ გამოთქვა პრაიმერისში მონაწილეობის სურვილი და ესეც პრაიმერისის ერთ-ერთი წესია, რომ საწყის ეტაპში მონაწილეობას მიიღებს ყველა, ვინც სურვილს გამოთქვამს. რადგან მან სურვილი გამოთქვა, ის საწყის ეტაპში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. დანარჩენი ვინ იქნება, ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანების ინდივიდუალურ სურვილზე.

**– შეიძლება თქვენ არ მიიღოთ მონაწილეობა პრაიმერში?**

– ჩემთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არც არაფერს დავადასტურებ და არც უარვყოფ. მე პირადად მიმაჩნია, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი მიჭირავს „ნაციონალურ მოძრაობაში" და ამ ადგილის შეცვლა საჭირო არ არის. თუმცა გამორიცხვითაც არაფერს გამოვრიცხავ, რადგან პრაიმერისის მთელი არსი სწორედ ის არის, რომ კანდიდატი ემორჩილება პარტიისა და მხარდამჭერების გადაწყვეტილებას.

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად გაუწევს „ნაციონალური მოძრაობა" კონკურენციას ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურას ამ არჩევნებში?**

– ერთი რამ უნდა გვესმოდეს, რომ საპარლამენტო არჩევნებში ამ ქვეყნის მართვის მანდატი მიიღო „ქართულმა ოცნებამ" და ბიძინა ივანიშვილმა და საპრეზიდენტო არჩევნები ამ მანდატს არ ცვლის. ამიტომ ის, რასაც ჩვენ ავირჩევთ ოქტომბერში, არის არა ხელისუფლების ცვლილება, არამედ ის, იქნება თუ არა ქვეყანაში რეალურად ოპოზიცია, იქნება თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური ძალა, რომელიც მთავრობას მოსთხოვს გაცემული დაპირებების შესრულებას. ამიტომ ოქტომბრის არჩევნები არ არის ხელისუფლების შეცვლისთვის ბრძოლა. ხელისუფლება დღეს ეკუთვნის „ქართულ ოცნებას" და ბიძინა ივანიშვილს. თუ გვინდა, რომ ქვეყანაში იყოს ძლიერი ოპოზიცია, რომელიც გააკონტროლებს მთავრობას და არ მისცემს მას შეცდომების საშუალებას, „ნაციონალურმა მოძრაობამ" უნდა გაიმარჯვოს. თუ გვინდა, რომ მთავრობამ შეასრულოს ყველა ის დაპირება, რომელიც მან წინასაარჩევნოდ ჩვენს ხალხს მისცა და რომლის ძალიან დიდი ნაწილი დღემდე არ არის შესრულებული, უნდა გაიმარჯვოს „ნაციონალურმა მოძრაობამ". ეს არჩევნები არ არის ხელისუფლების გადაბარების, ეს არჩევნები არის იმის განმსაზღვრელი, ექნება თუ არა ამ ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ერთ კაცს და ერთ პოლიტიკურ პარტიას, თუ ამ ქვეყანაში იარსებებს ოპოზიცია, რომელიც ხალხთან ერთად იმუშავებს იმაზე, რომ მთავრობამ ყველა დანაპირები შეასრულოს. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამეთანხმება, რომ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ოპოზიცია და მთავრობას მართლაც სჭირდება მაკონტროლებელი და დამაბალანსებელი ძალა, რომელიც მას მუდმივად აიძულებს, არ დაუშვას შეცდომები. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ვფიქრობ, „ნაციონალურ მოძრაობას" სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლია საპრეზიდენტო არჩევნებში.

**– ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ირაკლი ალასანიამ მოულოდნელად მიიღოს გადაწყვეტილება, დაასახელოს თავისი კანდიდატურა და ჩაერთოს საარჩევნო მარათონში?**

– ზოგადად, ვთვლი, რომ, რაც უფრო აქტიურად მიიღებს ირაკლი ალასანია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას, უკეთესია ქვეყნისთვისაც და მისთვისაც... რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობა, მე ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ირაკლი ალასანია მხოლოდ სამინისტროს ბიუროკრატიებში ჩაძირული ვიხილო. იმედი მაქვს, ირაკლი დარჩება ქართულ პოლიტიკაში. რა ფორმით და რა გამოწვევებით, ეს მისი გადასაწყვეტია.

**– გიორგი ვაშაძემ განაცხადა, არ გამოვრიცხავ, მარგველაშვილი იყოს დროებითი ფიგურა და ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს საპრეზიდენტო მარათონზეო. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მოვლენების ასე განვითარება?**

– გამორიცხვით ვერაფერს გამოვრიცხავ. დაველოდოთ და ვნახოთ. ეს არის ერთ-ერთი ვერსია, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში აქტიურად ტრიალებს და უკვე მარგველაშვილის დასახელებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ აქტიურად დაიწყო სოციალურ ქსელებში საუბარი, რომ ეს დროებითი კანდიდატურაა და თუ პრემიერ-მინისტრი შეატყობს, რომ ამ კანდიდატურას მცირე შანსები აქვს, ის თავად დააყენებს საკუთარ კანდიდატურას. ასე რომ, ეს ვერსია სოციალურ ქსელებში გაჩნდა. მე ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. ეს, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია. ქართულ პოლიტიკაში ძალიან ბევრი მოულოდნელი გადაწყვეტილება მინახავს. ამიტომ გამორიცხვით ვერაფერს გამოვრიცხავ. თუმცა ვერც დავადასტურებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „შეიძლება ვიღაცის ყურადღების ქვეშ ვარ, ჩემი ტელეფონიც ისმინება, მაგრამ არაფერი მაქვს დასამალი...“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**გია კორკოტაშვილს ივანიშვილთან შეხვედრა სურს. საზოგადო მოღვაწეს ინიციატივა აქვს. სურს, რომ ჭკვიანი ადამიანებისგან შეიქმნას ჯგუფი, რომელიც მოქმედი მინისტრების მოღვაწეობას შეაფასებს, დასკვნებს გააკეთებს და პრემიერს წარუდგენს. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნა უარყოფითი იქნება, პრემიერმა მინისტრი უნდა შეცვალოს. თანაც ისე, რომ არავის დაეკითხოს. პარლამენტის ფუნქციების მქონე მსგავსი ჯგუფის დასაკომპლექტებლად თავად კორკოტაშვილიც მზად არის. აცხადებს, რომ ბევრი ბრძენი ადამიანია, რომელიც „ოცნებასთან“ სათანამშრომლოდ მზად არის და მათგან დაძახებას ელის... „უცნობის“ მეგობარს ძველი ტრადიციის აღდგენა აქვს გადაწყვეტილი. ადრე სოფლებში სოფლის უხუცესი მართავდა მოსახლეობას, ის იყო სასამართლოც და მთავარი გადამწყვეტიც. რადიოწამყვანი ამბობს, რომ ასეთ უხუცესებს ქალაქშიც ადვილად იპოვიან. უბრალოდ, მათ ცოტა დაფინანსება დასჭირდებათ, მაგალითად, ისე, როგორც პარტიები ფინანსდებიან...**

**მართალია, პრემიერი გამოჩენის დღიდან ირწმუნება, კრიტიკა მიყვარსო, მაგრამ კონკრეტული ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფი დააფინანსო იმისთვის, რომ შემდეგ გაკრიტიკონ, ნამდვილად არ უნდა იყოს მომხიბვლელი წინადადება. თუმცა ფაქტია, საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლება არა პარლამენტმა, არამედ ხალხმა უნდა აკონტროლოს, რადგან, მათი განცხადებით, თვითკრიტიკის უნარი პოსტებზე გადანაწილების შემდეგ ქრება...**

**გია კორკოტაშვილი:**

– პოლიტპატიმრების ყრილობის შესახებ თავიდან მაცნობეს, ვიცი, რომ ნანა კაკაბაძე აპირებდა ყრილობის ჩატარებას და „უცნობიც“ გეგმავდა მასში მონაწილეობას. მეც მითხრეს, ერთად გავაკეთოთო... ჯემალ სეფიაშვილთან ერთად უნდა ჩავრთულიყავი მეც, თითქოს წამყვანი უნდა ვყოფილიყავი. შემდეგ გადაიდო, რამდენიმე დღის წინ ისევ შემომეხმიანნენ პოლიტპატიმრები, მაგრამ ჩემით ინიციატორობას არ ვაპირებ. ერთი რამის თქმა შემიძლია, პოლიტპატიმრების თემით მაშინ ვიყავი დაინტერესებული და ჩართული, როცა სხვები შორიდან უყურებდნენ და არ ერთვებოდნენ. თუ მივალ ამ შეკრებაზე, მივალ მხოლოდ როგორც მოქალაქე, რომ ჩემი აზრი დავაფიქსირო. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

**– პოლიტპატიმრებმა შექმნეს ორგანიზაცია, ფიქრობთ, რომ შესაძლებელია მათი პოლიტიკური ნიშნით გამოყენება?**

– დღევანდელ საქართველოში მასით მანიპულირება ძალიან ადვილია, გააჩნია, ვინ ითავებს ამ საქმეს და რომელ წერტილზე დააჭერს ხელს. რამდენიმე მტკივნეული წერტილია: 1. სოციალური თემა. 2. შეიძლება ადამიანი ისე გაალიზიანო და ისე გაახსენო ძველი, რომ შემსრულებლად გადააქციო, თანაც ისე, რომ ვერც მიხვდეს, რას ასრულებს. ფაქტია, ამ ადამიანებს ოდნავ მეტი ყურადღება სჭირდებათ. ყველას, ვინც გასული წლების პერიოდში დაიჩაგრა, უნდა ყურადღების მიქცევა, თანაც სასწრაფოდ. საერთოდ, ქართველებს მოუთმენლობის მომენტი გვაქვს. მეც ასეთივე სულსწრაფობა მჭირს. მინდა, რომ სწრაფად მოხდეს დაჩაგრული საზოგადოების რეაბილიტირება, მეტი იყოს ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში ჩართულობა. ვხედავ აშკარად ცუდ რამეს, თანაც ბევრ ქმედებაში.

**– რას?**

– პირდაპირ გეტყვით. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც ახლოს იყო წინა ხელისუფლებასთან, არ ისაზღვრებოდა მხოლოდ პროფესიონალიზმით. ეს ადამიანები დღესაც არიან უწყებებში. მაშინ, წარმატებისთვის რომ მიგეღწია, უნდა დაგემტკიცებინა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ პატივს სცემდი. ამის შემდეგ იწყებოდა შენი, როგორც პროფესიონალის შეფასება. მაგალითად, ჩემს ოჯახს 9 წლის განმავლობაში არანაირი შემოსავალი არ ჰქონია.

**– იმიტომ რომ ნაციონალების მხარდამჭერი არ იყავით?**

– მე, გია კორკოტაშვილი, ჩაკეტილი ვიყავი სისტემისგან, ნებისმიერი ჩემი საქციელი ფასდებოდა ისე, რომ მე ვიყავი მტერი. იუსტიციის სახლის გახსნის დროს პრეზიდენტმა სულ 17 წუთი ილაპარაკა და აქედან 4 წუთი მე დამითმო. ისაუბრა, როგორი არაინტელექტუალი ვარ, როგორი ცუდი წარსულის მქონე და რაც შეიძლებოდა დამასხა ცუდი წყლები.

**– ახლა გრძნობთ თავისუფლებას?**

– იმის შიში, რომ გარეთ გამოვალ და ორი-სამი მანქანა უკან გამომყვება, ვინმე მომისმენს, აღარ მაქვს. შეიძლება ვიღაცის ყურადღების ქვეშ ვარ, შეიძლება ჩემი ტელეფონიც ისმინება, მაგრამ არაფერი არ მაქვს დასამალი. ყოველ შემთხვევაში ეს მთავრობა მტრად არ მთვლის. წინა ხელისუფლების დროსაც და ახლაც მე ვიყავი და ვარ ადამიანი, რომელიც რადიოთი ისეთ რაღაცებს ლაპარაკობს, რაც მოსახლეობის უმეტესობისთვის მისაღებია. იმიტომ ვუყვარვარ დღესაც, ალბათ, ყველას. არ მაქვს შიში, რომ ახალი ხელისუფლებაც მტრად გამომაცხადებს. ბიძინა ივანიშვილი მოვიდა გუნდით, რომელმაც ძალიან შეცვალა საზოგადოებისა და ადამიანების განწყობა და დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. იმასაც ვიტყვი, რომ გუნდი შეიძლება ჩემპიონი გახდეს, მაგრამ არ იყოს ნაკრები. ივანიშვილის გუნდი დღეს ნამდვილად არის გუნდი, მაგრამ არ არის ნაკრები. ვხედავთ ცვლილებებს, ვიღაც სუსტი რგოლი გამოდგა, ვიღაც – პირიქით, ვიღაც წინ წამოსაწევია... ეს გრძელი პროცესია. არიან ძალიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც არ არიან „ოცნების“ წევრები. ამის გამო არ უნდა მოხდეს მათი დაბლოკვა. არ იქნება ეს სწორი მიდგომა. მაგალითად, როცა სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ისეთი ჩამყაყებული ხელისუფლება გადაიბარა რომ სხვა არაფერი აინტერესებდა. მათ ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ, მაგრამ ფუნდამენტალურს ასცდნენ. სააკაშვილსა და მის გუნდს ყველაზე დიდი შანსი ჰქონდათ, რომ ხალხისთვის თავი შეეყვარებინათ, მაგრამ ესენი გამოდგნენ სინთეტური ადამიანები. ვერ გამოდგნენ ის ჯიგრები, რომლებიც საქართველოს შეიძლება უყვარდეს. როგორ შეიძლება პიარის კეთებისთვის გირგვლიანის მკვლელები დამალო და ხელი დააფარო, თუნდაც გაამართლო ის ერთგული დამნაშავე ძაღლები. მაგრამ ისტორია შედგება სხვადასხვა რაკურსით შეფასებული ფაქტებით. მაგალითად, სტალინი ზოგისთვის გენიაა და ზოგისთვის – ბოროტი გენია. დავით აღმაშენებელი წმინდანია, მაგრამ, როცა, ბოლოს და ბოლოს, თბილისი აიღო, პირველ რიგში იცით, ვინ დასაჯა? ქართველები. არც არაბებს ახლო ხელი, არც სომხებს, არც აზერბაიჯანელებს... მან ის ქართველები დასაჯა, ვინც წინააღმდეგობას უწევდა თბილისის აღებისას. ეს არ არის გასაკვირი...

> „ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შიში უნდა ჰქონდეთ იმ ადამიანებს, ვინც ზუსტად ვიცით, რომ შემთხვევით არიან იქ მოხვედრილები“

**– სააკაშვილის რეჟიმიც სხვადასხვაგვარად შეფასდება...**

– ოღონდ, რასაკვირველია, გააჩნია, რა რაკურსით. წინა ხელისუფლება ძალიან ცუდად მოექცა ადამიანებს. იმის ფონზე, რომ ასფალტი დააგეს და ვიღაცას ცოცხი გაუკეთეს, ასფალტია დასანახი და ეს ფაქტი არ არის დასანახი? ამას წინათ ვიღაცამ მითხრა, სამაგიეროდ დენი ხომ გვაქვსო... კინაღამ დავახრჩვე ის ადამიანი, რას ნიშნავს დენი ხომ გვაქვს?..

**– რადგან ციხეს შევეხეთ, ახალი ხელისუფლების პირობებში უკვე აღიარეს, რომ ციხეში სერიოზული პრობლემებია. „მაყურებლები“ გაჩნდნენ, ეგრეთწოდებული „ობშიაკების“ შეგროვება აღდგა, ისიც კი ითქვა, რომ „კანონიერი ქურდები“ შეიყვანეს, რომ მათი მეშვეობით კონტროლი დაამყარონო...**

– საქმე რა არის, იცით? ციხე არის სხვადასხვანაირად სამართავი. ადრე ციხეს მართავდნენ ციხის ქურდები, „მაყურებლები“. ახლა კი „მაყურებლების“ სახელი დაირქვეს რეჟიმის უფროსებმა. ყოველ შემთხვევაში ძველად ნამდვილად არ მქონდა გაგონილი, რომ იმდენი უბედურება ხდებოდა ციხეებში, რამდენიც დღეს. ასეთი რამ არ ხდებოდა ნამდვილად. მე ძველი ზონებიც მახსოვს, ბევრი ჩემი მეგობარი და მათი მამა იყო პატიმარი, მაგრამ ურთიერთობა გვქონდა. როგორ შეიძლება პატიმარს კულტი ჰყავდეს ვიღაც ზედამხედველი, ან როცა უფროსი შემოვა და დედას შეგაგინებს, ეს მოითმინო? ასეთი რაღაცები არ არსებობდა.

**– თუმცა ბევრს ახსოვს ფანჯრებიდან გადმოყრილი პატიმრების ისტორიები, ოღონდ არა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში...**

– ყველაფერი ხდებოდა, მე იმას კი არ ვამბობ, რომ ყველა ფრთიანი ანგელოზია. კახა თარგამაძის დროსაც შეიძლებოდა გადმომხტარიყო ვიღაც, მაგრამ ასეთი რამ ასი შემთხვევიდან სამი-ოთხი იყო ხოლმე. ეს ჩვეულებრივი ცხოვრებაა... ეს კი არა, ეკლესიაშიც არ არის სისუფთავე ხანდახან... ქართველებს მარტივად აქვთ ნათქვამი: ერთმა ღორმა ასი ღორი გათხვარაო... უბრალოდ, ვისაც შეხება ჰქონია, როგორ მდგომარეობაში გამოდიოდნენ ბოლოს პატიმრები ციხიდან... სასწაულ რაღაცებს უკეთებდნენ...

**– თქვენ სოზარ სუბარის პირობებში გარანტია გაქვთ, რომ მსგავსი აღარაფერი მოხდება?**

– სოზარ სუბარამდე ბიძინა ივანიშვილმა უნდა მოგვცეს გარანტია. აუცილებლად უნდა მოხდეს საზოგადოების დაკვირვება. რაღაცა ხარვეზები ყველას ექნება, შეიძლება დედამიწა ვერასოდეს გასწორდეს, მაგრამ ადამიანს ელემენტალური ცხოვრების საშუალება ხომ უნდა ჰქონდეს? ხომ არ შეიძლება, ადამიანი იღვიძებდეს ყოველ დილას და იმაზე ფიქრს იწყებდეს, სად იშოვოს 15 ლარი, რომ ოჯახი მშიერი არ ჰყავდეს... თუ ამისთვის იბრძვი, ეს იმას ნიშნავს, რომ დეგრადირებული ხარ.

> „მაგდანას ლურჯაში“ რომ არის გიგო პაპა... წინ რომ მოდის და უკან მთელი სოფელი რომ მოჰყვება, აი, ასეთი გიგო პაპები გვინდა“

**– რას აკეთებს ახალი ხელისუფლება იმისთვის, რომ მოქალაქის უკან მშიერი ოჯახი არ იდგას?**

– სიმართლე გითხრათ, ჯერ ვერაფერს ვხედავ, ამაზე არც ვფიქრობ, იმიტომ რომ ვიცი, ამისთვის დროა საჭირო. თუმცა ყველას გასაგონად ხმამაღლა ვამბობ, რომ საჭიროა საზოგადოების სექტორის შექმნა, რომელიც პატიოსანი და განათლებული ადამიანებისგან დაკომპლექტდება, ვისი იმედიც ექნება საქართველოს. ეს ადამიანები რომ გამოვლენ და იტყვიან, რომელიმე კონკრეტული მინისტრი არის თაღლითი, უცოდინარი და დებილი, ის უნდა შეიცვალოს. არ არის ამისთვის საჭირო გუნდის გადაწყვეტილება.

**– ეს ინიციატივაა?**

– არიან პატიოსანი ადამიანები. ახლა რომ დავასახელო, მიკერძოებული გამოვალ. საზოგადო მოღვაწეები უნდა იყვნენ ამ ჯგუფში, აი, როგორც ადრე თემი ირჩეოდა. სოფელში ვიღაც პატიოსან, ბრძენ ადამიანებს ირჩევდნენ. „მაგდანას ლურჯაში“ რომ არის გიგო პაპა... წინ რომ მოდის და უკან მთელი სოფელი მოჰყვება, აი, ასეთი გიგო პაპები გვინდა. თვითონ სოფელი ირჩევდა ასეთ უფროსს. ქალაქიც აირჩევს ასეთ უფროსს.

**– მინისტრებს როგორ შეაფასებს ადამიანების ეს ჯგუფი?**

– ყველაფერი დამოკიდებულია მიმდინარეობაზე, რამდენად სწორად მიმდინარეობს პროცესი. თორემ ეფექტურობა, მიშა სააკაშვილს რომ ჰქონდა, ისეთი არავის ჰქონია, დღეში 15 ქარხანას ხსნიდა.

**– როგორც ცნობილია, კოჰაბიტაციის წინააღმდეგი ხართ, თუმცა ახალი ხელისუფლება სწორედ ასეთ გზას ხედავს გამოსავლად...**

– მე ჩემი შეხედულება მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. კოჰაბიტაცია არის სიტყვა, რომელიც არსებულ მდგომარეობას საერთოდ არ შეეფერება. სრულიად სხვა რამეს ნიშნავს: ეს არის თანაცხოვრება გაცილებული ცოლ-ქმრის. „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ თუ გაცილებული ცოლ-ქმარი არიან, მაშინ იკოჰაბიტირონ, როგორც უნდათ, მაგრამ ხალხის მაგივრად არავის აქვს უფლება, გადაწყვეტილება მიიღოს, რა იერარქიც არ უნდა იყოს. არც ის არის სწორი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ვიღაცების დასჯას გულის მოსაფხანად ითხოვს. კანონის მიხედვით, უნდა დაისაჯოს ის ხალხი, ვისაც წვლილი მიუძღვის საქართველოს უკან დახევაში, ვინც ადამიანების სულიერ და ფიზიკურ გაუპატიურებას ახდენდა... ბაჩო ახალაიაზე უნდათ ამათ ყველაფრის გადატეხა? მხოლოდ ბაჩო ახალაიაში იყო ყველაფერი თავმოყრილი? მე ვინმეს დაჭერა კი

> „ერთ მშვენიერ დღესაც ასეთი ქართველი ძალიან დათვრება და მიხვდება, რომ ეს მთავრობა არაფერს აკეთებს, რასაც კანონი ჰქვია და დაუჩეხენ თავებს ერთმანეთს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჩის წესზე გადავა საქართველო“



„ადრე ციხეს მართავდნენ ციხის ქურდები, „მაყურებლები“. ახლა კი „მაყურებლების“ სახელი დაირქვეს რეჟიმის უფროსებმა. ყოველ შემთხვევაში ძველად ნამდვილად არ მქონდა გაგონილი, რომ იმდენი უბედურება ხდებოდა ციხეებში, რამდენიც დღეს. როგორ შეიძლება პატიმარს კულტი ჰყავდეს ვიღაც ზედამხედველი, ან როცა უფროსი შემოვა და დედას შეაგინებს, ეს მოითმინო? ასეთი რაღაცები არ არსებობდა“

„კოჰაბიტაცია არის სიტყვა, რომელიც არსებულ მდგომარეობას საერთოდ არ შეეფერება“

# EXCLUSIVE

არ მიხარია, მაგრამ კანონის აღსრულება მანახვონ. დღეს მე ამას ვერ ვხედავ. იმის მაგივრად, რომ სამართლიანობა აღდგეს, შემოიპარა თემები, მოდით, შუა რგოლს ვაპატიოთ. რა უნდა აპატიო? ან ვისას რას პატიობ? შენ შენი აპატიე, თუ გინდა, მაგრამ მე ნუ მომიწოდებ. როცა მაღალი იერარქიის წარმომადგენელი მოგვიწოდებს პატიებისკენ, ეს არ არის კანონის დაცვა. მეც კანონიერად ვითხოვ იმ ადამიანების დასჯას, ვინც არაკანონიერად იცხოვრა ამ ათი წლის განმავლობაში. ეს ხალხი კანონის აღსრულებას ელოდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ხედავს.

**– ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იბარებდნენ სხვადასხვა ჩინოვნიკებს დაკითხვებზე, დღესაც მიმდინარეობს გამოძიებები... ეჭვი გაქვთ, რომ ძალოვნებს მტკიცებულებები აქვთ და შეგნებულად არ აკავებენ დამნაშავეებს?**

– მე არაფრის ეჭვი არ მაქვს. რას აცხადებენ, დამნაშავეებს დავიჭერთ, სამართლიანობას აღვადგენთო... რას აგიჟებენ ამ ხალხს? თუ დასაჭერია, დაიჭირონ, თუ არადა, ნუღარ აგიჟებენ მაინც ამ ადამიანებს? ყოფილი პატიმარი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს დაინახავს კაცს, რომელიც პატიმრობისას მას აფურთხებდა, აგინებდა, მივა და ჩაურაკუნებს თავში რაღაცას. ის ვერ მოითმენს. ეს კი ძალიან მალე მოხდება. ძალიან მალე გამოიღვიძებენ დაჩაგრული ადამიანები, ჯერ კიდევ დათრგუნულები არიან და თან იმედი აქვთ კიდევ, რომ სამართლიანობა აღდგება. მაგრამ თუ კანონი არ აღსრულდა, ლინჩის წესზე გადავა საქართველო. ნახევარი საქართველო დაჩაგრულია, ქონება აქვთ წართმეული, უსამართლოდ ექცეოდნენ, ერთ მშვენიერ დღესაც ასეთი ქართველი ძალიან დათვრება და მიხვდება, რომ ეს მთავრობა არაფერს აკეთებს, რასაც კანონი ჰქვია და დაუჩეხენ თავებს ერთმანეთს. ეს თუ უნდათ, ძალიან მალე დაინახავენ ამ ყველაფერს.

**– დასავლეთის რჩევა იყო, რომ პოლიტიკური დაჭერები არ მომხდარიყო...**

– პირდაპირ გეტყვით – ამდენმა კეკლუცობამ სადამდე მიგვიყვანა, ხომ ხედავთ? ყველაფერი უნდა გაითვალისწინო ადამიანმა, დასავლეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთიც, მაგრამ პრიორიტეტი შენი ქვეყანა უნდა იყოს. ის, ვინც დედას აგინებდა პატიმრებს, ის, ვინც ქვეყნის ფულს ფლანგავდა, არ უნდა დაიჭირონ?

„დღევანდელ საქართველოში მასით მანიპულირება ძალიან ადვილია, გააჩნია, ვინ ითავებს ამ საქმეს და რომელ წერტილზე დააჭერს ხელს“

ხალხი ჯერ აზრზე მოდის ნელ-ნელა. საზოგადოება ნოკაუტში თუ არა, ნოკდაუნში იყო. ისინი ნელ-ნელა ფხიზლდებიან. მაგრამ როცა მოგშივდება, იქ მთავრდება იმედიც. ხელშესახებ მატერიამდე არ მინდა მივიდეს ეს სიტუაცია. იმედი რომ გაქრება, უცბად კუჭზე გადავა დაძაბულობა და ასეთ დროს ადამიანი სხვანაირად იწყებს მოქმედებას. ეს ძალიან საფრთხილო საკითხია. მარტივად ვიტყვი: პური მეპურემ უნდა გამოაცხოს საქართველოში. მე მინდა ივანიშვილის გუნდი ერთად იყოს და მასში შეიყვანონ ის ადამიანები, ვინც დღეს ბევრად უფრო მაღლა დგას ზოგიერთებზე, ვისიც ხალხს სჯერა, ენდობა... ამ ადამიანებს რომ ჰქონდეთ შეთავაზება, აუცილებლად ითანამშრომლებდნენ კოალიციასთან, ბიძინა ივანიშვილთან.

**– თქვენ აპირებთ, ივანიშვილს შესთავაზოთ გარკვეული ადამიანების ჯგუფი?**

– მინდა, რომ შევხვდე ბიძინა ივანიშვილს. ამ ჯგუფის შესაქმნელად ელემენტარული რაღაცებია საჭირო, მცირე დაფინანსება რომ ჰქონდეთ ამ ადამიანებს... როგორც პარტიებს გამოეყოფათ ფული, აქვთ თავისი ოფისები, ისე რომ ჰქონდეს ამ ჯგუფსაც. ჰქონდეთ შესაძლებლობა, ოფისი დაიქირაონ და ყველამ იცოდეს, რომ იქ, იმ ადგილას საქართველოსთვის ყველაზე ჭკვიანური აზრი მწიფდება და მთავარი პროდუქტი დაიდება სწორედ იქიდან, მომზადდება ისეთი კადრები, რომელთა გამოყენებაც აღმშენებლობისთვის იქნება საჭირო.

**– ანუ თქვენ ამბობთ, რომ ეს ჯგუფი გააკონტროლებს მთავრობას, მოსთხოვს პრემიერს, შეცვალოს რომელიმე მინისტრი და სანაცვლოდ შესთავაზებს საკუთარ კადრს?**

– რასაკვირველია. ეს იქნება საზოგადოებრივი აზრი. თუ ასე არ მოხდა, იგივე შეცდომებს დაუშვებენ ესენიც. სექტანტურ სახეს მიიღებენ ისევ, როგორც აქამდე იყო. თუ არ იყავი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, არაფერი არ გეღირსებოდა, არაფერი არ იცოდი, ვერ მღეროდი, უნიჭო იყავი...

**– პარლამენტსგარეთ დარჩენილი ძალები ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს, ეთანხმებით იდეას?**

– კახა კუკავასაც, სოსო მანჯავიძესაც ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ ყველას ერთს ვურჩევდი: მოდით, ჯერ ერთ აზრზე მოვიდეთ ყველა, ვინც ვართ გარეთ, ოპოზიციაში, რაღაცები ერთმანეთს დავუთმოთ, გავერთიანდეთ, ვანახვოთ სხვებს, რომ რაღაცას წარმოვადგენთ და მერე ვისაუბროთ ვადამდელ არჩევნებზე.

**– ვინ შეძლებს გარეთ დარჩენილი ძალების გაერთიანებას, როგორ ფიქრობთ?**

– არ ვიცი, ეგეთი კაცი დღეს არ ვიცი, ვინ არის. არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან პოლიტიკოსები, მაგრამ არიან ტვინით გატენილები და სულით ქართველები. შევქმნათ გაერთიანება, სადაც იარსებებს ქართული აზრი.

**– თქვენ ამბობთ, რომ უნდა შეიქმნას გაერთიანება, რომელიც ხელისუფლებას გააკონტროლებს... ასეთი ორგანო ხომ პარლამენტია?**

– პარლამენტში ხომ ხედავთ, რაც ხდება? ერთმანეთს ებუტებიან... მართლა ერთი პატარა სოფელი ვართ, ყველა ყველას იცნობს და ნუთუ, არ შეუძლიათ, კონსენსუსამდე მივიდნენ? როდემდე უნდა ჭამონ ერთმანეთი? საერთოდ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შიში უნდა ჰქონდეთ იმ ადამიანებს, ვინც ზუსტად ვიცით, რომ შემთხვევით არიან იქ მოხვედრილები.

**– ბევრია ასეთი?**

– ასეთი ბევრია თუ არა, ამას მთელი საქართველო დაინახავს, როცა შემდეგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. როგორ მიმდინარეობს შიგნით მუშაობა, არ ვიცი. მე ველოდები, დავინახო მუშაობის შედეგი – პროდუქტი. როცა პარლამენტი დადებს პროდუქტს, იმის მიხედვით შევაფასებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ არ დაესწრო პრემიერი ფოთის საკათედრო ტაძრის კურთხევას?

# ტაძრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 8 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა





my View

მირიან ბოქოლიშვილი

გასული კვირის ბოლოს, კათოლიკოს-პატრიარქმა განახლებული ფოთის საკათედრო ტაძარი აკურთხა. საზეიმო ცერემონიალზე მაღალი დონის სტუმრები იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, თუმცა ბიძინა ივანიშვილი კურთხევას არ დასწრებია. როგორც „პრაიმტაიმს“ მთავრობის პრესსამსახურში განუმარტეს, პრემიერ-მინისტრი ოთარ მელვინეთუხუცესის დაკრძალვას ესწრებოდა და შესაბამისად, ტაძრის კურთხევაზე ჩასვლა არც იგეგმებოდა. კულუარებში კი სხვა მიზეზებზეც საუბრობენ. საქმე ის გახლავთ, რომ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს, მეუფე გრიგოლს, რომელიც ტაძრის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ედგა სათავეში, პრეზიდენტთან განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა აქვს. წინასაარჩევნო პერიოდში კი არაერთხელ გააკრიტიკა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, მათ შორის მაჟორიტარობის კანდიდატი ეკა ბესელია. მოგვიანებით ბესელიასა და მეუფეს შორის ურთიერთობა მოგვარდა, თუმცა რა დამოკიდებულება აქვს მიტროპოლიტს პრემიერ-მინისტრისა და ახალი ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, უცნობია. ამაზე საჯაროდ მას აღარ უსაუბრია. ცნობილია, რომ მისგან ტაძრის კურთხევაზე მიწვევა ბიძინა ივანიშვილმაც მიიღო. როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, ეს უშუალოდ პატრიარქის მოთხოვნით მოხდა. „მისმა უწმინდესობამ ტაძრის კურთხევაზე პრემიერის მოპატიჟება კატეგორიულად მოითხოვა, თუმცა საბოლოოდ ივანიშვილმა ფოთში ჩასვლაზე უარი თქვა. სავარაუდოდ, მიშას ფაქტორის გამო“, – გვიყვება ჩვენი წყარო საპატრიარქოდან.

## „მისმა უწმინდესობამ ტაძრის კურთხევაზე პრემიერის მოპატიჟება კატეგორიულად მოითხოვა, თუმცა საბოლოოდ ივანიშვილმა ფოთში ჩასვლაზე უარი თქვა. სავარაუდოდ, მიშას ფაქტორის გამო“

ფოთში თეატრის ახალი შენობის მშენებლობა და ტაძრის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2005 წლიდან დაიწყო, როცა პრეზიდენტმა თეატრის ყოფილი შენობა საპატრიარქოს გადასცა. შენობა თავის დროზე ეკლესიისთვის აშენებულა, თუმცა კომუნისტური რეჟიმის გამო 1932 წლიდან იქ თეატრი ფუნქციონირებდა. ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და შემოწირულობებით მიღებული თანხებით მიმდინარეობდა. ბოლო წლების განმავლობაში, ტაძრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 8 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ტაძრის გუმბათის მოსაოქროვებლად, პრეზიდენტმა თანხა საკუთარი ფონდიდან გამოყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წელს წინასაარჩევნო პერიოდში ტაძარში სამუშაოები დაჩქარებული ტემპით, 24 სთ-იან რეჟიმში მიმდინარეობდა. საბოლოოდ სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა, ტაძარი იკურთხა, თუმცა, როგორც ჩანს, სუფთა წყლის საეკლესიო ცერემონიალი, მაინც პოლიტიკური ინსინუაციების თემად იქცა. ამან კიდევ ერთხელ გაამყარა ხმები, რომ ეკლესიასა და წმინდა სინოდში აზრი ორად არის გაყოფილი, სამღვდელოების ნაწილი ბიძინა ივანიშვილს უჭერს მხარს, ქადაგებებში მრევლს ღიად მოუწოდებდნენ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას და უფრო მეტიც, თავადაც სტუმრობდნენ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ აქციებს. მეორე ნაწილი კი პრეზიდენტის მხარდამჭერებად მოიაზრებიან, სწორედ მათ შორისაა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი.

თავად პრემიერ-მინისტრს კი მიაჩნია, რომ სააკაშვილს მხარდამჭერები არათუ საზოგადოებაში, არამედ ლამის საკუთარ ოჯახშიც აღარ ჰყავს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრემიერი პრეზიდენტის მხარდამჭერ სამღვდელოებას გულისხმობდა, როდესაც ცოტა ხნის წინ ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.

„როგორც არ უნდა ვმალოთ და როგორც არ ვეფერებოდეთ ჩვენს ეკლესიას, კარგად ვიცით, რომ იქაც არსებობს პრობლემები და ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოების წარმომადგენელი ამაზე აკეთებს რეაქციას. ეს ნორმალურია და ტაბუდადებული თემები არ უნდა არსებობდეს“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებას სასულიერო პირები მალევე გამოეხმაურნენ. მაგალითად, ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი სერაფიმე, რომელიც სააკაშვილის მომხრე მეუფედ არ ითვლება. ამბობს, რომ ეკლესიაში არანაირი პრობლემა არ არსებობს. მისივე თქმით, ეკლესია დამოუკიდებელია და სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა აქვს.

„საკითხის ასე დაყენებას მართებულად არ ვთვლი. არანაირი პრობლემა დღეს ეკლესიაში არ არის. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. პრობლემა მაშინ ითქმება, როდესაც ვინმე ან რამე არ აკეთებს რაიმე საქმეს. ეკლესია არის ერთ-ერთი პირველი და მთავარი გარანტი ჩვენი ქვეყნის ერთიანობის. ვფიქრობ, რომ პრემიერის განცხადება საფუძველს მოკლებულია. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დღეს ძალიან კარგი ურთიერთობაა. მე ვფიქრობ, რომ ეს კავშირი უფრო გაუმჯობესდება, ამაში დარწმუნებული ვარ. არის გარკვეული ძალები, რომლებიც ცდილობენ, დაძაბონ ურთიერთობა და ცდილობენ, ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა გააფუჭონ. რა თქმა უნდა, ეკლესია დამოუკიდებელი უნდა იყოს. ფაქტია, რომ ეკლესიას სჭირდება დახმარება. სახელმწიფო იგივე მრევლია და იგივე მოვალეობა აქვს ერისა და ღვთის წინაშე. ეკლესია დამოუკიდებელი უნდა იყოს, თუმცა ურთიერთდახმარება აუცილებელია. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს შიდა საქმეებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება ეკლესიის წინაშე. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ეკლესიის დაცვა და არ უნდა დაუშვას ეკლესიაზე თავდასხმა“. – განაცხადა მეუფე სერაფიმემ, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრს წინასაარჩევნოდ სასულიერო პირების მიერ არჩევნების გაყალბების აღსაკვეთად გადადგმული ნაბიჯებიც შეახსენა.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „თბილისში საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის ფილიალი მოქმედებს“

## სანდრო ბრეგაძე: „თქვენი გაზეთის საშუალებით საჯაროდ მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს – დროულად დაინტერესდეს ამ პრობლემით“

მირიან ბოქოლიშვილი

**მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან საქართველოში არალეგალთა მასობრივ შემოდინებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ადამიანები, რომლებიც საკუთარ ქვეყნებში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იძებნებიან შეცვლილი გვარ-სახელით საქართველოში შემოდიან. რა საფრთხეებს ხედავს და რატომ მოითხოვს ხელისუფლებისგან დროულ რეაგირებას? „პრაიმტაიმი“ დეტალების გასარკვევად თავად სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა.**

**სანდრო ბრეგაძე, მოძრაობა „ეროვნულები“:**

– მე ოფიციალური მიმართვა გავუგზავნე საქართველოს ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს. ახლა, საჭიროდ ჩავთვალე საჯაროდ ამ საკითხის წამოწევა. საქართველოს მოსახლეობა უნდა იყოს იმ უდიდესი საშიშროების საქმის კურსში, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შეინიშნება შემაშფოთებელი ტენდენცია, საუბარი მაქვს აფრიკის და აზიის ქვეყნებიდან ლტოლვილების პირდაპირი შემოსევაზე. არ მინდა ვინმემ იფიქროს, ადამიანებს ეროვნებისა და კანის ფერის გამო ვერჩი რამეს, პირიქით, მაგრამ ეს არ გულისხმობს კონტროლის გარეშე ადამიანების ჩამოყვანას და მასობრივად ჩასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე. რამდენიმე დღის წინ, დიღომში, თბილისის შემოსასვლელში, პირადად შევესწარი ფაქტს, როდესაც აფრიკელების სამი დიდი ავტობუსი (თითოში დაახლოებით 100 ადამიანი იჯდა) შემოვიდა ქალაქში. იქვე გავიკითხე რა ხდებოდა, მითხრეს, რომ აფრიკელების არალეგალურად ჩამოყვანა საქართველოში საკმაოდ სარფიანი ბიზნესია და ამით ძალიან დიდი ფული კეთდება. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ ადამიანთა დიდი ნაწილი, საკუთარ ქვეყნებში არიან ძებნილები, კრიმინალები, ძირითადად ეს არის ნიგერია, სუდანი და სომალი. მათ თავიანთ ქვეყნებში ჩადენილი აქვთ მკვლელობა, ყაჩაღობა და სხვა მძიმე დანაშაულები, ჩემი ინფორმაციით, არიან კრიმინალური სინდიკატის წევრები, რომლებმაც თავი საქართველოს შეაფარეს და საკმაოდ კომფორტულად მოეწყვნენ. ეს არის დადასტურებული ინფორმაცია.

**– საკმაოდ ხმაურიანი განცხადებაა... შეგიძლიათ ამის დადასტურება?**

– შესაბამისი უწყებების მიერ ეს საკმაოდ მარტივად გადასამოწმებელი თემაა. მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია ამის შესახებ. მოდით, ისიც პირდაპირ ვთქვათ, დღეს თბილისის ცენტრში, პეროვსკაიას ქუჩაზე გვაქვს ჩინური დანაშაულებრივი სინდიკატის ფილიალი.

**– რას გულისხმობთ?**

– თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩინური მაფია არის ერთ-ერთი ძლიერი მთელს მსოფლიოში, ამერიკის სამართალდამცველებიც კი, მას განიხილავენ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდ დანაშაულებრივ სინდიკატს. სწორედ აშშ-ში, ჩაინათაუნში არსებული საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის ფილიალი არის ჩვენთან პეროვსკაიაზე, რომელიც მოქმედებს, ჩინური მასაჟის საფარქვეშ.

**– და მასაჟი როდიდან გახდა დანაშაული? ოფიციალურად იქ უკანონო რა ხდება?**

– რეალურად ეს არის პროსტიტუციის ბუდე. გაიარეთ და ჰკითხეთ თუნდაც ადგილობრივ მოსახლეობას, ეს ყველამ იცის, რაზეც სამართალდამცველებმა უნდა მოახდინოდ მეტი რეაგირება. საბოლოოდ არსებულმა ვითარებამ შეიძლება საკმაოდ სერიოზული მასშტაბები მიიღოს. ერთ ორ წელიწადში ჩვენ მივიღებთ რამდენიმე დანაშაულებრივ სინდიკატს საქართველოში, რომლებიც დაკომლექტებული იქნება აფრიკიდან და აზიიდან შემოსული მოქალაქეებით. გარწმუნებ, რომ თუ დროული რეაგირება არ მოხდა, შედეგები სავალალო იქნება. ამის მთავარი მიზეზი არის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც უფლებას აძლევს უცხო ქვეყნის კრიმინალურ ელემენტებს უპრობლემოდ იცხოვრონ საქართველოში. თქვენი გაზეთის საშუალებით საჯაროდ ვაცხადებ და მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილსაც, დროულად დაინტერესდეს ამ პრობლემით. არ არის საჭირო ამ ყველაფერზე დაკვირვება და გამადიდებელი შუშით ყურება, შეუძლიათ მიბრძანდნენ და ნახავენ, რომ იქ ჰყავთ მონები, რომლებსაც ამუშავებენ პროსტიტუციაზე. დღეს, თბილისის ცენტრში, სახეზე გვაქვს უცხოური ორგანიზებული ჯგუფის მიერ ტრეფიკინგის უპრეცედენტო მასშტაბები, რომელიც უფრო და უფრო ვითარდება. მეტსაც გეტყვით, ბოლო ხანს, თბილისის ქუჩებში გადაადგილდებიან აფრიკელები და ჩინელები, საკმაოდ ძვირადღირებული მანქანებით და ცეცხლსასროლი იარაღებით. დღეს ეს არის ჩანასახი, მაგრამ ჩვენ ეს თუ ჩანასახშივე არ მოვსპეთ, მივიღებთ საშინელ სიტუაციას, შედეგები კი იქნება გაცილებით მძიმე, ვიდრე 2008 წლის ომის დროს იყო. მოვითხოვ, უახლოეს დღეებში დალუქონ ყველა მსგავსი საეჭვო დაწესებულება, მოახდინონ კრიმინალი არალეგალების თავიანთ ქვეყნებში დეპორტაცია და გამკაცრდეს მიგრაციის კანონი. ჩვენ თუ ეს არ გავაკეთეთ, მდგომარეობა შესაძლოა მალე უკონტროლო გახდეს. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მქონდა საქმიანი ურთიერთობა გერმანიის საემიგრაციო სამსახურთან, ეს იყო ჩემი გერმანიაში ცხოვრების პერიოდში. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არც გერმანიაში და არც ევროკავშირის სხვა ქვეყანაში პირს არ ეძლევა ცხოვრების უფლება, თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ ნამდვილად დევნილია. დევნილების დამტკიცების შემთხვევაშიც ეს საკმაოდ რთული პროცედურაა და საბოლოოდ ძალიან იშვიათად გასცემენ დევნილის სტატუსს, არალეგალებს კი, ჩვენ ვიცით, რომ სისტემატურად უკეთებენ დეპორტაციას. ამიტომ თუ ჩვენ მივდივართ ევროპისკენ, კარგი იქნება, პირველ რიგში, ეს გამოცდილება გავიზიაროთ. საქართველოში დაჩქარებული წესით უნდა შეიქმნას თვისობრივად განსხვავებული მიგრაციის კანონი, რომელიც იქნება ამ პრობლემის მოგვარების გზაზე პირველი ნაბიჯი.

**– თქვით, რომ შეიარაღებულებიც არიანო... ერთი კონკრეტული ფაქტი თუ შეგიძლიათ გვითხრათ, როდესაც აფრიკიდან, ან ჩინეთიდან ჩამოსული ადამიანები მსგავს სიტუაციაში დაფიქსირდნენ...**

– ჯერჯერობით იარაღის გამოყენებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მათ აქვთ იარაღიც და სინდიკატისთვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტიკაც. მეტსაც გეტყვით, არის რამდენიმე ღამის კლუბი, სადაც აფრიკელები ნარკოტიკს ყიდიან. ეს ადამიანები გადაადგილდებიან ჯგუფურად, იარაღებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ისინი საკუთარ ქვეყნებში იძებნებიან საკმაოდ მძიმე დანაშაულებისთვის. მალიდან და სუდანიდან შემოსული პირების აბსოლუტურ უმრავლესობას სახელი და გვარი აქვს შეცვლილი, იმ ქვეყნებში ყალბი პასპორტის აღება 100-დან 200 დოლარამდე ჯდება. ცოტა ხნის წინ, მათ შესახებ საკმაოდ სიანტერესო ინფორმაციები მივიღე, საკმაოდ ინფორმირებული ადამიანისგან. ირკვევა, რომ ამ ხალხის უმეტესობა თავიანთ ქვეყანაში იყო არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფების წევრი, ანუ ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, იქაური მხედრიონელები არიან და აწიოკებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. იმედია, მათ თარეშს საქართველოში გასაქანი არ მიეცემა. მე არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს ხანში დაიწყოს შეტაკებები, საქართველოს მოქალაქეებსა და ჩამოსულ არალეგალებს შორის. ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა. დილით, იპოდრომზე რომ გამოხვიდეთ, ნახავთ, რომ სავსეა მიმდებარე ტერიტორია ამ ადამიანებით, რამდენჯერმე უკვე გადაიზარდა დაპირისპირებაში ადგილობრივებთან შელაპარაკება. ეს სიტუაცია არის პიკზე მისული და შეიძლება თბილისის ქუჩებში ვიხილოთ მასობრივი დაპირისპირებები. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საჭიროა დროული რეაგირება.



**„მათ აქვთ იარაღიც და სინდიკატისთვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტიკაც. მეტსაც გეტყვი, არის რამდენიმე ღამის კლუბი, სადაც აფრიკელები ყიდიან ნარკოტიკს. ეს ადამიანები გადაადგილდებიან ჯგუფურად, იარაღებით“**

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტერაქტიდან ორი წლის შემდეგ თამთა ლიპარტელიანის მშობლებმა გოგონა იშვილეს

მირიან ბოქოლიშვილი





თამთა ლიპარტელიანი

**„ყოველი ადამიანი რაღაც მისიის შესასრულებლად ევლინება დედამიწას. მთავარია, ის ვიპოვოთ და ვინც შეძლებს ამის პოვნას, ის ბედნიერი იქნება. მე ჯერ არ მიპოვია ჩემი მისია, მე ჯერ ძიებაში ვარ, მაგრამ აუცილებლად ვნახავ. მე ჯერ კიდევ ბევრი დრო მაქვს ამისთვის, თუმცა არ ვიცი, მაქვს კი?!“ – ეს სიტყვები თამთა ლიპარტელიანმა 2007 წელს დაწერა, კუნძულ უტოიაზე დატრიალებულ ტრაგედიამდე 4 წლით ადრე. დრო მართლაც არ აღმოჩნდა ბევრი. ნორვეგიაში ახალგაზრდულ ბანაკში ჩასული ქართველი გოგონა, სხვა ათობით ახალგაზრდასთან ერთად, ტერორისტის სამიზნე გახდა. იმ დღეს ანდერს ბრეივიკმა ნორვეგიაში ორი ტერაქტი განახორციელა. ტერორისტმა ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე 77 ადამიანი მოკლა. უტოიაზე, ახალგაზრდულ ბანაკზე თავდასხმის დროს კუნძულზე საქართველოს ორი მოქალაქეც იმყოფებოდა. თამთა ლიპარტელიანი რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ გარდაცვლილებს შორის იპოვეს. მასთან ერთად მყოფი საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე ნათია ჩხეტიანი კი სიკვდილს გადაურჩა.**

ამ დღეებში თამთას გარდაცვალებიდან ორი წელი სრულდება. მის ოჯახში ეს თარიღი განსაკუთრებით მძიმეა... როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არის სასიამოვნო სიახლეც, რომელიც თამთას მშობლებს ერთადერთი ქალიშვილის გარდაცვალებით მოგვრილ ტკივილს უმსუბუქებს. ცოტა ხნის წინ, მათ პატარა ნინო იშვილეს. გოგონა 10 წლისაა და ახალ ოჯახს უკვე შეეგუა. „პრაიმტაიმი“ ამ სასიამოვნო ახალი ამბის გასარკვევად, თამთას დედას, ლეილა ასათიანს ესაუბრა.

**ლეილა ასათიანი, თამთა ლიპარტელიანის დედა:**

– დიახ, შვილი ავიყვანეთ სამი თვის წინ. ძალიან მოულოდნელად მოხდა. როგორც ასეთი, გვეძებნა ვინმე ბავშვი, ასე არ ყოფილა. ახლობლები გვეუბნებოდნენ, სიცოცხლის ბოლომდე მარტო ხომ არ უნდა დარჩეთ, ვინმე აიყვანეთო. ყოველთვის კატეგორიულ უარზე ვიყავით, რადგან ვერ წარმომედგინა თამთას შემდეგ ჩემს სახლში თუ ვინმე იცხოვრებდა და მასზე ვიზრუნებდი. ჩემი მეუღლე ძალიან ცუდად იყო, დეპრესიაში გახლდათ. ღამეები თითქმის არ ეძინა. ერთხელაც შევთავაზე, – თუ გინდა ბავშვი ავიყვანოთ და გავზარდოთ-მეთქი. თანხმობა მითხრა, ავიყვანოთ და თამთას სახელზე გავზარდოთო. მხოლოდ ერთი ვთქვი და დანარჩენი თითქოს ყველაფერი თავისით აეწყო. ჩემი ახლობელი მუშაობს სკოლაში, სადაც დაჰყავთ მიუსაფარი და მზრუნველობამოკლებული ბავშვები. მას ვუთხარი ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ და ვკითხე, ხომ არავინ გეგულება, ასეთი-მეთქი. მითხრა, ჩვენთან არ არის ასეთი, მაგრამ გავიკითხავო. მის დას უთქვამს თავისი მეგობრისთვის, რომელიც ლეჩხუმში მუშაობს ექთნად. მას უთქვამს, რომ არის ოჯახი, სადაც სამი ბავშვი იზრდება დედის გარეშე, მამა ჰყავთ მხოლოდ, დედა გარდაცვლილია. თუ ოჯახი თანახმა იქნება და ყველაზე პატარას გააშვილებენ, ძალიან კარგი იქნებაო. მართლაც, ძალიან კარგი ბავშვი აღმოჩნდა, თავადაც მოინდომა ჩვენთან წამოსვლა. უფრო ბავშვმა მოგვანდომებინა, შეიძლება ითქვას. ჰკითხეს, თუ წაჰყვები თამთას მშობლებსო და სიამოვნებით დათანხმებულა. მოვიყვანეთ ჩვენთან, ვზრდით და ვცდილობთ, მზრუნველობა არ მოვაკლოთ.

ლეილა ასათიანი: „ჩვენთვის თამთასთან მიმართებაში არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამ პატარამ სიცოცხლის ხალისი დაგვიბრუნა, ის ნამდვილად იმსახურებს სიყვარულს“



ჯერჯერობით ჩვენს გვარზე არ არის, თუმცა პროცედურები დაწყებული გვაქვს და ალბათ, მალე გვარსაც მიიღებს. რადგან შვილად ავიყვანეთ, გვარსაც მივცემთ, თვითონაც არ არიან წინააღმდეგი, რომ ბავშვმა ჩვენი გვარი ატაროს. მე-6 კლასში გადადის ახლა. ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ბავშვია. ისეთი, რომ მასზე ზრუნვასა და სიყვარულს გვიადვილებს. რაც შეგვიძლია, გავცემთ სითბოს და მისგანაც ანალოგიურს ვგრძნობთ. მას ჰყავს დედმამიშვილები, რა თქმა უნდა, მათთან აქვს და მომავალშიც ექნება ურთიერთობა, ისინი რომ არ უყვარდეს, ცხადია, ჩვენ ვერ შეგვიყვარებდა.

**– ქალბატონო ლეილა, რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში ამ გადაწყვეტილებით?**

– ჩვენთვის, რა თქმა უნდა, თამთასთან მიმართებაში არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამ პატარამ სიცოცხლის ხალისი დაგვიბრუნა, ის ნამდვილად იმსახურებს სიყვარულს. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რა მოხდა ჩვენს გონებაში. პირველად ბავშვის სანახავად სრულიად გათიშული, როგორც რობოტი, ისე წავედი, სახლში რომ დავბრუნდი და ცოტა გონს მოვედი, ბავშვი უკვე წამოყვანილი გვყავდა. ცოტა ხანს ვერ ვაანალიზებდი, რა გავაკეთე. როდესაც ოჯახს დაველაპარაკეთ, იმავე დღეს არ გვქონია გადაწყვეტილი ნინოს წამოყვანა. ვუთხარით, ჩვენ წავალთ და თუ თანახმა იქნებით, დაგვირეკეთ-თქო. ბავშვმა იმავე დღეს მოისურვა, წამოგვყოლოდა. მას შემდეგ ჩვენთან არის და არსად წასვლას არ აპირებს.

**– შეგუების მომენტი არ იყო ძნელი?**

– თუ დამიჯერებთ, როგორც კი სახლში შემოვიდა, პირველივე წუთებიდან იფიქრებდით, რომ აქ დაბადებული და გაზრდილი იყო. თამთას სურათები დაათვალიერა, გაშინაურდა და მალევე დაგვიმეგობრდა. ალბათ, განგების ხელი ერია ამ საქმეში. სირთულე ნამდვილად არ ყოფილა.



„ნინო მოუნათლავი იყო და თამთას მეგობრებმა მონათლეს“

**– თამთას მეგობრები როგორ შეხვდნენ თქვენს ოჯახში ნინოს გამოჩენას?**

– ძალიან კარგად. ნინო მოუნათლავი იყო და თამთას მეგობრებმა მონათლეს. ხშირად აკითხავენ და საჩუქრებს ჩუქნიან. მათაც ძალიან შეაყვარა თავი. ძალიან მოსიყვარულე ბავშვია, ვფიქრობ, როგორც თამთას უყვარდა თავისი მეგობრები, ისე უყვარს მასაც. არ გვეგონა, თუ შევძლებდით, მაგრამ ეს ნაბიჯი გადავდგით.

**– ნორვეგიის მთავრობიდან რაიმე სახის დახმარებას თუ იღებთ, ან თუ გიკავშირდებიან?**

– ამჟამად არანაირ დახმარებას არ ვიღებთ. თავის დროზე ყველა გარდაცვლილის ოჯახს გამოუყვეს ერთჯერადი დახმარება, რომელიც გაწერეს ეტაპობრივად. მოგვეხმარნენ დაკრძალვის ხარჯებში. ჩვენი ადვოკატი ითხოვდა პენსიის დანიშვნას, რადგან ასაკში შევდივართ და, ასე თუ ისე, თამთა ითვლებოდა ჩვენს ერთადერთ მარჩენლად. მაგრამ იქაური კანონებით ეს ვერ მოხერხდა. არც არანაირი პრეტენზია არ გამომითქვამს, შვილო, ამ საკითხზე. მე ერთადერთი პრეტენზია მაქვს იმაზე, რომ ვერც ჩემი შვილი და ვერც საკუთარი მოქალაქეები ვერ დაიცვეს იმათ. დანარჩენი არაფერი, არც არაფერი მომითხოვია და არც მინდა, ჩემს შვილს ვერანაირი დახმარება ვერ გამიცოცხლებს.

**– ბრეივიკის მიმართ გამოტანილ განაჩენს არ ეთანხმებოდით...**

– რა თქმა უნდა, ეს სასჯელი მისთვის სრულიად არაადეკვატურია. ადამიანმა ამდენი უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა და მხოლოდ 21 წელი მისცეს. ჩემი მეუღლე ჩასული იყო, იქ შეხვდა მინისტრს. მაშინ ჩემმა მეუღლემ უთხრათ, დახვრიტეთო, რაზეც ისინი ძალიან გაკვირდნენ. თქვეს, – როგორც ჩანს, ჩვენს შორის იმდენად დიდი კულტურული განსხვავებაა, რომ თქვენ მოითხოვთ ადამიანის დახვრეტასო. შემდეგ იყო საუბარი სამუდამო პატიმრობაზე. გასაჩივრებას არანაირი აზრი არ ჰქონდა, თქვეს კიდეც – ჩვენ იმდენად ჰუმანური კანონები გვაქვს, რომ საჩივარს აქედან ვერსად წაიღებთო. საბოლოოდ 21 წელი გამოუტანეს, შემდგომი გაგრძელების დათქმით, თუმცა იმდენად კომფორტული პირობები აქვს შექმნილი ციხეში და იმდენად ყველა კაპრიზს უსრულებენო, რომ არანაირი გაგრძელება არ ექნება.

**„გასაჩივრებას აზრი არ ჰქონდა, თქვეს კიდეც, – ჩვენ იმდენად ჰუმანური კანონები გვაქვს, რომ საჩივარს აქედან ვერსად წაიღებთო“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშლისთვის ემზადება“

## „მარგველაშვილის დასახელება ნიშნავს, რომ პრეზიდენტის პოსტი დროებით უქმდება“



**„თუ ირაკლი ალასანია კანდიდატურას წამოაყენებს, ჩვენ მას განვიხილავთ...“**

## EXCLUSIVE ვის ემსახურება ივანიშვილი – ამერიკას, რუსეთს თუ ვინმე ოლიგარქს?

<u>ნინო დათაშვილი</u>

**შუალედური არჩევნების ლიდერი თბილისში კახა კუკავა გახდა. მეორე ადგილი ამ მძიმე დაპირისპირებაში სწორედ მან მოიპოვა. ახლა ის საპრეზიდენტო მარათონისთვის ემზადება. პარლამენტსგარეთ დარჩენილ პარტიებს გამსხვილებისკენ მოუწოდებს და როგორც ჩანს, კანდიდატზეც სერიოზულად ფიქრობს. თუმცა, საპრეზიდენტო ფსონზე ჯერ არ საუბრობს. ამბობს, რომ ამ საკითხზე ამ კვირაში ჩამოყალიბდებიან. რატომ ამ კვირაში და რას ელოდება თავისუფალი საქართველოს ლიდერი? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ კახა კუკავა ესაუბრა.**

– ბიძინა ივანიშვილი რამდენ ხანში წავა ქართული პოლიტიკიდან, არავინ იცის. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ შემუშავებული პოლიტტექნოლოგია, რომ ასე თქვას. თუმცა ჩვენ მაინცდამაინც ვერ ვხედავთ, რომ ის აპირებდეს იმ გეგმით მოქმედებას, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე ჰქონდა გაცხადებული.

**– რა ტექნოლოგიაა ეს?**

– არ ვიცი. ეს ის ტექნოლოგიაა, რაზეც ალასანიამ თქვა, სერიალიაო. ეს არის ერთგვარი დეტექტივი, თანამედროვე რომანის ჟანრი, როცა რაღაცას იტყვი, საზოგადოებაში ინტრიგას ბადებ, რომ დავასახელებ კანდიდატს, რომელიც ისეთი იქნება, პოლიტიკიდან ამდენ თვეში წავალ... ანუ ეს არის ინტრიგის ტექნოლოგია. ცდილობს, საზოგადოება მუდმივად ინტრიგაში აცხოვროს.

**– პარლამენტსგარეთ დარჩენილ ოპოზიციურ ძალებში რეალურად არსებობს მოლოდინი, რომ ბიძინა ივანიშვილი დეკემბერში წავა...**

– იგივე საარჩევნო კოდექსის შემუშავების პროცესში კარგად ჩანს, რომ მმართველი პარტიიდან ითხოვენ ბარიერის დაწევს, ანუ ეს რას ნიშნავს? „ქართულ ოცნებას“ ბარიერის პრობლემა არ აქვს, ისინი ემზადებიან კოალიციის დაშლისთვის.

**– ივანიშვილის პოლიტიკური მისია, თქვენი აზრით, სააკაშვილის პოლიტიკიდან გაყვანაა?**

– კი. სააკაშვილის გაყვანაა პოლიტიკიდან.

**– სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს...**

– რეალურად სააკაშვილმა ხელისუფლება დაკარგა. რა ფუნქციას შეასრულებს მომავალში „ნაციონალური მოძრაობა“, ეს დამოკიდებულია პოლიტიკურ პროცესებზე. ერთი რამ ფაქტია, ბიძინა ივანიშვილი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას არ აშენებს, მაგრამ ამერიკას ემსახურება, რუსეთს თუ ვინმეს ოლიგარქიულ კაპიტალს, ამას მხოლოდ მომავალი დაგვანახვებს.

**– ეს შეიძლება დავინახოთ, რომელ საპრეზიდენტო კანდიდატზე დადებს ფსონს?**

– ერთი რამ ცხადია, რომ ეს საპრეზიდენტო კანდიდატი არ იქნება ლიდერი. მას რომ დაესახელებინა ირაკლი ალასანია, ჩვენ შეიძლება გვეფიქრა, რომ ის ამერიკის თამაშს თამაშობს, მაგრამ მან ალასანია არ დაასახელა. სავარაუდოდ, დაასახელებს შუალედურ და დროებით ადამიანს. დანარჩენ დასახელებულ კანდიდატებში, არც ერთი არ არის, რომელსაც შეიძლება ხელისუფლების მემკვიდრეობაზე ჰქონდეს პრეტენზია... მარგველაშვილის დასახელება ნიშნავს, რომ პრეზიდენტის პოსტი დროებით უქმდება. ალბათ, მარგველაშვილი ქვეყნის ხელმძღვანელობას ვერ და არ იკისრებს.

**– კახი კალაძეც იყო დასახელებული.**

– მით უფრო, კახი კალაძე.

**– თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ ალასანია. ასევე, გააკეთეთ განცხადება, რომ, თუ თქვენ არ დაეთანხმებით მარგველაშვილის, კალაძისა და კიდევ ვიღაცის კანდიდატურებს, შეიძლება, არასაპარლამენტო ოპოზიციამ თვითონ დაასახელოს კანდიდატი. შეიძლება თქვენ ალასანიას შესთავაზოთ, გახდეს კანდიდატი?**

– თუ ჩვენ შევთავაზებთ, ეს ჩვენს ფასეულობებთან და პრინციპებთან არ იქნება ახლოს. ალასანიას ჩვენ ვერ შევთავაზებთ...

**– იმ იდეოლოგიური განსხვავების გამო, რომელიც თქვენს შორის არის?**

– კოალიციის წევრია და ის კოალიციამ უნდა წარადგინოს, ან თვითონ უნდა დააყენოს თავისი კანდიდატურა. ის არ არის არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი. არ გამოვრიცხავთ, რომ, თუ ალასანიამ დააყენა კანდიდატურა, ჩვენ განვიხილოთ, მაგრამ ჩვენ თვითონ მის დაყენებას გამოვრიცხავთ.

**– ვინ შეიძლება დასახელდეს თქვენს კანდიდატად? ბურჯანაძე?**

– არა. ბურჯანაძის კანდიდატურა ამ ეტაპზე საერთოდ არ განიხილება არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში. არ ვიცი, თვითონ ბურჯანაძის პარტიაში განიხილება თუ არა. ამაზე ინფორმირებული არ ვარ და ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე არ იქნება.

**– მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე რამდენჯერმე გააკეთეთ კომენტარი, მაინც მინდა გკითხოთ, ვალერი ხაბურძანიამ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მისთვის სასურველი პარტნიორი თქვენ და ნინო ბურჯანაძე ხართ...**

– დიდი მადლობა ბატონ ვალერის ნდობისთვის. 27 აპრილის შემდგომ ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობა გაიზარდა. არჩევნებში მეორე შედეგი ვაჩვენეთ. ბატონი ვალერი ხაბურძანია რომ ჩვენს პარტიას უჭერს მხარს, ამაში გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება პარტნიორობას პარტიებს შორის, ეს ჯერჯერობით თეორიული საკითხია. თავიდან ბატონი ვალერი სხვა კომენტარებს აძლევდა, ახლა სხვა კომენტარები მისცა. ის უნდა ჩამოყალიბდეს, დააფუძნებს თუ არა პოლიტიკურ პარტიას და რა კურსი ექნება მას. ამის შემდეგ შეიძლება პარტიებს შორის თანამშრომლობაზე ვისაუბროთ. ახლა არარსებულ პარტიასთან თანამშრომლობის შესახებ ვერაფერს გეტყვით. პარტიების დაფუძნება ზოგს შორიდან ადვილი ჰგონია, მაგრამ როდესაც რეალურ პოლიტიკურ სივრცეში ერთვება, ნახულობს, რომ ეს ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. მე ზოგადად გეტყვით, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში პოლიტიკური პარტიების რაოდენობის შემცირება მოხდება და დაიწყება პარტიების გამსხვილება. ნელნელა მოხდება ის, რომ გამოიკვეთებიან მთავარი პოლიტიკური ძალები ამ ქვეყანაში. არ შეიძლება, ოცი და ოცდაათი პოლიტიკური პარტია ერთნაირ როლს თამაშობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ალბათ, დარჩება „ქართული ოცნება“, როგორც მმართველი ძალა, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც საპარლამენტო უმცირესობა და „თავისუფალი საქართველო“, როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალა.

**– ანუ თქვენ ხართ მესამე ძალა?**

– ჩვენ ვართ მეორე ძალა.

**– რას გულისხმობთ?**

– არჩევნების შედეგების მიხედვით მეორე ძალა ვართ.

**– ეს თბილისში და საქართველოს მასშტაბით?**

– არ ჩატარებულა შუალედური არჩევნები.

**– შუალედური არჩევნები ჩატარდა კიდევ ორ რეგიონში.**

– კონკურენცია იყო ნაძალადევის ოლქში.

**– თქვენ ხართ მეორე ძალა. თუნდაც ეს სტატუსი გავალდებულებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოთ.**

– ამიტომაც ვამბობთ, რომ ჩვენ ვემზადებით ამ პოლიტიკური პროცესისთვის და საბოლოო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებთ, რაც „ქართული ოცნება“ თავის საპრეზიდენტო კანდიდატურას გამოაცხადებს. დავასრულებ წინა საკითხს პარტიების შემცირებასთან დაკავშირებით. ეს ჩამონათვალი შეიძლება გამდიდრდეს. მე არ ვამბობ, რომ მხოლოდ სამი პარტია იქნება, შეიძლება იყოს ოთხი, ხუთი, მაგრამ აღარ იქნება ოცდაათი. ჩვენი პოლიტიკოსები, ექსპერტები, საზოგადოების აქტიური ნაწილი ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ, თუ პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყება უნდათ, მაინცდამაინც ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა არ არის ამისთვის აუცილებელი. ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ამისთვის შედიან უკვე არსებულ პარტიაში.

**– თქვენ პირადად შეიძლება გახდეთ საპრეზიდენტო კანდიდატი?**

– არა. ჩემს კანდიდატურას არ განვიხილავ.

**– მაშინ ლიდერი ვინ რჩება? ერთი სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე... სხვა ლიდერს ვის ხედავთ?**

– არ განვიხილავთ ჯერჯერობით კანდიდატს. განხილვას დავიწყებთ ორშაბათის შემდეგ.

**– რომელ პარტიებთან ერთად აპირებთ ამის განხილვას?**

– ამ ეტაპზე საუბარი გვქონდა ჯონდი ბაღათურიასთან. ორშაბათიდან გადავწყვეტთ, დანარჩენებთან ვისთან შეიძლება ურთიერთობა.

**– ანუ ვარაუდობთ, რომ არასაპარლამენტო სპექტრში გამსხვილება მოხდება?**

– მოხდება. თავიდან ეს შეიძლება იყოს დაბლოკების სახით, თუმცა მომავალში ამ პარტიების შერწყმაც გარდაუვალი პროცესი იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ გახდება ივანი



„თუკი რესპუბლიკელები პარლამენტში აღიზიანებთ, ვერტიკალზე უკვე ხუხაშვილი არ მოსწონთ. პიარი, რომელიც მის წინააღმდეგ აგორდა, შავის საზღვრებს დიდი ხანია გასცდა. ეს კამპანია ბინძური უფროა. ხუხაშვილთან ერთად დიდიხანია საუბარია ლაშა ნაცვლიშვილსა და გელა ხვედელიძეზე...“

„სიმართლე გითხრათ, ცოტა გამიკვირდა მისი განცხადება, რომ ერთ წელიწადში აპირებს წასვლას იმიტომ, რომ მას ხალხმა მანდატი მისცა ოთხი წლით, რაც იმას ნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში უნდა იყოს მმართველი“

ქეთი ხატიაშვილი

**რა პოლიტიკური თამაში მიდის „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის? რა ფაზაშია მათი პოლიტიკური ურთიერთობა? პარლამენტში თითქოს ვნებები დაცხრა. დავით უსუფაშვილმა მოახერხა ლანძღვის პოლიტიკურ დისკუსიაში გადაყვანა. უკვე ნაკლებად ისმის ისეთი ეპითეტები, როგორიც არის მკვლელები, სისხლისმსმელები და ასე შემდეგ... თუმცა, რესპუბლიკელებს ეს პოლიტიკური წარმატება ძვირად უჯდებათ. მათ წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს არა მხოლოდ პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები აწარმოებენ, არამედ თავად კოალიციის ზოგიერთი წევრიც. მათ სხვადასხვა ინტერესები აქვთ, თუმცა, უმრავლესობა მათგანს პრორუსული ორიენტაცია აერთიანებს. სხვებს, მაგალითად, ახლებს ან ქრისტიან-დემოკრატებს არ უნდათ, რომ ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი გახდეს. მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი, როგორც ჩანს, დაუნდობელი იქნება. თუმცა, ამ ძალებს სურთ, პირდაპირ მმართველობაში მოვიდნენ, ამიტომაც ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს. ზოგს ნაციონალების სივრცის დაკავება უნდა და ზოგსაც რესპუბლიკელები უშლიან ნერვებს.**

თანაც იმდენად, რომ, მაგალითად, კახა კუკავამ ისიც კი თქვა, თუ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი რესპუბლიკელებისთვის იქნება მისაღები, მხარს არ დავუჭერთ, თუ ბიძინა ივანიშვილისთვის – მაშინ ჩვენთვისაც მისაღები იქნებაო. მართალია, ჩვენთვის ისინი ჯერჯერობით მხოლოდ კახა კუკავა და ჯონდი ბაღათურია არიან, მაგრამ კუკავა იმედოვნებს, რომ ის რეალურ მეორე პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდება. ნაძალადევის არჩევნებში ის სწორედ მეორე ადგილზე გავიდა. ჯონდისთან ერთად შორს ვერ წახვალ, მაგრამ, ალბათ, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს რამე სხვა საინტერესო გეგმებიც აქვს.

სანამ რესპუბლიკელები „ცოცხლები“ არიან, მათ ოპოზიციაში, როგორც თქვეს, ნაციონალები სჭირდებათ. ასეთი დასკვნა გააკეთეს მაშინ, როცა უსუფაშვილმა თქვა, დემოკრატიის გადარჩენისთვის ნაციონალები უნდა გადარჩნენო. თუმცა, მსგავსი შავი პიარი ბიძინა ივანიშვილს არ შეხებია, როცა მან იგივე მიხეილ სააკაშვილზეც ისაუბრა: ქვეყანას სახე უნდა შევუნარჩუნოთ, არც პრეზიდენტის იმპიჩმენტს ვაპირებ და კონსტიტუციურ ვადებსაც პატივი უნდა ვცეთო.

სამაგიეროდ, ძალიან სწრაფად ააგორეს რესპუბლიკელების წინააღმდეგ შავი პიარი. რამდენად შეიძლება ეს მხოლოდ კოაბიტაციის თემას უკავშირდებოდეს? რამდენად დააჩქარა ეს პროცესი ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომ ის მალე წავა პოლიტიკიდან?

ადრე, როცა ის „ქართული ოცნების“ მხოლოდ ლიდერი იყო, ანუ წინასაარჩევნოდ ამბობდა, რომ 2 წლის მერე წავა, შემდეგ, როცა პირველად შეხვდა სააკაშვილს მისივე რეზიდენციაში, ეს ვადა ნახევარი წლით შეამცირა. მოგვიანებით კი, უკვე პრემიერის პოსტზე განაცხადა, რომ წავა მაშინ, როცა სააკაშვილი წავა. თავად პრეზიდენტი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. ის კი, ვინც პრემიერის წასვლის ვადად დეკემბერს აცხადებს, დარწმუნებულია, რომ სააკაშვილს ივანიშვილი გზიდან აუცილებლად ჩამოიშორებს. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ ზამთრის პირას, როცა მას საპრეზიდენტო ვადა ამოეწურება, სააკაშვილს, უბრალოდ, დაიჭერენ.

მაისის ბოლოს კი, ასევე უბრალოდ, გიგა ბოკერიასა და ვანო მერაბიშვილის, ასევე გიგი უგულავას დაკავებას წინასწარმეტყველებენ. რას იზამთ, ზოგიერთის ქართული ოცნება მხოლოდ ეს არის და მეტი არაფერი. მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა.

კახი კახიშვილი: „კოალიციაში გამაგრდნენ „რესპუბლიკური პარტია“ და ხუხაშვილი. დანარჩენი ყველა ჩრდილშია, მათ შორის ალასანიაც. ახლა, ალბათ, მიდის ბრძოლები ამ ორ სუბიექტს შორის“

რაც შეეხება ბიძინას წასვლას, ბევრს მისი წასვლა სჯერა. ამიტომაც რესპუბლიკელები და ალასანიას პარტია ფეხებში ებლანდებათ. ამიტომაც ახლა ნაციონალებთან ერთად მათაც ათასგვარ შეთქმულებაში ადანაშაულებენ. ლამის შავი ხელებივით ყველგან არიან...

თუმცა, შავი ხელის სტატუსს გია ხუხაშვილი უფრო იმსახურებს. აი, მას საერთოდ ყველაფრის უკან მოიაზრებენ. თუმცა, თუკი რესპუბლიკელები პარლამენტში აღიზიანებთ, ვერტიკალზე უკვე ხუხაშვილი არ მოსწონთ. პიარი, რომელიც მის წინააღმდეგ აგორდა, შავის საზღვრებს დიდი ხანია გასცდა. ეს კამპანია ბინძური უფროა. ხუხაშვილთან ერთად დიდიხანია საუბარია ლაშა ნაცვლიშვილსა და გელა ხვედელიძეზე.

პარლამენტში თუ რესპუბლიკელები არიან ძალიან ცუდები და ივანიშვილია ძალიან კარგი, ვერტიკალზე ძალიან ცუდია ხუხაშვილი, ნაცვლიშვილი და ხვედელიძე და ძალიან კარგია ივანიშვილი, კბილაშვილი და ღარიბაშვილი. ეს კამპანია დიდიხანია დაიწყო. და შესაძლოა, რესპუბლიკელების მსგავსად (ალბათ, ეს ორი კამპანია ერთ სიბრტყეზე არ უნდა განვიხილოთ, თუმცა გარკვეული პარალელები მაინც იკვეთება), ამის პროვოცირებაც სწორედ პრემიერის წასვლით არის გამოწვეული. ვინ იქნება მემკვიდრე? და ბრძოლა უკვე დაიწყო.

ასეთი ხასიათის ბრძოლებმა თავის დროზე დაშალა „მოქალაქეთა კავშირი“, სადაც შიდა დაპირისპირება სწორედ მემკვიდრის თემაზე დაიწყო. მაშინ ერთმანეთს დაეჯახა პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება. პარლამენტში პოლიტიკურ პროცესებს ჟვანია-სააკაშვილის გუნდი მართავდა, ხოლო ვერტიკალზე – რკინის კაცად შერაცხული კახა თარგამაძე. შევარდნაძე კი არა და არ ასახელებდა თავის მემკვიდრეს.

მიხეილ სააკაშვილმაც არჩევნები მაშინ წააგო, როცა მემკვიდრე არ დაასახელა და დასავლეთისთვის გაუგებარი დარჩა მისი მომავალი გეგმები პოლიტიკაში.

და მიუხედავად იმისა, სააკაშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ ის შევარდნაძეს არ ჰგავს, რაც ბევრ სხვა საკითხში დაამტკიცა კიდეც, როცა ჯერი მემკვიდრის დასახელებაზე მიდგა, მისი პოზიციებიც ისეთივე გაუგებარი აღმოჩნდა, როგორც თავის დროზე შევარდნაძის.

მან დასავლეთის მხარდაჭერა შესაძლოა, მაშინ დაკარგა, როცა საქართველოში ვიზიტად მყოფი ჰილარი კლინტონის პრესკონფერენციაზე უცხოელმა ჟურნალისტმა ჰკითხა: და რას აპირებთ თქვენ საკუთარი ვადის ამოწურვის შემდეგო. ამ მარტივ კითხვაზე პრეზიდენტის პასუხი დაახლოებით ასეთი იყო: ჩვენ ბევრი რამ ავაშენეთ და ნახეთ, როგორ შეიცვალა... ანუ შეკითხვას მაშინ მიხეილმა თავი აარიდა.

ახლა ბიძინა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში და უკვე მის წასვლაზე დაიწყო აქტიური საუბარი. ასეთი ხმები კი მაინც იწვევს გუნდში გავლენებისთვის ბრძოლას.

შევარდნაძის შემთხვევაში ეს იყო ბრძოლა რეფორმატორებსა და კორუმპირებულ ჩინოვნიკებს შორის. ეს იყო ღია ბრძოლა. სააკაშვილის შემთხვევაში ბრძოლა დახურულია და პოლიტიკურ კულისებში მიმდინარეობს. ყოველთვის საუბრობდნენ ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირებაზე. ოფიციალურად ასეთი დაპირისპირება არც ერთ მხარეს არ უღიარებია. მერაბიშვილი ამბობს, რომ ის პოლიტიკური ფიგურა იყო და ახალაიასთან დაპირისპირება ვერ ექნებოდა, რადგანაც ის პოლიტიკოსი არ იყო.

ახალაიები პოლიტიკოსები არ იყვნენ. არც კახა თარგამაძე იყო პოლიტიკოსი, თუმცა შევარდნაძის დროს სწორედ ის იბრძოდა გავლენებისთვის და უპირისპირდებოდა პოლიტიკურ გუნდს პარლამენტში.

ის, რაც გავიარეთ და ვნახეთ, გასაგებია, მაგრამ რა ხდება ახლა „ქართულ ოცნებაში“? ვინ ემზადება ან ვინ შეიძლება გახდეს მემკვიდრე? ან რამდენად უკავშირდება მემკვიდრეს მთელი ის ხმაური და მძვინვარება, რაც იგივე კვერცხების ბიზნესის თემას?

რესპუბლიკელები აღიარებენ, რომ მათ წინააღმდეგ აგორებული სკანდალები არარეალურია, თუმცა, მისი მიზანია ბიძინას ორბიტიდან მათი ჩამოშორება.

მაგრამ ვერტიკალზე სხვა განცხადებები კეთდება. ხუხაშვილის, ნაცვლიშვილისა და ხვედელიძის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას ძალოვნების მაღალჩინოსნებმა დუმილით უპასუხეს. გია ხუხაშვილმა კი თქვა, რომ ეს იმდენად ბინძური კამპანიაა, რომ ჩართვასა და მის ქექვას არ აპირებს. ამ ჭუჭყისგან მან თავი შორს დაიჭირა. თუმცა, ხუხაშვილმაც მხოლოდ მიანიშნა, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლით შესაძლოა, შიდა ძალებიც იყვნენ დაინტერესებულები. „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კი შენიშნა: ვიღაცას უნდა, რომ მე და ბიძინა ივანიშვილს ურთიერთობები გაგვიფუჭდეს, მაგრამ არაფერი გამოუვათო.

ვინ არიან ეს შიდა ძალები? კონკრეტიკისგან ისინი თავს იკავებენ. რესპუბლიკელებმა გარე ძალები დაასახელეს, ძირითადაც პრორუსული ორბიტიდან. ხუხაშვილმა ღიად მხოლოდ ნაციონალებზე ისაუბრა. ეს კადრები მათი ნამოქმედარიაო.

საუბარი სწორედ იმ სკანდალურ კადრებს შეეხება, რომელიც ერთ-ერთ საიტზე სულ რამდენიმე ხნით დაიდო.

ციხის სკანდალური კადრის შემდეგ, ეს კადრიც შოკისმომგვრელი იყო. ციხის კადრები არჩევნების წინ დაიდო, „ნაციონალური მოძრაობის“



„დავით უსუფაშვილმა მოახერხა ლანძღვის პოლიტიკურ დისკუსიაში გადაყვანა. უკვე ნაკლებად ისმის ისეთი ეპითეტები, როგორიც არის მკვლელები, სისხლისმსმელები და ასე შემდეგ...“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შვილის მემკვიდრე

## და ვინ დგას კომპრომატების ომის უკან



„ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა ტიპის პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი. გარედან იმართება, შიგნიდან იმართება, თავის თამაშს თამაშობს, სხვის თამაშს თამაშობს“

**კახა კუკავა:** „თუ ბიძინა იყო ტრანზიტული ფიგურა, შეიძლება მემკვიდრე თვითონ არ დატოვოს და რომელიმე გარე ძალას გადასცეს მემკვიდრის დანიშვნა“

წინააღმდეგ, მეორე კი ხუხაშვილისა და ნაცვლიშვილი-ხვედელიძის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ფონზე გამოჩნდა.

ამ ორ ჩანაწერს შორის გარკვეული პარალელები იკვეთება. მაგალითად, როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა აბსოლუტურად გაუგებარია. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში სკანდალში ჟურნალისტები აღმოჩნდნენ გარეულები. ორივე შემთხვევამ საკმაოდ ბევრი ადამიანი ჩაითრია და ვერავინ ვერაფერი გაიგო. ბედუკაძემ მხოლოდ არჩევნების შემდეგ აღიარა, რომ ცოცხების კადრი დადგმული იყო. გიორგი ფარესაშვილი აცხადებს, რომ ინტერნეტში ატვირთული ვიდეო ფალსიფიცირებულია.

ციხის კადრების სკანდალით ბიძინა ივანიშვილმა მოიგო. თუმცა, ამ კადრებზე „პასუხისმგებლობა“, შეიძლება ითქვას, ირმა ინაშვილმა აიღო, მის უკან კი ის პოლიტიკური ძალა დგას, რომელიც ივანიშვილმა მესამე ძალებში მოიხსენია. მათ რამდენჯერმე შეახსენეს ივანიშვილს, რომ ამ ციხის კადრების წყალობით სწორედ მათი დამსახურებაა „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვება. ვინ მოიგებს ამ სკანდალით ახლა? ვინ არის ძალოვნების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული?

ნაციონალები? ექსპერტების გარკვეული ჯგუფი არ გამორიცხავს. ისინი ამბობენ, რომ ნაციონალებს ახლა აწყობთ არეულობა „ქართულ ოცნებაში“. კოალიციის დაშლა მათთვის ხელსაყრელია.

თუმცა, ეს არგუმენტი სუსტია, იქიდან გამომდინარე, რომ კოალიცია მაინც დაიშლება და ზედმეტი მიწოლა ან მოწოლა მას, ალბათ, არც სჭირდება. ბიძინა ივანიშვილის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში ვიღაცები არიან ჩართული და სავარაუდოდ, ამ მემკვიდრეობაზე ნაციონალებს არც პრეტენზია აქვთ და არც ამბიცია. უბრალოდ, ვერ ექნებათ.

კახა კუკავა ივანიშვილის მემკვიდრეებს შორის გია ხუხაშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს ასახელებს. რესპუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ მმართველობის მთავარი ბერკეტი სწორედ პარლამენტს უნდა დარჩეს, დავით უსუფაშვილს კი არა, პარლამენტს, – განმარტავენ ისინი, რადგანაც ქვეყანაში რესპუბლიკური წყობა მყარდება.

კახა კუკავას საერთოდ მიაჩნია, რომ მემკვიდრეობისთვის ბრძოლა ტყუილი ოცნებაა, რადგანაც ივანიშვილი შესაძლოა, ტრანზიტული ფიგურა იყოს:

– მისი გუნდი ვიცით, ვინც არიან, – სერგეენკო, ღარიბაშვილი, კვირიკაშვილი, ხუხაშვილი და ასე შემდეგ. თუმცა მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი გადაწყვეტილებით შეარჩევს მემკვიდრეს. ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა ტიპის პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი. გარედან იმართება, შიგნიდან იმართება, თავის თამაშს თამაშობს, სხვის თამაშს თამაშობს... ვერ გეტყვით, აპირებს ის, რომ თავისი მემკვიდრე დატოვოს, თუ ის იყო ტრანზიტული ფიგურა, რომელმაც თავისი როლი შეასრულა და რაღაცა პერიოდის შემდეგ საერთოდ წავიდეს პროცესიდან ისე, რომ მემკვიდრე თვითონ არ დატოვოს და რომელიმე გარე ძალას გადასცეს მემკვიდრის დანიშვნა. – აცხადებს კუკავა.

ეს გარე ძალა, საერთოდ, საინტერესო თემაა. გარე ძალებში შესაძლოა, ეგრეთწოდებული მესამე ძალები იგულისხმებოდნენ. ანუ ძირითადად პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები.

თუმცა, ერთ-ერთი ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს, რომ კოალიციის შიგნით: „მაგალითად, არ იქნებოდა ურიგო კალაძე-ღარიბაშვილი-მარგველაშვილის კონგლომერატს, რომ შეექმნა ახალი პოლიტიკური ძალა. ეს პიროვნებები მომავლის გადმოსახედიდანაც იქნებოდნენ ასოცირებული ივანიშვილთან. ასეთი პოლიტიკური ძალა თავისუფალი იქნებოდა იმ ბალასტისგან, რომელიც არის „ქართულ ოცნებაში“.

ბალასტში ხათუნა, ალბათ, რესპუბლიკელებს გულისხმობს?

რა თქმა უნდა, მემკვიდრეზე საუბარი ნაადრევია და ზუსტად არავინ იცის, როდის წავა პრემიერი. მიხეილ სააკაშვილს მისი წასვლის არ სჯერა. თუმცა, ყველას ერთნაირი დამოკიდებულება არ აქვს. ზოგიერთი დარწმუნებულია, შესაბამისად, არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთებს კომპრომატების ომი მთავარი კონკურენტების ჩამოსაშორებლად დასჭირდეს. ასეთ ბრძოლაში ყოველთვის ძლიერ ფიგურებს იშორებენ, სუსტი სათვალავში არ არის. ამ თემაზე კომენტარი ექსპერტ **კახი კახიშვილსაც** ვთხოვეთ:

- ,,ქართული ოცნება“ ხელოვნური კოალიციაა, რომელიც გაერთიანებულია ერთი ადამიანით – ბიძინა ივანიშვილით, იმიტომ რომ მასში გაერთიანებული ძალები დიდი სიმპათიებით არ იყვნენ აღჭურვილნი ერთმანეთის მიმართ. დაპირისპირებები მანამდეც ჰქონდათ, მაგრამ, რადგან გაერთიანდნენ, ყველა ცდილობს, რომ ამ ადამიანის კეთილგანწყობა მოიპოვოს და საკუთარი თავი წარუდგინოს, როგორც უალტერნატივო ძალა. ამიტომაც ეს შიდა დაპირისპირებები იქნება ისე, როგორც იყო „ნაციონალურ მოძრაობაში“. „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ რამდენიმე ფრთა ებრძოდა ერთმანეთს, მაგრამ ვინაიდან ხელისუფლებაში იყვნენ და თავიანთი მინდორი ჰქონდათ, მაინც ძლებდნენ. ასე იქნება ახლაც და უფრო მკვეთრი დაპირისპირება გველოდება, იმიტომ რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ძირითადად ერთი გუნდის წევრებად ითვლებოდნენ, აქ კი მაინც სხვადასხვა პარტიებია და ეს პარტიებიც ფიქრობენ, რომ უფრო მეტი გავლენა, უფრო მეტი ბერკეტი მოიპოვონ, რომ, თუ ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, თუ ის ჩათვლის, რომ ამ კონკრეტული პარტიის კოალიციაში ყოფნა უკვე აღარ არის საჭირო, მათ ეს საკუთარი ბერკეტები გამოიყენონ.

**– ამ ეტაპზე ვინმე იკვეთება, ვისზეც შეიძლება, ბიძინა ივანიშვილი ფიქრობდეს, როგორც თავის მემკვიდრეზე? მაგალითად, კახა კუკავა ასახელებს ღარიბაშვილსა და ხუხაშვილს...**

– ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინასთვის არის ძალიან დიდი ნდობით აღჭურვილი პირი და ფაქტობრივად, ამ მინისტრებში, მთავრობის წევრებსა და მთლიანად ამ გუნდში, ყველაზე მეტად, ჩემი აზრით, ბიძინა ენდობა ირაკლი ღარიბაშვილს, ამიტომაც ჩააბარა მას შინაგან საქმეთა სამინისტრო ასეთ რთულ პერიოდში და მე მგონია, რომ ეს ურთიერთობები გაგრძელდება. რაც შეეხება ხუხაშვილს, მასზე ეს არ მგონია. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით არ ვფიქრობ, რომ ის ახლა მემკვიდრის დატოვებაზე ზრუნავს.

**– თუ ის ერთ წელიწადში აპირებს წასვლას, შეიძლება, რომ არ ფიქრობდეს, მის შემდეგ რა იქნება?**

– სიმართლე გითხრათ, ცოტა გამიკვირდა მისი განცხადება, რომ ერთ წელიწადში აპირებს წასვლას იმიტომ, რომ მას ხალხმა მანდატი მისცა ოთხი წლით, რაც იმას ნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში უნდა იყოს მმართველი, იმიტომ რომ მთელი პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში განვითარდება, ბიძინამ უნდა აიღოს. „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და ხალხმა მას ხმა მისცა იმიტომ, რომ მათი ლიდერი იყო ბიძინა ივანიშვილი, ამიტომ არასწორი იქნება, რომ ოთხწლიანი მანდატი მოაგვარებინო კოალიციას. შენი ხათრით მისცეს ხმა კოალიციას და შენ დატოვო ის? არ მგონია, ბიძინა ივანიშვილი ერთ ან ორ წელიწადში წავიდეს. ეს შესაძლებელია იყოს ტესტი საკუთარი კოალიციის წევრებისთვის, მას აინტერესებდეს, როგორ მოიქცევიან და ვინ რა მოძრაობას დაიწყებს. ისიც უნდა ვთქვა, რომ კოალიციაში ძალიან გამაგრდნენ „რესპუბლიკური პარტია“ და ხუხაშვილი. დღეს ასე ჩანს. დანარჩენი ყველანი არიან ჩრდილში, მათ შორის ალასანიაც. ამიტომ ძირითადად ახლა, ალბათ, მიდის ბრძოლები ამ ორ სუბიექტს შორის. მე მაინც ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ ღარიბაშვილია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკისა და იდეების გამტარებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ღარიბაშვილის თითოეული ნაბიჯი შეთანხმებულია ივანიშვილთან. მაგრამ ღარიბაშვილი რომ არც რესპუბლიკელებთანაა და არც ხუხაშვილთან, ამაში დარწმუნებული ვარ.

,,ქართული ოცნება“ ხელოვნური კოალიციაა, რომელიც გაერთიანებულია ერთი ადამიანით – ბიძინა ივანიშვილით, იმიტომ რომ მასში გაერთიანებული ძალები დიდი სიმპათიებით არ იყვნენ აღჭურვილნი ერთმანეთის მიმართ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „როცა მერაბიშვილი, სააკაშვილი და ბოკერი



# დავით ზურაბიშვილი: „კოალიციაში არის აზრთა სხვადასხვაობა, ვილაცები მხარს უჭერენ ვადამდელ არჩევნებს“

ქეთი ხატიაშვილი

**„რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ ხმაურიანი ბრალდებები ისმის. ბიძინა კარგია და უსუფაშვილი – ცუდი, ივანიშვილის პოლიტიკური გეგმები მოგვწონს, მაგრამ ეს რესპუბლიკელები ვინ არიან, საერთოდ? ასეთი კონტრასტული შეფასებები ხშირად გვესმის. ასეთი განწყობები საპრეზიდენტო მარათონზეც აისახა. თუმცა, ახლა რესპუბლიკელები მარტო არ არიან. საკმაოდ ბინძური კამპანია აგორდა გია ხუხაშვილის, ლაშა ნაცვლიშვილისა და გელა ხვედელიძის წინააღმდეგ. რა კავშირი აქვს ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან და რას ფიქრობენ რესპუბლიკელები ივანიშვილის მემკვიდრეზე? „პრაიმტაიმს“ „რესპუბლიკური პარტიისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი ესაუბრა:**

– ბიძინა ივანიშვილს თავიდან ჰქონდა გაცხადებული პოლიტიკიდან მალე წასვლის შესახებ. მას ნამდვილად არ აქვს სურვილი, იყოს პოლიტიკოსი. ის არ თვლის თავს მოწოდებით პოლიტიკოსად. რომ არ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი, სააკაშვილის რეჟიმის მოშორება შეუძლებელი იქნებოდა. აუცილებელი და საჭირო იყო ფიგურა, რომელსაც ძალიან დიდი ავტორიტეტი ექნებოდა მოსახლეობაში და ხალხში იმედს აღძრავდა. მანამდე ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ ოპოზიციის ვერც ერთი ლიდერი ამას ვერ ახერხებდა. ბევრი ამბობდა, წავაქცევ, მოვერევი სააკაშვილსო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბიძინა ივანიშვილს ამის მატერიალური რესურსიც ჰქონდა და რაც მთავარია, ავტორიტეტი. ჩვენ მატერიალური რესურსი პრაქტიკულად გადაგვიკეტეს, მოგელაძეების მეშვეობით კაპიკს ვერ ვხარჯავდით, ისეთ დღეში ჩაგვყარეს. ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილს ფული არ დაეხარჯა. ამ მხრივ, ძალიან გვიტევდნენ. მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ ფული არ იყო მთავარი. ფულის გამო არ წაუგია „ნაციონალურ მოძრაობას“. წააგეს იმიტომ, რომ იყვნენ დისკრედიტებულნი. ივანიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა პოლიტიკაში მოსვლა, სააკაშვილის დამარცხება, ქვეყნის ფეხზე დაყენება. ეს რომ უცბად არ მოხდებოდა, თავიდანვე ცნობილი იყო. პირველ რიგში, „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა ჩამოეშორებინა, შემდეგი ნაბიჯი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. უნდა ჩაიდოს დიდი ინვესტიციები და მხოლოდ ამ გეგმის განხორციელების შემდეგ ფიქრობდა პოლიტიკიდან წასვლას. როდის მოხდება ეს ყველაფერი, ამის თქმა ძალიან ძნელია. ეს მოხდება გაისად თუ ორი წლის შემდეგ, ადრეა ამაზე საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ ის არ აპირებს მარადიულად პოლიტიკაში დარჩენას. პოლიტიკიდან დიდ სიამოვნებას არ იღებს. ეს მისთვის გარკვეულწილად ტვირთია, რომელიც უნდა ზიდოს.

**– იქიდან გამომდინარე, რომ ივანიშვილმა განაცხადა, მე წავალ პოლიტიკიდან მას შემდეგ, რაც სააკაშვილი წავაო. გაჩნდა განცდა განსაკუთრებით პარლამენტსგარეთ მყოფ ძალებში, რომ ის დეკემბერში წავა და გაზაფხულზე დაინიშნება ვადამდელი არჩევნები...**

– არა მგონია, პოლიტიკიდან წავიდეს, რადგან ჯერჯერობით ივანიშვილის გარეშე ძალიან რთული იქნება. განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით. ის ჯერ საჭიროა. რაღაც პერიოდის შემდეგ, ბუნებრივია, წავა, რადგან ივანიშვილი არც აპირებს პროფესიონალ პოლიტიკოსად ჩამოყალიბებას. რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა ჩატარდეს ის. ამის ერთადერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ „ნაცმოძრაობა“ დარჩეს პარლამენტსგარეთ.

**– არამხოლოდ „ნაცმოძრაობა“, რესპუბლიკელებზეც არის ხოლმე საუბარი... რომ თქვენს პარტიასაც დაბალი რეიტინგი აქვს...**

– ვინც ამბობს, რომ რესპუბლიკელებს დაბალი რეიტინგი აქვთ, საინტერესოა, თავად როგორი რეიტინგის პატრონები არიან. საიდან მოიტანეს, რომ ჩვენ დაბალი რეიტინგი გვაქვს? პოლიტიკური პარტიის კვალობაზე ჩვენ დღეს გვაქვს საკმაოდ მაღალი რეიტინგი. საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს. „რესპუბლიკურ პარტიას“ ხან მაღალი რეიტინგი აქვს და ხან დაბალი, სულ ასეა ხოლმე, ყოველ შემთხვევაში ჩვენ სულ ცოცხლები ვართ. ცოცხალი პარტია ვართ. ყოფილა შემთხვევები, რომ ძალიან ცუდად ვყოფილვართ და ყოფილა შემთხვევები, რომ კარგად ვყოფილვართ. ახლა ვართ კარგად. კარგად ვართ იმ გაგებით, რომ ბევრნი ვართ ხელისუფლებაშიც წარმოდგენილები, სხვათა შორის, პირველად და აქედან გამომდინარე, რეიტინგიც არ არის დაბალი. თუმცა თუ უნდათ, ისე გააკეთონ, რომ ბიძინა ივანიშვილი გადგეს გვერდზე, ეს არ გამოვა. მაინც ბიძინა ივანიშვილთან მოხდება ასოცირება. პარტიას რომ „ქართული ოცნება“ ჰქვია, ბუნებრივია, ის ასოცირდება ბიძინა ივანიშვილთან. არავის არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ „ოცნების“ პარტიის რეიტინგი არ არის მანანა კობახიძის, ან არმაზ ახვლედიანისა და სხვა პატივსაცემი ადამიანების რეიტინგი. მათი რეიტინგი მაღალია იმიტომ, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილთან ასოცირდებიან. ვინც იქნება ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული, იმას ექნება უპირატესობა. ეს დაამტკიცა იგივე შუალედურმა არჩევნებმა. იგივე ნაძალადევის შემთხვევა – თამარ კორძაია ძალიან კარგი კანდიდატი იყო, მაგრამ მას ნაკლები ცნობადობა ჰქონდა, ვიდრე კახა კუკავას.

**– ცნობადობამ არა, მაგრამ ივანიშვილის ფაქტორმა გადაწონა...**

– კახა კუკავა და სოსო მანჯავიძე არ ამბობდნენ, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არიან, პირიქით, ისინი ამბობდნენ, რომ ივანიშვილი ჩვენ გვიჭერს მხარსო. ყველა აქებდა ივანიშვილს და ეწინააღმდეგებოდა კოალიციის დანარჩენ წევრებს. ეს ცნობილი სქემაა. ყოველთვის კარგი იყო მეფე და ცუდები იყვნენ მისი ვეზირები. ასე იყო შევარდნაძის დროსაც. ზურაბ ჟვანიაზე იყო ხოლმე შევარდნაძის დროს ბოროტი შეტევები. დღესაც ძალიან ხშირად ხდება იგივე და „რესპუბლიკური პარტია“ გამოდის იმ როლში, როგორშიც შევარდნაძის დროს ჟვანია იყო. თუმცა არანაირი დადასტურება არ არის, რომ ჩვენ ვაფუჭებთ საქმეს ქვეყანაში.

**– თუ ბიძინა ივანიშვილი არჩევანის წინაშე დადგება – რეფორმატორები თუ სხვა ძალები, როგორც თავის დროზე შევარდნაძე დადგა...**

– ბიძინა ივანიშვილი და შევარდნაძე ძალიან განსხვავებულები არიან. შევარდნაძეს წასვლა არც უფიქრია, ბიძინა ივანიშვილს ერთი სული აქვს, როდის წავა. ეს ძალიან სერიოზული მომენტია. როცა ადამიანმა იცის, რომ ის არ არის მარადიული და მთელი ცხოვრება ვერ იქნება პოსტზე, ბუნებრივია, ის ფიქრობს, ვინ შეიძლება დარჩეს მის ადგილას. თუმცა ვიტყვი, რომ პირველი შემთხვევაა, როცა „რესპუბლიკური პარტია“ არც კი განვიხილავთ ოპოზიციაში წასვლას. პირიქით, ჩვენ განვიხილავთ გეგმას, რომ ვიყოთ ხელისუფლებაში და შევასრულოთ ის დაპირებები, რაც გავაჟღერეთ. თუმცა, თუ ხალხი გადაგვირჩევს, ბუნებრივია, ეს მათი გადასაწყვეტია.

**– როგორ შეაფასებთ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატობას მაშინ, როცა სწორედ ის არის ვადამდელი არჩევნების მომხრე...**

– კოალიციაში არის აზრთა სხვადასხვაობა, ვილაცები მხარს უჭერენ ვადამდელ არჩევნებს.

**– თუმცა მხარს უჭერს პოლიტიკოსი, რომელიც შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატი იყოს...**

– მასე პრეზიდენტობის კანდ-

**„ყველას უნდა კოალიციაში შემოსვლა. ზოგს აქვს მატერიალური ინტერესი, ფიქრობენ, კარგ ფულს გავაკეთებთო“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ა გყავს, არავითარი პერსპექტივა არ გაქვს...“

# „ახლა ბიძინა ივანიშვილი სახლშიც რომ წავიდეს, საერთოდ ხმა არ ამოიღოს, არჩევნების დროს ყველას ეყოლება ივანიშვილი საარჩევნო პლაკატზე“

## EXCLUSIVE

**„ვინც ამბობს, რომ რესპუბლიკელებს დაბალი რეიტინგი აქვთ, საინტერესოა, თავად როგორი რეიტინგის პატრონები არიან“**

იდატად ბევრი შეიძლება დასახელდეს. ვადამდელი არჩევნების საჭიროებას პირადად მე ვერ ვხედავ. რატომ თვლიან, რომ ვადამდელი არჩევნები საჭიროა? ძირითადად ეს საბუთდება იმით, რომ სპექტრი, რომელიც გარეთ არის დარჩენილი, ამბობს, რომ მოდით, ბიძინა ივანიშვილი გადგეს გვერდზე და რეალური სურათი ვნახოთ, როგორია. ასე არ გამოვა. შეიძლება ივანიშვილი მართლაც გადგეს გვერდზე, მაგრამ მაინც ყველა შეეცდება, ასოცირებული გახდეს მასთან. ისევე, როგორც 1995 წლის არჩევნების დროს, ყველა ცდილობდა, შევარდნაძესთან ასოცირებულიყო. მაშინ არჩევნები მოიგო „მოქალაქეთა კავშირმა“, თუმცა არც ელოდნენ ამას, მაგრამ ასოცირება იყო შევარდნაძესთან და გაიმარჯვეს. ახლა ბიძინა ივანიშვილი სახლშიც რომ წავიდეს, საერთოდ ხმა არ ამოიღოს, არჩევნების დროს ყველას ეყოლება ივანიშვილი საარჩევნო პლაკატზე. ამიტომ აზრი არ აქვს, არ იქნება ჯანსაღი პროცესი. პირიქით, პოლიტიკური ცხოვრება ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეს. ნაციონალების დიდ პერსპექტივას მეც ვერ ვხედავ, სიმართლე გითხრათ, რადგან გუნდი რეალურ რებრენდინგს ვერ ახერხებს. ბუნებრივია, როცა ვანო მერაბიშვილი გყავს, მიხეილ სააკაშვილი გყავს და გიგა ბოკერია გყავს, არავითარი პერსპექტივა არ გაქვს. საჭირო იყო ახალი სახეები. ახალი სახეებიც ისეთები უნდა იყვნენ, რომლებიც სისხლიან საქმეებთან არ იქნებიან ასოცირებულნი. ასეთები იყვნენ ზურა ჯაფარიძე, ბოკუჩავა, რატიანი, მაგრამ ამათაც იმდენი იყვირეს, რომ უკვე ესენიც ნაციონალებთან ასოცირდნენ. არავითარი განმასხვავებელი არ დაანახვეს ხალხს, თორემ მათ პერსპექტივა ჰქონდათ. 10-15% ექნებოდათ თუ ნაკლები, ეს იქნებოდა სერიოზული ანგარიშგასაწევი ძალა.

**– ბიძინა ივანიშვილის მემკვიდრეებზე დაიწყო თითქოს უკვე საუბარი...**

– დარწმუნებული ვარ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, ის დიდხანს დარჩება ერთ-ერთ გავლენიან პიროვნებად საქართველოში. მათ შორის პოლიტიკაზე ზეგავლენაც შეეძლება, როგორც პიროვნებას და სამოქალაქო საზოგადოების წევრს.

**– საუბარია იმაზე, ვის აირჩევს მემკვიდრედ...**

– ბუნებრივია, სერიოზულ მემკვიდრეებად არაპოლიტიკოსები ვერ დასახელდებიან... არც ეს არ გვიკვირს ჩვენ, რომ ვიღაცას უსუფაშვილი არ მოსწონს, ვიღაცას – ალასანია და სხვები.

**– თქვენ დაასახელეთ პოლიტიკური ფიგურები. შეგიძლიათ, დაასახელოთ აპოლიტიკური ფიგურები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია მემკვიდრეობაზე?**

– არა მგონია. რთულია.

**– მაგალითად, ღარიბაშვილი.**

– ღარიბაშვილი არ არის აპოლიტიკური ფიგურა. შეიძლება ახალბედაა, მაგრამ ის უკვე პოლიტიკური ფიგურაა.

**– თქვენ გააკეთეთ ასეთი შედარება, რომ უსუფაშვილი ცუდია, თორემ ბიძინაა კარგი, ასევე ხვედელიძე, ნაცვლიშვილი, ხუხაშვილი არიან ცუდები და ბიძინა და ღარიბაშვილი – კარგები...**

– საერთოდ, ეს ძალიან ხშირად ხდება ხოლმე. ეს არის სტერეოტიპი, რომ მეფე კეთილია და ვეზირები – ბოროტები. პრინციპულად არ ვიზიარებ ხოლმე ამ დებულებას. არასდროს არ არის ასე, ჩემი აზრით. მეფე კეთილია და მას ბოროტი ვეზირები ატყუებენ, არ მჯერა. ეს მეფე დებილია? ყველა მეფეს ჰყავს ისეთი ვეზირები, როგორიც მას უნდა, რომ ჰყავდეს. ყველა ხელმძღვანელს ჰყავს ის ჯგუფები, რომელსაც ის ენდობა და პასუხისმგებლობა არის, პირველ რიგში, პირველი პირის და შემდგომ მის ქვემოთ მდგომი ადამიანების. თუმცა ცხოვრებაა და იცვლება პროცესები და იცვლებიან ფავორიტები. მთავარია, ჩვენ ნორმალური პოლიტიკური პროცესის მდინარებაში ჩავდგეთ. ეს შანსი რამდენჯერმე ხელიდან გავუშვით.

**– ამ ცდუნების წინაშე ბიძინას ვერ ხედავთ?**

– არა მგონია, ბიძინა ამ ცდუნების წინაშე დადგეს. ძალაუფლება ბიძინას ისედაც საკმაოდ დიდი ჰქონდა. ფული და კარგი ცხოვრება მას არ აინტერესებს. სანამ ბიძინა პოლიტიკაში ჩაერთვებოდა, ის უკვე იყო რეალიზებული ადამიანი, ახლა კი ყველაზე მდიდარი პოლიტიკოსია საქართველოს ისტორიაში. მისთვის ახლა მთავარია, როგორ შევა ისტორიაში, თორემ რა უნდა მოიპოვოს ისეთი, რაც არ აქვს? ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ჰქონდა მას სერიოზული ძალაუფლება. პირველი ორი წელი ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა სახელმწიფო მოხელეების ხელფასებს. ეს სწორედ ივანიშვილის ხარჯზე ხდებოდა და არა სოროსის, როგორც აცხადებდნენ. ამას გარდა, რამდენი ხელოვანი, მეცნიერი თუ მსახიობი იყო, რომელსაც ის პირადად უხდიდა სტიპენდიას. ბევრი სარეაბილიტაციო პროექტი გააკეთა, რომელზეც ამბობდნენ, სააკაშვილმა გახსნაო...

**– ივანიშვილს უნდოდა, ჩრდილში დარჩენილიყო. სააკაშვილი იყო ქვეყნის პრეზიდენტი და ბუნებრივია, რაღაც რომ შენდებოდა, ის აკეთებდა განცხადებას და ხსნიდა ამა თუ იმ ობიექტს...**

– არა, ამაზე არ ვამბობ. უბრალოდ, როცა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩაება, დაიწყეს, დამანგრეველიაო და ეს ძალიან სასაცილოა.

**– როგორ ფიქრობთ, ერთი და იგივე ძალები დგანან „რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიასა და იმათ უკან, ვინც ხვედელიძე-ხუხაშვილი-ნაცვლიშვილის წინააღმდეგ გამოდის? რამე კავშირს ხედავთ?**

– არ ვიცი. ვერ გაიგებ. არიან ისეთებიც, რომლებისთვისაც ორივე მიუღებელი ვართ.

**– ამ პროცესს ბიძინას წასვლასა და პოლიტიკური მემკვიდრეობისთვის ბრძოლას ხომ არ უკავშირებთ?**

– მე ვუკავშირებ იმას, რომ ყველას უნდა ბიძინას გვერდით ადგილი. ყველას უნდა კოალიციაში შემოსვლა. ზოგს აქვს მატერიალური ინტერესი, ფიქრობენ, კარგ ფულს გავაკეთებთო, ზოგს ძალაუფლება უნდა, ზოგს, უბრალოდ, პოლიტიკური კონკურენციის მომენტი აქვს.

**– შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ „ნაციონალები“ არ არიან თქვენი კონკურენტები?**

– „ნაციონალებს“ არც უნდათ კოალიციაში შემოსვლა და ვისაც უნდათ, თვლიან, რომ ჩვენ არ ვუშვებთ.

**– როგორც არჩევნების წინ იყო ამაზე საუბარი...**

– ბუნებრივია, ბიძინა გვეკითხებოდა აზრს და ჩვენ ჩვენს აზრს ვეუბნებოდით. გადაწყვეტილებას თავად იღებდა.

**– თქვენ ხართ მოადგილე იმ ადამიანის, რომელიც ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატად სახელდება. როგორ ფიქრობთ, მარგველაშვილი შესაფერისი კანდიდატია?**

– მიმაჩნია, ის კარგი კანდიდატურა იქნება. თუმცა რა გადაწყდება, არ ვიცი. როგორც მინისტრთან, გიორგისთან საკმაოდ ადვილია მუშაობა. კომფორტულია იმ გაგებით, რომ ინტრიგები არ უყვარს და სამინისტროში ეს არც არის. ეს ამ ადამიანს არ გააჩნია და ეს რომ არ აქვს, უკვე მოხსნილია ბევრი პრობლემა. როცა ერთმანეთში ჩურჩულია და გარემო ინტრიგანულია, იქ აუტანელია მუშაობა.

**„ფულის გამო არ წაუგია „ნაციონალურ მოძრაობას“. წააგეს იმიტომ, რომ იყვნენ დისკრედიტებულნი“**

**– პარტიაში არ გქონდათ საუბარი, რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერდით მხარს?**

– ამაზე საუბარი წინასწარ არ გვქონია, რადგან ჩვენ არ გვყავს ჩვენი კანდიდატი.

**– ანუ ვახტანგ ხმალაძეზე თვითონ თქვით უარი?**

– ვახტანგ ხმალაძე არ არის რეალური კანდიდატი. ივანიშვილმა, უბრალოდ, სიმბოლურად თქვა, რომ ასეთი ტიპაჟი უნდა იყოს პრეზიდენტი.

**– არსებობს სტერეოტიპი, რომ რესპუბლიკელები ყველაფერში ჩართულები ხართ, ყველაფერს თქვენ მართავთ. როგორ მოგივიდათ, რომ საპრეზიდენტო მარათონი გამოტოვეთ?**

– ჩვენ ხომ ისედაც საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ვიყავით და თავის დროზე მხარი დავუჭირეთ ირაკლი ალასანიას. ახლაც დავუჭერდით მხარს, თუ ამაზე იქნებოდა საუბარი. თავისთავად ირაკლიც ღირსეულ კანდიდატად მიგვაჩნია. თუმცა არა მგონია, ასე მოხდეს. მე მგონი, თვითონ არ აპირებს თავისი კანდიდატურის დაყენებას.



**– დაბოლოს, როგორ წარმოგიდგენიათ, იმ უფლებების ფარგლებში, რაც პრეზიდენტს ექნება, რაზე უნდა ააწყონ საპრეზიდენტო კანდიდატებმა საარჩევნო კამპანია? ვფიქრობ, ის უფრო კრიზის-მენეჯერი უნდა იყოს...**

– არ არის მარტო კრიზის-მენეჯერული ფუნქციები. ისედაც ბევრი ფუნქცია ექნება მას. უმაღლეს მთავარსარდლადაც ისევ პრეზიდენტი ითვლება და თან ძალიან დიდი ლეგიტიმაცია აქვს, როდესაც ხალხის არჩეულია. თავის დროზე, როცა ეს ცვლილებები მიიღეს, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მიხეილ სააკაშვილს არ ჰქონდა ბოლომდე გადაწყვეტილი, ის მესამედ იქნებოდა პრეზიდენტი, თუ პრემიერ-მინისტრად წავიდოდა.

**– მე მგონი, მესამე გამორიცხული იყო...**

– სააკაშვილი და ნაციონალები თუ მოიგებდნენ არჩევნებს, ამ ქვეყანაში გამორიცხული არაფერი არ იყო. სააკაშვილი არჩევნების მოგებას ისევე აპირებდა, როგორც 2008-ში.

**– ბიძინა ივანიშვილიც არ ელოდებოდა მოგებას. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთეთ განცხადება, 40%-ს ავიღებთო. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტში თქვენი შესვლა, როგორც ოპოზიციისა, დამანგრეველი იქნებოდა ხელისუფლებისთვის.**

– მინიმუმზე იყო საუბარი. მაქსიმუმი იყო გამარჯვება. ჩვენ ვანგარიშობდით ცუდ ვარიანტებს და ეს იყო ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი. მაშინ შტაბში რამდენიმე ადამიანს ძალიან გვაწუხებდა ეს საკითხი. გვაინტერესებდა, როგორი იქნებოდა დასავლეთის პოზიცია. დასავლეთმა ითამაშა გადამწყვეტი როლი 2008 წლის არჩევნებში და ახლაც არ ვიყავით დარწმუნებული, საით გადაიხრებოდა ისარი. მაშინ მახსოვს, ბიძინამ მითხრა, ისე უნდა მოვიგოთ, რომ ვერ „გაუპრავონო“. თვალების დახუჭვასაც აქვს საზღვარი. რაღაცის მერე დასავლეთი თვალს აღარ დახუჭავდა. იტყოდა, გეყოფა ახლა შენ, წადი სახლში. სააკაშვილი არ იყო იმდენად ძლიერი, რომ შეძლებოდა ამერიკისა და ევროკავშირის იგნორირება. სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, ისტორიას ჩაბარდა.

**– სააკაშვილის მთავარი პლუსი რა იყო?**

– მაინც უფრო ინფრასტრუქტურა, პატრული, თუმცა, შსს-ში ბევრი რეფორმაა გასატარებელი. სააკაშვილის მთავრობის დროს გაიზარდა ბიუჯეტი. შედარება არ შეიძლება შევარდნაძის დროსთან.

**– ივანიშვილის მთავრობისგან რა სფეროში უნდა ველოდოთ ასეთ გარღვევას?**

– სოციალურ სფეროსა და დემოკრატიის განვითარებაში...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კუდ-ის აგენტი ლევან გაჩეჩილაძეს აფინანსებდა?

## ე.წ. გრეჩიხას აქციების ერთ-ერთი დამფინანსებელი ბაჩო ახალაიას პროცესზე გაიშიფრა



**მირიან ბოქოლიშვილი**

ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესებზე საქმის არსებითი გარემოებების გარდა, ქართული პოლიტიკის ბევრი სხვა, აქამდე დაფარული ნიუანსი ხდება ცნობილი. ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე კი საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გამოაშკარავდა. ირკვევა, რომ ვინმე ზვიად აბესაძე, რომელიც ბაჩო ახალაიას საქმეში დაზარალებულის სტატუსით ფიგურირებს, ოპოზიციის იმდროინდელ საპროტესტო აქციებს აფინანსებდა. თუმცა სხვა ვერსიით, რომელიც ასევე სასამართლო პროცესზე გაჟღერდა, ის ოპოზიციურ მოძრაობაში (ძმებ გაჩეჩილაძეებთან) კუდ-ის მიერ იყო ჩანერგილი.

ე.წ. გრეჩიხას აქციებზე იყავი თუ არა კუდ-ის აგენტი? – ეს კითხვა ზვიად აბესაძეს ადვოკატებმა დაუსვეს, რაზეც მან უპასუხა, რომ „მაშინ ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად ვიყავი განწყობილი და ოპოზიციას ვაფინანსებდიო“.

ვინ იყო რეალურად ზვიად აბესაძე – კუდ-ის აგენტი, ოპოზიციის დამფინანსებელი, თუ ორივე ერთად? თავად აბესაძეს ამ საკითხზე ჟურნალისტებთან საუბარი არ სურს, ისევე, როგორც მის ნასამართლეობაზე. დაზარალებული აბესაძე სხვადასხვა დროს ყაჩაღობისა და თაღლითობისთვის იხდიდა სასჯელს. მის ნასამართლეობაზე განმარტება ახალაიას პროცესზე დაკითხვის დროს გააკეთა და აღნიშნა, რომ ის ირაკლი ოქრუაშვილმა 2005 წელს პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრა. მიზეზად კი მისი ბიზნესის ხელში ჩაგდება დაასახელა, თუმცა საინტერესოა, ის ფაქტი, რომ აბესაძე დღეს სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ ახალაიასთან მიმართებაში ითხოვს, რომელსაც წიწაკის სროლასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში სდებს ბრალს, მის მიერ ბიზნესის წართმევაში მხილებულ ოქრუაშვილთან კი სამართლებრივი პრეტენზიები არ გააჩნია. ბოლოს ზვიად აბესაზე კომპანია „არტ ფეისის“ პრეზიდენტი გახლდათ. სამოდელო სფეროში მოღვაწეობამდე კი წარსულში ქუთაისის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის წევრი გახლდათ.

სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე წაუყენეს ბრალი ბაჩო ახალაიას და გენერალ გიგი კალანდაძეს, თუმცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი და გენშტაბის ექსშეფის გარდა ზვიად აბესაძის ჩვენების საფუძველზე დააკავეს კუდ-ის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი, შალვა ვაშაკიძეც. საგამოძიებო ორგანოში შეტანილ საჩივარში აბესაძე მიუთითებდა, რომ ვაშაკიძე მასზე, როგორც დაზარალებულზე, ზეწოლას ახორციელებდა, კერძოდ, ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მიცემული ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ 1 მილიონ დოლარს მთავაზობდაო. სამართალდამცველებმა მოწმეზე ზეწოლის ბრალდებით კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი დააპატიმრეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვაშაკიძე 10 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. 2 თებერვალს პროკურატურამ ვაშაკიძეს ბრალი საერთოდ მოუხსნა და გირაოს თანხაც უკან დაუბრუნა. ბრალდების მხარემ, ვერ დაადასტურა, რომ შალვა ვაშაკიძე მართლა სთავაზობდა 1 მილიონს ზვიად აბესაძეს.



# „რეალ ტვ“ კახა ბაინდურაშვილმა იყიდა?



ლალი ეგაძე: „მოლაპარაკება მიდის ბევრ ადამიანთან, თუმცა არა გაყიდვაზე, არამედ ინვესტიციის შემოტანაზე“

**მირიან ბოქოლიშვილი**

ტელეკომპანია „რეალ ტვ“-ს, რომელიც ცოტა ხნის წინ „ტვ 3“-ად გადაკეთდა, კახა ბაინდურაშვილი ყიდულობს. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ არხის ხელმძღვანელობა ფინანსთა ყოფილ მინისტრთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ტელეკომპანიის ამჟამინდელი მფლობელი ლალი ეგაძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ არხი არ გაყიდულა, თუმცა კახა ბაინდურაშვილთან მოლაპარაკებებს ადასტურებს.

**– ქალბატონო ლალი, გავიგეთ, „ტვ 3“-ს კახა ბაინდურაშვილი ყიდულობს...**

– არა, ჯერჯერობით არავის უყიდია. ამ ეტაპზე მსგავსი არაფერი ხდება, მოლაპარაკება მიდის ბევრ ადამიანთან, თუმცა არა გაყიდვაზე, არამედ ინვესტიციის შემოტანაზე.

**– მოლაპარაკებები კახა ბაინდურაშვილთანაც გაქვთ?**

– კახასთანაც მიდის კონსულტაციები, მაგრამ ვნახოთ, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. აქ საუბარია რამდენიმე ბიზნესპროექტის გაკეთებაზე. მაისის ბოლოს გვეცოდინება კონკრეტული დეტალები.

მკითხველს შევახსენებ, რომ ტელეკომპანია „რეალ ტივიმ“ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საინფორმაციო მაუწყებლობა გააჩერა. ტელეკომპანიის 100-პროცენტიანი წილის მფლობელმა ლია დოლიძემ არხიდან თანამშრომლები თითქმის მთლიანად გაათავისუფლა, 16 ოქტომბერს კი ტელეკომპანიას ახალი მფლობელი გამოუჩნდა. არხი 30 ათას ლარად ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელმა, ლალი ეგაძემ შეიძინა.

# უახლოეს დღეებში გახმ



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**უახლოეს დღეებში რამდენიმე გახმაურებული საქმე გაიხსნება, რასაც შესაძლოა დაპატიმრებების ახალი ტალღა მოჰყვეს. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია, „პრაიმტაიმს“ უდასტურებს, რომ მალე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება სკანდალური საქმეების გაუხმაურებელი დეტალები.**

## რა კავშირი აქვს თენგიზ გუნავას ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან?

**ეკა ბესელია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:**

– უახლოეს დღეებში ჩვენი კომიტეტი წარმოადგენს ექვსთვიან ანგარიშს, სადაც ასახული იქნება ის უამრავი დარღვევა, რომელიც ჩვენთან შემოდის. ამ დროისთვის კომიტეტში შემოსულია რეკორდული რაოდენობის განცხადება, 6 ათასს გადააჭარბა უკვე. ყველაზე დიდი ნაწილი ეხება წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ციხეებში, ასევე, საუბარია უკანონოდ გამოტანილ განაჩენებზე, რომლის გადახედვასაც ითხოვენ მოქალაქეები, აქტუალურია ქონების ჩამორთმევის საკითხები, სამსახურიდან დათხოვნის თემები. არის კონკრეტული საჩივრები, სადაც ყოფილი მაღალჩინოსნების გვარები ფიგურირებს, საყურადღებოა რამდენიმე, სადაც ასახელებენ პარლამენტის წევრებსაც კი. ამ 6 ათასიდან 80 პროცენტზე მეტი ჩვენს მიერ უკვე რეაგირებულია, ისინი გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში, ხოლო თუ რომელი სახელმწიფო უწყება რეაგირებს ყველაზე სწრაფად და ადეკვატურად ჩვენს მიერ გადაგზავნილ განცხადებებზე, ამასაც გაიგებთ პრეზენტაციაზე. ჩვენ ვაპირებთ, გამოვავლინოთ ყველაზე ეფექტური სამინისტრო და ასევე დავასახელოთ ის უწყებები, სადაც არ, ან ნაკლებად ხდება რეაგირებები. ძირითადად, ჩვენი კომიტეტის საკურატორო სფერო არის ძალოვანი უწყებები.

**– სწრაფი და ეფექტური რეაგირება ახსენეთ და სწორედ ამ მიმართებით მინდა გკითხოთ... წლების განმავლობაში გვესმოდა გახმაურებული საქმეების შესახებ, სადაც მაშინდელი ოპოზიცია სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ადანაშაულებდით... ვიცით, რომ ამ საქმეებზე გამოძიება დაწყებულია, თუმცა გადის თვეები და ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული შედეგი არ ჩანს... რატომ ვერ ხერხდება იმ საქმეების ბოლომდე მიყვანა, რომლებზეც თქვენ ხშირად აპელირებდით... ახლა ხომ თქვენ ხართ ხელისუფლებაში და ყველა ბერკეტი თქვენს ხელშია?**

– ეს ნამდვილად მწვავე კითხვაა, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს, თუმცა შემიძლია წინსწრებით გითხრათ, რომ უახლოეს დღეებში, ეს იქნება მაისის თვეში, რამდენიმე გახმაურებული საქმე გამოცხადდება გახსნილად. ის საქმეები, რომლებსაც დიდი ხანია ვაყენებთ დღის წესრიგში, იქნება გახსნილი, საუბარი მაქვს 26 მაისის საქმეზე, ასევე გირგვლიანის მკვლელობაზე. ეს საქმეები თითქმის უკვე დასრულებულია და მაისში საზოგადოება გაიგებს ამის შესახებ.

**– ანუ უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ დაპატიმრებების ახალ ტალღასაც?**

– დანაშაულის გახსნა არ არსებობს დამნაშავეების გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ დადგენილი იქნება კონკრეტული პირების დანაშაულებრივი ქმედება და მოხდება მათი დაკავება. ეს თანამდევი პროცესია.

**– შესაძლებელია, რომ დაკავებულთა შორის ვანო მერაბიშვილიც აღმოჩნდეს?**

– მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, მაგრამ გეტყვით, რომ როდესაც ვსაუბრობთ იგივე გირგვლიანის საქმეზე, ის პირები, ვინც უკვე გასამართლდნენ ამ დანაშაულისთვის, მეორედ ვერ გაასამართლებენ, შესაბამისად, საუბარია ახალ პირებზე, რომლებიც ამ დრომდე ოფიციალურად არ ფიგურირებდნენ სისხლის სამართლის საქმეში.

**– ბაჩო ახალაიას საქმეს რაც შეეხება... თქვენმა კოლეგამ როლანდ ახალაიამ, მედიის საშუალებით მოგმართათ და გკითხათ – შალიაკინი თუ უკანონო პატიმარი იყო, ბაჩო ახალაიას რატომ არ თვლით ასეთადო? რას უპასუხებთ ახალაიას და იყავით თუ არა მართლა შალიაკინის ინტერესების დამცველი?**

– შალიკიანს არ ვიცავდი და ვერ გეტყვით რატომ გაახსენდა ის ბატონ ახალაიას. მინდა ასე ვუპასუხო ბატონ როლანდს: ჯერჯერობით დაკავებული ვარ იმ ადამიანების უფლებების დაცვით, ვისი უფლებებიც დაარღვია მან და მისმა ოჯახის წევრებმა. ასეთი გახლავთ ასობით ადამიანი. რაც შეეხება უშუალოდ ბაჩო ახალაიას, მე არ ვთვლი, რომ ის პოლიტპატიმარია, რადგან საუბარია საკმაოდ კონკრეტულ და მძიმე დანაშაულებზე, რომლის გამოც მას ბრალი აქვს წაყენებული. სიმართლე გითხრათ, მე არ მაქვს დიდი იმედი, რომ სასამართლო ობიექტურად გაასამართლებს ახალაიას. კარგად ვიცნობ მოსამართლე დარახველიძეს, რომელიც განიხილავს მის საქმეს. ის არჩევნებამდე გახლდათ სენაკის სასამართლოს თავმჯდომარე და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს აპატიმრებდა პლაკატების გაკვრისთვის და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისთვის. ეს მოსამართლე განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა „ქართული ოცნების“ აქტივისტების მიმართ. არ მგონია, რომ შემთხვევით გადმოიყვანეს თბილისში

**„შსს-მ ან დროულად უნდა გამოიძიოს ეს ფაქტი, ან ითქვას – რა უშლის ხელს გამოძიებას“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აურებული საქმეების სკანდალური დეტალები გახდება ცნობილი



# ეკა ბესელია: „დადგენილი იქნება კონკრეტული პირების დანაშაულებრივი ქმედება და მოხდება მათი დაკავება“

„სასურველია კობა დავითაშვილის ოპოზიციაში ყოფნა...“

„უახლოეს დღეებში ჩვენი კომიტეტი წარმოადგენს ექვსთვიან ანგარიშს, სადაც ასახული იქნება ის უამრავი დარღვევა, რომელიც ჩვენთან შემოდის“

EXCLUSIVE

და ბაჩო ახალაიას საქმის განხილვა სწორედ ამ მოსამართლეს ჩააბარეს.

**– გიორგი ფარესაშვილი მის შესახებ ფარული ჩანაწერების გავრცელებაში გია ხუხაშვილს და ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნებს ასახელებს... თუ აპირებთ ამ საკითხის შესწავლას? რამდენად უშვებთ, რომ ფარესაშვილის ბრალდებები საფუძვლიანია?**

– მოდით კითხვა დავსვათ თუ ვის ინტერესებში შეიძლება ყოფილიყო ის, რაც მოხდა? მე პირადად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს შედის წინა ხელისუფლების ინტერესებში. ასეთი ჩანაწერები კეთდებოდა მათ დროს, არ გამოვრიცხავ, რომ არსებობდეს ამ ჩანაწერების ასლები, რომლებიც კვლავაც მათ ხელშია და ახლა ხდება ამ მასალის გამოყენება იმგვარად, რომ მოქმედი ხელისუფლება დააყენონ დარტყმის ქვეშ. ეს ხელწერა ძალიან მარტივი გასაშიფრია. ეს ყველაფერი ძალიან კარგად დაგეგმილ პროვოკაციას ჰგავს. ამის მიუხედავად, გამოძიება ჩასატარებელია და დასადგენი, რეალურად ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. მე ერთი წამით ეჭვი არ მეპარება, რომ არც გია ხუხაშვილს, არც გელა ხვედელიძეს და არც ლაშა ნაცვლიშვილს ამასთან კავშირი არა აქვთ, მაგრამ მივესალმები ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას, რომელმაც პირად კონტროლზე აიყვანა ეს საქმე. ჩვენ, ჩვენის მხრივ, განვახორციელებთ საპარლამენტო კონტროლს გამოძიებაზე. გვქონდა ამ თემაზე საუბარი და ზოგადად ასეთ საკითხებზე პარლამენტში მაისის თვეში ვგეგმავთ საკომიტეტო მოსმენებს, სადაც ძალოვანი უწყების პირველი პირებიც იქნებიან მოწვეულნი.

**– ამის მიუხედავად, თუკი ეს გამოძიება დროში გაიჭიმა, არ მოხდა სწრაფი რეაგირება და დამნაშავის გამოვლენა... როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**

– გამოძიების გაჭიანურება ჩვენს ინტერესში ნამდვილად არ შედის. თუ გაჭიანურდა, ამას სჭირდება დასაბუთება და არგუმენტირებული ახსნა. თუ ასეთი დასაბუთება არ იქნება, ცხადია, ეს უკვე პრობლემაა. შსს-მ ან დროულად უნდა გამოიძიოს ეს ფაქტი, ან უნდა ითქვას, რა უშლის ხელს გამოძიებას. სხვათა შორის ასეთ ჩანაწერებთან დაკავშირებით აქვე მინდა გითხრა ერთი საინტერესო ამბავი. თავდაპირველად პროკურატურამ საზოგადოებას ამცნო, რომ დანაშაულერბივი გზით, უკანონოდ ხდებოდა ასეთი ჩანაწერების წარმოება და გამოაქვეყნა კიდეც დაფარული კადრები. ამ დანაშაულისთვის ბრალი წარედგინა სამხედრო პოლიციის რამდენიმე ჩინოსანს, მათ შორის სამმართველოს უფროსს, ბატონ გუნავას, რომელიც გახლავთ სამეგრელოს გუბერნატორის, თენგიზ გუნავას ნათესავი. ეს პიროვნება, სასამართლომ, წინასწარი პატიმრობიდან სრულიად უსაფუძვლოდ, გირაოთი გაათავისუფლა. ამით მან შექმნა საფრთხე, რომ ასეთი ჩანაწერების კოპირება, ან სხვისთვის გადაცემა გამხდარიყო შესაძლებელი.

**– სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზეც მინდა გკითხო... არის მოსაზრება, რომ ერთი უკიდურესობა შეიცვალა მეორე უკიდურესობით... კერძოდ, ციხეებში აღარ ხდება პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა, სამაგიეროდ, იქ დაბრუნდა მაყურებლის ინსტიტუტი, შედის აკრძალული ნივთები და ნარკოტიკებზეც კი იყო საუბარი... არის თუ არა ეს პრობლემა თქვენი ინტერესის სფეროში?**

– სასჯელაღსრულების სისტემაში აბსოლუტურად შეიცვალა მართვის სისტემა. ერთმნიშვნელოვნად უარი ითქვა არაადამიანური მეთოდების გამოყენებაზე. ამასთან განხორციელდა უპრეცედენტო ამინისტია, რომელიც შეეხო ათასობით პატიმარს. აქედან გამომდინარე, დღეს მართვის უფრო მეტი ბერკეტი არსებობს. ბუნებრივია, არაერთი პატიმარი ცდილობს ამ თავისუფლებით უფრო მეტად ისარგებლოს, იყო რაღაც დარღვევები რასაც მოჰყვა კიდეც რეაგირება, რაც გამოიხატა საკადრო ცვლილებებით. დარღვევები და გადაცდომები იქნება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სისტემური ხასიათის და წახალისებული თავად ადმინისტრაციის მიერ. ჯერჯერობით, რასაც ვხედავთ, ის არის, რომ ხდება სწრაფი გამოვლენა და რეაგირება ამა თუ იმ დარღვევაზე.

**– ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენი თანაგუნდელი კობა დავითაშვილი ოპოზიციაში გადასასვლელად ემზადება... სწორედ ამას უკავშირებენ მის საბოტაჟურ განცხადებებს სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელის მიმართ...**

– კობა ძალიან მიყვარს, ჩემი დიდი ხნის თანამებრძოლია. ისე, ნამდვილად კობასნაირი ოპოზიცია მირჩევნია „ნაციონალურ მოძრაობას“. უფრო სასურველია კობა დავითაშვილის ოპოზიციაში ყოფნა, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებიც თავს ოპოზიად ასაღებენ, რეალურად კი, ქვეყნის წინსვლა არ აინტერესებთ. თუმცა კობას ოპოზიციაში გადასვლის თემა, ალბათ, უფრო ხუმრობის სფეროა, ის ძალიან ორიგინალური ადამიანია, აქვს თავისი პოზიციები, თუმცა უმჯობესია, რომ საჯარო განცხადებებამდე გუნდის შიგნით გაირკვეს საკითხი. ეს ზოგჯერ აზარალებს საერთო საქმეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაპირისპირებ

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

დღევანდელ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს უჭირდა შიდა დაპირისპირების დამალვა. ყოფილა შემთხვევები, როცა მათ პირდაპირ ეთერშიც მოუწყვიათ ცოცხალი ორთაბრძოლა. როგორც სანახაობა, საზოგადოებისთვის, ბუნებრივია, საინტერესოა, თუმცა ერთიანობის იმიჯზე ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს. თუმცა პასუხისმგებლობა დღეს მათ ბევრად მეტი აქვთ, ვიდრე ოპოზიციაში ყოფნის დროს ჰქონდათ. ეს სხვაობა, სხვათა შორის, პირველად კობა დავითაშვილმა დააფიქსირა. არჩევნებიდან ძალიან მოკლე დროში მან მედიასთან ურთიერთობაში ახალი ტაქტიკა შეიმუშავა. ნებისმიერ კითხვაზე ერთ პასუხს სცემდა: მე ახლა ხელისუფლებაში ვარ, უმრავლესობის წევრი ვარ და როგორც ოპოზიციონერს შეეფერება, ისე ვერ ვისაუბრებ. ყველა ეთანხმებოდა, თუმცა დავითაშვილი, როგორც სკანდალური განცხადებების გამკეთებელი, დროებით დაიკარგა. ეს დროებითი პერიოდი ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. პაუზის შემდეგ უმრავლესობის წევრმა სკანდალური განცხადებების კეთების ტრადიცია აღიდგინა და ამას ისიც დაემატა, რომ ის პირდაპირ თანაგუნდელებზე ახორციელებს თავდასხმებს. დავითაშვილი კირვალიძეს „გადაახტა“ და პირდაპირ სერგეენკოს გადასწვდა. მოგვიანებით კი აღიარა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში კი ვიცოდი, რაც ხდებოდა, მაგრამ არაფერს ვამბობდიო... ვერ ვიტყვით, რომ ჯანდაცვის მინისტრის კრიტიკა დეპუტატს ძვირი დაუჯდა, სამაგიეროდ მიეცა შესაძლებლობა, ივანიშვილს პირისპირ შეხვედროდა. შუშის სასახლეში დავითაშვილი პირადად ხუხაშვილმა მიიყვანა. „ხალხის პარტიის“ ლიდერი მუდამ იმაზე წუხდა, რომ ის „ოცნების“ პოლიტიკურ ელიტაში ვერ მოხვდა და შესაბამისად, ივანიშვილთან შეკრებებშიც ვერ მონაწილეობდა. მსგავსი განცხადებებით ის რესპუბლიკელებს უტევდა, რადგან პოლიტიკურ ელიტაში, პირველ რიგში, სწორედ უსუფაშვილის გუნდი იგულისხმება.





**ბიძინა ივანიშვილი:**
**„შევცდი, როდესაც განვაცხადე, რომ კობას მთავრობაში მუშაობის ეშინია და მან წინა ხელისუფლებაშიც თავდაცვის მინისტრობაზე უარი თქვა“**

ჯანდაცვის მინისტრის გამო მომხდარ „რაზბორკაზე“, პრემიერთან ერთად, დავითაშვილს სერგეენკოც დახვდა. დაახლოებით ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ დავითაშვილმა იქაურობა ბოდიშის მოხდის გარეშე დატოვა.

სერგეენკოც და გიორგი მარგველაშვილიც პრემიერის ფავორიტები არიან. ჯანდაცვის სამინისტროს შემდეგ გეზი დავითაშვილმა სწორედ მეორე ფავორიტისკენ აიღო. მარგველაშვილის გადაყენების მოთხოვნა დავითაშვილმა შრომის კოდექსის გამო დააყენა.

# ექსპედიცია თიბისი ბანკის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით

2013 წლის დამდეგს ანტარქტიდაზე მოეწყო საერთაშორისო ექსპედიცია, სახელწოდებით „ბოლო გრადუსი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი ბიზნესმენები, თიბისი ბანკის დამფუძნებლები, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე. მათ ექსპედიცია თიბისი ბანკის 20 წლის იუბილეს მიუძღვნეს და სამხრეთ პოლუსზე ბანკის კორპორატიული დროშაც აღმართეს.

**ფოტოპროექტის ავტორები: ალექსეი ნაგაევი და მამუკა ხაზარაძე**

Ⓐ






















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ა კოალიციაში

**გიორგი მარგველაშვილი: „კობას შეხედულება ანგარიშგასაწევია და თუ მაინც საჭიროა, რომ გადავდგე, კობასთან ერთად, სხვა მეგობრებსაც დავეკითხები და მივიღებ გადაწყვეტილებას“**





**კობა დავითაშვილი:**

– თუ გიორგი მარგველაშვილი ფიქრობს, რომ შრომის ახალი კოდექსის პროექტი მიუღებელია, მინიმუმ, ვიცე-პრემიერობიდან უნდა გადადგეს...

მარგველაშვილის რეაქცია გაწონასწორებული იყო. თუმცა ბევრ კითხვას გაეცა პასუხი, როდესაც პრემიერი მარგველაშვილის პოზიციას მიემხრო, რითაც ირიბად შრომის კოდექსის ავტორ სამინისტროსა და მის ხელმძღვანელს, თეა წულუკიანს დაუპირისპირდა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– მე თავიდან ბოლომდე ვიზიარებ მარგველაშვილის პოზიციას შრომის კოდექსთან დაკავშირებით. შრომის კოდექსის შემოღებაზე ინიციატორები ვიყავით ძალიან ბევრნი და მათ შორის ერთ-ერთი ვიყავი მეც, ის რაც არსებობდა წინა ხელისუფლების პირობებში, იყო საშინელება, ფაქტობრივად, არანაირი უფლებები არ გააჩნდა ხალხს. როცა რაიმე არ გვაქვს, მეორე მხარეს გადახრა ვიცით, მე მგონი, ეს მოხერხდა პირველი მოსმენის შემთხვევაში, განხილულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომ გადაჭარბებულად მეტი უფლებები მისცეს, მეტი უფლებები არ არსებობს დაქირავებულზე, პრაქტიკულად ნორმალურია, როდესაც გარკვეულ კანონპროექტზე მიდის კამათი, რომ ვის მხარეს უნდა გადაიხაროს ეს, დაქირავებულის თუ დამქირავებლის მხარეს, ჩემი პოზიციაა, რომ დამქირავებლის მხარეს გადაიხაროს.

შიდა დაპირისპირება ისევ ბოდიშის მოხდის გარეშე დასრულდა. სერგეენკოსგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, დავითაშვილი განათლების მინისტრთან დაპირისპირებაში დამარცხდა.

**გიორგი მარგველაშვილი, განათლების მინისტრი:**

– მე აღარ შევალ იმ დეტალებში, რომელიც ჩემს განცხადებას უკავშირდება, ეს იყო სხვა თემის განხილვა, კერძო დისკუსია, მაგრამ თუ ეს გადადგომის საფუძველია, გადავდგები. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში უფასო ფაკულტეტებით, უფასო წიგნებით, ბავშვების ტრანსპორტირებით, მასწავლებლებისთვის ხელფასის გაზრდით ნათლად გამოვავლინე ჩემი ღირებულებები. კობას შეხედულება ანგარიშგასაწევია და თუ მაინც საჭიროა, რომ გადავდგე, კობასთან ერთად, სხვა მეგობრებსაც დავეკითხები და მივიღებ გადაწყვეტილებას.

ორივე შემთხვევაში, ჯანდაცვისა და განათლების საკითხების განხილვის პირველი მცდელობა დავითაშვილს ჯერ პარლამენტში ჰქონდა. ფაქტია, რომ კითხვები, რომლებიც მას გაუჩნდა, პირველად სწორედ საკომიტეტო მოსმენების დროს დასვა. სხვათა შორის, ჯანდაცვის სამინისტროს შემთხვევაში კომიტეტის სხდომას თავად მინისტრიც ესწრებოდა. სერგეენკომ კითხვები მოისმინა, თუმცა პასუხები არ გაუცია. სწორედ ეს აღნიშნა დავითაშვილმა მას შემდეგ, რაც პრემიერის მკაცრი გაფრთხილება მიიღო.

**კობა დავითაშვილი:**

– შემიძლია, მაგალითად მოვიყვანო შრომის კოდექსი: მე იქ ბევრ რამეს შევასწორებდი, მაგრამ, რადგან გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, მე მას მხარი დავუჭირე. რაც შეეხება ადრინდელ ეპიზოდს, მე იქაც არ დამირღვევია გუნდურობის პრინციპი, რადგან ოთხჯერ დავსვი მოთხოვნა გუნდში და მათგან ორჯერვე მოვითხოვე პრემიერთან შეხვედრა, მაგრამ ამაზე პასუხი ვერ მივიღე. მინისტრისგან პასუხად მივიღე დუმილი. მგონი, დუმილი პასუხად ვერ ჩაითვლებოდა. ასე რომ, იყო როგორც კომუნიკაციის პრობლემა, ასევე ვფიქრობ, მარტივი იქნებოდა ჩემთვის პასუხის გაცემა იმ სხდომაზეც. შემდეგ კი შეხვედრა შედგა და გაირკვა ის საკითხებიც, რაც მაინტერესებდა. შესაბამისად, მოიხსნა სერგეენკოს მოთხოვნაც, რომ მე ბოდიში მომეხადა მისთვის.

დავითაშვილის აქტიურობით დაღლილმა პრემიერმა უმრავლესობის წევრის ფსიქოლოგიური ანალიზი გააკეთა და განაცხადა, რომ ის ვერ უძლებს ხელისუფლებაში ყოფნას, რადგან ზედმეტად ადვილია ოპოზიციონერობა. პრემიერმა დავითაშვილს წარსულიც გაახსენა და მისი პოლიტიკური კარიერის მთავარი მინუსი დაასახელა, – „სერგეენკო აკეთებს უფრო მეტს, ვიდრე კობა დავითაშვილი აკეთებს ან ოდესმე გაუკეთებიაო“. დავითაშვილმა პრემიერის რამდენიმე სიტყვა მთელი თავისი ცხოვრების წითელი ხაზის გადასმად შეაფასა და ვიდრე ივანიშვილი ბოდიშის მოხდის ხასიათზე დადგებოდა, საკუთარ გუნდზე მორიგი შეტევა განახორციელა. თუმცა ეს შემთხვევაც სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– შევცდი, როდესაც განვაცხადე, რომ კობას მთავრობაში მუშაობის ეშინია და მან წინა ხელისუფლებაშიც თავდაცვის მინისტრობაზე უარი თქვა. გავარკვიე, რომ მან 2004 წელს ნამდვილად გმირული ნაბიჯი გადადგა, როდესაც იმ უსახურ საკონსტიტუციო ცვლილებებს დაუპირისპირდა, რომლითაც პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. სხვათა შორის, მე ვენდობი კობას მაგ მხრივ, კობა არის ძალიან პრინციპული და შეიძლება მას ჩავაბაროთ ნებისმიერი მინისტრობაც და რეგიონის ხელმძღვანელობაც.

**ირაკლი ალასანია: „აგვისტოს ომი უკვე შეფასებულია და ეს იყო რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ“**

როგორც კი სამინისტროს ჩაბარება გაჟღერდა, დავითაშვილმა მაშინვე დააფიქსირა საკუთარი სურვილი და განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიამოვნებით ჩაიბარებდა. სამინისტრო არა, მაგრამ მას გასაჩუმებლად შესაძლოა, მართლაც ჩააბარონ რომელიმე რეგიონი. თუნდაც იმის დასამტკიცებლად ან გამოსაცდელად, რამდენად კარგი ხელმძღვანელია.

სხვათა შორის, 2004 წლის გახსენებით პრემიერმა უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს „წაკბინა“. „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილმა წევრმა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს თავის დროზე მხარი დაუჭირა. მოგვიანებით კი სწორედ მისივე ხელმოწერილ კონსტიტუციას უწოდებდა დიქტატორულს, მანამ სანამ ხელმოწერილთა სიაში მისი გვარი ხმამაღლა არ ამოიკითხეს. ამის შემდეგ საგანელიძეს ახსნა-განმარტების გაკეთებაც კი დასჭირდა, თანაც პირადად ბიძინა ივანიშვილის წინაშე.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უმრავლესობის დანარჩენ წევრებს უწევდათ იმის მტკიცება, რომ კოალიციაში დაპირისპირება არ არის და ეს მხოლოდ და მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობაა. ესეც პოზაა. პოლიტიკოსები ბოლო წუთამდე ცდილობენ, დამალონ დაპირისპირებაც, დაშლაც და გაშლაც...

**ეკა ბესელია, უმრავლესობის წევრი:**

– უმრავლესობის შიგნით არანაირი დაპირისპირება არ არის. არის ცალკეული განცხადებები და პოზიციები, რომლებიც ჯანსაღი განხილვისა და დებატების ფორმატში ხვდება. ბუნებრივია, დეპუტატებს, რომლებიც მაღალი თავისუფლებითა და პოლიტიკური დამოუკიდებლობით ხასიათდებიან, აქვთ უფლება, რომ ნებისმიერ საკითხზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვან. ჩვენ არ ვართ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ერთი ტექსტით მეტყველებს და ერთი ადამიანის დიქტატით მოქმედებს. გუნდის შიგნით არის კონსენსუსი, შეთანხმება, თუმცა, როცა არის განსხვავებული მოსაზრებები, ამას ჯანსაღ სიტუაციაში ვისმენთ.

თავის დროზე დავითაშვილის როლს ასრულებდა ირაკლი ალასანია. როლში დაპირისპირების მთავარი ორგანიზატორობა იგულისხმება. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ხშირად ეხვეოდა სკანდალებში, ხდებოდა ერთობების დაშლისა და დაპირისპირებების მიზეზი. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ალასანია ისეთი წყნარია, როგორც არასდროს. სხვათა შორის, ექსპერტები მის ზედმეტად გაწონასწორებულობას მარტივად ხსნიან: თავდაცვის მინისტრი პოსტს უფრთხილდება. როგორც კი იგრძნობს, რომ მასაც კარგავს, შემდეგ ალაპარაკდებაო... მოლოდინი, რომ ამბიციური ალასანია მეტ დამცირებას აღარ მოითმენს, ნელ-ნელა გაქრა. თუმცა იყო საკითხი, რომელზეც მინისტრმა მთელი გუნდისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების სურვილი მოკლე პერიოდში კოალიციის ბევრმა ლიდერმა გამოთქვა. მათ შორის იყვნენ არჩილ კბილაშვილი, თავად ბიძინა ივანიშვილი... ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ ბევრი კითხვაა და მათ პასუხი უნდა გაეცეს. უფრო მოკლედ, „ოცნებამ“ ბურჯანაძის ოცნების ასრულებაზე უფრო იმუშავა, როცა ეს წინადადება გააჟღერა. პრემიერსა და მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრიც აჰყვათ. თეა წულუკიანი პირველი იყო, ვინც განაცხადა, რომ შესაძლოა, აღნიშნულ საკითხზე პრეზიდენტიც კი დაიკითხოს... კოალიციიდან ერთადერთი იყო თავდაცვის მინისტრი, რომელმაც ყველას ეჭვები უარყო და დაადასტურა, რომ აგვისტოს ომში გამოსაძიებელი არაფერია.

**ირაკლი ალასანია:**

– აგვისტოს ომი უკვე შეფასებულია და ეს იყო რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ. ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20% და ხელისუფლების ამოცანაა, დიპლომატიით, საერთო ძალისხმევით მთავრობამ მოახერხოს და ტერიტორია უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალებისგან გაწმინდოს. ამას სჭირდება პრაგმატიზმი, ამას სჭირდება ძალიან წინდახედული საგარეო პოლიტიკა, სჭირდება შეიარაღებული ძალები, სჭირდება ჩვენი სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში.

**კობა დავითაშვილი: „თუ გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ შრომის ახალი კოდექსის პროექტი მიუღებელია, მინიმუმ, ვიცე-პრემიერობიდან უნდა გადადგეს...“**



InterPressNews

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა მოხდა კისისხევში გიორგობის ღამეს?

# 24 წლის ბიჭი გარდაცვალებამდე თელავის პოლიციაში სცემეს?

## EXCLUSIVE




მარიამ ნადირაძე

**ეს ამბავი 9 მაისს 24 წლის ბიჭის გარდაცვალებით დასრულდა. ლევან მინდორაშვილი კახეთში, კისისხევის სათევზე მეურნეობაში დარაჯად მუშაობდა. თელავის რეფერალურ საავადმყოფოში რამდენიმე დღის წინ ის ცეცხლნასროლი ჭრილობებით მიიყვანეს. საფანტს მისთვის გულმკერდის არე სრულად ჰქონდა დაზიანებული. გამოძიება დღეისთვის თვითმკვლელობამდე მიყვანით მიმდინარეობს, თუმცა მინდორაშვილის ოჯახში „პრაიმტაიმთან“ საუბრისას სულ სხვა ვერსიაზე ამახვილებენ ყურადღებას. მეტიც, მისი ნათესავები გვარწმუნებენ, რომ სანადირო თოფით ის თავს ვერაფრით მოიკლავდა, რადგან ამის საშუალებას თუნდაც იარაღის ზომები ვერ მისცემდა.**

**ია კირვალიძე, ლევან მინდორაშვილის დედა:**



– ლევანი კისისხევის ტბებზე მუშაობდა დარაჯად. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას სხვა სამუშაოებსაც ასრულებინებდნენ, ფიზიკურადაც ამუშავებდნენ. თვეში 50 ლარს აძლევდნენ. ახლა კი გვიმტკიცებენ, რომ თითქოს გაცილებით მეტს აძლევდნენ... ის თავს არ მოიკლავდა. შემთხვევამდე 3 დღით ადრე ჩვენთან სახლში მისი თანამშრომელი მოვიდა, ცვლაში ენაცვლებოდა ხოლმე, ჯარჯი არაბული. ნასვამი იყო და სახლში ვერ შემოვუშვი. არც ჩემი ქმარი იყო სახლში და არც ბიჭი. ნასვამი კაცისთვის კარი რატომ უნდა გამეღო. ჯერ შეურაცხყოფა მოგვაყენა, მერე კი დაგვემუქრა, ახლა ტბებზე ავალ და ნახავთ, თქვენს შვილს რა მოუვაო. ჩვენგან წასულს გზაში ჩემი ქალიშვილები შეხვედრიან, რომლებმაც საკუთარი ყურით მოისმინეს, როგორ ელაპარაკებოდა ვიღაცას ტელეფონზე და ეუბნებოდა, ნახავს ახლა, შუბლში რომ დავახლი ტყვიასო.

**– ეს ყველაფერი იმიტომ, რომ სახლში არ შემოუშვით?**

– დიახ, აბა, სხვა რა გვქონდა გასაყოფი იმ კაცთან? იმავე დღეს ჩემი შვილი ჩამოვიდა სახლში, ნაცემი იყო. თვითონ მითხრა, ჯარჯიმ მცემა, მგონი, ნეკნები დამიმტვრიაო. ისეთი დღე დამაყარა, ლამის დანა გამიყარა და გამოვიქეციო.

**– რატომ მცემაო?**

– თქვენებმა არ შემიშვეს სახლშიო. პოლიციაშიც დარეკა. იქ ჯერ მასხრად აიგდეს, მერე კი უთხრეს, ხვალ 10 საათზე მოდიო. მეორე დღეს, პოლიციაში რომ უნდა წასულიყო, სახლში მისი უფროსები დაგვადგნენ – დათო და გოგიტა, ჩვენ წამოგვყევიო. ლევანი უარს ეუბნებოდათ, მაგრამ ძალით წაიყვანეს პოლიციაში... თითქოს, მათთან ვიღაცამ თევზი მოიპარა და ამას აბრალებდნენ.

**– ლევანს პოლიციაში არ განუცხადებია წინა დღის ცემის ფაქტის შესახებ?**

– როგორ იტყოდა რამეს? ამათი ეშინოდა. ლევანს ტელეფონზე რომ ველაპარაკე, მითხრა, აქ პოლიციამაც მცემა, არ გამყიდო, მეშინიაო. ახლა რა ვამტკიცო, სიმართლეს ვინღა იტყვის, ჩემი შვილი, 24 წლის ბიჭი, აგერ მკვდარი მიდევს, ვერც კი ვმარხავ. ვის მივადგე და სად ვარკვიო სიმართლე? ლევანი მეუბნებოდა, პოლიციაში იმ ბიჭებს დავადექი პირზე, ვინც ის თევზი მოიპარა და პოლიციაში კი მე მცემესო.

**– ვინ არიან ის ბიჭები?**

– ზემოთ მუშაობდნენ, სადღაც სიახლოვეში. პოლიციაში დამუქრებიან, ხუთწლიან „სროკზე“ გაგიშვებთო. ახლა კი მისი უფროსები მაყვედრიან, „სროკზე“ არ გავუშვითო. პოლიციის მერე ისევ სამსახურში წაიყვანეს. მეორე დღეს კი რწმუნებული ჩამოვიდა და მითხრა, ლევანი დაჭრილიაო. ჩემი შვილი მერე უკვე საავადმყოფოში მოხვდა. რომ ვკითხე, ვინ გესროლა-მეთქი, წყალი მომთხოვა და მერე ხმა აღარ ამოუღია, უგონოდ იყო. ლევანი თავს არ მოიკლავდა. ჩემი გოგოები იმ ჯარჯის პირზე დაადგებიან, რომ იმუქრებოდა, ლევანს მოვკლავო, მაგრამ ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. ის უფროსები კი ახლა ჯარჯი არაბულს ხელს აფარებენ, ლევანი ხომ მაინც ველარაფერს იტყვის და ჰგონიათ, რომ სიმართლე აღარასდროს გაირკვევა.

**– თქვენ ეჭვობთ, რომ მკვლელობა იყო?**

– ბევრი საფუძველი მაქვს, ვიფიქრო, რომ მკვლელობა იყო და არა თვითმკვლელობა.

**ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ მხოლოდ ოჯახის ვერსიას არ შესთავაზებს თავის მკითხველს. შესაბამისად, გთავაზობთ ინტერვიუს კისისხევის თევზის მეურნეობის ერთ-ერთ მეპატრონესთან, დავით ჯამალაშვილთან:**

– სამსახურში რომ მივედი, ლევანი უკვე დაჭრილი იყო. საიდან მოიტანე ეს თოფი-მეთქი? ვიყიდე ორი თვის ხელფასითო. თვითონ თქვა, თოფს ვწმენდდი და გამივარდაო.

**– ამბობენ, რომ ლევანი უგონოდ იყო. თქვენ როდის მოახერხეთ მასთან საუბარი?**

– სასწრაფო რომ მოვიდა, მათაც მოისმინეს ეს ლაპარაკი.

**– რა თოფი იყო?**

– სანადირო.

**– ხელფასი თუ 50 ლარი ჰქონდა, ორი თვის ხელფასით მის ყიდვას მოახერხებდა?**

– ერთი ჯაგლაგა თოფია. ვინჩესტერი კი არ არის. მაგას 70 ლარში იყიდი. ხელფასს კი 140 ლარს ვაძლევდი.

**– ოჯახი ამბობს, ორმოცდაათსო.**

– ვერ არიან ისინი კარგად. თვეში 15 დღე მუშაობდა და 70 ლარს ვაძლევდი. ვაჭმევდი, ვაცმევდი, სიგარეტს მე ვყიდულობდი, ყველაფერი ჩვენს ხარჯზე იყო.

**– შეგიმჩნევიათ დეპრესიულობა? თავი რატომ უნდა მოეკლა?**

– მე რა ვიცი, რატომ უნდა მოეკლა თავი?

**– ოჯახი ამბობს, რომ წინა დღეებში მასა და თქვენს თანამშრომელს, ჯარჯი არაბულს ჰქონდათ უთანხმოება...**

– არაფერი უთანხმოება არ ჰქონიათ მაგათ.

**– ამბობენ, რომ სცემა კიდეც...**

– ტყუილს ამბობენ.

**– ტყუილი რაში აწყობთ?**

– მე რა ვიცი? ის კი ვიცი, რომ არანაირი კონფლიქტი არ ჰქონიათ.

**– ბატონო დათო, თქვენი მეურნეობიდან თევზი მოიპარეს?**

– თვითონ ეს მიცვალებული ამბობდა, დავკარგეთო. იმ საღამოს უქეიფიათ და მაშინ დაიკარგაო.

**– რაც თქვენი კერძო საკუთრებაა ეს თევზის მეურნეობა, ლევან მინდორაშვილი თქვენი თანამშრომელი იყო, არა?**

– დიახ.

**– შეგიმჩნევიათ მისთვის ქურდობისკენ მიდრეკილება?**

– არა. კარგი ბავშვი იყო. მე ხომ არ ვამბობ, მაგან მოიპარა-მეთქი?

**– როცა თოფმა გაისროლა, იქ იყო ვინმე მოწმე?**

– კი, ჯარჯი არაბული იყო. მაგან გაგვაგებინა ეს ამბავი.

**– ბატონო დათო, წინა დღეს ლევან მინდორაშვილი პოლიციაში წაგიყვანიათ...**

– არა, ტყუილია. ჩვენ ის სამსახურში წავიყვანეთ. გამოქცეული იყო. ეს პირველი შემთხვევა კი არ იყო, ადრეც გამოქცეულა. მაგის სმენა იყო და არ უნდა მომეყვანა? აბა, ფულს რაში ვუხდიდი?

**ჯარჯი არაბული, დარაჯი:**

– 5 წელია, აქ ვმუშაობ. რომ მოვედი, ლევანი აქ დამხვდა. ვძმაკაცობდით. ძმას მეძახდა. მის ოჯახშიც ბევრჯერ ვყოფილვარ. კარგი „ატნაშენია“ მქონდა, რა.

**– ვიცი, რომ თქვენ იქ იყავით, როდესაც თოფი გავარდა...**

– ასე იყო. მე მაღლა ვაკეთებდი საჭმელს, ოთახში. ეგ ბალღი გადიოდა-გამოდიოდა. მერე მითხრა, სანამ შენ საჭმელს გააკეთებ, თოფს გავწმენდო. 5 წელია, მე აქ თოფი არ მინახავს და საიდან მოიტანა, არ ვიცი. ადრეც იძახდა, თოფი უნდა ვიყიდოო, მაგრამ არ დავუჯერე, ტვინით ცოტა ვერ იყო, რა. ფსიქიატრთან არ ყოფილა, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთქვათ, გიჟი იყო, რა.

**– ასეთი თუ იყო, იქ როგორ ამუშავებდნენ? ან თოფი ვინ მისცა?**

– რა ვიცი, ეცოდებოდათ. ოჯახს ძალიან უჭირდა.

**– კარგით, მერე რა მოხდა?**

– სადღაც 5 წუთში თოფის ხმა გავარდა. განწირული ხმით დაიწყო ყვირილი, – მიშველე, ჯარჯი, დავიღუპეო. გამოვვარდი აივანზე, რა მოხდა-მეთქი? თოფი გამივარდაო. მასთან რომ მივედი, მუცელში ჰქონდა მოხვედრილი. აბა, რა უნდა მეშველა მისთვის აქ, მთაში. ეგრევე ჩემს უფროსს დავურეკე, მერე 112-ზე. ტაქსით მოვიდა უფროსი და წაიყვანეს. პოლიციაც მოვიდა, დაგვკითხეს. ყველაფერი მოვუყევი. სხვათა შორის, იქვე შევამოწმე, ისიც კი ვიფიქრე, ვინმემ ხომ არ ესროლა-მეთქი.

**– პოლიციას ის უთხარით, წინა დღეს რომ გიცემიათ ლევანი?**

– არა, რა მიცემია?! იმ დღეს ტბებზე რომ მივედი, ლევანს ბიჭები დაუპატიჟებია. მთვრალი იყო და მთხოვა, ჩემებთან მიდი, ტანსაცმელი გამომიგზავნონო. იქ დედამისმა შეურაცხყოფა მომაყენა. მე კი ვუთხარი, რომ ავალ, ერთი კაი სილა უნდა გავაწნა ბავშვს-მეთქი. ამას გააკეთებ და ეგრევე პოლიციაში მოხვდებიო, მითხრა დედამისმა. რომ ამოვედი, სილა არ გამიწნია, მაგრამ კი ვუთხარი, სად მგზავნიდი, მამაშენი არ იყო და დედაშენმა ერთი ამბავი დამაწია-მეთქი. ახლა ნახე, მაგათ რას ვუზამო და გაიქცა ეგრევე. მერე უფროსებმა ამოიყვანეს.

**– ბატონო ჯარჯი, 5 წლის წინათ რას აკეთებდით?**

– მე დუშელი ვარ წარმოშობით. იქიდან რომ წამოვედი, ხან სად ვმუშაობდი, ხან – სად.

**– შემთხვევით ნასამართლევი ხომ არ ხართ?**

– კი, ორჯერ.

**– რისთვის?**

– დაჭრა მქონდა და მკვლელობის მცდელობა მომიყენეს. „ნასროკალი“ კაცი რომ ვარ, ამიტომ რაღაცებს ამბობენ, ვიცი. ახლა ეს ბალღი რომ დაიღუპა, მისიანები „ნაჟიმს“ მიკეთებენ, თორემ ის რომ ცოცხალი იყოს, იტყოდა, თავი დაანებეთ, ხომ იცით, ჩემი ძმა არისო.

**– ოჯახში კი ამბობენ, რომ ლევანს თქვენს შორის ჩხუბის თაობაზე მოუყოლია...**

– არა, რას ამბობთ. პოლიციაშიც მითხრეს, კონფლიქტი გქონიათ, დარეკილია და თქვენზე საჩივარიაო. ავადმყოფი იყო, მოლანდებები ჰქონდა რაღაც.

**– მეორეჯერ რისთვის ხართ ნასამართლევი?**

– მეორედაც დაჭრაზე ვიყავი, რა... ამიტომაც მაბრალებენ რაღაცას. ახლაც სამძიმარზე მინდა ჩასვლა, მაგრამ ვინმემ რამე რომ მითხრას, მე ცოტა ფსიხი, ნერვიული ვარ და შეურაცხყოფა უნდა მივაყენო ვინმეს. არ მინდა, რა...

**– იქ, მეურნეობაში, თევზი მოპარულა...**

– ამაზე არც გამიგია არაფერი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ლევან მინდორაშვილის გარდაცვალების ფაქტზე თელავის პროკურატურაში გამოძიება მიდის.

**ქეთევან ვაშაკიძე, ზედამხედველი პროკურორი:**

– გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. ასეთი პრაქტიკა არსებობს ასეთ შემთხვევებში. ლევან მინდორაშვილი იყო დარაჯი და ფლობდა თოფს, თავისი პროფესიული მოვალეობიდან გამომდინარე. მან თოფის გაწმენდის დროს მიიყენა დაზიანება, თვითონ ასე განაცხადა, სანამ გონზე იყო, ვიდრე სამედიცინო მანიპულაციები ჩაუტარდებოდა.

**– ვისთან განაცხადა? ჯარჯი არაბულთან?**

– და კიდევ სასწრაფო დახმარების ბრიგადის პერსონალთან.

**– რა იარაღით მიიყენა დაზიანება?**

– ბალისტიკური ექსპერტიზის მიხედვით, ეს იყო სანადირო თოფი, რომელიც თავადვე შეიძინა.

**– გამოძიება მკვლელობის ვერსიაზე არ მუშაობს? მით უმეტეს, ოჯახის წევრები საუბრობენ ჯარჯი არაბულის მხრიდან მისი მკვლელობის მუქარაზე...**

– ვინაიდან ოჯახი ახლა მგლოვიარეა, ცოტა ხანს დაკითხვას გადავდებთ. ამ დროს ემოციურიც არის ადამიანი, განსჯაც უჭირს. ამ ეტაპზე ოჯახის მხრიდან პრეტენზიები არ დაფიქსირებულა.

**– ჯარჯი არაბულის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია, რომ ის ორჯერ არის ნასამართლევი მკვლელობის მცდელობაზე...**

– ნასამართლობა არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად ჩაიდენს ისევ იმ დანაშაულს. რაც შეეხება იმ ფაქტს, ჰქონდა თუ არა მას კონფლიქტი ჯარჯისთან, ან ვინმე სხვასთან, ვისაც შეეძლო ის თვითმკვლელობამდე მიეყვანა, ან თავად მოეკლა, ან დაეჭრა, ასეთი რამ ამ ეტაპზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებიდან არ იკვეთება. რაც შეეხება იმ ფაქტს, არის თუ არა ძალადობის კვალი მის ორგანიზმზე, ამას ექსპერტიზა დაადგენს. ჯერ დასკვნა არ არის მოსული.

**– ცემის ფაქტზე თავად ლევან მინდორაშვილს მიუმართავს პოლიციისთვის და თანაც, პოლიციაშიც ჰყოლიათ დაკითხვაზე, თითქოს თევზის ქურდობის ფაქტზე...**

– ამასთან დაკავშირებით არ ვფლობ ინფორმაციას. მაგრამ დაზუსტებით ვიცი, რომ ეს ადამიანი ნასამართლევი არ არის. თან მინდა გაითვალისწინოთ, რომ ხშირად სხვას ამბობენ მასმედიასთან და სხვას – გამომძიებელთან და პროკურორთან, როდესაც გაფრთხილებულები არიან ცრუ ჩვენების მიცემაზე.

**ჯარჯი არაბული:**
**„ტვინით ცოტა ვერ იყო, რა. ფსიქიატრთან არ ყოფილა, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთქვათ, გიჟი იყო, რა... „ნასროკალი“ კაცი რომ ვარ, ამიტომ რაღაცებს ამბობენ“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზაზა ხატიაშვილი: „მინდა განგაში ავტეხო!“

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი საკანონმდებლო ორგანოს უპირისპირდება და „რესპუბლიკურ პარტიას“ მის მიერ ინიცირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების დაბლოკვაში ადანაშაულებს, რაც, მისი თქმით, საქართველოში ფეოდალიზმის განმტკიცებას ნიშნავს. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც 4000 ადვოკატს აერთიანებს, „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ადვოკატებს კომუნისტების დროს უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსული ახალი ხელისუფლების პირობებში.**




**ზაზა ხატიაშვილი:** „მე, ზაზა ხატიაშვილი, ვიბრძოდი იმისთვის, რომ საქართველოში შექმნილიყო კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც ადამიანების წამება საბოლოოდ შეწყდებოდა. წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია „ქართული ოცნება“ გულზე ხელს ირტყამდა და გაჰყვიროდა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღდგენილიყო, სასამართლო ზეწოლისგან უნდა განთავისუფლებულიყო და ა.შ. კოალიციის წევრებმა, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენის მიზნით დაიტაცეს თანამდებობები, გაუტკბათ სკამები, რიტორიკა შეცვალეს და საპროკურორო სახელმწიფოს შექმნაზე დაიწყეს ფიქრი. მათ, ფაქტობრივად, გაიმეორეს ის გზა, რითაც სააკაშვილმა დაიწყო. მართლაც, ჩვენზეა ნათქვამი, „უის გავეყარე და ვაის შევეყარეო“. მინდა, გკითხოთ, როცა ადვოკატს, რომელსაც არ ექნება უფლება, გამოითხოვოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებიდან, აუკრძალავ, მიმართოს სასამართლოს, ამოიღოს მტკიცებულება, სასამართლოს დამოუკიდებლობა როგორ მიიღწევა? უუფლებო და დაშინებული ადვოკატი როგორ დაიცავს მოქალაქეს? სამარცხვინოა იმის აღიარება, რომ ადვოკატებს კომუნისტური წყობილების დროს მეტი უფლებები გვქონდა, ვიდრე სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსული ხელისუფლების პირობებში გვაქვს.

პარლამენტის მხრიდან ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ მიმართულმა ნაბიჯმა, რომელმაც დაბლოკა ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, გამაოგნა და ღია წერილი მივწერე როგორც პრემიერ-მინისტრს, ასევე პარლამენტის თავმჯდომარეს, რათა არ დაეშვათ მსგავსი სიბინძურე, მაგრამ არც ერთმა პასუხი არ გამცა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის იგნორირება, ეტყობა, სააკაშვილისგან მემკვიდრეობით მიიღეს.

სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ საქართველოში ყოფილიყო სამართლიანი მართლმსაჯულება, რომელიც წარმოუდგენელია ადვოკატის გარეშე, რომელმაც უნდა დაიცვას სახელმწიფოსგან დაჩაგრული მოქალაქე. ადვოკატისთვის ყველა უფლების ჩამორთმევა ნიშნავს საქართველოს მოქალაქეების განწირვას უკანონობისთვის. ის, რაც ჩაიდინა საქართველოს პარლამენტმა, არის საქართველოს მუდმივად დატოვება ბნელეთში. ეს არის საქართველოში ფეოდალიზმის განმტკიცება, ეს არის ჩვენი ხალხისთვის სამართლიანი სასამართლოს საბოლოოდ წართმევა.

სახელმწიფო რომ განვითარდეს, მას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი კანონმდებლობა. სამოქალაქო სექტორის პირველი დამცველი არის ადვოკატი, რომელსაც უნდა ჰქონდეს უფლება, დაიცვას თავისი დაცვის ქვეშ მყოფი. ევროკონვენციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას თითოეულ მოქალაქეზე. თუ ჩვენ გვინდა სამართლიანი სასამართლო და გვინდა ევროინტეგრაცია, უნდა დავემორჩილოთ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად გამოტანილ გადაწყვეტილებებს, სადაც დადგენილია, რა არის სამართლიანი სასამართლოს სტანდარტი. ერთ-ერთი პირველი სტანდარტი არის მხარეთა თანასწორობის უფლება, მხარეებში იგულისხმება პროკურორი და ადვოკატი. პროკურატურასა და ადვოკატურას ერთნაირი უფლებები რომ ჰქონდეთ, მაინც ვერ იქნებიან თანასწორუფლებიანნი, იმიტომ რომ ის არის ძალისმიერი სტრუქტურა, მის ხელშია სახელმწიფო აპარატი და ამ აპარატს როგორც უნდა, ისე იყენებს. ამიტომ მაინც არ ვართ თანაბარ პირობებში, მაგრამ კანონის დონეზე რომ ჩვენ გათანაბრებული პირები ვიყოთ, ამისთვის საჭიროა, რა უფლებებიც აქვს პროკურორს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მასთან მიახლოებული უფლება მაინც უნდა ჰქონდეს ადვოკატს. ადვოკატს უნდა ჰქონდეს სავალდებულო უფლება, რომ გამოითხოვოს მტკიცებულება საჯარო დაწესებულებიდან. ეს უფლება სააკაშვილის რეჟიმამდე ადვოკატებს ჰქონდათ, კომუნისტების დროსაც და შევარდნაძის დროსაც. სააკაშვილის რეჟიმმა ადვოკატებს ეს უფლება წაართვა. მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბორკილებს ვიდებდი, ხან ევროკავშირის წინ ვჯდებოდი, ხან ევროსაბჭოს წინ, ევროპარლამენტის წინ, ბრიუსელში, აქციაც ჩავატარე, რომ ადვოკატს უფლება ჰქონოდა, დაეცვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი. მსოფლიოს ადვოკატთა ასოციაციამ თავის დასკვნაში დაწერა, რომ ადვოკატისა და პროკურორის უფლებები უნდა გათანაბრდეს. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ თავის დასკვნაში თქვა, რომ პროკურორის გაზრდილმა უფლებებმა საქართველოში ადვოკატის ინსტიტუტი გაანადგურა. ეს დასკვნები მე ავიღე და ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის წინ აიღო ვალდებულება და თქვა, რომ ისინი გაითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს და პარლამენტში შევიდოდნენ წინადადებით. ქალბატონმა წულუკიანმა, ამ ძალიან დასაფასებელმა პიროვნებამ შეასრულა ის, რაც ევროკონვენციის მე-6 მუხლში წერია და შევიდა პარლამენტში წინადადებით, რომ ადვოკატს უნდა ჰქონოდა ის მინიმალური უფლება, რაც ჰქონდა პროკურორს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში ეწერა, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს ამოღებისა და ჩხრეკის თაობაზე. ადვოკატს ასევე უფლება არ ჰქონდა, საჯარო დაწესებულებიდან გამოეთხოვა ინფორმაცია. ეს თუ ასე დარჩა, ნიშნავს, რომ ფეოდალიზმია საქართველოში. როდესაც ცვლილებები შევიდა პარლამენტში „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლებმა, კერძოდ, ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელიც გენერალური პროკურორის მოადგილეა, ასევე ვახტანგ ხმალაძემ და ბატონმა უსუფაშვილმა, მეორე მოსმენის დროს, ქურდულად ამოიღეს ეს, შეცვალეს თავისი ჭკუით და გაიტანეს მეორე მოსმენაზე, ისე, რომ მე საერთოდ არ გამაგებინეს. როცა ეს გავიგე, მივმართე უსუფაშვილსა და პრემიერ-მინისტრს და პასუხიც არ გამცეს.

იცით, რა გააკეთეს? – ბიძინა ივანიშვილი ხომ ამბობს, მე იმიტომ მოვედი, სამოქალაქო საზოგადოება გავაძლიერო და ორ წელში უნდა წავიდეო. ის, რაც მოხდა, ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი არსად არ არის წამსვლელი და ეგ იმიტომ არ მოვიდა ხელისუფლებაში, რომ სამოქალაქო საზოგადოება გააძლიეროს. სამოქალაქო საზოგადოებას აძლიერებს კანონი და ადამიანის უფლება, რომ იყოს დაცული, მის დამცველს უნდა ჰქონდეს ამის უფლება. ეს არის ორჯერ ორი ოთხი. სხვანაირად სამოქალაქო საზოგადოება არსად არ განვითარებულა და არსად არ ყოფილა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული ადამიანის უფლებები, სადაც ადვოკატს არ აქვს ელემენტარული უფლება, რაიმე მოქმედება განახორციელოს. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ივანიშვილმა მოგვატყუა, როცა თქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად მოვიდა. თუ ივანიშვილს უნდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება გაძლიერდეს, თვითონ წავიდეს და აწყობილი სახელმწიფო დატოვოს, სახელმწიფო უნდა მართოს კანონმა და არა ვიღაც ჩინოვნიკებმა. ეს ურთიერთობები კანონის დონეზე უნდა მოწესრიგდეს.

საქართველოში დაიწყეს ფეოდალური კანონების მიღება. სწორედ ფეოდალური კანონია ის, რომ პროკურორს აქვს ასჯერ მეტი უფლება, ვიდრე ადვოკატს და ადვოკატს არ შეუძლია, დაიცვას ადამიანი. ადვოკატი დამცველია, პროკურორი – დამჭერი. შეიძლება, რომ დამცველს არ ჰქონდეს უფლება, დამჭერს გაუწიოს წინააღმდეგობა? ეს უკვე ფეოდალიზმია. დღეს მე ვამბობ, როცა ივანიშვილის პარლამენტს კონკრეტული ცვლილება შეაქვს კანონში და ის ფეოდალიზმის ნიშნებს შეიცავს, ე.ი. მას სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კი არ უნდა, უნდა საპროკურორო სახელმწიფოს შექმნა.

დღეს პროკურატურის შესახებ კანონში შედის ცვლილება. ჯერ არ ეუბნებიან ხალხს, დამალულია ეს და მე მინდა განგაში ავტეხო. იცით, რა ცვლილება შედის? – პროკურორი რომ დანაშაულს ჩაიდენდა, უნდა გეჩივლა იუსტიციის მინისტრთან. იუსტიციის სამინისტროში იყო გენერალური ინსპექცია. ახლა ხდება საქართველოს მოქალაქეების მოტყუება, განადგურება და შედის პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილება, რომლის თანახმად, იუსტიციის სამინისტროდან გამოდის ეს უწყება და გადადის პროკურატურის დაქვემდებარებაში. ანუ როგორც სააკაშვილმა შექმნა პროკურატურისგან მონსტრი, ახლაც იქმნება ახალი მონსტრი. იმას, რასაც ბრძოლით მივაღწიეთ, რომ პროკურატურის ქმედებები ცოტა სხვა უწყებას გაეკონტროლებინა, დღეს ყველაფერი მიაქვს პროკურატურას. ადვოკატების უფლებები წართმეულია, პროკურორი არის მეფე. პროკურორმა თუ დანაშაული ჩაიდინა, მის საქმეს ისევ პროკურატურა გამოიძიებს – არის თუ არა ეს ფეოდალიზმი?! თუ პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, ის ხომ ზემდგომის გარეშე ამას არ გააკეთებს, ანუ, ფაქტობრივად, იმ ზემდგომთან უნდა იჩივლო, ის პროკურორი დასაჯოს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა.

საარჩევნო აფიორას ჰქონდა ადგილი, როცა ჩვენ გვატყუებდნენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების გაძლიერებით ხდებოდა ხელისუფლების შეცვლა.

როცა ოპოზიციაში იყვნენ ეგ უნამუსოები და მე ავტეხე ერთი ამბავი, მაშინ მეთანხმებოდნენ, რომ ასე უნდა იყოსო. როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ და მივაღწიე იმას, რომ თეა წულუკიანმა შეიტანა პარლამენტში ეს წინადადება, რომ კანონი გასწორებულიყო, ხალხი, რომელიც გულზე ხელს ირტყამდა, რომ ეს ნამდვილად ასე უნდა იყოსო, ადგა და დაბლოკა ეს პროგრესული კანონი, რომ ელემენტარულად სიტუაცია დაბალანსებულიყო, ადამიანების წამება აღარ ყოფილიყო, ადამიანს რომ აწამებდნენ, ადვოკატს ამოეღო მტკიცებულებები... აი, ეს უფლება მოგვისპეს ჩვენ. პარლამენტში არის რამდენიმე ადვოკატი, რომლებიც ჩემთან ერთად იბრძოდნენ. წინასაარჩევნოდ, როცა ჩვენ მათ ვეხმარებოდით, ყველა ამბობდა, რომ ადვოკატის უფლებები გაიზრდებოდა, ახლა კი, ეკა ბესელიას გარდა, არავის აღმოაჩნდა ღირსება, რომ გამოსულიყო და ადვოკატთა კორპუსისთვის მხარი დაეჭირა. მიკვირს, სოსო ჯაჭვლიანი ჩემი მეგობარია, 26 მაისს რა უბედურება გადაიტანა კაცმა და „რესპუბლიკური პარტიის“ ამ უზნეობას თუ მხარს დაუჭერდა, არ მეგონა. იგივე ზაქარია ქუცნაშვილი, შალვა შავგულიძე თუ ამას გააკეთებდნენ, ვერ წარმოვიდგენდი. ეს იურისტები უნდა გამოსულიყვნენ და უნდა ეთქვათ, რა უბედურებას მოგვიტანს ეს ყველაფერი“.

> **„ეკა ბესელიას გარდა, არავის აღმოაჩნდა ღირსება, რომ გამოსულიყო და ადვოკატთა კორპუსისთვის მხარი დაეჭირა. მიკვირს, სოსო ჯაჭვლიანი ჩემი მეგობარია, 26 მაისს რა უბედურება გადაიტანა კაცმა და „რესპუბლიკური პარტიის“ ამ უზნეობას თუ მხარს დაუჭერდა, არ მეგონა“**

> **„ღია წერილი მივწერე როგორც პრემიერ-მინისტრს, ასევე პარლამენტის თავმჯდომარეს, რათა არ დაეშვათ მსგავსი სიბინძურე, მაგრამ არც ერთმა პასუხი არ გამცა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის იგნორირება, ეტყობა, სააკაშვილისგან მემკვიდრეობით მიიღეს“**

> **„საქართველოში დაიწყეს ფეოდალური კანონების მიღება. სწორედ ფეოდალური კანონია ის, რომ პროკურორს აქვს ასჯერ მეტი უფლება, ვიდრე ადვოკატს და ადვოკატს არ შეუძლია, დაიცვას ადამიანი. ადვოკატი დამცველია, პროკურორი – დამჭერი. შეიძლება, რომ დამცველს არ ჰქონდეს უფლება, დამჭერს გაუწიოს წინააღმდეგობა? ეს უკვე ფეოდალიზმია“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ნაციონალებიდან“ გადაბირებული დეპუტატი

თეა ზიბზიბაძე,
„ახალი გაზეთი“, ქუთაისი

დამალული ქონება, საკუთარი და სხვისი სახელით წარმოებული ბიზნესი და კორუფციული სქემები სატრანსპორტო სფეროში წილების მისაღებად – ასეთ მეთოდებს ქუთაისელ ჩინოვნიკთა ნაწილი დღემდე მიმართავს.

ვინ როგორ იყენებს თანამდებობას ქუთაისში და რა გზით ცდილობენ ადგილობრივი ჩინოვნიკები წილების მიღებას? „ახალი გაზეთის“ ჟურნალისტური გამოძიება აღნიშნული კითხვებით ყოფილი თუ მოქმედი ჩინოვნიკების ბიზნეს ინტერესების კვალზე გავიდა.

**გადათამაშებული წილები ტრანსპორტში**

მიმდინარე წლის მარტ-აპრილში ქუთაისის მერიამ ტენდერი თვრამეტ საქალაქო სატრანსპორტო ხაზზე გამოაცხადა. რა გზითაც სატრანსპორტო ხაზებზე ნებართვები 2019 წლამდე გაიცა.

18 ტენდერიდან ყველაზე მეტ ხაზზე (7 ხაზი) ნებართვა შპს „სამგზავრო 2007“-მა მიიღო - 3 საავტობუსო და 4 მიკროავტობუსის ხაზზე.

შპს „სამგზავრო 2007“-ს (რეგისტრაციის თარიღი 2009 წლის 4 აგვისტო ) საჯარო რეესტრის, მიმდინარე წლის 5 მარტის ამონაწერით, 3 მესაკუთრე ჰყავს.

კომპანიის 40%-ს ბელა აბრამიძე ფლობს, 30 %-ს - ანდრო ჯინჭველაშვილი. ეს უკანასკნელი საქართველოს წინა მოწვევების პარლამენტარის (2004-2008/2008-2012 წწ), ამჟამად უკვე ყოფილი ვიცე-გუბერნატორის და „ნაციონალური მოძრაობის“ საქალაქო ორგანიზაციის, ასევე, ყოფილი ხელმძღვანელის, გოჩა თევდორაძის ახლო ნათესავია (დის ქმარი). (თავად გოჩა თევდორაძემ ვიცე-გუბერნატორობა ერთი თვის წინ, ახალ ოპოზიციურ ძალაში - „ქართველ პატრიოტთა ალიანსი“ გადანაცვლების გამო დატოვა).

შპს „სამგზავრო 2007“-ის დანარჩენი 30% შპს „თეგეტა სიტი ლაინს“ ეკუთვნის.

თავის მხრივ, შპს „სიტი ლაინი“ ქუთაისის მერიის მიერ სატრანსპორტო ხაზებზე ნებართვების გასაცემად 2009-2013 წლებში ჩატარებული ტენდერების ერთ-ერთი ფავორიტი ფირმაა, რომლის 10%-ს ასევე, ანდრო ჯინჭველაშვილი ფლობს.

შპს „სიტი ლაინის“ დანარჩენი 90% შპს „თეგეტა მოტორსი ქუთაისს“ ეკუთვნის, რომელიც ასევე, გახლავთ ქუთაისის მერიის მიერ 2010 წელს ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, „თეგეტა მოტორსი ქუთაისს“ 100 000 ლარი აქვს შეწირული „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სწორედ 2010 წელს, თვითმმართველობის არჩევნების დროს.

აღნიშნული კომპანიის 85%-ს შპს „თეგეტა მოტორსი“ ფლობს. ეს უკანასკნელი კი ბაღდათის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის, თემურ კოხოძის საკუთრებაა. კოხოძე „თეგეტა მოტორსის“ 70 პროცენტს ფლობს. ხოლო დანარჩენი წილი, როგორც თავად გვითხრა, ნათესავებს აჩუქა.

**კორუფციული სქემა წილების მისაღებად**

ქუთაისში, სატრანსპორტო ხაზებზე დასაქმებული მძღოლები პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ „სიტი ლაინსა“ და



**„მძღოლები იმ კორუფციულ სქემებზეც საუბრობენ, რომელიც გოჩა თევდორაძეს სხვა ქუთაისელ ჩინოვნიკებთან ერთად საქალაქო ტრანსპორტის სფეროში აქვს შემუშავებული“**

„სამგზავრო 2007“ -ში (საავტობუსო ხაზებს ქუთაისში მხოლოდ ეს ორი კომპანია ფლობს) წილები რეალურად გოჩა თევდორაძეს და მასთან დაახლოებულ პირებს ეკუთვნის. მძღოლები იმ კორუფციულ სქემებზეც საუბრობენ, რომელიც გოჩა თევდორაძეს სხვა ქუთაისელ ჩინოვნიკებთან ერთად საქალაქო ტრანსპორტის სფეროში აქვს შემუშავებული.

მძღოლები, სამსახურის დაკარგვის შიშით, ვინაობას არ ასახელებენ. თუმცა, მათ მიერ გაშიფრული სქემის ნაწილს, გარკვეულწილად, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, ნიკა კეპულაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს. (ეს უკანასკნელი, არსებული ინფორმაციით, სულ მალე გოჩა თევდორაძის პარტიაში გადაინაცვლებს).

გოჩა თევდორაძესთან ერთად, კორუფციულ სქემაში საკრებულოს დეპუტატი (ასევე, „პატრიოტებში“ გადანაცვლებული) კახაბერ ნემსიწვერიძე ფიგურირებს, რომლის სახელსაც შპს „ავტოტრანსკორპორაცია“ უკავშირდება. ეს უკანასკნელი საქალაქო ტრანსპორტში №48, №50 და №100 მიკროსაავტობუსო ხაზებს ფლობს. თავად ნემსიწვერიძე კი აცხადებს, რომ №100 სამარშრუტო ხაზი მის ძმას ეკუთვნის. (თუმცა, „ავტოტრანსკორპორაციის“ ოფიციალური მესაკუთრეები - დავით მატარიძე (40%), გია მონიავა (30%) და ლიანა დოლონაძე (30%) არიან.)

ქუთაისელი მძღოლების მიერ გაშიფრული სქემის მიხედვით, გოჩა თევდორაძე, კახაბერ ნემსიწვერიძე და მათთან დაახლოებული პირები საქალაქო ხაზებზე მომუშავე სხვა კერძო კომპანიებს კონკურენციას მათ სვლა-გეზებზე ექსპერიმენტული ხაზების შემოღებით უწევენ. კომპანიებს კი ექსპერიმენტული ხაზების არდამტკიცების სანაცვლოდ, წილებს სთხოვენ.

„მძღოლები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაყიდონ „მარშრუტკები“, ვისაც ხაზი აქვს, „მარშრუტკასთან“ ერთად ყიდის, მოშორება უნდათ. რადგან ყველაფერი მთავრობის ხალხის არის და რა დროს ჩაანაცვლებენ თავიანთი ხაზებით და „მარშრუტკებით“ არავინ იცის. ყველამ სესხით ვიყიდეთ ეს „მარშრუტკები“, მუშაობა თუ არ გვექნა, რაღად გვინდა“, - ამბობს ქუთაისში ერთ-ერთ მიკროსაავტობუსო ხაზზე დასაქმებული მძღოლი.

ამჟამად, ქუთაისში №33-ა ექსპერიმენტული ხაზი (ჭახათას მიმართულებით) უკვე ორი თვეა მუშაობს. №33-ა ხაზს კი შპს „ავტოტრანსკორპორაცია“ ფლობს. მერიის ტრანსპორტის სამსახურში განმარტავენ, რომ აღნიშნული ექსპერიმენტალური ხაზის დამტკიცების საკითხს საკრებულო მალე განიხილავს.

უკვე მომუშავე ექსპერიმენტული ხაზის გარდა, მძღოლების ინფორმაციით, ანალოგიურად, ექსპერიმენტული სვლა-გეზის დანიშვნა ჭომის დასახლების მიმართულებითაც იგეგმება, სადაც თავად კახაბერ ნემსიწვერიძე ცხოვრობს და ამ უბნის მაჟორიტარი გახლავთ.

აღნიშნულ უბანში ექსპერიმენტული ხაზის დანიშვნის შემთხვევაში, ის კონკურენციას №10 მიკროსაავტობუსო ხაზს გაუწევს, რომელსაც ორი ერთეული მიკროავტობუსი ემსახურება და მგზავრები ჭომის დასახლებაში გადაჰყავს. მძღოლების ინფორმაციით, კახაბერ ნემსიწვერიძე ჭომაში, ახალი ხაზის სვლა-გეზს ჩიხების მიმართულებითაც აფართოებს. რის გამოც, №10 ხაზზე მგზავრთა ნაკადი მოიკლებს.

მიმდინარე პერიოდში ექსპერიმენტული ხაზების შემოღების შესახებ ინფორმაციას უარყოფენ ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურში. სამაგიეროდ, სამსახურის უფროსი აცხადებს, რომ შესაძლოა, ქუთაისში, უახლოეს პერიოდში, საქალაქო ტრანსპორტის ღირებულება გაიზარდოს. (ამ დროისთვის მიკროავტობუსით მგზავრობის ღირებულბა 40 თეთრს შეადგენს).

თავის მხრივ, ტრანსპორტზე ფასის მომატების პირობა, მძღოლების ინფორმაციით, საქალაქო ხაზებზე მომუშავე სხვა კერძო კომპანიებმა გოჩა თევდორაძისა და კახაბერ ნემსიწვერიძისგან მიიღეს. თუმცა, სანაცვლოდ, ისინი მათ დაქვემდებარებაში შემავალ ხაზებზე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის გაზრდას (5 ერთეულით) გეგმავენ.

„რა სისულელეა“- აცხადებს გოჩა თევდორაძე და სატრანსპორტო სფეროში წილების ფლობის შესახებ ინფორმაციას უარყოფს, ისევე, როგორც კახაბერ ნემსიწვერიძე. ეს უკანასკნელი მხოლოდ №100 მიკროავტობუსის ხაზზე მისი ძმის საკუთრებას აღიარებს. აღნიშნული ხაზი თავის დროზე (2008 წელი) სწორედ ექსპერიმენტულ ხაზად დაინიშნა, რომელიც 50 თეთრი ღირს.

ქუთაისის საქალაქო ტრანსპორტში სხვა გადამზიდი კომპანიები განცხადებებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებენ.

**დამალული უძრავი ქონება**

ტრანსპორტის სფერო არ არის ერთადერთი, რომელშიც ქუთაისელი ჩინოვნიკების ინტერესები ფიქსირდება. ისინი, ასევე ქუთაისში ფლობენ უძრავ ქონებას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, დეკლარაციაში არ არის ასახული.

მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ყოფილ ხელმძღვანელს, აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში (2011 წლამდე) ჩვენს მიერ მოკვლეული ინფორმაციით, არაერთი უძრავი ქონება აქვს შეძენილი. თუმცა ისინი, გოჩა თევდორაძის ქონებრივ დეკლარაციაში (შევსებული 2012 წლის 14 მაისს) არსად ფიგურირებს.

„იქნებ მიმაგნებინოს ვინმემ ასეთ ქონებას და აუცილებლად შევიტან დეკლარაციაში“, - აცხადებს გოჩა თევდორაძე.

თევდორაძის ქონებრივ დეკლარაციაში არასახულ უძრავ ქონებას „ახალმა გაზეთმა“ მიაკვლია.

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, გოჩა თევდორაძეს 2011 წელს შეძენილი აქვს 640 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე (ავტოქარხანა). აღნიშნული ქონება თევდორაძეს თანასაკუთრებაში აქვს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, თამაზ მარგველაშვილთან. მარგველაშვილი 640 კვ.მ ფართობიდან 44 კვ.მ ფლობს, დანარჩენი კი თევდორაძის საკუთრებაშია, რომელიც მის ქონებრივ დეკლარაციაში არ არის ასახული.

ასევე, დეკლარაციაში არ გვხვდება თევდორაძის მიერ ქუთაისში შეძენილი სხვა უძრავი ქონება. მათ შორის არის: ვარლამიშვილის №1-ში მდებარე ფართი (სადაც „სლოტ კლუბი“ იყო განთავსებული), რომელიც 2010 წლის ივნისში აქვს შეძენილი. ასევე, 2010 წლის ივნისში, თევდორაძემ 1070 კვ.მ ფართი შეიძინა ირაკლი აბაშიძის №17-ის დასავლეთით (პარლამენტის მიმდებარედ). დეკლარაციაში არც ჭავჭავაძის გამზირზე შეძენილი ფართი ასახულა (ავტოსადგომი - 2-ის სამხრეთით არსებული 78 კვ.მ ნაკვეთი).

**წილები მშენებლობაში**

ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე, გოჩა თევდორაძის სახელს, მიმდინარე მშენებ-





**„ლონლაძესთან გოჩა თევდორაძის ნათესაურ კავშირს, ამ უკანასკნელთან კარგ მეგობრობას და თევდორაძის მიერ კომპანიის ლობირებას ადასტურებს „იბერიის ვარსკვლავის“ დირექტორი დავით კოსტავა. თუმცა კოსტავა აცხადებს, რომ თევდორაძის ლობირებამ მას ვერაფერი გაუკეთა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პროკურატურას დაკითხვაზე აღარ დაუბარებია





EXCLUSIVE

# ჩინოვნიკთა კორუფციული სქემები და თანამდებობით მიღებული წილები ბიზნესში

**„გოჩა თევდორაძე, კახაბერ ნემსიწვერიძე და მათთან დაახლოებული პირები საქალაქო ხაზებზე მომუშავე სხვა კერძო კომპანიებს კონკურენციას მათ სვლა-გეზებზე ექსპერიმენტული ხაზების შემოღებით უწევენ. კომპანიებს კი ექსპერიმენტული ხაზების არდამტკიცების სანაცვლოდ, წილებს სთხოვენ“**

ლობა და მშენებელი კომპანიის ლობირებაც უკავშირდება.

საუბარი ეხება შპს „იბერიის ვარსკვლავს“, რომელიც ჭავჭავაძეზე (ცენტრალური ავტოვაგზლის გვერდით) სავაჭრო ცენტრს აშენებს.

აღნიშნული კომპანიის 24.5% გოჩა თევდორაძის ახლო ნათესავს (ცოლის ძმა) ხვიჩა ღონღაძეს ეკუთვნის. კომპანიის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ხვიჩა ღონღაძეს „იბერიის ვარსკვლავის“ ერთპიროვნული მფლობელისგან (100%-იანი წილი - დავით კოსტავა) 24.5%-იანი წილი 2008 წლის თებერვალში 73 ლარად აქვს შეძენილი.

ღონღაძესთან გოჩა თევდორაძის ნათესაურ კავშირს, ამ უკანასკნელთან კარგ მეგობრობას და თევდორაძის მიერ კომპანიის ლობირებას ადასტურებს „იბერიის ვარსკვლავის“ დირექტორი დავით კოსტავა. თუმცა კოსტავა აცხადებს, რომ თევდორაძის ლობირებამ მას ვერაფერი გაუკეთა.

საქმე ეხება 2007 წელს, „იბერიის ვარსკვლავის“ მიერ, ჭავჭავაძის გამზირზე ფართის მიღებისა და ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის საკითხს. აღნიშნული ფართის გასხვისების წინააღმდეგი მაშინდელი ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, გიგა შუშანია იყო. რომელმაც, 2007 წელს კომპანიისთვის ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. გიგა შუშანია თვლის, რომ კომპანიის მოთხოვნაში კორუფციული გარიგებების ნიშნები იყო, რადგან „იბერიის ვარსკვლავისათვის“ ფართის გადაცემას მას გოჩა თევდორაძე თხოვდა.

ჭავჭავაძის გამზირზე კომპანიისათვის ფართის უსასყიდლოდ გადაცემა ქალაქის მერად ნუგზარ შამუგიას დანიშვნა შემდეგ (2007 წელი) მოხდა. სწორედ ფართის გადაცემიდან ძალიან მალე, კომპანიის 24.5% გოჩა თევდორაძის ნათესავის საკუთრებაში აღმოჩნდა.

„2007 წელს ჩემთან შემოვიდა „იბერიის ვარსკვლავის“ დოკუმენტი, რომლითაც კომპანია ითხოვდა, ჭავჭავაძის გამზირზე, სადგურის მთელი ტერიტორიის უფასოდ, აღნაგობის უფლებით გადაცემას. ამის სანაცვლოდ, პირობას დებდა, რომ 2 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებდა. თუმცა, ფართის მოთხოვნის პერიოდში „იბერიის ვარსკლავი“ რამდენიმე თვის შექმნილი იყო, რომელსაც 300 ლარი ჰქონდა საწესდებო კაპიტალი. ამიტომ, მიმაჩნდა, რომ მათი მოთხოვნა შეიცავდა კორუფციული გარიგებების ელემენტებს, რომელსაც ლობირებდა გოჩა თევდორაძე. ამიტომ, არ გამოვეცი ბრძანება მიწის გადაცემის თაობაზე. თუმცა, ძალიან მალე, ნუგზარ შამუგიას მერად დანიშვნის შემდეგ, მიწის ნაწილი გადაეცა „იბერიის ვარსკვლავს“. ვთვლი, რომ ამ ქმედებით, ბიუჯეტმა ძალიან იზარალა. რადგან აღნიშნული ტერიტორია საუკეთესო მიწა იყო იმ პერიოდში და შესაძლებელი იყო, აუქციონის გზით, საკმაოდ ძვირად გაყიდულიყო. „იბერიის ვარსკლავმა“ კი მიწა, უსასყიდლოდ, იჯარით მიიღო“, - აცხადებს გიგა შუშანია.

„იბერიის ვარსკვლავის“ დირექტორი, დავით კოსტავა კი თავად გიგა შუშანიას ადანაშაულებს სამშენებლო კომპანიის ლობირებაში. ამჯერად, საუბარი ეხება შპს „კომფორტს“, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში საპარლამენტო უმცირესობის წევრს, გია თევდორაძესა და მის ძმას ეკუთვნოდა. ხოლო, 2012 წლის ბოლომდე კომპანიის მფლობელი ქუთაისის ყოფილი მერი, ბესიკ ბრეგაძე გახლდათ. ბრეგაძემ კომპანიის წილი ქალაქის მერად დანიშვნის გამო (2012 წლის 8 ოქტომბერი) დათმო. სამშენებლო კომპანია „კომფორტი“ ჭავჭავაძის გამზირზე, „იბერიის ვარსკვლავის“ კუთვნილი სავაჭრო ცენტრის გვერდით, ცენტრალური ავტოვაგზლის მშენებლობას უკვე წლებია ახორციელებს.

ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ ფართებთან დაკავშირებით, ჩინოვნიკებთან დაახლოებული კიდევ ერთი პირის ინტერესი იკვეთება. გოდერძი ქასრაშვილს (ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის ყოფილი უფროსი) ჭავჭავაძის გამზირზე ავტოსადგურის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ტერიტორია და გზის მონაკვეთი 2009 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობისგან, 5- წლიანი იჯარით აქვს აღებული, შპს „პარკინგ ჰოლდინგის“ სახელით.

„პარკინგ ჰოლდინგი“ პარკირების ადგილებს ფლობს ქუთაისის ცენტრალურ ნაწილშიც. კომპანიის დირექტორი გოდერძი ქასრაშვილია, რომლის 100%-იან წილს ლიანა დოლონაძე ფლობს. (შპს „ავტოტრანსკორპორაციის“ 30%-იანი წილის მფლობელი - კახაბერ ნემსიწვერიძესთან დაახლოებული კომპანია).

„პარკინგ ჰოლდინგის“ მიერ იჯარით აღებულ პარკირების ადგილებს შორის არის, ქალაქის ცენტრში, წმ. ნინოს №25-27-ის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია. აღნიშნულ ადგილას მყოფი პირები პირად საუბრებში ამბობენ, რომ ტერიტორია კახაბერ ნემსიწვერიძეს ეკუთვნის. თავის მხრივ, „პარკინგ ჰოლდინგის“ დირექტორი კახაბერ ნემსიწვერიძესთან დაახლოებული პირია.

### თანამდებობით გაცემული მშენებლობის ნებართვები

კახაბერ ნემსიწვერიძისა და გოჩა თევდორაძის სახელს, ასევე უკავშირდება, ჯაჭვის ხიდის მიმდებარედ (ჭომის დასაწყისში) სასტუმროების მშენებლობა.

დავით და კონსტანტინეს №13გ-ში (ერთმანეთის გვერდიგვერდ) ამჟამად ორი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ერთ-ერთ სასტუმროს კახაბერ ნემსიწვერიძე აშენებს.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ობიექტის მშენებლობა დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო, თუმცა, მალევე შეჩერდა. მშენებლობის შეჩერება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს და მის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. მაშინ ნემსიწვერიძე თავის ახლობლებთან საუბარში ამბობდა, რომ მშენებლობა ფინანსების გამო გააჩერა. თუმცა, როგორც ირკვევა, მშენებლობის შეჩერება ნებართვის გაუცემლობის გამო მოხდა. რომელსაც, მოთხოვნის მიუხედავად, მერია არ გასცემდა.

დავით და კონსტანტინეს №13გ-ში მშენებლობის ნებართვის გაცემა, არჩევნების შემდეგ, ვიცე-გუბერნატორად გოჩა თევდორაძის დანიშვნიდან რამდენიმე თვეში მოხდა, მისი ვიცე-გუბერნატორობის პერიოდში.

მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვების ნუსხაში აღნიშნულია, რომ დავით და კონსტანტინეს №13 გ-ში ორ სხვადასხვა კერძო პირზე (კუპრავა ნოდარი, სულიკო სალარიძე) ორი სასტუმროს მშენებლობის მიზნით გაიცა ნებართვები 2013 წლის 20 მარტს. გოჩა თევდორაძე მისი მითითებით მშენებლობის ნებართვების გაცემას უარყოფს.

„მე რომ ვიცე-გუბერნატორი ვიყავი, იმდენ ხანს ადამიანი წყალში ჩაყვინთული ძლებს“, - აცხადებს გოჩა თევდორაძე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მარტში, გოჩა თევდორაძე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. დაკითხვიდან გამოსულმა გოჩა თევდორაძემ აღნიშნა, რომ მასთან კითხვები ქუთაისში გასხვისებულ ქონებებთან დაკავშირებით ჰქონდათ. დაკითხვიდან რამდენიმე კვირაში (2013 წლის 5 მაისი) თევდორაძემ ახალ პოლიტიკურ ძალაში „პატრიოტთა ალიანსში“ გადაინაცვლა. რომელსაც ქუთაისის საკრებულოს 9 „ნაციონალი“ დეპუტატი გაჰყვა. მათ შორის, კახაბერ ნემსიწვერიძე და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი. მას შემდეგ თევდორაძე დაკითხვაზე აღარავის დაუბარებია.

თევდორაძის მსგავსად, მშენებლობის ნებართვის მისაღებად თვითმმართველობაში მუშაობა საკრებულოს „ნაციონალ“ დეპუტატს (ფრაქცია „მაჟორიტარების“ ხელმძღვანელს) დავით გოგისვანიძესაც აქვს გამოყენებული.

მერიის მიერ გაცემული ნებართვების ნუსხაში აღნიშნულია, რომ დავით გოგისვანიძეს ქუთაისში, ნიკეას ქ. №21-ში ოფისის დამხმარე და სამეურნეო შენობის მშენებლობისთვის ნებართვა მიმდინარე წლის 25 მარტს აქვს მიღებული. 330კვ.მ-ზე მშენებლობა 67 000 ლარად არის შეფასებული.

***

ქუთაისის მცხოვრებლებმა ჩინოვნიკთა ქონებებისა და წილების შესახებ ნაკლებად იციან. მოსახლეობის ნაწილის თქმით, მათ არც ყიდვას ეკითხებიან და არც გაყიდვას. თუმცა ამბობენ, რომ მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე, როდესაც უამრავი ადამიანი უსახლკაროდ არის, მთავრობის წარმომადგენლების მიერ ქონების დაგროვება და თან ამ ფორმით, დანაშაულია.

**„გოჩა თევდორაძე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. დაკითხვიდან გამოსულმა გოჩა თევდორაძემ აღნიშნა, რომ მასთან კითხვები ქუთაისში გასხვისებულ ქონებებთან დაკავშირებით ჰქონდათ. დაკითხვიდან რამდენიმე კვირაში (2013 წლის 5 მაისი) თევდორაძემ ახალ პოლიტიკურ ძალაში „პატრიოტთა ალიანსში“ გადაინაცვლა. რომელსაც ქუთაისის საკრებულოს 9 „ნაციონალი“ დეპუტატი გაჰყვა. მათ შორის, კახაბერ ნემსიწვერიძე და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი. მას შემდეგ თევდორაძე დაკითხვაზე აღარავის დაუბარებია“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# რა კამპანია აგორდა უჩა ნანუაშვილის წინააღმდეგ

მარიამ ნადირაძე

**„პოლიტიკას არ უნდა გავკარებოდი, ეს მწარე შეცდომა იყო. შეცდომის დაშვების უფლება ყველას აქვს და ალბათ, მეც, როგორც ადამიანს... ოღონდ, ეს არ ეხება ექსპერტიზას, ის ჩემთვის წმინდაა, წმინდაა, იმიტომ, რომ გარდაცვლილი ადამიანის სხეულს ეხები და მისი სული იქვე ტრიალებს. პოლიტიკაში 1 წელზე ნაკლები ვიყავი და ის, რაც მე ვნახე, მძულს! ცენტრალურ პარტნიორთან – იგორ გიორგაძესთან ჩემი ურთიერთობა 7 წლის წინ შეწყდა და აღარასოდეს განახლდება!“**

რაც შეეხება 12 უსამართლოდ „გასამართლებულ“ ადამიანს, ჩვენ არ ვკონტაქტობთ, მაგრამ მათ მიმართ მე დიდი პატივისცემა მაქვს და ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ გავუძელი ნაციონალური გამოძიების ზეწოლას და ვთქვი ის, რაც მაიძულეს. ეს ჩემთვისაც ძალიან მძიმეა.

ნუღარ ეცდებიან მავანნი („ნაციონალნი“), ჩემი სახელი ისევ პოლიტიკას დაუკავშირონ, არც იმ 1 წლის მანძილზე მიმაჩნდა თავი პოლიტიკოსად და ახლაც, არავითარი სურვილი არ მაქვს პოლიტიკასთან გაკარებისა. ჩემთვის საზოგადოებრივ სექტორში ყოფნა ყველაზე კომფორტულია, დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტობა ყველაზე საპატიო!!!!“ - ეს პოსტი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ექსპერტმა, მაია ნიკოლეიშვილმა გამოაქვეყნა.

მიზეზი, ალბათ, გასაგებია...

მას შემდეგ, რაც გაჟღერდა, რომ ლაფანყურის საქმეში გარდაცვლილთა ოჯახებმა დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვა მოითხოვეს, მაია ნიკოლეიშვილის კანდიდატურას სახალხო დამცველმა დაუჭირა მხარი. როგორც მოსალოდნელი იყო, ყოფილი ხელისუფლების ერთმა ნაწილმა საზოგადოებას მაშინვე ის დრო შეახსენა, როდესაც ნიკოლეიშვილი იგორ გიორგაძის საზოგადოებრივ ორგანიზაციას, „ანტისოროსს“ ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, ამჟამინდელი პროკურატურა ცდილობს, გაითვალისწინოს დავით დარჩიაშვილის და მისი თანამოაზრეების პოზიცია და ეგსჰუმაციაში ნიკოლეიშვილის ჩართვას ეწინააღმდეგება.

**„პრაიმტაიმი“ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს ესაუბრა:**



- სანამ სახალხო დამცველი ჩემს პოზიციას გამოეხმაურებოდა, მანამდე, ჯერ კიდევ იანვრიდან, მე არაერთხელ დავაფიქსირე, რომ ეგსჰუმაცია გვიანდება და ძალიან ბევრი ინფორმაცია შეიძლება დაიკარგოს ამ დაგვიანების გამო. რადგან ლპობა უკვე მიდის. დღეს კანის მთლიანობა უკვე დარღვეულია. ამას გარდა, ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, რომ, როდესაც სახეზეა დაღუპული ადამიანები, საქმის გამოძიება რატომღაც მხოლოდ მძევლად აყვანის მუხლით არის დაწყებული. საეჭვო იყო ისიც, რომ გაკეთდა ცხედრების მხოლოდ გარეგნული დათვალიერება. ასეთი რამ ექსპერტიზაში მხოლოდ მასობრივი მსხვერპლის დროს კეთდება, ვთქვათ, ავიაკატასტროფების დროს, როდესაც თითოეული გვამის სიკვდილის მიზეზის დადგენა, რაკი ისინი ძალიან არიან დაზიანებულნი, აღარ არის მიზანშეწონილი. ამ შემთხვევაში კი, არ ყოფილა მასობრივი მსხვერპლი. ამიტომ ყველა ვარიანტში უნდა დადგენილიყო სიკვდილის მიზეზი. უნდა გაცემულიყო პასუხი კითხვებზე: შეიძლებოდა თუ არა მათი გადარჩენა? თუ გავითვალისწინებთ ეჭვს იმის თაობაზე, რომ ისინი მძინარენი ჩახოცეს, როგორი იყო მათი ურთიერთმდებარეობა? გაჟღერდა ისიც, რომ თითქოს თავიდანვე მათი ცხედრები საპყრობილის სასექციოში გადაასვენეს, სადაც შინაგანი ორგანოები ამოაცალეს. ეს ყველაფერი ხომ უნდა ინახოს და დადგინდეს?

**- თავად მთავარ პროკურორს გაუჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, საქმე ორგანოებით ვაჭრობასთანაც კი გვქონდეს. გვამის რა ორგანო შეიძლება გამოდგეს დონორობისთვის?**

- სიმართლე გითხრათ, მეეჭვება, რომ გვამის ორგანოები დონორობისთვის გამოდგეს საქართველოში. ერთადერთი ძვალი და რქოვანა... თუმცა, ამდენ მითქმა-მოთქმას, ალბათ, ჯობს, რომ ინახოს, ადგილზე არის თუ არა ორგანოები, რადგან შეიძლება ვიღაცას ამის გაკეთება დონორობისთვის არა, მაგრამ კვალის წაშლისთვის მოუნდა. ამაზე პასუხი ხომ უნდა მივიღოთ? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გარეგნული დათვალიერების ფოტოები სამხარაულის ექსპერტიზის ცენტრიდან, რატომღაც, დაიკარგა და დღეს, ფაქტობრივად, არაფერი არსებობს.

**- რატომ არ აწყობდა სააკაშვილის ხელისუფლებას ლაფანყურის საქმეში ექსპერტიზა ჩატარებულიყო... მაგრამ რატომ ეწინააღმდეგება ალტერნატიული ექსპერტის ჩართვას დღევანდელი პროკურატურა?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე პასუხი არ მაქვს, რადგან ამას არაპროფესიონალიზმს ნამდვილად ვერ დავაბრალებ. თანაც კანონი არ უკრძალავს პროკურატურას ალტერნატიული ექსპერტიზის დაშვებას და, როგორც წესი, ის, რაც არ არის აკრძალული - დაშვებულია...

**- თუმცა, პასუხი აქვს დარჩიაშვილს, რომელიც თქვენს წარსულ საქმიანობას, „ანტისოროსის“ თავმჯდომარეობას იხსენებს. ხომ არ ფიქრობთ, რომ პროკურატურაც ამ ფაქტის გამო ეწინააღმდეგება თქვენს კანდიდატურას?**

- სიმართლე გითხრათ, მე ველოდი ამ თემის წამოწევას, თუმცა, მაინტერესებდა, ვინ დაიწყებდა, რადგან „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ რამდენიმე ფრთა არის და მე გულისყურით ველოდი, რომელი ფრთა ალაპარაკდებოდა. ახლა ხაზი ჩემთვის უკვე გასაგებია, თუმცა არ მინდა ამ თემის გაშლა, რადგან პოლიტიკას საკუთარ თავს არასდროს ვუკავშირებდი და ახლაც თავს შევიკავებ. მე მებრალება ადამიანი, რომელსაც საკუთარი პროფესია არ აქვს და არ უყვარს, შესაბამისად, არც იცის, რა არის პროფესიისადმი ერთგულება. ჟვანია არასდროს ყოფილა ჩემი მეგობარი, მაგრამ თავს უფლება არ მივეცი, მისი გარდაცვალების დღეს ჩემი პოზიცია არ გამომეთქვა... სულხან მოლაშვილის გამო, როდესაც ის კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო, სერიოზული უთანხმოება მქონდა მაშინდელ იუსტიციის მინისტრთან, მაგრამ როდესაც მოლაშვილს ციხეში აწამებდნენ, უფლება არ მქონდა, რომ მისი წამების კვალი დამეფარა... სულაც არ ვარ იელოვას მიმდევარი, მაგრამ როდესაც საქართველოში იელოვას მოწმეები სცემეს, მე თავს ვერ მივეცი უფლება ჩემი პროფესიული საქმიანობის ზემოთ თუნდაც საკუთარი ალმსარებლობა დამეყენებინა. დარჩიაშვილისთვის, ალბათ, მსგავსი რამ წარმოუდგენელია.

**- როდესაც თქვენს წარსულ საქმიანობას ახსენებენ, იქვე ხაზს უსვამენ, რომ თქვენ მხარს გიჭერთ უჩა ნანუაშვილი. ხომ არ არის დაწყებული სახალხო დამცველის წინააღმდეგ რამე კამპანია?**

- ეს ახლა არ დაწყებულა. დაიწყო მაშინვე, როდესაც ლაფანყურზე სახალხო დამცველმა დასკვნა დადო. მაშინვე მას რუსული ინტერესების გატარებაში დასდეს ბრალი. ახლა კი ეს, ჩემი საქმე... იცით რა არის? ამ ხალხს მთელი ცხოვრების განმავლობაში პოლიტიკაში ყოფნით ათასი სიბინძურე აქვთ მირთმეული. მე ერთი წელიც არ ვყოფილვარ პოლიტიკაში და ისიც, „ანტისოროსი“ საზოგადოებრივი მოძრაობა იყო. ასე რომ, პოლიტიკაში არასდროს ვყოფილვარ. თან, როდესაც რუსულ ინტერესებზე საუბრობენ, სად არის ლოგიკა? როდის იყო რუსეთი ჩეჩნების ინტერესების დაცვისთვის იკლავდა თავს? ისინი მიეჩვივნენ ასეთ ულოგიკო ბრალდებებს, რადგან არავინ პასუხობდა, თითქმის ყველა ოჯახი, ჩემი არ იყოს, ამოწყვეტით იყო დაშინებული... მათ მართლა ჰგონიათ, რომ ეს სისულელეები და ტვინის გამორეცხვა ვინმეზე მოქმედებს? როდესაც ვამბობ, ხალხო, ნატყვიარევი არ დაიკარგოს, რადგან ამით უნდა დადგინდეს ეს ხალხი მართლა ჩახოცილია, თუ არა - ეს რუსეთის ინტერესია? თუ პირიქით, ამის დამალვა სააკაშვილის რეჟიმის ინტერესია?

**- გიორგაძეს დაკავშირების მცდელობა აღარ ჰქონია?**

- არა. ჩემთვის ეს დღეს წარმოუდგენელია.

**- როგორ ვიცი, თქვენ ჩვენება ჩამოგართვეს პროკურატურაში...**

- პროკურატურაში არა, შინაგან საქმეთა სამინისტროში...

**- ამას მოჰყვა რამე? ჰქონდა ამ ფაქტს სამართლებრივი გაგრძელება?**

- არა.

**- რა ხდება? შსს არ ქტიურობს, პროკურატურა მაია ნიკოლეიშვილს ბლოკავს...**

- შესაძლოა, ეს არის კომპლექსი, რომ მაია ნიკოლეიშვილი ოდესღაც იდგა გიორგაძის გვერდით. მე ეს მესმის, მაგრამ 6 წლიწადი ჩემს ცხოვრებაში აბსოლუტური სიბნელე იყო, როდესაც შენ მხოლოდ არსებობის უფლებას გაძლევენ. ეს კი, იმ დროს, როდესაც აბსოლუტურად ყველა კავშირი მქონდა გაწყვეტილი გიორგაძესთან. კვირაში ერთხელ პრობაციაში თითის ანაბეჭდებზე დავდიოდი. კი, შესაძლოა ეს უფრო მსუბუქია, ვიდრე ციხეში ყოფნა, მაგრამ ჩემთვის და ჩემი თავმოყვარეობისთვის ეს ძალიან მძიმე იყო. ამ ქვეყანაში მხოლოდ სუნთქვის უფლებას მაძლევდნენ და მეტი არაფერი. ამ ფონზე, წარმოიდგინეთ, უცებ იცვლება ყველაფერი, ადამიანი ბედნიერი ხარ, რომ რაღაც სხივი გაჩნდა და ფიქრობ, რომ ცხოვრების უფლება გეძლევა და... უცებ ხედავ, რომ რაკი ოდესღაც შეცდომა დავუშვი ჩემს პოლიტიკურ არჩევანში, დღესაც რკინის ფარდის მიღმა უნდა დავრჩე. რა ხდება, საბჭოთა კავშირია? რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ნუთუ იმ ერთი წლის გარდა მაია ნიკოლეიშვილს არ უცხოვრია? არაფერი გაუკეთებია?

**- იმედგაცრუებული ჩანხართ...**

- არ ვარ იმედგაცრუებული, პირიქით, ბრძოლის ჟინმა გაიღვიძა, იმ ჟინმა, უფლებათადამცველობისას რომ მქონდა და დამოუკიდებელი ექსპერტი რითიც ვიყავი. უბრალოდ, პროცესებს რომ ვაანალიზებ, პარალელებს ვხედავ 1997 წლის პერიოდთან საკანონმდებლო სივრცეში: საბჭოთა სისხლის სამართლის მემკვიდრე კოდექსით ხელში ვცხოვრობდით დამოუკიდებელ სახელმწიფოში! დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობა, რითაც ვცხოვრობთ და რაც მიხეილის რეჟიმის მახინჯი პირმშოა, კუს ნაბიჯებით იცვლება. შეჯიბრებითობის თვალსაზრისით და მტკიცებულებების წონადობის თვალსაზრისით, მიშას კანონმდებლობას ლამის საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობა სჯობს. მოკლედ, 1997 წელს, ჩემს სპეციალობაში ალტერნატიულ ექსპერტიზას ნულიდან ვიწყებდი, სამწუხაროდ, ახლაც ნულიდანაა დასაწყები. საკანონმდებლო ცვლილებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ძალოვანთა მენტალიტეტის შეცვლის გზით.

# რატომ დაიწყო

მარიამ ნადირაძე

**გასულ კვირას საქართველოს „ფებეერის“ შეფი ეწვია. ოფიციალურად კი განგვიცხადეს, რომ ის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გახსნას დაესწრო. ბავშვმა თუ არა, ცოტა მოზრდილმა უკვე კარგად იცის საქართველოს უახლესი ისტორიის გამოცდილებით, რომ ასეთი რანგის ადამიანების ვიზიტი მხოლოდ იმ შემთხვევისთვის იგეგმება, როდესაც კონკრეტულ ადრესატამდე მისატან შეტყობინებას ვერც ტელეფონებს ანდობენ და ვერც საელჩოს თანამშრომლებს. ამ სამსახურის ერთ-ერთი შეფი, ლუის ფრი 2001 წელსაც იყო საქართველოში, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე გიორგი სანაიას მოკლავდნენ. იგივე მოხდა მოგვიანებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ჟვანიას გარდაცვალების დროსაც... ამდენად, შესაძლოა, ამიერიდანაც ველოდოთ რაიმე სიურპრიზებს.**

თუმცა, ეს ვიზიტების თემა ირიბად არის კავშირში იმ მთავარ საკითხთან, რომლის შესახებაც ამჯერად გვინდა გიამბოთ:

1993 წელს ორმა ამერიკელმა – ოლდრიჩ ეიმსმა და ფრედ ვუდროფმა მხიარული პიკნიკი მოაწყვეს ბუნებაში, ანანურის ციხესთან სურათები გადაიღეს. ისინი უკვე 23 წელი იცნობდნენ ერთმანეთს, რადგან ორივე ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მუშაობდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვუდროფი ქართველების დასახმარებლად გამოგზავნილი მზვერავი გახლდათ, ეიმსი კი...

ამ დროსტარებიდან ორ კვირაში იგივე გზაზე ვუდროფს კლავენ. ამ მკვლელობისთვის გასამართლებული შარმაიძე აცხადებდა, რომ მან ეს დანაშაული, უბრალოდ, თავის თავზე აიღო.

ვუდროფი თითქმის 30 წლის განმავლობაში ამერიკის კონტრდაზვერვასა და დაზვერვაში მუშაობდა. ამ გამოცდილებით მან სწრაფადვე გაშიფრა საქართველოს ხელისუფლებაში მოქმედი რუსეთის აგენტურა. როგორც ჩანს, მან ეს ინფორმაცია თბილისში ჩამოსულ კოლეგას, ოლდრიჩ ეიმსს გაანდო...

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ეიმსი 1994 წლის თებერვალს დააპატიმრა რუსეთის ჯაშუშობაზე. 9 წლის განმავლობაში საბჭოთა და რუსეთის დაზვერვისგან 2,5 მილიონი დოლარი ჰქონდა მიღებული. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს...

ვუდროფის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიების ფედერალურ ბიუროში რუსული კვალის ძებნა დაიწყეს. საგამოძიებო მასალებში საუბარია გაწვრთნილ სნაიპერზე, რუსულ სპეცდანიშნულების რაზმ „ალფასა“ და ორ რუსეთზე...

თუ საქართველოში გადმოვინაცვლებთ, გაგვახსენდება, რომ იმ პერიოდისთვის აქაც იყო მსგავსი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც პირდაპირ იგორ გიორგაძეს ექვემდებარებოდა. ისე, შენიშვნისთვის, გიორგაძე ამ მკვლელობის შემდეგ გახდა საქართველოს უშიშროების მინისტრი. და ტერმინ „ორ რუსეთს“ მისი პერსონის განხილვის დროსაც ხშირად ახსენებენ ხოლმე...

გასულ ნომერში, ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ემზარ კვიციანი ახსენებს სწორედ იგორ გიორგაძეს, რომელმაც ის კოდორიდან გაიტყუა. მისი მტკიცებით, კოდორის ჩაბარება გაცილებით ადრე დაიგეგმა, ვიდრე ეს რეალურად 2008 წელს მოხდებოდა...

თუ ისევ ვუდროფის თემას დავუბრუნდებით, იმასაც შეგახსენებთ, რომ მისი ოჯახის ადვოკატი, მაიკლ ფულარა 2005 წელს საქართველოში ჩამოვიდა და საქმის ხელახალ გამოძიებას მოითხოვდა.

ადვოკატი მაიკლ ფულარა, რომელიც საქართველოში ამერიკის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების 12 წლის წინათ მოკლული თანამშრომლის ფრედი ვუდროფის ოჯახის ადვოკატია, საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვს; თუმცა საქართველოს ხელისუფლებას ამ ბუნდოვანი მკვლელობის ხელახალი განხილვის არანაირი სურვილი არ აქვს. ის ამტკიცებდა, რომ ჰქონდა ახალი მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც შარმაიძე უდანაშაულო იყო. ვერაფერს გახდა და ამის გამო სააკაშვილის სტუდენტებთან ერთ-ერთ შეხვედრას დაესწრო, რათა მისთვის დაესვა კითხვა, დაიწყებოდა თუ არა საქმის ხელახალი გამოძიება.

„ჩვენი მთავარი მიზანი სიმართლის დადგენაა. მაგრამ წარმოგიდგენიათ, როგორი რეაქცია ექნებოდა ამერიკულ აუდიტორიას, რომელიმე ქართველს ამგვარი შეკითხვა ჩემი მეგობარი ჯორჯ ბუშისთვის რომ დაესვა? ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის საკანონმდებლო სისტემებს. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ ჩვენი პროცედურები გვაქვს, რომლის დაცვასაც მოვითხოვთ“. – უპასუხა სააკაშვილმა. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ კი იმავე წლის მაისში ვუდროფის ოჯახის მოთხოვნა ხელახალ გამოძიებაზე არ დააკმაყოფილა...

**ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმი“ ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრება:**

**– ბატონო მამუკა, აგვისტოს ომი, ლაფანყურის სპეცოპერაცია, ვუდროფის მკვლელობა, კოდორის დაკარგვა, ჰააგის თემა, ფერადი რევოლუციების ექსპორტი – ამ საკითხების ერთობლივად წინა პლანზე წამოწევა რამეს მიგანიშნებთ? შეიძლება მათი ერთ ჭრილში განხილვა?**

– ყველა ეს თემა დაკავშირებულია ზოგ შემთხვევაში ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან და მეგობრებთან, ზოგ შემთხვევაში კი – ჩვენს მოწინააღმდეგეებთან. ზოგ შემთხვევაშიც დაკავშირებულია ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც, ერთი შეხედვით, არც პარტნიორებად მოიაზრებიან და არც მოწინააღმდეგეებად, მაგრამ მოიაზრებიან ქვეყნებად, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და თავს იყრის სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო, ნახევრად კონფიდენციალური ორგანიზაციები, პიროვნებები, ხდება ისეთი ქმედებები, რაც სხვადასხვა სპეცსამსახურების ყურადღებას იწვევს.

არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა, რომლებიც არ ემსახურებიან ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებს, არამედ ემსახურებიან ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგ შემთხვევაში ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესები განსხვავდება დიდი ქვეყნების ინტერესებისგან. ჩანს, რომ საქართველოს წინა მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს ჰქონდა ამ ტრანსნაციონალური კომპანიების წარმომადგენლებთან გარკვეული შეხების წერტილები, სხვადასხვა მესამე ქვეყანაში. მე შემიძლია დავასახელო ეს ქვეყნები: მაგალითად, ბელორუსი, საამიროები...

**– კონკრეტულად ვის გულისხმობდით?**

– ძირითადად ძალოვან მინისტრებს.

**– ზემოჩამოთვლილი საქმეების წინა პლანზე წამოწევის მიზანი ამ კავშირების გაშიფვრაა?**

– არასწორი მიდგომა აქვს ქართულ მედიას, რომ თითქოს საერთაშორისო თანამეგობრობა მწვავედ აღიქვამს დაკავებების პროცესს და ამას „ნაციონალური მოძრაობის“ შევიწროებად აღიქვამს. ამას ასე საერთაშორისო თანამეგობრობა კი არ აღიქვამს, არამედ ის ძალები, რომლებსაც სჭირდებათ ეს ხელისუფლება აქ. ის ძალები ზოგ შემთხვევაში ააქტიურებენ ევროპარლამენტის წარმომადგენლებს და ზოგიერთ მედიასაშუალებას, რომლებიც მათ კონტროლქვეშ არიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებით ფაქიზი დამოკიდებულება აქვთ, მაგალითისთვის, იმ ძალებს, რომლებსაც ნეოკონსერვატორებს ეძახიან. ნეოკონსერვატორები არ არიან რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, თუმცა ასეთებიც არიან, მაგრამ ძირითადად გარკვეული პოლიტიკური ძალების მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები გახლავან, რომლებსაც აქვთ თავიანთი ინტერესები. მიმაჩნია, რომ ამ ინტერესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. თუმცა, ეს საუბარი შორს წაგვიყვანს. მე მინდა გითხრათ, რომ წინა ხელისუფლებას აქვს ძალიან კარგი კონტაქტები როგორც პოლიტიკური, ისე ნახევრად პოლიტიკური მსოფლიოს გავლენიან ფარულ წრეებში, რომლებიც ცდილობენ, აკონტროლონ არა მარტო სახელმწიფოები, არამედ რეგიონები და ძირითადად, ამ კონტროლის თემა არის

**რა კავშირი აქვთ ვანო მერაბიშვილსა და გივი თარგამაძეს საიდუმლო ორგანიზაციებთან**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 2008 წლის ომი? – აქამდე უცნობი ვერსია

## მამუკა არეშიძე: „საბრძოლო მოქმედებები ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ამერიკაში წინასაპრეზიდენტო პიარკამპანიას“



**„წინა ხელისუფლებას აქვს ძალიან კარგი კონტაქტები როგორც პოლიტიკური, ისე ნახევრად პოლიტიკური მსოფლიოს გავლენიან ფარულ წრეებში, რომლებიც ცდილობენ, აკონტროლონ არა მარტო სახელმწიფოები, არამედ რეგიონები“**

**EXCLUSIVE**

**„თუ სააკაშვილს თეთრი სახლის დღევანდელი მეპატრონეების თვალში დაუმტკიცდა ორმაგი თამაში, მისი საკითხი გადაწყვეტილია“**

ენერგომატარებლების კორიდორები. ნავთობთან არის მიბმული ეს ყველაფერი. დღევანდელი ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს ამ კონტაქტების დეზავიურებას, ჩაჭრას და აქედან გამომდინარეა საერთაშორისო თემებთან მიბმული საკითხების წინ წამოწევა.

**– და ეს სტრატეგია გაამართლებს? ამ კონტაქტებს ჩაჭრის რეალურად?**

– იცით, რატომ მოხდება ეს? სხვადასხვა ტიპის ფაქტები ჩამოთვალეთ თქვენ. ყველასთან ერთნაირი მიდგომა არ იქნება სწორი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წარმომადგენლისა და ზოგიერთი პარტნიორის დარწმუნება იმაში, რომ ეს ის პოლიტიკური ძალა აღარ არის და მასთან კონტაქტი აღარ ღირს.

**– და ეს ყველაფერი არ მიემართება სააკაშვილის ჩიხში მოქცევისკენ?**

– სააკაშვილი ჩიხშია ისედაც. რასაკვირველია, ამ ქმედების შედეგი იქნება ზუსტად ის, რასაც თქვენ გულისხმობთ მის ჩიხში მოქცევად. მაგრამ, ალბათ, ეს არ არის მთავარი ამოცანა. მთავარი ის არის, რომ იმ კონტაქტების აქტივირება ვერ მოახდინოს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, რომელიც მას ჰყავს დასავლეთში, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში.

**– ვუდროფის მკვლელობის წინა პლანზე წამოწევას უკავშირებთ იმ ფაქტს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ 2005 წელს არ დააკმაყოფილა მისი ოჯახის მოთხოვნა ხელახალ გამოძიებაზე. ადვოკატს სერიოზული მტკიცებულებები ჰქონდა...**

– ეს მხოლოდ ხელისუფლებების თემა არ არის. მსხვილი მოთამაშეები, რომლებიც მუშაობენ რეგიონში, ისინი აქ იმყოფებიან 90-იანი წლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, პერსონები შეიცვალონ, ინტერესები რჩება და მის უკან მდგომი ძალები იგივეა. ამიტომ ეს თემა უნდა განვაზოგადოთ, რადგან ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, ეს ძალები კი რჩებიან. ამიტომ ისინი ყოველთვის ახერხებენ კონკრეტულ ხელისუფლებებთან მოლაპარაკებას. თუ ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ რაც თქვენ თქვით 2005 წელთან დაკავშირებით, ეს ასეც მოხდებოდა. თუ არ დაემთხვევა, მაშინ იმ ადვოკატის ვიზიტსაც სხვა შედეგი ექნებოდა.

**– ჩამოსული იყო „ფებეერის“ შეფი ლაბორატორიის გახსნაზე. რა შეიძლება იყოს მისი ჩამოსვლის მიზეზი?**

– რასაკვირველია, მე არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია, კონკრეტულად რა გზავნილი ჩამოიტანა ამ ადამიანმა, თუმცა ლაბორატორიის გახსნა, უბრალოდ, დაუკავშირეს მის ჩამოსვლას, თორემ ის რეალურად უკვე დიდი ხანია გახსნილია. ჩემი ინფორმაციით, „ფებეერის“ შეფის პირდაპირ მოვალეობაში არ შედის ასეთი ლაბორატორიების გახსნა, ეს უფრო „ცერეუს“ პრეროგატივაა. მე ვფიქრობ, რომ მისი აქ ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი და თემა მაინც ჩეჩნებია. ძალიან საინტერესო გზავნილი მომივიდა შტატებიდან. ერთი პიროვნება მწერს მე, როგორც კავკასიის საკითხებში ექსპერტს, ხომ არ შემეძლება ვუშუამდგომლო საქართველოს ხელისუფლებასთან, რომ ცარნაევის დასაფლავება მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ამერიკაში ვერ ხერხდება ეს პროტესტის გამო, რუსეთი კი უარს ამბობს, მიიღოს მისი ცხედარი. ეს ქალბატონი ქართველია, მიმითითებს მის ტელეფონის ნომერს და ერთ-ერთი ჩეჩენი უფლებადამცველის ტელეფონს იმ შემთხვევისთვის, თუ თანხმობა იქნებოდა ქართული მხრიდან. გარდა ამისა, მას მოჰყავს სერიოზული ეპიზოდი, რომ, თუ გუანტანამოს პატიმრები მიიღო საქართველომ და ამით დაეხმარა შეერთებულ შტატებს, ხომ შეიძლება ისევ გადადგას ასეთივე კეთილი ნების ნაბიჯი, მით უმეტეს, რომ საქართველოში ცხოვრობენ ვაინახები. დაახლოებით სამ საათზე მივიღე ეს წერილი. 6 საათზე კი მოვიდა მეორე წერილი მადლობის გადახდით და შეტყობინებით, რომ მას ასაფლავებენ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და საქართველოს მხრიდან აქტივობა საჭირო აღარ არის. ეს წერილი თავისთავად მიგვანიშნებს განსაკუთრებით მაღალ საზოგადოებრივ შეშფოთებაზე, რომელიც არის ამერიკაში და იმ განწყობებზე, რომლებიც იქ არის გაჩენილი. სხვათა შორის, „ფებეერის“ შეფის ვიზიტის ერთ-ერთი ამოცანა, ალბათ, ისიც არის, რომ ნუსხა, რომელიც ეხება ცარნაევს, ლაფანყურის ოპერაციას, ჩეჩნებთან ურთიერთობის გამოცდილებას, რაც აქვს საქართველოს მხარეს, ყველაფერი ეს ყოფილიყო ერთ პაკეტში მოთავსებული და გაზიარებული ამერიკული მხარისთვის. შეიძლება ამ პაკეტში ჩაიდოს ჩვენი მოქალაქეების მონაწილეობაც სირიის პროცესებში. ნუ დაგვავიწყდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ცოტა ზერელე დამოკიდებულებაა მოქალაქეობისადმი, დასავლეთში ამ პრინციპს ძალიან მაღალ დონეზე აყენებენ და საქართველოს ათამდე მოქალაქე მონაწილეობს იქაური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებში და ორი მათგანი უკვე დაღუპულია.

**– არის მოსაზრება, რომ საუბრის დასაწყისში ჩამოთვლილი საკითხებით იწყება სააკაშვილის რეალური შევიწროება, გაშიშვლება...**

– მიდით ვთქვათ, რაც აქამდე არ მითქვამს. „ფარ ვესტ“ არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მყარად აქვს ფეხი მოკიდებული ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მათ შორის ბელორუსში, ვენაში. მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა არის სტამბულში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა აქვთ დუბაიში. მიაქციეთ ყურადღება „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი თავკაცის ხშირ ვიზიტს მინსკსა და დუბაიში. შემიძლია დაგისახელოთ ამ ორგანიზაციის თანამშრომელი, ეს არის ანტონ სურკოვი. სხვათა შორის, ეს პიროვნება ორჯერ გამოჩნდა საქართველოში. პირველად ეს იყო მაშინ, როდესაც ზურაბ ჟვანიამ ჩამოიყვანა ცნობილი პიარჯგუფი. გახსოვთ, ალბათ, რა ამბები ატყდა, ჟვანიამ რუსი პიარშიკები ჩამოიყვანაო. თუმცა, გარწმუნებთ, გვარის გარდა, რუსული არაფერი აქვს ამ სურკოვს. მეორედ კი ეს იყო ბათუმის კრიზისის დღეებში, მაშინ, როდესაც ასლან აბაშიძე გაიქცა. ის არის „გრუს“ ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც დიდი ხანია, ეს საქმიანობა მიტოვებული აქვს და სხვა საქმიანობით არის დაკავებული. სურკოვი შარშან გარდაიცვალა, თუმცა მისი ორგანიზაცია დღემდე აქტიურად მუშაობს და ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესების ერთ-ერთი შემსრულებელია. არაერთი უცხოელი დამკვირვებელი ასეთი ტიპის ორგანიზაციებს თვლის სხვადასხვა ტიპის რევოლუციების მთავარ ორგანიზატორ ძალად და იდეოლოგიის შემქმნელად.

**– გივი თარგამაძის საქმეები უკავშირდება მას?**

– სწორედ ეს საქმეები ვიგულისხმე, როდესაც ბელორუსი ვახსენე. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ფიგურაა ბელორუსის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი შეიმანი, რომელთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, გივი თარგამაძის გარდა, ვანო მერაბიშვილსაც. საბოლოო ჯამში, ამ ინტერვიუში რაღაც ინფორმაციის გროვა შევქმენით. ძალიან რთულია, ყველაფერი ერთ ინტერვიუში თქვა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ბევრი პრობლემა, რაც ქვეყანას შეექმნა, ბევრი საკითხი, რაც საზოგადოების თვალწინ ამოტივტივდა და უცებ გაქრა, ბევრი რამ, რაც ჩვენ ამოუხსნელად გვეჩვენება, ეს ყველაფერი დაკავშირებულია კულისებს მიღმა ინტერესებთან, რომელსაც ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, ავანტიურული პიროვნებები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებიან და საქართველოს ყოფილი ხელისუფლება თავისი ავანტიურული ბუნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესებში და როგორც ჩანს, ასრულებდა, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულ დაკვეთას...

**– მკვლელობების ჩათვლით?**

– დიახ, მკვლელობების ჩათვლითაც...

**– ამ ავანტიურის მიზანი რა იყო?**

– მაგალითად, 2008 წლის ომი, ჩემი აზრით, არ იყო მხოლოდ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება. ბუნებრივია, ის ვერსიაც, რომ ეს ყველაფერი მოეწყო იმისთვის, რომ საქართველო ნატოში არ შესულიყო, მოეწყო ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ და კოსოვოს ეპიზოდის საპასუხოდ, ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ამას სხვა ინტერესებიც ჰქონდა. მაგრამ მე მაეჭვებს, რომ ეს საბრძოლო მოქმედებები ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ამერიკაში წინასაპრეზიდენტო პიარკამპანიას. ეს ყველაფერი ძალიან მარჯვედ გამოიყენა პრეზიდენტობის ზოგიერთმა პრეტენდენტმა.

**– მაკკეინს გულისხმობთ?**

– დიახ. მე მაქვს სხვა ინფორმაციაც, რომელიც მიბიძგებს ვარაუდისკენ, რომ მთელი ეს პროცესი სხვა პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ემსახურებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმათ არა, ვინც ჩვენ გვგონია. ვიღაცამ შეიძლება შეთქმულების თეორიის ავტორობა დამაბრალოს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევა არ არის ერთადერთი მსოფლიოში, როდესაც პატარა სახელმწიფოს გამოყენება ხდება სხვა ქვეყნის ინტერესების რეალიზაციისთვის.

**– ეჭვი გაქვთ, რომ მაკკეინის გაპრეზიდენტებისთვის დაიკარგა ქართული ტერიტორიები და დაიხოცა ამდენი ხალხი?**

– ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ, მაგრამ გარკვეული ეჭვების უფლებაც მაქვს, რომელიც მარტო იმ საკითხებით არ არის გამყარებული, რაზეც ჩვენ ახლა ვისაუბრეთ.

**– ამ ყველაფრის ფონზე, დემოკრატების ამერიკა გაწირავს მიშას?**

– თუ მას არა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ, არამედ თეთრი სახლის დღევანდელი მეპატრონეების თვალში დაუმტკიცდა ის ორმაგი თამაში, რასაც ისინი ეჭვობენ, მისი საკითხი გადაწყვეტილია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ძალ-ღონეს არ იშურებს კულუარებში იმისთვის, რომ დაკარგული დაიბრუნონ და ძალიან ეფექტურადაც მუშაობენ.

**– დღევანდელი ხელისუფლების მოხაზულია ეს სტრატეგია, თუ მასაც ჰყავს ქვეყნის გარეთ მრჩევლები?**

– შტატების პოლიტიკურ ისტებლიშმენტშიც არ არის ცალსახა დამოკიდებულება ნებისმიერი საკითხის მიმართ. შეიძლება საქართველოს ხელისუფლება მათ დიდ თამაშებში პატარა ჭანჭიკია და სინამდვილეში ასეც არის, მაგრამ ის ჭანჭიკია, რომლის მოშვებაც აუცილებელია ვიღაცისთვის. ამიტომ ის ვიღაც აუცილებლად გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ გაიგოს რეალური სურათი და რა ნაბიჯებს დგამდა სააკაშვილის ხელისუფლება. ჩვენ მხოლოდ შტატებზე ვილაპარაკეთ, მაგრამ იგივე მდგომარეობაა მოსკოვშიც, სხვათა შორის. ჩვენ, სამწუხაროდ, ვართ იმ რეგიონის შვილები, რომლის თამაშის წესებს ხშირ შემთხვევაში წყვეტენ არა თბილისში, ბაქოში და ერევანში, არამედ სულ სხვაგან. ზუსტად ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ვერ ვახერხებთ, გამოვიდეთ ამ შეკრული წრიდან. იმდენად ვართ მიბმული ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებზე, თუნდაც თბილისი და ბაქო, ერევანი კი – მოპოვებული ტერიტორიის შენარჩუნებაზე, რომ სხვა ინტერესი საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით არ გაგვაჩნია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas
TBILISI




- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.

## დარეკეთ 114-ზე!



- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**



- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გახდება?

ხათუნა მგალობლიშვილი



## ზაზა გაბუნია: „საკრებულოს თავმჯდომარე შეიცვლება, ამას ვადასტურებ“

EXCLUSIVE

## „ახლა რა ბერკეტებიც გვაქვს მაქსიმალურად ვიყენებთ თბილისის მერის გაკონტროლებისთვის“

**თბილისის საკრებულოს კულუარებში უკვე ახალი თავმჯდომარის კანდიდატურას განიხილავენ. „ოცნებას“ ოცნების ასრულებამდე თბილისის საკრებულოში სულ რაღაც 2 კაცი აკლია. ჯერ კიდევ უმცირესობის ლიდერის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, საჭირო რაოდენობის შეკრების შემთხვევაში, ბუნებრივად დადგება დღის წესრიგში თავმჯდომარის შეცვლის საკითხი. როგორც ამბობენ, საკითხი უკვე გადაწყვეტილია და სამადაშვილს ირაკლი შიხიაშვილი ჩაანაცვლებს, თუმცა გაბუნიაც და თავად შიხიაშვილიც ამ ინფორმაციას უარყოფენ.**

ირაკლი შიხიაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრია. საკრებულოში უმრავლესობის ფრაქციას ის 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაემიჯნა. არჩევნების შემდეგ, ზუსტად ორ კვირაში კი, ახალი ფრაქცია - „თავისუფლება“ შექმნა და მხარდაჭერა „ოცნებას“ გამოუცხადა. ყოფილ თანაგუნდელებს კი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლისკენ მოუწოდა და საკუთარი ფრაქციის კარიც ფართოდ გაუხსნა.

შიხიაშვილი არჩევნების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობს „ოცნების“ ფრაქციასთან. ეთანხმება ყველა ინიციატივას, რომელსაც ისინი ახმოვანებენ და თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ უკან მობრუნების შანსი მინიმალურია.

**ირაკლი შიხიაშვილი, საკრებულოს წევრი:**

- ახლა რასაც თქვენ მეუბნებით ჩემთვის სიახლეა, არც ვიცი და საერთოდ, საკრებულოს ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ საკრებულოს წევრები. აქედან გამომდინარე, როცა დადგება ეს საკითხი მაშინ გაირკვევა ვინ გახდება საკრებულოს ახალი თავმჯდომარე. ჩემთან ამ თემაზე კონსულტაციები არ გავლილა და არც საუბარი ყოფილა. თუ ვინმე ამას ლაპარაკობს, პირდაპირ გეტყვით, რომ ასე არ არის. რა იქნება მომავალში, ამაზე იმსჯელებს საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობა, რომლებიც დატოვებენ „ნაციონალურ მოძრაობას“.

**- მსჯელობა ჯერ არ არის დაწყებული?**

- სანამ დათვი არ მოკვდება, ტყავს არ ანაწილებენ, არ შეიძლება. ამიტომ ჯერ რიცხვი ოცდაორი უნდა გახდეს ოცდაოთხი და შემდეგ გამოჩნდება ვინ იქნება.

უმრავლესობის მოპოვების შემდეგ საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევა არ არის ერთადერთი გეგმა. ზაზა გაბუნიას განცხადებით სარეზერვო კომისია გახდება ის ორგანო, რომელიც რეალურად გამოიძიებს უწყების მიერ გახარჯულ მილიონებს და მათ შორის თბილისის მერის ფინანსურ გადაწყვეტილებებს. როდის დაიწყება ახალი ეტაპი, ამაზე დეტალურად ვერ საუბრობენ, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წევრებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს თუმცა არავინ არავის არ აჩქარებს.

**ზაზა გაბუნია, საკრებულოს წევრი:**

- ვადებზე ლაპარაკი მგონია, რომ არ არის სერიოზული, რადგან კალენდარულ ვადებში შეიძლება არ გაიწეროს ეს პროცესი. ისე არ არის, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ იძახის, თითქოს მათ წევრებს ძალოვანები დააშინებენ და ჩვენსკენ გადმოსკუპდებიან. ეს არის ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი, მიმდინარეობს კონსულტაციები და ადამიანები საკუთარ გადაწყვეტილებას მიიღებენ მაშინ, როცა ჩათვლიან, რომ დატოვონ ფრაქცია. თუ არ ჩათვლიან საჭიროდ, მაშინ სხვა მიიღებს ამ გადაწყვეტილებას. ამას დრო სჭირდება და კონკრეტული გრაფიკის შედგენა არ არის სწორი. მთავარი არის ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ძალიან მუშა პროცესს, შევქმენით ოცდაორი კაცისგან შემდგარი ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა მთელი დღის განმავლობაში ხვდება თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს, სამსახურების ხელმძღვანელებს, ვისმენთ მათგან დეტალურად საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის საკითხებს, ვაკონტროლებთ ამ მიმართულებით. ბუნებრივია, ეს არის ერთი კომპონენტი და იმისთვის, რომ გაცილებით ეფექტური იყოს ჩვენი მუშაობა, საჭიროა უმრავლესობის შექმნა, მაგრამ უმრავლესობა ნამდვილად არ არის თვითმიზანი. ეს დროც ბუნებრივად მოვა, ისევე, როგორც, მაგალითად, 11-ის ნაცვლად დღეს უკვე ოცდაორნი ვართ. საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს, არის ასევე შიდა კულუარული ურთიერთობებიც. პოლიტიკა არ არის მხოლოდ საჯარო. ახლა რა ბერკეტებიც გვაქვს, მაქსიმალურად ვიყენებთ თბილისის მერის გაკონტროლებისთვის.



## ირაკლი შიხიაშვილი: „ახლა რასაც თქვენ მეუბნებით, ჩემთვის სიახლეა...“

**- ბუნებრივია, უმრავლესობის შეკრების შემდეგ დადგება საკრებულოს თავმჯდომარის შეცვლის საკითხი, ითქვა, რომ ახალი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გახდება...**

- ჩემთვის არც ირაკლი შიხიაშვილს და არც სხვა ვინმეს კონსულტაციები არ გაუმართავს ამ საკითხთან დაკავშირებით. მეტსაც გეტყვით, არც მე ჩამითვლია საჭიროდ, რომ ამ საკითხზე ვინმესთან მესაუბრა. რა თქმა უნდა, საკრებულოს თავმჯდომარე შეიცვლება, ამას ვადასტურებ, თუმცა ვინ იქნება ეს პიროვნება, ამას გადაწყვეტს არა რომელიმე ფრაქციის თავმჯდომარე, არამედ ეს გადაწყდება კოალიციურ რეჟიმში.

**- როგორი იქნება თქვენი გეგმები უკვე უმრავლესობის შეკრების შემდეგ, რა ცვლილებების გატარებას აპირებთ?**

- სარეზერვო კომისია საკრებულოში არსებობს საკრებულოს არსებობის შექმნიდან, მეორე საკითხია, რამდენად ასრულებს ის თავის რეალურ მოვალეობას. ეს კომისია ან არ ართმევდა, ან ვერ ართმევდა თავს საკუთარ ვალდებულებას, ან უბრალოდ, არ შედიოდა მის ინტერესში. სარეზერვო კომისიის ხელმძღვანელი ყოველთვის იყო გიგი უგულავას თანაგუნდელი და ამით ყველაფერი გასაგებია. რა თქმა უნდა, ჩვენ სარევიზიო კომისიას ბევრად ეფექტურად გამოვიყენებთ. სარევიზიო კომისია იქნება ერთგვარი საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს ყველაფერს, რაც ეხება დედაქალაქს. გიგი უგულავას იმპიჩმენტის საკითხი დადგება, თუკი ამ კომისიაში მის წინააღმდეგ სერიოზული მასალები გამოიკვეთება. რაც შეეხება უშუალოდ მერის, გიგი უგულავას გაკონტროლებას, ვაპირებთ, რომ შევიტანოთ ცვლილებები დედაქალაქის შესახებ კანონში. ჩვენ ვმუშაობთ უკვე ამ საკითხზე და ვაპირებთ, რომ საკრებულოს დავუბრუნოთ ის უფლებები, რომელიც მას 2005 წლამდე ჰქონდა. დღეს ჩვენ ვამტკიცებთ ბიუჯეტს, რომელიც არის გაწერილი, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საშუალება, რომ რეალურად გავაკონტროლოდ რაში და როგორ გაიხარჯა ეს თანხები. სიტყვიერი შეტყობინება ახლაც ხდება, მოდიან და გვეუბნებიან, რომ თანხები სამართლიანად გაიხარჯა, მაგრამ მხოლოდ განცხადებები არ არის საკმარისი, მტკიცებულებად. გამჭირვალე უნდა იყოს საბიუჯეტო პროცესი. ეს არის ერთ-ერთი ცვლილება რის გატარებასაც ვაპირებთ. ვგეგმავთ, რომ გამგებელი იყოს ანგარიშვალდებული საკრებულოს წინაშე.

## „სარევიზიო კომისია იქნება ერთგვარი საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს ყველაფერს, რაც დედაქალაქს ეხება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აბორტის აკრძალვა



**my View**
**თამარ გორთამაშვილი**

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, წლიურად 36 000 აბორტი კეთდება, არაოფიციალური მონაცემებით კი, აბორტების წლიური რაოდენობა 100 000-ს აღემატება. დემოგრაფიული კრიზისი თუ თავისუფალი არჩევანი? განხილვები და მსჯელობა ამ საკითხზე მას შემდეგ დაიწყო, რაც პატრიარქმა სააღდგომო ეპისტოლეში ახალი ინიციატივა გააჟღერა.**

„ვისაც ეკონომიური პრობლემების გამო შვილის გაჩენა არ სურს, ან სხვა რაიმე მიზეზით მუცლადღებული ნაყოფი მისთვის მიუღებელია, გთხოვთ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ ცოდვას, თუ თქვენ ვერ ახერხებთ მის გაზრდას, ეკლესია უპატრონებს მათ...

დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისთვის (რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული). მანამდე კი, მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად. მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა“. – პატრიარქის ამ მოწოდებას ხელისუფლების გამოხმაურებაც მოჰყვა, თუმცა არაერთგვაროვანი.

„აბორტის აკრძალვა არ არის დემოგრაფიული პრობლემის გადამწყვეტი“, – ამის შესახებ განცხადება ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. მისი შეფასებით, პატრიარქი სწორად აქცევს აბორტის პრობლემას ყურადღებას. **ბიძინა ივანიშვილი:** „მარტო ეს არ არის დემოგრაფიული პრობლემის გადამწყვეტი. დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრას სჭირდება ის, რასაც მე მუდმივად გავიძახი. ეს არის ეკონომიკა. ეკონომიკის აღორძინება უნდა მოხდეს, ოჯახებს მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ და ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს“.

ინიციატივა აქვს იუსტიციის მინისტრსაც. თეა წულუკიანი მშობლებისთვის ბავშვის სქესის წინასწარი შეტყობინების აკრძალვას დასაშვებად მიიჩნევს. რაც შეეხება აბორტის აკრძალვას, წულუკიანი შიშობს, რომ ასეთ შემთხვევაში პროცესი სარდაფებსა და სხვა ანტისანიტარიულ ადგილებში გადაინაცვლებს. წულუკიანი ამბობს, რომ ის, როგორც საერო პირი, აბორტის აკრძალვას მხარს ვერ დაუჭერს.

**თეა წულუკიანი:** „როდესაც უწმინდესმა აბორტების აკრძალვაზე ბრძანა, მან საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ისაუბრა. არ მგონია, რომ აბორტის კანონმდებლობით აკრძალვა, ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ვშიშობ, რომ აბორტის აკრძალვის შემთხვევაში, თუკი საქართველოს ხელისუფლება ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, ახალგაზრდა ქალები, ახალგაზრდა გოგონები მაინც გაიკეთებენ, იქნება ეს სარდაფები თუ სხვა ანტისანიტარიული ადგილები, იმ ადამიანების ჩარევით, რომლებსაც შესაბამისი კვალიფიკაცია არ გააჩნიათ. თუმცა მომხრე ვიქნებოდი ერთადერთი აკრძალვისა – ეს არის მშობლებისთვის სქესის წინასწარ შეტყობინება. ძალიან ბევრ შემთხვევაში, აბორტი ისეთ დროს კეთდება, როცა ოჯახი ბიჭს ელოდება, არ უნდა ჰყავდეს გოგო და როცა სქესს შეიტყობს, სქესის გამო ნაყოფის მოცილება ხდება. ჩემი აზრით, სანამ დემოგრაფიული მდგომარეობა ასეთ დღეშია, ურიგო არ იქნებოდა, ეს აკრძალულიყო. თუმცა სხვა ტიპის, უფრო შორსმიმავალ აკრძალვებს, მე, როგორც საერო პირი, მხარს ვერ დავუჭერდი“.





აბორტის საწინააღმდეგო აქცია რიგაში

## ქალთა უფლებადამცველები აბორტის აკრძალვას ეწინააღმდეგებიან

საქართველოში დაბადებული ვაჟების რაოდენობა რამდენჯერმე რომ აღემატება გოგონების რიცხვს, ამას სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს. ჯერარდაბადებული ჩვილის სქესის წინასწარ გაგება, მშობლებს იმ არჩევანს აძლევს, რომელიც ჩანასახშივე უსპობს ჩვილს სიცოცხლის უფლებას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფით ემუქრება. დისბალანსი, რომელიც უკვე სახეზეა, საერთაშორისო ორგანიზაციებს განგაშის საფუძველს აძლევს და სავსებით საფუძვლიანად.



**თამარ ჩიბურდანიძე:** „ამ საკითხთან მიმართებაში უნდა იყოს ერთობლივი მუშაობა, როგორც სახელმწიფოდან, ისე ეკლესიიდან. მართალია, მართლმადიდებლობა ძალიან ჰუმანური რელიგიაა, მაგრამ ამ საკითხთან მიმართებით, ვფიქრობ, მეტი სიმკაცრეა საჭირო მრევლთან დამოკიდებულებაში, აბორტის თემა არ იყო ისეთი სიმწვავით დაყენებული, როგორც უნდა იდგას. ვფიქრობ, ეს არის საზოგადოების თვითშეგნების საკითხი. საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, წლიურად 36 000 აბორტი კეთდება, ხოლო არაოფიციალური მონაცემებით, ეს 100 000-ს აღემატება. ანუ საქართველოში ერთ დღეში 300-ზე მეტი სიცოცხლე კვდება. ეს არის საგანგაშო მონაცემები და ბუნებრივია, ამ პრობლემაზე სახელმწიფომ, საზოგადოებამ და ეკლესიამ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ, იმისთვის, რომ ეს კატასტროფული მონაცემები თავიდან ავიცილოთ და ეს სახელმწიფოში დარეგულირდეს. ჩვენ ველოდებით კომისიის დასკვნას, რომელიც იქმნება და ამ კვირაში უკვე იქნება ამის წარდგენა პარლამენტში, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას, უნდა აიკრძალოს თუ არა აბორტი კანონით. ჩვენ მათ მიმართ გვექნება ლოგიკური კითხვები და იმედი გვაქვს, პასუხსაც მივიღებთ. ველით დასკვნას, რატომ უნდა აიკრძალოს ან რატომ არ უნდა აიკრძალოს აბორტი საქართველოში. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ აღდგომის მეორე დღესვე გასცა დავალება, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამ საკანონმდებლო ინიციატივას მოამზადებს. რა თქმა უნდა, იქ იქნება არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. კომისიაში არიან სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებული პოზიციის მქონე პიროვნებები, სპეციალისტები, მათ შორის მოწვეულია წარმომადგენელი საპატრიარქოდან, სასულიერო და არა საერო პირი, რომელიც დაიცავს საპატრიარქოს პოზიციებს და ამ კომისიის დასკვნა, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება, უნდა აიკრძალოს თუ არ უნდა აიკრძალოს საქართველოში აბორტი კანონით“.

არის თუ არა გამოსავალი აბორტის აკრძალვა? ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. საფუძვლიანია იმის შიშიც და ამის მაგალითებიც არსებობს, რომ აბორტის აკრძალვის შემთხვევაში პროცესი იატაკქვეშ გადაინაცვლებს, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას. ამ შემთხვევაში უკვე ორსულთა სიკვდილიანობის საფრთხეა, რადგან იატაკქვეშ, როგორც წესი, ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა, არაკანონიერს რომ თავი დავანებოთ, არასტერილურია. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ „პრაიმტაიმი“ ერთი წლის წინათ თავის ჟურნალისტურ გამოძიებაში წერდა, როდესაც ჩვენი ვითომ 14 კვირის ორსული ჟურნალისტი ექიმთან მივიდა, მან სწორედ სახელდახელოდ მოწყობილ „საოპერაციოში“ მიიყვანა და აბორტის დღეც დაუგეგმა. ამ მასალას მაშინ სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა, რაც იმ ექიმის სამსახურიდან განთავისუფლებითა და ლიცენზიის ჩამორთმევით დასრულდა, თუმცა შეწყვიტა თუ არა მან უკანონო მოქმედება, ეს უკვე ძნელი სათქმელია.

**ია ვერულაშვილი: „აბორტის აკრძალვა კანონის ძალით არ იქნება შედეგიანი. საქართველოში იყო ერთი პერიოდი აბორტი აკრძალული და ძალიან იმატა იმ დროს ქალთა სიკვდილიანობამ, რადგან კრიმინალური აბორტები კეთდებოდა. აკრძალვა არ უნდა მოხდეს, არსებობს სხვა გამოსავალი – უნდა შეიქმნას ფონდი, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ თითოეულ დაბადებულ ბავშვს გაეწიოს სათანადო მატერიალური დახმარება გარკვეულ ასაკამდე“**

ქალთა ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ია ვერულაშვილიც სწორედ იმ სავალალო შედეგებზე საუბრობს, რომელიც, აბორტის აკრძალვის შემთხვევაში, შეიძლება არალეგალურად გაკეთებულ ოპერაციას მოჰყვეს. რაც მთავარია, ვერულაშვილი შიშობს, რომ ასეთი შემთხვევები აკრძალვის პირობებში კიდევ უფრო გახშირდება, რაც ქალთა სიკვდილიანობას გაზრდის. გარდა ამისა, ქალთა ცენტრის ხელმძღვანელი ქალთა უფლებისა და მისი არჩევანის შეზღუდვაზე საუბრობს, რაც, მისივე თქმით, დაუშვებელია. ვერულაშვილი გამოსავალს სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლაში ხედავს, კერძოდ კი, მისი განცხადებით, პრობლემა მაშინ მოგვარდება, როცა სახელმწიფო თითოეულ დაბადებულ ბავშვზე გარკვეულ ასაკამდე იზრუნებს, ისევე როგორც ეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშია.

**ია ვერულაშვილი:** „დემოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველოში ძალიან სავალალო მდგომარეობაა. საგრძნობლად იკლო მშობიარობის რიცხვმა, ამიტომ ამ კუთხით სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. მივესალმები პატრიარქის მოწოდებას, მაგრამ აბორტის აკრძალვა კანონის ძალით, არ იქნება შედეგიანი. საქართველოში იყო ერთი პერიოდი აბორტი აკრძალული და ძალიან იმატა იმ დროს ქალთა სიკვდილიანობამ, რადგან კრიმინალური აბორტები კეთდებოდა. აკრძალვა არ უნდა მოხდეს, არსებობს სხვა გამოსავალი – უნდა შეიქმნას ფონდი, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ თითოეულ დაბადებულ ბავშვს გაეწიოს სათანადო მატერიალური დახმარება გარკვეულ ასაკამდე. ასეთი პროგრამა ძალიან ბევრ ქვეყანას აქვს. ეს ფონდი უნდა იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში. ეკლესიამ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს და არა ის, რომ მშობლებისგან უარყოფილი ჩვილები შეიფაროს. ეს არ იქნება გამოსავალი, რადგან არც ერთი მშობელი, ეს ფსიქოლოგიურადაც დამტკიცებულია, არც ერთი ნორმალური ქალი, რაც არ უნდა უჭირდეს, ბავშვს არ ჩააბარებს სადღაც.

გარდა ამისა, აბორტის აკრძალვა ზღუდავს ქალის არჩევანის უფლებას. აბორტი არ უნდა აიკრძალოს, უნდა იყოს. მე რეპროდ-



**თეა წულუკიანი: „ძალიან ბევრ შემთხვევაში, აბორტი ისეთ დროს კეთდება, როცა ოჯახი ბიჭს ელოდება, არ უნდა ჰყავდეს გოგო და როცა სქესს შეიტყობს, სქესის გამო ნაყოფის მოცილება ხდება. ჩემი აზრით, სანამ დემოგრაფიული მდგომარეობა ასეთ დღეშია, ურიგო არ იქნებოდა, ეს აკრძალულიყო. თუმცა სხვა ტიპის, უფრო შორსმიმავალ აკრძალვებს, მე, როგორც საერო პირი, მხარს ვერ დავუჭერდი“**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გამოსავალი არ არის

უქციული უფლებებისა და ჯანმრთელობის ევროპის ქსელის წარმომადგენელი ვარ. ევროპაში, სადაც აბორტი აკრძალულია, ქალთა უფლებები სასწაულად ირღვევა და უფრო მეტსაც გეტყვით, იქ აბორტი დაშვებულია, თუ არის რაიმე სახის ანომალია, მაგრამ იმდენი დრო სჭირდება ამ ანომალიის აღმოჩენას, დამტკიცებასა და შესაბამისი საბუთების შეგროვებას, რომ აბორტის გაკეთება უკვე შეუძლებელი ხდება. ამიტომ ბავშვები იბადებიან დაუნის სინდრომით და სხვადასხვა დაავადებებით. უამრავი საჩივარია სტრასბურგში ამასთან დაკავშირებით. ექიმი ვერ წყვეტს, თუ მას არ ექნება დასაბუთება. ევროპაში ერთი ექოსკოპიითა და ერთი ექიმის დასკვნით არ კეთდება აბორტი. ამიტომ ვამბობ, აბორტი უნდა იყოს ნებადართული ისე, როგორც დღეს არის, მაგრამ ეკლესიამ და სახელმწიფომ უნდა იმუშაოს საზოგადოების თვითშეგნებაზე, ინფორმირებულობაზე, თუ რა გავლენა აქვს აბორტს თავად ქალის ორგანიზმზე და ა.შ. ეს პროგრამა სკოლებშიც უნდა დაინერგოს, რომ პატარა ასაკიდან იცოდეს ბავშვმა ყველა ის საკითხი, რაც შემდგომ ძალიან ბევრ პრობლემას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას“.

ასე რომ, როგორც ჩანს, ეს პრობლემა მხოლოდ აკრძალვით არ გადაიჭრება. ეკლესია კი მზადყოფნას აცხადებს უარყოფილ ჩვილთა პატრონობაზე, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურად შესრულებადია ეს კეთილი ნება, როცა საქართველოში ჯერ კიდევ იხოცებიან შიმშილითა და მშობელთა დაუდევრობით ამ ქვეყნად უკვე მოვლენილი ჩვილები. ძნელი სათქმელია იმიტომაც, რომ ეკლესიის მრევლი, რომელიც დღეს აბორტის, როგორც უდიდესი ცოდვის, აკრძალვას მოითხოვს, როგორც წესი, ნაკლებად ფიქრობს, ან საერთოდაც არ ახსოვს ის ბავშვები, ვინც XXI საუკუნის საქართველოში მათ მეზობლად შიმშილით იხოცებიან. ამიტომაც ეს საკითხი სერიოზულ განხილვას მოითხოვს და სენსიტიურია იმდენად, რამდენადაც მედლის ორივე მხარეს პრობლემას ვაწყდებით. ყველაზე საუკეთესო გამოსავალი სწორი რეგულაციაა, რომელიც არც ადამიანის სიცოცხლის უფლებას დაარღვევს და არც ქალის არჩევანს შელახავს.





EXCLUSIVE

## „ჩემი სხეული – ჩემი არჩევანი“

**თამარ ჩიბურდანიძე:** „მართლმადიდებლობა ძალიან ჰუმანური რელიგიაა, მაგრამ ამ საკითხთან მიმართებით, ვფიქრობ, მეტი სიმკაცრეა საჭირო მრევლთან დამოკიდებულებაში. აბორტის თემა არ იყო ისეთი სიმწვავით დაყენებული, როგორც უნდა იდგას. ვფიქრობ, ეს არის საზოგადოების თვითშეგნების საკითხი“



# LGBT ადამიანები: „ჩვენ პროპაგანდას არ ვეწე

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

„მუდმივად მიწევს მტკიცება, რომ მეც ადამიანი ვარ და უკვე შემდეგ იმის მტკიცება, რომ ვარ თანასწორუფლებიანი“... ქართველი **LGBT** ადამიანები აცხადებენ, რომ საქართველოში მათი უფლებები დარღვეულია, მათი პრობლემებით არავინ ინტერესდება და ხდება მათი გათანაბრება სექსმუშაკებთან ან ნარკოდამოკიდებულებთან. მათივე სტატისკიტიკის მიხედვით, ყოველი მესამე **LGBT** მოქალაქე ხდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური შანტაჟის მსხვერპლი, თუმცა მთელი ქვეყნის მასშტაბით თითქმის არც ერთ სასამართლოში არ შესულა მსგავსი დანაშაულის საქმე. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის, „იდენტობის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსგავსი პრაქტიკის უქონლობა საკითხის იგნორირებასთან არის დაკავშირებული.

17 მაისი მსოფლიოს 120 ქვეყანაში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღედ აღინიშნება. ასევე, ხდება საქართველოშიც, თუმცა ყოველ წელს **LGBT** მოქალაქეების შეკრებას შეტაკებები და დაკავებები მოჰყვება ხოლმე. თავად **LGBT** ადამიანები ამას განათლების პრობლემას უკავშირებენ და აცხადებენ, რომ მანიფესტაციის შესახებ კანონი ყველასთვის თანაბრად მოქმედებს. თუმცა არის მეორე მხარე, რომელიც მუდმივად იმუქრება და ხშირ შემთხვევაში ახორციელებს კიდეც აგრესიას. მათი პოზიცია ხშირ შემთხვევაში ერთნაირია: ჩვენ არავის ვუვარდებით სახლში და ისინიც ნუ ჩაგვიტარებენ გეი-აღლუმს.

„იდენტობის“ ერთ-ერთი დამაარსებლის, დავით შუბლაძის განცხადებით, ეს არ არის არც გეი-აღლუმი და არც გეი-პარადი, ისინი უბრალოდ ცდილობენ საკუთარი არსებობის დაფიქსირებას და პრობლემების საზოგადოებასთან მიტანას. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე დიდი ზეწოლა ახალგაზრდა, უფრო სწორად კი მოზარდ **LGBT**-ებს აქვთ. სკოლის ასაკის ბავშვები ყველაზე ხშირად განიცდიან ზეწოლას და თანაც არამარტო საზოგადოებისგან. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის მოსწავლე **LGBT** თავისი ორიენტაციის შესახებ მშობლებს გაუმხელს, მათი უმრავლესობა შვილის წინააღმდეგ იწყებს მოქმედებას. არის ფაქტები, როცა შვილებს მონასტერშიც აგზავნიან გამოსასწორებლად.



**დავით შუბლაძე:**

– ჩვენ თანასწორი უფლებით ვსარგებლობთ ყველა. მგონია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოება, რადგან უკვე წინასწარვე კეთდება განცხადებები ხელის შეშლის შესახებ. ეს კი კანონის დარღვევა იქნება. არაფერი უკანონო 17 მაისის აქციაში არ იქნება.

**– ყოველთვის, როცა 17 მაისი აღინიშნება, არის ხოლმე პრობლემები...**

– ჩვენ 2011 წლიდან ყოველწლიურად ვატარებთ ამ შეკრებას. ეს არის საერთაშორისო დღე, ეს არ არის გეი-აღლუმი, არც გეი-პარადი, ეს არის უფლებების დაცვისა და უფლებების მოთხოვნის დღე. ასზე მეტი ქვეყანა აღნიშნავს ამ დღეს და ამის საჭიროებაც არის. რადგან ამ ტიპის მოქალაქეების უფლებები არის დარღვეული, უფლებების მოპოვება საჭიროა და უფლებების მოსაპოვებლად უნდა იბრძოლო.

**– რა უფლებები უნდა მოიპოვონ?**

– ჩემი გამოხატვის უფლება ირღვევა, ეს არ არის უფლებების შეზღუდვა? გეუბნებით, რომ მე მინდა გამოვიდე გარეთ და ვთქვა, რომ მე მაქვს პრობლემები, მაგრამ არავინ მისმენს, არ არის შეზღუდვა? ეს პრობლემები ოჯახურ ძალადობასთან არის კავშირში. ოჯახში სერიოზული პრობლემები ექმნებათ ბავშვებს, როცა მათი მშობლები იგებენ, რომ ისინი ჰომოსექსუალები არიან. არც ისე იშვიათია მოვლენები, როცა მშობლები შვილებს მონასტერში უშვებენ განსაკურნავად. კანონის მხრიდანაც არის შეზღუდვები, მაგალითად, „ელჯიბითი“ მოქალაქეს არ აქვს უფლება, გახდეს დონორი. ის გათანასწორებულია სექსმუშაკთან, ნარკოდამოკიდებულთან და ასე შემდეგ. მაგალითად, ჩემთვის შეუძლებელია სისხლის დონორობა, რაც არის აბსურდი. მასე ნებისმიერი ადამიანი არის საფრთხის შემცველი, თუ მას აქვს დაუცველი სექსუალური კავშირი სხვა ადამიანთან.

„იდენტობის“ წარმომადგენლების განცხადებით, არის გამონაკლისები, როცა ფსიქოლოგიური დახმარების მიზნით მათ ორგანიზაციას, შვილებთან ერთად, მშობლებმაც მიმართეს. ბუნებრივია, მათი ვინაობა გასაიდუმლოებულია და ინდივიდუალური გასაუბრება ხდება, როგორც სკოლის მოსწავლეებთან, ასევე მათ დედებთან.

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ ერთ-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგება 17 მაისის აქციას. ისინი გასულ წელსაც და კიდევ უფრო ადრეც ადგილზე ხვდებოდნენ რუსთაველზე შეკრებილ LGBT მოქალაქეებს და მათ დაშლისკენ მოუწოდებდნენ. გამონაკლისი, როგორც თავად ამბობენ, არც წლევანდელი წელი იქნება.

**დავით უნგიაძე, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თანათავმჯდომარე:**

– ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ქადაგებას, როგორც პროპაგანდას ამ უზნეობისა. ისინი რეალურად ამისთვის იკრიბებიან და ქადაგებენ, რომ ეს არ არის ცოდვა, არ არის შეცდომა. ჩვენ გვექნება რეაქცია ამ შეკრებაზე. დღეს ვერ ვიტყვი, რას გავაკეთებთ, მაგრამ ვიმსჯელებთ ამაზე. ჩვენ პროპაგანდას ვერ დავუშვებთ. თუ გამოვლენ ამ ადამიანების უფლებადამცველები, კი ბატონო, მათ გავესაუბრებით, მაგრამ თუ გამოვლენ თავად ამ ცოდვით დაცემული ადამიანები, მაშინ მათ არ მივცემთ უფლებას, მოახდინონ ცოდვის პროპაგანდა. ეს საქართველოსთვის, ეკლესიისთვის, ჩვენთვის მიუღებელია. მოვიფიქრებთ, როგორ გამოვხატავთ პროტესტს. ჩვენ ეს ადამიანები არ გვეზიზღებიან, პირიქით, გვიყვარს და გვინდა, რომ სწორ გზაზე დადგნენ. ვინც მათ ხელს უწყობენ, სწორედ მათ სძულთ ეს ახალგაზრდები. ჩვენ ეს ადამიანები გვეცოდებიან ასეთი ცოდვისთვის, სწორედ ამიტომ ვცდილობთ, გამოვასწოროთ. სახლებში არ ვუვარდებით, არც შეკრებას ვუშლით, შეიკრიბონ დახურულ სივრცეში, მაგრამ ქუჩაში, სადაც ყველა ხედავს, არ შეიძლება.

**დავით მშვილდაძე: „არც ისე იშვიათია მოვლენები, როცა მშობლები შვილებს მონასტერში უშვებენ განსაკურნავად“**

**– მათ მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამართალდამცავები მოგიწოდებენ, რომ მათ ხელი არ შეუშალოთ, როგორ მოიქცევით ასეთ შემთხვევაში?**

– წინასწარ არ ვიცი, როგორ მოვიქცევით, მაგრამ ერთს გეტყვით – ქადაგებას არ დავუშვებთ.

**– ანუ შეიძლება სამართალდამცავების მოთხოვნას არ დაემორჩილოთ?**

– თუ მათ აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი უფლებები, ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება?

თავად „იდენტობის“ წევრებმა მზადება 17 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს. მათ მედიის წარმომადგენლებისთვისაც კი გამართეს შეხვედრა, სადაც შეკრების გაშუქების წესები განიხილეს. აცხადებენ, რომ LGBT ადამიანებისთვის თითოეულ სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთი სტატია, ან თუნდაც სიუჟეტი შეიძლება სუიციდის მიზეზი გახდეს. ირაკლი ვაჭარაძის განცხადებით, მათ ორგანიზაციას დასახმარებლად ძალიან ცოტა ადამიანი მიმართავს. ისინი ცდილობენ, საკუთარი პრობლემები დამალონ ან უკიდურეს შემთხვევაში, არ შეიმჩნიონ. სწორედ ამავე მიზეზით ხდება სასამართლოში მიმართვის უგულებელყოფაც. მიუხედავად იმისა, რომ ზეწოლის ფაქტების რაოდენობა








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვით, ჩვენ საკუთარ პრობლემებზე ვსაუბრობთ“

# დავით უნგიაძე: „ერთს გეტყვით – ძალადობას არ დავუშვებთ“

## ირაკლი ვაჭარაძე: „უკანასკნელი ორი წილს განმავლობაში ყოველი მესამე „ელჯიბითი“ ადამიანი ხდება ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 89% იყო ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი“

საკმაოდ დიდია. საქართველოდან ამ შინაარსის მხოლოდ ორი სარჩელია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წასული. ერთი მათგანი სწორედ შარშანდელი 17 მაისის შემდეგ გაიგზავნა, როცა მოხდა LGBT მოქალაქეებზე ფიზიკური ზეწოლა. სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ორგანიზაცია „იდენტობასა“ და 17 მაისის მსვლელობის მონაწილეების სახელით არის გაგზავნილი.

**ირაკლი ვაჭარაძე, „იდენტობის“ წარმომადგენელი:**

– 17 მაისი აღინიშნება ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ და მას აღნიშნავენ მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში. ეს არის ადამიანების უფლებების დაცვის დღე, რომელიც აღიარებულია ევროკავშირის მიერ. ამ დღეს ადამიანები იკრიბებიან და გამოხატავენ სოლიდარობას სოციალური ჯგუფის მიმართ. აქციის მიზანი არ არის ის, რომ ვიღაცამ იზეიმოს, მიზანი არის ის, რომ საზოგადოებამ დაინახოს პრობლემები. უკანასკნელი ორი წილს განმავლობაში ყოველი მესამე „ელჯიბითი“ ადამიანი ხდება ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 89% იყო ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი. ფსიქოლოგიურ ზეწოლაში ვგულისხმობ შანტაჟს, ორიენტაციის გამჟღავნების შესახებ მუქარას, იყო ფიზიკური ძალადობის ფაქტები, ცემა, დაზიანება, ქონების განზრახ განადგურება. ჩვენ გვინდა ვისაუბროთ ამ მტკივნეულ პრობლემებზე, დავანახოთ ყველას, რომ ეს ჯგუფი არსებობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ახალგაზრდები რომლებიც სკოლებში სწავლობენ. ისინი ყველაზე მეტად არიან როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ. საზოგადოებამ არ იცის ამ უხილავი ჯგუფის პრობლემების შესახებ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ამ ყველაფრის შესახებ საზოგადოებას ვაცნობოთ.

**– თუმცა საზოგადოების ნაწილის მიერ მაინც პროპაგანდადაა აღქმული17 მაისის შეკრება...**

– თქვენ თუ დააკვირდით ჩემს საუბარს, მე მხოლოდ პრობლემებზე, დაჩაგრული ადამიანების შესახებ ვსაუბრობ. ჩვენ, უფლებადამცველებმა, საზოგადოებამ თითქმის არაფერი ვიცით ამ ფაქტების შესახებ. „ელჯიბითი“ ადამიანები ძალიან მცირე ასაკიდან, სკოლიდანვე ხდებიან ფიზიკური ჩაგვრის მსხვერპლი.

**– თქვენ მიმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არის გარანტიები, რომ შეკრება მშვიდობიანად ჩაივლის?**

– რამდენიმე დღის წინ იუსტიციის მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიცია შეეცდება და უზრუნველყოფს ადამიანების მშვიდობიანი შეკრების უფლებას. გარდა ამისა, ჩვენ და „იდენტობამ“ მივმართეთ როგორც მერიას, ასევე შესაბამის უწყებებს, სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ არ იქნება აგრესია.

**– სკოლის ასაკის ბავშვები ახსენეთ, არის რაიმე ორგანიზაცია, რომელიც მათ ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს?**

– „იდენტობა“ მუშაობს „ელჯიბითი“ ადამიანებთან, თუმცა არა არასრულწლოვანებთან. ამ შემთხვევაში ჩვენთვის აუცილებელია მშობლის ნებართვა. ჩვენთან არის შემთხვევები, როცა მშობლებიც მოყვებიან შვილებს, ანუ მათი თანხმობით იღებენ ჩვენგან ფსიქოლოგიურ დახმარებას. ჩვენ ვეხმარებით ამ სტრესის დაძლევაში. ასევე, ვთავაზობთ უფასო იურიდიულ დახმარებას.

17 მაისის აღნიშვნა კანონით მხოლოდ რუსეთშია აკრძალული. იქ ადამიანებს არ აქვთ უფლება, საკუთარი ორიენტაცია გამოხატონ. შესაბამისად, მათთვის დემოკრატიაც არ არსებობს. თუმცა საქართველოშიც არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მზად არიან, მსგავსი კანონი აამოქმედონ. მაგალითად, „ეროვნული ფრონტი“. მისი ხელმძღვანელი წინასწარვე ავრცელებს განცხადებას და სწორედ რუსეთის ანალოგის შექმნას ითხოვს. „მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, აიკრძალოს სექსუალურ უკუღმართობათა პროპაგანდა, ტირაჟირება, რეკლამირება! ქართველი ადამიანი ვერასოდეს შეურიგდება წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე ჰომოსექსუალიზმისა და სხვა სექსუალურ უკუღმართობათა დაკანონებას, ვერ შეურიგდება, თუნდაც ევროპის კავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ!!!“

თუმცა ჯანსაღი პოლიტიკური ძალები ყოველთვის ცდილობდნენ ამ ადამიანების უფლებების დაცვას. ჯერ კიდევ 2011 წელს გიგა ბოკერია მოუწოდებდა მოსახლეობას, არ გამოეჩინა აგრესია LGBT-ების მიმართ.

**გიგა ბოკერია, 2011 წელი:**

– ცუდია და არ დავუშვებთ, რომ რადიკალურმა ჯგუფებმა უმცირესობის აქციას ხელი შეუშალონ.



თავად LGBT მოქალაქეები თვლიან, რომ თეა წულუკიანმა ყველაზე არაპოპულარული განცხადება გააკეთა, როცა 17 მაისის აქციას გამოეხმაურა. ამბობენ, რომ ეს მინისტრის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს, თუმცა თავად ამ განცხადების გამო ბედნიერები არიან. როგორც იქნა, ვიღაცამ გვაღიარაო...




**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**

– ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა ბიჭი ილვიძებს და ხვდება, რომ მას ქალი კი არ მოსწონს, მოსწონს კაცი. ასეთი რაღაცები არსებობს, ეს ამ ადამიანების გამოგონილი არ არის. როდესაც ადამიანი ილვიძებს ასეთი განცდით და იმის გაცნობიერებით, რომ მე ვარ უმცირესობა. არ შეიძლება, ამის გამო მას ვინმე თავს დაესხას, გალახოს, რადგან ეს არის ბარბაროსობა. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა იზიარებს შეხედულებას, რომ ძალადობა მეორე ადამიანზე არის მიუღებელი. რაც შეეხება შეკრებას, შეკრების თავისუფლება აქვს ყველას, თუკი ისინი არ არღვევენ კანონს, არ მოუწოდებენ ძალადობისა და შუღლისკენ. მიუხედავად იმისა, როგორი მრწამსისა და როგორი სექსუალური ორიენტაციისაა ადამიანი. ეს ადამიანები გამოდიან, რათა თქვან: გამარჯობა, ჩვენ ვარსებობთ, რადგან ისინი ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, მათ შორის თავიანთი მშობლების მხრიდან.

ოპოზიციამ მინისტრი ამ განცხადების გამო პროპაგანდაში დაადანაშაულა. კახა კუკავას მიაჩნია, რომ 17 მაისი სწორედ თეა წულუკიანის ლობირებით ეწყობა.

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“:**

– თეა წულუკიანი, რომელიც ორი კვირის წინ საპატრიარქოს სინოდთან ათანხმებდა ყველა კანონპროექტს, გუშინ გამოვიდა და მთავარი LGBT ომბუდსმენი გახდა საქართველოსთვის. უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რომ 17 მაისის ღონისძიება თეა წულუკიანის ლობირებით ეწყობა.

სხვათა შორის, თეა წულუკიანი პირველი „დამნაშავე“ არ არის, რომელსაც არატრადიციული ორიენტაციის პროპაგანდის ხელშემწყობად ნათლავენ. შუალედურ არჩევნებში ოპონენტები თამარ კორძაიას სწორედ იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ის ერთსქესიანთა უფლებების დამცველად გამოდიოდა. გამარჯვების შემდეგ კი განცხადებაც კი გავრცელდა, სექსუალურ უმცირესობას დამცველი გეყოლებათ პარლამენტშიო... თავად თამარ კორძაიას კი გამუდმებით უწევდა იმის მტკიცება, რომ ის არ ახდენს პროპაგანდას, უბრალოდ, იცავს ადამიანის უფლებებს... სხვათა შორის, კორძაიასგან განსხვავებით, დიმიტრი ლორთქიფანიძე LGBT ადამიანების წინააღმდეგ დაუფარავად გამოდიოდა ყოველთვის. როდესაც მან საკუთარი კანდიდატურა სახალხო დამცველის პოსტზე წარადგინა, ვერ გაიმარჯვა და ეს არც არავის გაჰკვირვებია, არგუმენტი შემდეგი იყო: არ შეიძლება სახალხო დამცველი ჰომოფობი იყოს. ზოგადად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ხშირად ხდება ამ ადამიანების უფლებების დაცვის გამოყენება. ზოგისთვის ეს პლუსია, ზოგისთვის კი – პირიქით, მათთან ბრძოლა ხდება პოლიტიკური პლუსების დაწერის ერთადერთი გზა.

დაარბევენ თუ არა LGBT-ებს 17 მაისს ეს უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროზეა დამოკიდებული. უფრო სწორად, მათ სწორ მოქმედებაზე. განცხადებები, თანაც საკმაოდ აგრესიული, უკვე ბევრმა გააკეთა. მათ შორის ყოფილმა პოლიტპატიმარმა. გიორგი გაბედავა „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ წევრია, თუმცა აცხადებს, რომ აქციის ხელისშეშლას დამოუკიდებლად, ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად აპირებს. როგორც ჩანს, მას არც ინფორმაცია მიუწოდებია ხელმძღვანელობისთვის, რადგან ნანა კაკაბაძის განცხადებით, 17 მაისს არც ერთი მისი პოლიტპატიმარი აქციაზე არც გამოჩნდება და არც ხელს შეუშლის...

**გიორგი გაბედავა, „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“:**

– თითქოს 17 მაისს იმართება უფლებადაცვითი აქცია, სინამდვილეში ეს არის პროპაგანდისტული ხასიათის აქცია, მიდის გარყვნილების პროპაგანდა, ეს არის პირდაპირი დარტყმა ჩვენს ზნეობაზე და მიმართულია ჩვენი თვითმყოფადობის განადგურებისაკენ. მე, როგორც ყოფილმა პატიმარმა და ამ საქმის გამო ერთხელ უკვე დაკავებულმა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მე არც ციხის მეშინია და არც რეპრესიის, ერთხელ უკვე ამის გამო მოვიხადე სასჯელი და კიდევ შემიძლია ციხეში ჩავჯდე. მე თუ ზნეობა არ მექნება, ასეთი თავისუფლება არ მინდა. 17 მაისს ჩვენ მათ რუსთაველზე არ გავატარებთ, რადგან ეს არის ჩვენი შეურაცხყოფა. მათ უნდათ ფლეშმობის მოწყობა, მაგრამ სინამდვილეში ეს არის გეი-პარადის მოწყობის მცდელობა.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამწლიანი პაუზის შემდეგ ბიზნესდაჯილდოების მე-14 საზეიმო ცერემონიალი გაიმართება

**სამწლიანი პაუზის შემდეგ, წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ამერიკის სავაჭრო პალატის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაციის GORBI-ის და მედია-ჰოლდინგ The Georgian Times-ის ხელმძღვანელობით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი" საქართველოში წარმატებული ბიზნესკომპანიების რიგით მე-14 ბიზნესდაჯილდოვებას უმასპინძლებს.**

ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესისს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, ახალი, პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების ურთიერთგაგება-დაახლოება და, რაც მთავარია, ქართული ბიზნესის მიმართ მსოფლიო ბიზნესსაზოგადოების ყურადღების მიპყრობა - ეს ის მთავარი პრიორიტეტებია, რომელიც ყოველწლიურად ბიზნეს-რეიტინგის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ბიზნესი რომ ცოცხალი ორგანიზმია და მას ყურადღება და დროდადრო შექება სჭირდება, ამაზე დღეს არავინ დავობს. თუმცა, თავის დროზე, ჯერ კიდევ 1995 წელს, როდესაც მედია-ჰოლდინგ The Georgian Times -ის პრეზიდენტს მალხაზ გულაშვილს ეს იდეა გაუჩნდა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მას სკეპტიკურად შეხვდა. მოგვიანებით იდეამ ხორცშესხმა ჰპოვა და დღეს ბიზნესის ნაციონალური ჯილდო გარდამავალი „ოქროს ჯვარი" სიამაყის, წარმატებისა და დაფასების სიმბოლოდ იქცა.

მალხაზ გულაშვილი The Georgian Times-ის პრეზიდენტი: „ჩვენ ამ ბიზნესდაჯილდოვებას 1995 წლიდან ვატარებთ, სამწუხარო და გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე იძულებული გავხდით ბოლო სამი წელიწადი შეგვეწყვიტა ეს ღონისძიება, რადგანაც ჩემს ოჯახზე, სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან, დევნა განხორციელდა. ამ საქმეს კი სხვა თავს ვერავინ გაართმევდა. რეპრესიების შემდეგ წელს, საბედნიეროდ, მოგვეცა შესაძლებლობა ამ ყველაფრის აღდგენისა. წლების წინ, როდესაც იდეა გაჩნდა, ბიზნეს-რეიტინგის გამარჯვებული კომპანიების გამოვლენის და მათი დაჯილდოების, არსებული ცუდი პერიოდიდან გამომდინარე, საზოგადოების ნაწილი ცოტა არარეალურად მიიჩნევდა და სკეპტიკურადაც უყურებდა ჩვენს იდეას. საბედნიეროდ, ჩვენი მოლოდინები გამართლდა და ღონისძიება შედგა. პირველი ღონისძიება ჩატარდა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" , სადაც პირველი გამარჯვებულიც გამოვლინდა. ეს იყო ბატონი მამუკა ხაზარაძე, კომპანია „TBC" ჯგუფის პრეზიდენტი.

მომდევნო წელს ჯილდოს მფლობელი „კოკა-კოლა ბოთლეს ჯორჯია" და მისი პრეზიდენტი თემურ ჭყონია გახდა, შემდეგ ამას მოჰყვა გოგი თოფაძე და სხვა ბიზნესმენები. მაშინაც და დღესაც ჩვენი მთავარი მიზანი და მისია იყო ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნეს-ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, მსოფლიო ბიზნეს-საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ქართული ბიზნესის მიმართ, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენთა ურთიერთგაცნობა და დაახლოება, ხელშეწყობა პოტენციური პარტნიორებისა და თანამოაზრეების მოძიებაში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. ქართული, ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება და ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა და საინვესტიციო




გარემოს გაუმჯობესება. ეს იყო ჩვენი მისია მაშინ და დღესაც. როცა ამდენი პირველი პირი ბიზნესკომპანია, იკრიბება ერთ ღონისძიებაზე, ეს უკვე აღიარებაა.

**- ვინ არიან ღონისძიების პარტნიორები და როგორია შერჩევის და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის პროცედურები?**

- ჩვენი პარტნიორია ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, ბიზნესმენთა ასოციაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა. რაც შეეხებათ სპონსორებს, გვყავს ოქროს და ვერცხლის სპონსორები, ოქროს სპონსორია კომპანია „სოკარი" , ვერცხლის Fly Gorgia და „გაზ-ენერჯი". რაც შეეხება უშუალოდ მონაწილე კომპანიებს, ფინანსთა სამინისტრო გვაწვდის იმ კომპანიების სიას, ვისაც მილიონ ლარზე მეტი აქვს შენატანი საქართველოს ბიუჯეტში. მოგვიანებით ჩვენ ამ ჩამონათვალს გადავცემთ, კვალიფიციურ, ცნობილ ექსპერტებს, ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფონდებს, მრეწველთა და გადამხდელთა კავშირის წარმომადგენლებს, იმ ადამიანებს, ვისაც ეკონომიკასთან და ბიზნესთან შეხების წერტილები აქვთ. საუკეთესო კომპანიები კი კვალიფიციური ჟიურის მხრიდან, სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით (ეს არის: მეწარმეთა ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი იმიჯი, ეფექტური მენეჯმენტი, ქველმოქმედება?მეცენატობა, სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა, ახალი ტექნოლოგიები, საქმიანობის სტაბილურობა, კომპანიის ზრდა, წარმატებულობა, აღიარება საზღვარგარეთ, საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR), ეფექტური მარკეტინგი, ფინანსური გამჭვირვალობა, გუნდის პროფესიონალიზმის დონე, პოტენციური საინვესტიციო მომზიდველობა). 50 საუკეთესო და წარმატებული ბიზნესკომპანია გამოავლინა. ამჟამად კი ამ 50-დან ეს ადამიანები მეორე ეტაპზე ავლენენ 25 საუკეთესო კომპანიას. მათი ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. ამ 25-დან კი დაჯილდოების დღეს, 30 მაისს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ფარული კენჭისყრის მეშვეობით გამოვლინდენა ერთი გამარჯვებული, რომელსაც, როგორც წლის საუკეთესო კომპანიას, ბიზნესის ეროვნული ჯილდო გადაეცემა. ხოლო დანარჩენი კომპანიები და ბიზნესმენები სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდებიან. ეს არის სხვადასხვა ნომინაციები, როგორც სუფთა საქმიანი, ასევე, კონკურს გარეშე.

**- თქვენ ახსენებთ, რომ გამარჯვებულ კომპანიას გადაეცემა განსხვავებული ჯილდო, რა არის ეს ჯილდო და ყოფილა თუ არა ამ ხნის მანძილზე მსგავსი პრეცედენტი, რომ ერთი და იგივე კომპანია ზედიზედ რამდენჯერმე გახდა ამ ჯილდოს მფლობელი?**

-„ჯორჯიან თაიმსის" ბიზნეს-რეიტინგის გარდამავალი ორდების კავალერობა საუკეთესო ხარისხის ნიშანი და მაღალი საქმიანი რეპუტაციის დამამტკიცებელი საბუთია. ეს არის „ოქროს ჯვარი", რომელიც ბრილიანტებით და სხვადასხვა ძვირფასი ქვებით არის გაწყობილი. ჯილდოს დიზაინი და შესრულება ეკუთვნის ცნობილ ქართველ დიზაინერ, მხატვარ ბადრი ლეჟავას. ჯვარი პატრიარქის მიერ არის ნაკურთხი და ის გარდამავალია. ჯილდო გამარჯვებულ კომპანიასთან რჩება ერთი წლის მანძილზე და დაჯილდოებამდე მხოლოდ ერთი თვით ადრე ვართმევთ უკან. რაც შეეხებათ გამარჯვებულებს, იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც კომპანია „ჯეოსელი" გახდა ამ ჯილდოს მფლობელი ზედიზედ სამჯერ. მესამე ჯერზე მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა და „ჯეოსელმა" დაჯილდოებაზე ხმები გაიყო „საქართველოს ბანკთან". ამ დროს, „ჯეოსელი" წამოვიდა შემხვედრ ნაბიჯზე და გვითხრა, რომ ისინი თვითონ დაამზადებდნენ ჯვრის ორ დუბლიკატს, რომელიც, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ იმეორებს ორიგინალს, (მოცულობით ოდნავ პატარაა) ერთი „ჯეოსელმა" დაიტოვა და მეორე „საქართველოს ბანკმა". დღეს ორივე კომპანიის ოფისში ეს საკმაოდ თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. ეს დაჯილდოება გარკვეული წახალისებაც არის ეროვნული ბიზნესისთვის და აქ მოღვაწე კომპანიებისთვის. საღამოს ჰყავს უამრავი მედიაპარტნიორი, აშუქებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, უცხოური პრესა, წარმოდგენილნი არიან დიპლომატიური კორპუსი თუ პოლიტიკური წრეები. წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალის საღამოს წაიყვანს ყველასთვის საყვარელი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია. ამიტომაც ვთლით, რომ როგორც ყველა წინამორბედი, რიგით მე-14 ბიზნესრეიტინგის დაჯილდოება გრანდიოზული გამოვა".

**წლების განმავლობაში მიღწეული წარმატება და შეფასებები**

დღესასწაული საქმიან სტილში, რომელიც წელიწადში ერთხელ ეწყობა და მხოლოდ ბიზნესისთვისაა. საინტერესოა, როგორი იყო ბიზნეს-რეიტინგი და მისი შეფასებები სხვადასხვა დროს:

**მამუკა ხაზარაძე:** „ეს კონკურსი საჭირო საქმეს აკეთებს, ჩვენ „ჯორჯიან თაიმსის" მიერ დამკვიდრებული კონკურსის პირველი გამარჯვებულები ვართ და ძალიან ვამაყობთ ამ ყველაფრით".

**გოგი თოფაძე:** „კარგია, როცა შენს შრომას აფასებენ. როცა იმ ურთულეს პროცესს, რასაც შედეგის მიღწევა ჰქვია, სხვაც ხედავს. კომპანია „ყაზბეგმა" მოიპოვა პირველი ადგილი, ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა".

**პაატა კურტანიძე:** „მე ვთვლი, რომ ამგვარი ღონისძიება საჭირო და აუცილებელია, რადგან ეს კიდევ ერთი მოტივაციაა ბიზნესისთვის. როდესაც „ჯორჯიან თაიმსის" მიერ მოწყობილ ასეთ ზეიმს ხედავ, იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც იშრომეს, მეტი სტიმული გიჩნდება, რომ შენი შრომა დაფასდება".

**ოსმან თურანი:** „რეიტინგი ცხოვრების ყველა ეტაპზე და ნებისმიერ სფეროში აუცილებელია, რადგან ის ადამიანს ყოველთვის აძლევს გარკვეულ მოტივაციას. იმისთვის, რომ იყვნენ უკეთესები ვიდრე არიან. ამიტომაც ეს ყველაფერი აუცილებელია".







**EXCLUSIVE**

**გაზეთი „პრაიმტაიმი" ექსკლუზიურად გთავაზობთ წლევანელი, რიგით მე-14 ბიზნესრეიტინგში მონაწილე 25 ნომინანტი კომპანიის ჩამონათვალს. „თიბისი ბანკი", „ზედაზენი", „ავერსი", „სმარტი", „ვისოლი", „საქართველოს ინდ/ჯგუფი", „ნატახტარი", „რუსთავის მეტ/ქარხანა", „გურიელი", „ქართული შაქარი", „რუსთავის აზოტი", „საქართველოს ბანკი", „პსპ", „გუდვილი", „ენისელი სარაჯიშვილი", „ვაგონმშენი", „ფლაი ჯორჯია", „გაზენერჯი", „სოკარი", „კონსტანტა", „ზესტაფონის ფერო", VTB, „ჯეოსელი", GWP, „ნაბეღლავი".**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თბილისური გაზაფხული „ერგოლაინური“ სიახლე

**რუჯის პოპულარობის ისტორია სათავეს მე-20 საკუნის 20-იანი წლებიდან იღებს. ვინ, თუ არა კოკო შანელი, ერთ მშვენიერ დღეს, ცნობილი დიზაინერი გარუჯული ესტუმრა საფრანგეთს და თაყვანისმცემლების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ასე დაიწყო რუჯის ისტორია და ცოტა ხანში გერმანიაში შეიქმნა პირველი რუჯის აპარატი.**

დღეს, ნამზეური კანი რომ მოდური, პოპულარული, სექსუალური და ლამაზია, არავინ დავობს. ყველაფერი კი, საქართველოში, 1999 წლიდან დაიწყო, როდესაც ორმა ცნობილმა ქალბატონმა მსოფლიოში ნომერ პირველი გერმანული ბრენდის Ergoline-ის წარმომადგენლობა გახსნა. როგორც მაშინ, დღესაც „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიო“, ლიდერია საქართველოში. მომსახურების უმაღლესი დონე, უსაფრთხოება და ევროპული სტანდარტები, ეს ის მთავარი პრინციპებია, რომელსაც კომპანიის წარმომადგენლები არასდროს ღალატობენ.

ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, ვითარდება მომსახურეობის ხარისხი და ტექნიკის შესაძლებლობები. გერმანული „ერგოლაინის“ რიტმს საქართველოს წარმომადგენლები არასდროს ჩამორჩებიან. ამიტომაც ქართველი მომხმარებელი, ამ კუთხით, თამამი და განებივრებულია.

### მომსახურება და ხარიხი

Ergoline-ის ქართველი წარმომადგენლები მომსახურების ხარისხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად, ცოტა ხნის წინ, Ergoline Georgia-მ მომსახურების სფერო გააფართოვა და ამიერიდან, ისინი მომხმარებელს ახალ მისამართზე, აბაშიძის 22-ში „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ ელოდებიან. სადაც, მეტ სივრცეში, თავისუფალ გარემოში, კომფორულად და ხარისხიანად მოგემსახურებიან.

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ ექვსი სხვადასხვა კლასის აპარატია. ერთი დასადგომი „ტურბო“, ხოლო




## „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიო“





ხუთი ჰორიზონტალური დასაწოლი აპარატი. განსაკუთრებულად ხაზგასმის ღირსი კი დასაწოლი ჰორიზონტალური აპარატებია, რომელსაც აქვს სახის ლამპები. სახის ლამპები ცალკე მახასიათებლებით გამოირჩევა და იცავს სახის კანს, რომელიც განსაკუთრებული და ნაზია. მხოლოდ ჰორიზონტალურ აპარატებს აქვთ სრული კომფორტი და სარელაქსაციო ეფექტი. ამას უზრუნველყოფს: AQUA FRESH- ზღვის შხეფის ეფექტი, გარუჯვის სეანსის დროს სასიამოვნოდ გაგრილებთ ნოტიო ჰაერი, რომელიც თქვენს კანს ტენიანობას უნარჩუნებს.

AROMA THERAPY- თქვენს სეანსს სასიამოვნოდ სურნელოვანს ჰხდის.

CLIMATCONTROL- აპარატში დააყენებთ თქვენთვის სასურველ ტემპერატურას.

VOICE GUIDE- ხმოვანი გიდი, მოლაპარაკე აპარატი, აგიხსნით თავის ფუნქციებს.

3D SOUNDI - მუსიკის 3D ჟღერადობა.

აქ შეგხვდებათ აპარატი სახელწოდებით „Ergoline 990 პრესტიჟი IQ“ , რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ქვეყანაში არ არის, მეტიც, ის ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც დიდი ფუფუნებაა. ეს არის ჭკვიანი, ახალი ტექნოლოგიის აპარატები, რომლებსაც აქვთ IQ სენსორი. სენსორი, არის ფოტოელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც იდებთ კანზე და მონაცემების შესაბამისად, შეგირჩევთ თქვენი კანისთვის იდეალურ პროგრამას. ეს კი უზრუნველყოფს ლამპების სიმძლავრის ცვლილებას 120 ვატიდან 200 ვატამდე, მთელი სეანსის განმავლობაში. იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნა აქვს თქვენს კანს. ეს არის უახლესი ტექნოლოგიის აპარატი, რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველია და გერმანულმა ფირმა Ergoline-მა შეიმუშავა. ტექნოლოგია დამუშავებულია ისე, რომ ხდება სხივების გაფილტვრა. პრინციპი აგებულია, მზის სხივის შემადგენლობაზე, სოლარიუმში გამოიყენება A და B სხივი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აპარატების დეზინფექციას.

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიში“ სპეციალური ხსნარის „სოლარფიქსის“ მეშვეობით ხდება აპარატების გაწმენდა. ეს არის სადეზინფექციო საშუალება, რომელიც არ შეიცავს ქლორს და ალკოჰოლს.

კომპანიის მთავარი დევიზია ევროპული სტანდარტების შენარჩუნება, ეს სოლარიუმის მომსახურეობის ხარისხშიც აისახება. ამისთვის აუცილებელია დროულად იყოს გამოცვლილი ლამპები, ფილტრები და სტარტერები, რომლებიც უზრუნველყოფენ აპარატების გამართულ მუშაობას. სოლარიუმი უსაფრთხო და სასარგებლოა იმ შემთხვევაში თუ ყველა ზემოაღნიშნული ნორმა დროულად და ხარისხიანად არის დაცული. „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა კი ამას იოლად ახერხებს, რადგან ის პირდაპირ დაკავშირებულია გერმანიის Ergoline-ის მწარმოებელ ქარხანასთან.







### „კოლაგენარიუმი“

კოლაგენარიუმი - აპარატი, რომელიც აღადგენს კანის უჯრედებს. ეს არის არა გასარუჯი, არამედ კანის მოვლის აპარატი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში კანის გამაახალგაზრდავებელი ნივთიერებების კოლაგენისა და ელასტინის გამოყოფას. ეს ხერხდება სპეციალური წითელი და ღრმა სხივით. ევროპაში ეს ტექნოლოგია ცნობილია, წითელი ნათების თერაპიის სახელით - red life terapi. ეს არის სრულიად ახალი ტექნოლოგია, რომელიც სულ რამდენიმე წელია დაინერგა ევროპაში. კოლაგენარიუმი, აძლიერებს ელასტინის გამომუშავებას, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას, უნარჩუნებს კანს ელასტიკურობას, ააქტიურებს ახალგაზრდა უჯრედების წარმოქმნას და ამით აფერხებს კანის დაბერების პროცესს. ამ აპარატით სარგებლობა „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოშია“ შესაძლებელი, რათა თქვენი კანი, ნამზეურებთან ერთად, ლამაზად და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს. გარდა ამისა, აქ დგას ყველა სახის აპარატი, მათ შორის ე.წ. დეკოლტე, რომლის მეშვეობითაც ხდება გარუჯვა მხოლოდ სახეზე და მკლავებზე.

### მსოფლიოში წამყვანი ხაზის გასარუჯი კრემები

„ერგოლაინის“ წარმომადგენლობის სოლარიუმში არის მსოფლიოში წამყვანი სამი ხაზის გასარუჯი კრემები, ეს კრემები უზრუნველყოფს კანის ელასტიკურობის და ტენიანობის შენარჩუნებას. ამ კრემების საშუალებით კი გარუჯული კანი მუდმივად მოვლილ მდგომარეობაშია. ეს ამერიკული კრემებია MATAHARI, EMERALD BAY, CALIFORNIA TAN, რომლის წარმომადგენლობასაც „Ergoline ლაიფსთაილ სტუდია“ გერმანიაში მისი ოფიციალური წარმომადგენლის მეშვეობით უკავშირდება.

„ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა საქართველოში ოპერირებს ორი მიმართულებით:

1) სოლარი სტუდიოს გასარუჯი მომსახურეობა.

2) გერმანული Ergoline-ის აპარატების გაყიდვა, საქარხნო ფასებში, მათი ინსტალირება და შემდგომ მომსახურეობა.

გაიფერადე ცხოვრება, „ერგოლაინთან“ ერთად, „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიო“ ეს ცხოვრების ახალი სტილია.

Ⓐ






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამსახურიდან გათავისუფლებული ფსიქიატრი ღუდუშაურის კლინიკას სასამართლოში უჩივის

ერეკლე სტურუა

**ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს ყოფილი თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტაში ადანაშაულებს და ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეაქვს. ფსიქიატრი მადონა ცირეკიძე, დაახლოებით 2 თვის წინ, სამსახურიდან გაათავისუფლეს და როგორც თავად ამბობს, დღემდე არ იცის რეალური მიზეზი, რადგან ის, რაშიც მას საავადმყოფოს ადმინისტრაცია ბრალს სდებს, ცირეკიძის აზრით, აბსურდულია. ცირეკიძის ადვოკატის ლევან ცალუღელაშვილის განცხადებით, ყველა მიზეზი, რაც ცირეკიძის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ დასახელდა, უსაფუძვლოა.**

**ლევან ცალუღელაშვილი:** „მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი მადონა ცირეკიძე 2012 წლის 14 მაისიდან ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ეროვნულ ცენტრში ფსიქონევროლოგიური განყოფილების ფსიქიატრად მუშაობდა. 2013 წლის 18 მარტს 103 ბრძანების საფუძველზე, მისთვის მოულოდნელად, ის გათავისუფლებული აღმოჩნდა. გათავისუფლების სხვადასხვა მიზეზები სახელდებოდა ღუდუშაურის საავადმყოფოს ადმინისტრაციის მხრიდან. ერთ-ერთი იყო შინაგანაწესის დარღვევა, რაც გამოიხატებოდა პაციენტებთან მადონა ცირეკიძის მეგობრულ ურთიერთობაში, თუმცა, მას შემდეგ, რაც ფსიქიატრიაში რეფორმა დაიწყო, ფსიქიატრებს თეთრი ხალათის ტარების უფლებაც აღარ აქვთ, აქედან გამომდინარე აღმაშფოთებელია ღუდუშაურის კლინიკის ეს ბრალდება. იყო კიდევ ერთი ბრალდება, რომ მადონა ცირეკიძემ, ფსიქიკურად დაავადებული პატიმარი დაუშვა განყოფილების გამგის კომპიუტერთან, თუმცა ღუდუშაურის ადმინისტრაცია ვერ აკონკრეტებს რა მდგომარეობაში იყო ამ დროს ეს კომპიუტერი და თუ რა საფრთხე შეიძლებოდა გამოეწვია გამორთულ კომპიუტერთან, მცირე ხნით, ფოტოს გადასაღებად პატიმრის მოთავსებას. ურთიერთობა ექიმსა და პატიმარ პაციენტს შორის არ გასცილებია არც ეთიკურ ნორმებს და არც შიდაგანაწესს. ეს პატიმარი



## ფსიქიატრი ავადმყოფ პატიმართან გადაღებული ფოტოს გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს

# EXCLUSIVE

**„არანაირი შენიშვნა, არანაირი მითითება მე არ მიმიღია. ის ფაქტი, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულ პატიმარს ეხება, მოხდა იანვარში და ძალიან კარგად იცოდა გიორგი ჭეიშვილმა, რომ არსებობდა ეს სურათები და ეს არანაირად არ იყო ეთიკის დარღვევა და მით უმეტეს კრიმინალი“**

მოთავსებული იყო ღია ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში, ეს არ იყო სასჯელაღსრულების დაწესებულება და შესაბამისად, მადონა ცირეკიძე არ იყო სადის ექიმი. ამიტომ აბსოლუტურად გაუგებარი და უსაფუძვლოა ის ბრალდება, რასაც მას ღუდუშაურის კლინიკა უყენებს და რის გამოც მას შეუწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება. თანაც ეს მაშინ ხდება, როდესაც ჩვენი პარლამენტი და ჩვენი ხელისუფლება დიდი სიამაყით აცხადებს, რომ ქვეყანაში შრომის კოდექსი არის მოწესრიგებული და ადამიანის უფლებები, ამ მხრივ, არ ირღვევა.

მადონა ცირეკიძე „პრაიმტაიმთან“ იმ პირსაც ასახელებს, რომელმაც საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა, როცა ის სამსახურიდან დაითხოვეს. გარდა ამისა, ფოტოების არსებობის შესახებ, რომლის გამოც დღეს მას ედავებიან და რაც მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა, თავიდანვე იცოდა ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგემ, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ეს ფაქტი იანვარში მოხდა, ცირეკიძე სამსახურიდან მარტის თვეში გაათავისუფლეს. ცირეკიძეს, რომელსაც არც ერთი საყვედური და გაფრთხილება არ მიუღია ადმინისტრაციის მხრიდან, ეჭვი აქვს, რომ ის საავადმყოფოს ადმინისტრაციისთვის მიუღებელი მას შემდეგ გახდა, რაც ამ სფეროში განხორციელებული რეორგანიზაციის მანკიერ მხარეებზე ჟურნალისტებთან ისაუბრა.

**მადონა ცირეკიძე:** - მე მინდა ყველას გავაცნო ის ადამიანები, ვინც ძალიან უსამართლოდ ექცევიან ადამიანებს, თითქოს მათ უფლება ჰქონდეთ განაგონ მათი ბედი. მე კლინიკის დირექციის სახელზე შემაქვს სარჩელი და ეს გვარები იქ არ დაფიქსირდება, ამიტომაც მინდა თქვენ გითხრათ. ესენი არიან ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგე გიორგი ჭეიშვილი და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი რამაზ ცუცქირიძე, რომელსაც მისივე თანამდებობიდან გამომდინარე, არანაირი შეხება არ აქვს ექიმების მიღება გაშვებასთან. ჩემ განთავისუფლებას არანაირი წინაპირობა არ ჰქონია. არანაირი შენიშვნა, არანარი მითითება არ მიმიღია. ის ფაქტი, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულ პატიმარს ეხება, მოხდა იანვარში და ძალიან კარგად იცოდა გიორგი ჭეიშვილმა, რომ არსებობდა ეს სურათები და ეს არანაირად არ იყო ეთიკის დარღვევა და მით უმეტეს კრიმინალი. ჩემი ვარაუდით, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ იმ დროს, როდესაც ფსიქიატრიული სამსახურის რეორგანიზაცია მოხდა და სახელმწიფოსგან სრულიად უგუნური და უპასუხისმგებლო ნაბიჯი გადაიდგა, ძალიან მწვავე რეაქცია მქონდა პირადად მე ამაზე, ძალიან მწვავე სტატია დაიბეჭდა ერთი წლის წინ ჩემი ინტერვიუს საფუძველზე, მე ვიყავი ერთადერთი ფსიქიატრი, ვინც მათ წინააღმდეგ ამოვიღე ხმა, ვინც დაშალა ფსიქიატრიული სამსახური, როგორც მთლიანი დარგი. დღეს ეს ადამიანები, უკვე თვითონ აღიარებენ, რომ რეფორმამ არ გაამართლა. ჩემი დიდი სურვილია, რომ ობიექტურად იქნას გამოძიებული ჩემი საკითხი და ამას არა მხოლოდ საკუთარი თავის გამო ვამბობ. არ შეიძლება ის ადამიანები, ვინც მე ჩამოვთვალე, ასეთ თანამდებობებზე იყვნენ და განაგებდნენ ადამიანთა ბედს, არა მხოლოდ თანამშრომლებისა, არამედ პაციენტებისაც. ამიტომაც მე ჩავატარე გამოძიება, რის შესახებაც უკვე შესაბამის ორგანოებს დაველაპარაკები და მივაწვდი ყველა ინფორმაციას, რაც მე მოვიპოვე იმ დანაშაულებების შესახებ, რაც დღეს ამ სფეროში ხდება.

Ⓐ



**„ეს პატიმარი მოთავსებული იყო ღია ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში, ეს არ იყო სასჯელაღსრულების დაწესებულება და შესაბამისად, მადონა ცირეკიძე არ იყო სადის ექიმი. შესაბამისად, აბსოლუტურად გაუგებარი და უსაფუძვლოა ის ბრალდება, რასაც მას ღუდუშაურის კლინიკა უყენებს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 18 მაისს თბილისში ქუჩის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება

**თბილისი ქუჩის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალისთვის ემზადება. 18 მაისს ფესტივალს, ევროპის ქვეყნებთან ერთად, საქართველოც უერთდება. თბილისის ქუჩებში ქართველი და უცხოელი მუსიკოსების მონაწილეობით სხვადასხვა ჟანრის მუსიკა აჟღერდება. ფესტივალი ახალგაზრდული, არასამთავრობო ასოციაცია „დრონის“ ორგანიზებითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით უკვე მეორე წელია, ეწყობა.**

ქუჩის მუსიკის ფესტივალი – ეს არის დღე, როდესაც რუსთაველის გამზირსა და ტაბიძის ქუჩაზე თავს მოიყრიან ქართველი და უცხოელი მუსიკოსები, მუსიკალური ჯგუფები, ბენდები და ორკესტრი. მთელი დღის განმავლობაში შესრულდება სხვადასხვა ჟანრის კომპოზიცია. დაუკრავენ განსხვავებული ასაკისა და განსხვავებული მუსიკალური გემოვნების ადამიანები. ქუჩის მუსიკის დღე უცნობ მომღერლებს საშუალებას აძლევს, წარდგნენ მსმენელის წინაშე, პროფესიონალ მუსიკოსებს კი – დაუკრან საყვარელი პუბლიკისთვის.

**ფესტივალის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონის“ პრეზიდენტი გიორგი კიკალიშვილი გვესაუბრება.**

**– ორი სიტყვით გვითხარით თქვენი ორგანიზაციის შესახებ.**

– ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“ არის არასამთავრებო ორგანიზაცია, რომელიც 2003 წელს დაარსდა. ორგანიზაცია ახორციელებს ახალგაზრდულ აქტივობებს და არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას უწყობს ხელს. „დრონი“ ჩართულია ადგილობრივი პროექტების ორგანიზებაში, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების ჩართულობას და მათში მოტივაციის გაზრდას. ჩვენ ვართ არაერთი საერთაშორისო პროექტის ინიციატორიც. 10 წლის განმავლობაში „დრონის“ უამრავი საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამა აქვს განხორციელებული.




ერთ-ერთი პროექტი კი სწორედ ქუჩის მუსიკის ფესტივალი გახლავთ.

**– საიდან მოდის ამ ფესტივალის იდეა?**

– ფესტივალის იდეა თავდაპირველად გაჩნდა ლიტვაში. დაარსდა ცნობილი ლიტველი მუსიკოსის ანდრიუს მამონტოვასის მიერ 2007 წელს. ლიტვას მალევე შეუერთდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანა. 2012 წელს კი საქართველოც ჩაერთო ამ ღონისძიებაში ასოციაცია „დრონის“ მეშვეობით. სწორედ შარშანდელი ფესტივალი გახსნა საპატიოდ ანდრიუს მამონტოვასიმ.

**– რა არის ამ ფესტივალის მიზანი და რატომ გაჩნდა სურვილი, ის საქართველოშიც დაგენერგათ?**

– საქართველო არ არის განებივრებული მსგავსი ფესტივალებით. ამ ღონისძიების მეშვეობით ქართულ საზოგადოებას ვთავაზობთ სრულ თავისუფლებას, შეასრულონ თავიანთი საყვარელი მუსიკა. ის აერთიანებს როგორც მუსიკოსებს, ასევე მსმენელს და აძლევს მათ შესაძლებლობას, ღია ცის ქვეშ დატკბნენ მუსიკის ჰანგებით. ჩვენ გვინდა, რომ ეს ფესტივალი ყოველწლიური გახდეს და სახალხო დღესასწაულად იქცეს. პროექტის მიზანია, პროფესიონალი და არაპროფესიონალი მუსიკოსების, ხელოვანი ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, და ქუჩის მუსიკის კულტურის დანერგვა. გვინდა ფესტივალის მეშვეობით, წარვუდგინოთ ქართულ საზოგადოებას სხვადასხვა სუბკულტურები და ერთი დღით ქართველი მსმენელიც ჩავრთოთ ამ სახალხო დღესასწაულში. ფესტივალის მიმდინარეობის პარალელურად გაიმართება გამოფენა-გაყიდვა სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების, სადაც ყველა ხელოვანი,

## იგრძენით ქუჩის გულისცემა! ერთად აღვნიშნოთ მუსიკის დღე!

სურვილისამებრ, საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენს.

**– რით არის მნიშვნელოვანი ქუჩის მუსიკის ფესტივალი?**

– ყველა მუსიკოსს ეძლევა საშუალება, სრულიად უსასყიდლოდ მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება. ისინი არ არიან შეზღუდულნი ჟანრობრივად. ამასთანავე, ფესტივალს არ აქვს კონკურსის სახე, რაც გულისხმობს იმას, რომ მუსიკოსები მხოლოდ მსმენელთათვის დაუკრავენ და მათი სიამოვნებისთვის.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ცნობილი და ჯერ კიდევ უცნობი მუსიკალური ჯგუფები თუ ინდივიდუალური შემსრულებლები. ფესტივალის მიზანია, საშუალება მისცეს ყველა მუსიკოსს, გააცნოს ხალხს თავისი შემოქმედება. ამ დღისთვის სპეციალურად 5 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოგვყავს უცხოელი მუსიკოსები, რომლებიც, ქართველ შემსრულებლებთან ერთად, შესთავაზებენ თავიანთ მუსიკას მსმენელებს. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელორუსი, ლატვია, სომხეთი და დანია. ფესტივალი 16:00 საათზე დაიწყება და საღამოს 22:00 საათამდე გაგრძელდება. ყველას, ვისაც უყვარს და უსმენს მუსიკას, ველოდებით 18 მაისს. ერთად შევიგრძნოთ ქუჩის მუსიკის გულისცემა.

# „ძალიან სერიოზული მუშაობა მიდის ამ ყრილობის წინააღმდეგ“



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**შეიძლება უკვე დაუჯერებელიც არის, მაგრამ ნანა კაკაბაძე მაინც იმედოვნებს, რომ მისი და პოლიტპატიმრების ყრილობა 19 მაისს მაინც ჩატარდება. მათ დათქეს 14 აპრილი, შემდეგ 21 აპრილი, შემდეგ 14 მაისი და ამბობენ, რომ 19-ში, პოლიციის დღეს, ყოველ მიზეზგარეშე შეიკრიბებიან. თუმცა ტაქტიკა შეცვალეს. კაკაბაძე აღარც მოთხოვნებს აჟღერებს წინასწარ და აღარც იმაზე საუბრობს თუ ვინ ცდილობს ხელის შეშლას. სამაგიეროდ, ხელისშემშლელებს ყრილობაზე დაასახელებს. მოთხოვნებსაც იქვე ჩამოაყალიბებენ და მთავრობას გადაუგზავნიან შესასრულებლად. ძალაში რჩება ვადის ათვლაც. პოლიტპატიმრები ხელისუფლებას დროს მისცემენ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყოს. პარალელურად, ისინი საკუთარ თავს აქციებით შეახსენებენ.**



## EXCLUSIVE ნანა კაკაბაძე: „სამართლიანობის აღდგენა ქართველი ხალხის დაკვეთაა და ეს უნდა შესრულდეს“

**ნანა კაკაბაძე, უფლედამცველი:**

- ყველაფერი გაჟღერდება ყრილობაზე, არის საკითხები, რომლებზეც მანამდე არ ვისაუბრებთ. წინასწარ არ ვიტყვით, რადგან ინტერესი ძალიან დიდია და სამწუხაროდ, წინააღმდეგობაც ძალიან დიდია.

**- ვისგან?**

- როგორც მოქმედი ხელისუფლებისგან, ასევე წინა ხელისუფლებისგანაც. იმედს ვიტოვებთ, რომ თვითონ ყრილობის დღეს მაინც იქნება შესაძლებელი საუბარი ჩვენთვის მნიშვნელოვან თემებზე.

**- არის შესაძლებლობა, რომ ყრილობა ამჯერადაც არ ჩატარდეს?**

- მცდელობა არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ უშედეგო იქნება. კონკრეტულად არც იმაზე ვაპირებ მანამდე საუბარს თუ ვინ გვიშლის ხელს. ამ ყველაფერზე სპორტის სასახლეში ვილაპარაკებ. იქ ყველაფერი საჯაროდ, სახალხოდ ითქმება. ძალიან სერიოზული მუშაობა მიდის ამ ყრილობის წინააღმდეგ. ეს იქნება პირველი ღონისძიება, რომელიც იქვე დააანონსებს მომდევნო ღონისძიებას და გეტყვით, რომ ეს ღონისძიებებიც ჩატარდება ოქტომბრამდე.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ არ სურთ ამ ყრილობის ჩატარება?**

- არ ვიცი, ამაზე ყრილობაზე ვიმსჯელებთ.

**- „უცნობი“ იქნება ყრილობაზე?**

- ეს ღონისძიება არის სახალხო, ყველა მოქალაქე არის ამ იდეის თანაავტორი. მხოლოდ ჩვენი იდეა არ არის, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს. ყველა მოქალაქის სურვილი და მოთხოვნაა. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გავაჟღერეთ ხალხის სურვილი. ყველა ამ იდეის ქომაგი და მომხრე იქნება სპორტის სასახლეში.

**- ფიქრობთ, რომ მშვიდობიანად ჩაივლის ყრილობა?**

- რატომ უნდა შეიქმნას რაიმე პრობლემა, ვის ინტერესში უნდა შედიოდეს ეს, არც კი ვიცი. დაძაბული სიტუაცია არის, იმ მხრივ, რომ არ უნდათ ფართო საზოგადოება იყოს წარმოდგენილი, მაგრამ მათი სურვილი შეუსრულებელია. სამართლიანობის აღდგენა ქართველი ხალხის დაკვეთაა და ეს უნდა შესრულდეს.

თავდაპირველად გაჟღერდა ინფორმაცია, რომ პოლიტპატიმრების ყრილობას „უცნობიც“ უერთდებოდა. გია გაჩეჩილაძემ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ინფორმაცია დაადასტურა, თუმცა უკვე დღეს უცნობია, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ის. „უცნობთან“ ერთად წამყვანის ფუნქცია უნდა ეკისრა გია კორკოტაშვილსაც. საკითხი გადაწყვეტილი იყო, თუმცა 19 აპრილის ჩაშლის შემდეგ კორკოტაშვილს ყრილობის ორგანიზატორები აღარ შეხმიანებიან. თავად კორკოტაშვილის განცხადებით კი ინიციატივის ხელში აღებას არ აპირებს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პროექტ „კომენტატორში“ კონკურენცია კულმინაციას აღწევს

**როგორც პროექტ „კომენტატორის“ მონაწილეები ამბობენ, მათთვის ყოველი დღე დღესასწაულია. ასე აფასებენ კონკურსანტები იმ შესაძლებლობას, რომელსაც მათ ჰოლანდიური პროექტი აძლევს – პოპულარულ ფეხბურთელებთან შეხვედრას, საფეხბურთო მატჩების წაყვანას, საინტერესო შეხვედრებს. რამდენიმე ხნის წინ ისინი სუპერთასის გათამაშებაზეც წაიყვანეს. ერთმანეთს „ზესტაფონი“ და გორის „დილა“ ხვდებოდა. ცნობილმა კომენტატორებმა ჯამლეტ ხუხაშვილმა და ნუგზარ ჯულელმა კონკურსანტებს მასტერკლასები ჩაუტარეს. მატჩის დასრულების შემდეგ კი ვეტერან ფეხბურთელებს შეხვდნენ: ოთარ გაბელიას, თენგიზ სულაქველიძეს, დავით მუჯირს (უფროსი), გიორგი ნემსაძეს. ფუტსალის თასის გათამაშების ელჩი საქართველოში აჩი არველაძეა. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა კომენტატორები მასაც შეხვდნენ.**

**მოგვიანებით, პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდები უკვე კაფრეთში ფეხბურთის ისეთ ვარსკვლავებს შეხვდნენ, როგორებიც არიან გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი.**








**ნოდარ სიმსივე, 25 წლის, პროექტის მონაწილე:**

– ამ პროექტის პრომო ტელევიზიით ვნახე და ძალიან გამიხარდა. მართალია, თეატრალურის სტუდენტი ვარ, მაგრამ ფეხბურთის წაყვანის სურვილი ყოველთვის მქონდა. ბავშვობაში სახლში ხშირად ვუკეთებდი კომენტარს სხვადასხვა თამაშებს. ყოველთვის მაინტერესებდა ეს საქმე და ძალიან მიყვარს ფეხბურთი.

საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე რომ დავდიოდი, დიქტოფონი სულ დამქონდა და როცა დრო მქონდა, თამაშის დროს ყოველთვის ვიწერდი ჩემს კომენტარს.

**– ამ გადაცემაში ყოფნამ რა გამოცდილება მოგცა?**

– ყოველი ტურის შემდეგ საკუთარ თავს ვატყობდი, რომ გავიზარდე. ანუ ვგრძნობ, რომ ფსიქოლოგიური დაძაბულობა მომეხსნა. მაგრამ ის, რომ ეს არის შოუ, კონკურსი, კამერა გიღებს, შენს წინ პროფესიონალი ჟიურის წევრები სხედან, რომლებიც შენს არტისტიზმს აფასებენ, შენს მეტყველებას აფასებენ, გარკვეულწილად ღელვის მომენტი მაინც რჩება. არ მეგონა, საბოლოოდ ოთხ კაცში თუ მოვხვდებოდი. ძალიან ძლიერი კონკურენტები იყვნენ, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ჩვენთან ერთად მოდიოდნენ.

**– რა სისტემით ხდება თქვენ მიერ მატჩის წაყვანა?**

– როცა სტადიონზე მივდიოდით, მაშინ ვიგებდით, ვის რა უნდა წაგვეყვანა. მატჩის წაყვანა ბოლოს ლოტოტრონის პრინციპით მოხდა. ეს უკვე ბოლოს, მაგრამ მანამდე პროდიუსერი გვეუბნებოდა, ვის რა თამაში უნდა წაგვეყვანა.

**– ყველაზე მეტად რომელი მატჩის წაყვანა დაგამახსოვრდა?**

– ყველა საინტერესო იყო, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც კლასიკური თამაშის რეპორტაჟი იყო. 1981 წლის თამაშის წაყვანა, დავით ყიფიანის მონაწილეობით. ყველაზე ბედნიერი ვიყავი, ამ თამაშის კომენტირების საშუალება რომ მომეცა. ეს იყო „დინამო“-„ფეინოორდის“ თამაში.

საინტერესო დავალება აღმოჩნდა სულაქველიძის გოლის კომენტირება. შემდეგ უშუალოდ მომიწია გოლის ავტორთან გასაუბრება და ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა. სულ დღესასწაულებს გვიწყობენ ამ პროექტში და ყოველი დღე საინტერესოა, მაგრამ ლეგენდარულ ფეხბურთელებთან შეხვედრა მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ნახევარფინალში წავიყვანე „ბარსელონა“-„ბაიერნის“ თამაში და ველოდები პასუხს. ამაზე იქნება დამოკიდებული ფინალში ჩემი გადასვლაც.

**– რამდენად გამოგადგა შენი სამსახიობო ნიჭი „კომენტატორში“?**

– მატჩის კომენტირება ეს არის მონოსპექტაკლი. შენ უნდა შეძლო, რომ მაყურებელი დააინტერესო და ტელეეკრანს მიაჯაჭვო.



**ნიკა გაბელია, 23 წლის, პროექტის მონაწილე:**

– კალათბურთი მიმყავდა ერთი წლის განმავლობაში „აფხაზეთის ხმაზე“. მაგრამ კალათბურთი და ფეხბურთი სულ სხვა ცნებაა. ფეხბურთის წაყვანა ბევრად რთულია, ვიდრე კალათბურთის.

პროფესიით მსახიობი ვარ. მსახიობობასთან ერთად, ვცდილობ, ჟურნალისტიც ვიყო. ჩემი აზრით, კომენტატორი უნდა იყოს შოუმენი და პირველ რიგში შეეძლოს მაყურებლის დაჭერა, რაც ჰქონდათ ეროსი მანჯგალაძესა და კოტე მახარაძეს.

მონაწილეებისთვის ყველაზე რთული იყო კლასიკური მატჩის წაყვანა. ჟიურის წევრებიც ძალიან კარგად არიან ჩვენ მიმართ განწყობილნი. ბევრ რამეზე მითხრეს, ეს აღარ გააკეთოო და აღარ გამიმეორებია. პროექტმა ბევრ პროფესიონალთან შეხვედრის საშუალება მოგვცა, ისინი, თავის მხრივ, საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებენ და რჩევებს გვაძლევენ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გეხმარება.

მაგალითად, კომენტატორს უნდა ჰქონდეს საინფორმაციო მარაგი იმისთვის, რომ მატჩის დროს პაუზები შეავსოს, ანუ მაყურებელს საინტერესო ისტორიები მოუყვეს ამა თუ იმ გუნდისა თუ ფეხბურთელის შესახებ.

**– რას იტყვი იმ კონკურენტებზე, რომლებიც შენთან ერთად მოვიდნენ ნახევარფინალამდე?**

– საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ვფიქრობ, რომ საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ვართ... გულწრფელად ვიტყვი, რომ არ მინდოდა ნოდარ სიმსივესთან ნახევარფინალში შეხვედრა. მიმაჩნია, რომ ეს ადამიანი პროექტის დაწყებიდან იყო ფავორიტი. ვნახოთ, თუ ფინალში გავედი, ძალიან გამიხარდება, მაგრამ, თუ ვერ გავედი, გული ნაკლებად დამწყდება, რადგან ოთხეულში გასვლაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.



**ედუარდ მილოიანი, პროექტის მონაწილე, პროფესიით ჟურნალისტი:**

– რადიოში მუშაობის ცხრაწლიანი გამოცდილება მაქვს. სხვადასხვა სპორტული გადაცემა მიმყავდა სხვადასხვა რადიოსთვის. დღესაც რადიო „საქართველოს ხმაში“ მიმყავს სპორტული გადაცემა. ეს გამოცდილება ძალიან დამეხმარა ამ პროექტში. რაც ამ ხნის მანძილზე მიკროფონთან გაქვს ურთიერთობა და ღრმად ხარ ჩახედული ამ სფეროში, ეს ყველაფერი დიდ სამსახურს გიწევს.

ძალიან მეგობრული ატმოსფეროა შექმნილი, იმ დღიდან მოყოლებული, რაც ამ პროექტში ვართ. ეს ამ პროექტის პროდიუსერების დამსახურებაა.

**– რას იტყვით ჟიურის წევრებზე, როგორ დაახასიათებთ მათ?**

– ჟიურის სამივე წევრი საკმაოდ კომპეტენტურია ამ სფეროში. დავით მინაშვილის, რომელიც საზოგადოებრივი არხის კომენტატორია და საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, ნებისმიერი შენიშვნა პროფესიული კუთხით ნებისმიერი მონაწილისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. რაც შეეხება სოსო ლალიძეს, ყველასთვის საყვარელ მსახიობს, ჩვენ, ყველა მონაწილემ, ვიცოდოთ, რომ ის მეტყველებას შეაფასებდა და მადლობა მინდა გადავუხადო მასაც, რადგან ძალიან ობიექტურია მისი შეფასება. დავით მუჯირი, ძალიან კარგი ფეხბურთელი, რომელიც საქართველოს ნაკრებშიც თამაშობდა, გვაფასებს საფეხბურთო კუთხით.

**– მატჩების იმ მონაკვეთებიდან, რაც ამ ხნის მანძილზე წაიყვანე, ყველაზე მეტად რომელი იყო შენთვის დასამახსოვრებელი?**

– მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე საინტერესო თბილისის „დინამოს“ ოქროს თაობის მატჩები იყო. პირადად მე „დინამოსა“ და როტერდამის „ფეინოორდის“ ხუთწუთიანი მონაკვეთის წაყვანა მომიწია, როდესაც „დინამომ“ სამით ნოლი გაანადგურა ჰოლანდიური კლუბი. შემხვდა თენგიზ სულაქველიძის დიდოსტატური გოლი, ბატონი თენგიზი გვერდით მედგა და როდესაც ვრეპეტიციობდი და ჟიურის ოთახში შესასვლელად ვემზადებოდი, ამ ფაქტმა იმ კონკრეტულ მომენტში ძალიან დიდი მუხტი მომცა. როგორც ჟიურიმ შეაფასა, მე ეს შევძელი. უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო სტადიონიდან მატჩის წაყვანა. ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე.

**ლევან ჩხაიძე, პროექტის მონაწილე:**



– დავამთავრე „კავკასიის ბიზნეს სკოლა“, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი. მარკეტინგის მიმართულებით. შემდეგ დავამთავრე ჯორჯ ვაშინგტონისა და „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სამაგისტრო პროგრამა, პროექტების მენეჯმენტში.

**– რამ გადაგაწყვეტინა სრულიად განსხვავებულ სფეროში ჩართვა?**

– ათი-თერთმეტი წლის ასაკიდან აქტიურად ვარ ფეხბურთში ჩართული. ძალიან მიყვარს სპორტის ეს სახეობა. ჩემი ოცნებაც სპორტული ჟურნალისტიკა იყო, მაგრამ სრულიად სხვა მიმართულებით წავედი.

**– რა უნდა გააკეთოს კომენტატორმა იმისთვის, რომ, მიუხედავად იმისა, საინტერესოა თუ არა მატჩი, მაყურებელი ტელეეკრანებთან დააკავოს?**

– ხმის ტემბრი არის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამ სფეროში. იმიტომ რომ მილიონობით ადამიანი შენს ხმას უსმენს. გარდა ამისა, უნდა უყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებს. ზოგადი საფეხბურთო განათლებაც აუცილებელია, მხოლოდ ფეხბურთელის სახელისა და გვარის თქმა არაფერია. ამ ფეხბურთელის სახელისა და გვარის უკან მთელი ისტორიაა, დიდი სტატისტიკაა. ამ საქმისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ფაქტორი შრომისმოყვარეობაცაა.

**– ჟიურის წვერების შესახებ რას იტყვი?**

– ცალ-ცალკე შემიძლია ვთქვა ჩემი აზრი ჟიურის წევრების შესახებ. დავით მინაშვილი, რომელიც უშუალოდ კომენტატორია და მისი ჯანსაღი კრიტიკა და შენიშვნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი მოცემული შენიშვნები ყოველთვის მეხმარებოდა ტურიდან ტურში გადასასვლელად და ვცდილობდი, მისი შენიშვნები და რჩევები გამეთვალისწინებინა. დავით მუჯირი, რომელიც ბოლომდე ჩართული აღმოჩნდა ამ საქმეში და მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავისი გამოცდილება ჩვენამდე მოეტანა და სწორი გეზი და მიმართულება ეჩვენებინა. ბატონი სოსო ძალიან პატივსაცემი ადამიანია და მისი კომენტარები ძალიან საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის გვაფასებდა ჩვენ, როგორც მხატვრული, ასევე მეტყველების კუთხით, მსახიობური ნიჭით. Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჟოლო NEWS

**ინტერნეტსივრცეს ახალი ვებგვერდი შეემატა. „ჟოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემებზეა ორიენტირებული. გაზეთი „პრაიმტაიმი“ ამბების მცირე ნაწილს გთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.jolo.ge**

## შოუ, რომელშიც ოცნებები ნამდვილად ხდება



**„გოგონას თვალები ავუხვიე და თაღთან ხელჩაკიდებული მივიყვანე, მერე კი, ჩუმად, დედამისმა შემცვალა... ის, უცხოეთიდან წინა ღამით ჩამოვიყვანეთ... წლებია, რაც იტალიაშია და შვილი დიდი ხნის უნახავი ჰყავდა... დედოფალს თვალები თაღთან ავუხსენით, ერთ მხარეს საქმრო ედგა, მეორე მხარეს კი... მონატრებული დედა... ამგვარი სიურპრიზები ქორწილში უხვად არის, აქ დადგმული არაფერია, ყველაფერი რეალურად ხდება“ - ამბობს წამყვანი ეკო ფანგანი და ჟოლოს „ჩემი ქორწილის“ დეტალებს უყვება“.**

**ეკო ფანგანი:** „ხელის მოწერა უნდოდათ წყალზე ყოფილიყო, ცოცხალი მუსიკით, თბილისის ზღვაზე მოვაწყვეთ, ყვავილებით, თაღით, ორკესტრით, ბიჭი იქ გველოდებოდა, გოგოსთვის კი სიურპრიზი იყო... ულამაზესი სანახაობა გამოვიდა.

**- შენ როგორ მოერგე წამყვანის ამპლუას?**

- ძალიან მომწონს, ყველაზე მეტად კი ის, რომ წყვილები უზომოდ ბედნიერები არიან, რეალურად თვითონ ვერ გააკეთებდნენ ამგვარ სასწაულ რაღაცებს. პილოტი უკვე გადაღებული ჰქონდათ, როცა დამირეკეს, მივედი, მაჩვენეს და მოგწონსო მკითხეს, ძალიან-მეთქი. მეორე დღესვე დავიწყეთ გადაღებები... ქორწილში საოცრებები ხდება. წყვილებს ყველაფერს სიურპრიზად ვუკეთებთ. მანამდე ინფორმაციას ვაგროვებთ ოჯახის წევრებს ვსტუმრობთ, მეგობრებს, მეჯვარეებს, ნათესავებს და ვიგებთ იმ დეტალებს რითაც ქორწილს ვალამაზებთ... მაქსიმალურს ვაკეთებთ და შოკში ვარდებიან... საორგანიზაციო საკითხების მათ არაფერი იციან. მშობლები ამბობენ, ამგვარ ქორწილს ჩვენს შვილებს ვერასდროს გავუკეთებდითო...

**- უცნაურია, თავად შეყვარებულს დაშორდი და სხვისი ქორწილების კეთება დაიწყე.**

- არ დავშორებივარ, უბრალოდ, ვიჩხუბებთ, ყველა ჩხუბობს... ახლა ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.

**- თუმცა, ძველებურად შეყვარებულს აღარ ჰგავხარ, სულ ერთად იყავით ხოლმე...**

- ხო, ჯერჯერობით, ძველებური ურთიერთობა არ გვაქვს, ბექას ძალიან უნდა, მაგრამ?.. ბექას მგონი ისიც უნდა, რომ ჩემი საკუთარი ქორწილი მომიწყოს ამ გადაცემაში... რაღაც ისეთები აინტერესებდა, მგონი უნდა, რომ სიურპრიზად მომიწყოს... მე ჯერჯერობით მხოლოდ გადაცემით ვარ დაკავებული...



გადაცემაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ შეყვარებულ წყვილს შეუძლია, უფრო ზუსტად, მათ, რომლებსაც დაქორწინება და ზღაპრული ქორწილი სურთ. მთავარია, გადაცემის საიტზე აპლიკაციების გაგზავნა.

**www.jolo.ge**

## ლელა მებურიშვილის განცხადება



**რამდენიმე კვირის წინ ინტერნეტსაიტზე ერთი და იგივე ინფორმაცია გავრცელდა... ლელა მებურიშვილი ნინო გაჩეჩილაძის ფანებს მიმართავდა. იქიდან გამომდინარე, რომ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ნინო ლელათი ჩაანაცვლეს და ამ ცვლილებამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ლელას მიმართვა არც არავის გაჰკვირვებია. მსგავსი ტექსტი „ჟოლოშიც“ გამოქვეყნდა, თუმცა, როგორც მსახიობი აცხადებს, ამ მიმართვისგან ძალიან შორს დგას.**

**ლელა მებურიშვილი:** „ფეისბუქზე“ არის ძალიან ბევრი ლელა მებურიშვილის გვერდი, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამგვარი რამ ძალიან ხშირად ხდება ხოლმე. მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე არანაირი „ფეისბუქის“ გვერდი არა მაქვს ლელა მებურიშვილის სახელით. ამ გვერდის მფლობელმა კი თვითნებურად გააკეთა განცხადება, რომელიც მე არ მეკუთვნის. საოცარი განცხადებაა, რომელიც მე არაფერში მჭირდება და როდესაც წავიკითხე გავოგნდი. ამიტომ მინდა, რომ დიდი ასოებით დაწეროთ, ლელა მებურიშვილის სახელით მე არ ვარ „ფეისბუქზე“. ვინც ამბობს, რომ მე ლელა ვარ ან ლოლა ვარ, არ არის მართალი, რადგან ოფიციალური ლელა მებურიშვილის გვერდებიდან არც ერთი არ არის ჩემი და ვინც ესაუბრება ლელა მებურიშვილს ჩათვალოს და უეჭველი იცოდეს, რომ მე არ მესაუბრება, რომ შემდეგში გაუგებრობა არ მოხდეს, პირადად მე თუ არ შემხვდება და თვალებში არ ჩამხედავს, ჩათვალოს, რომ ვიღაცისგან აიღო ინტერვიუ“.

## „ჭინჭრაქა“ ახალი ინტერპრეტაციით





**თანამედროვე „ჭინჭრაქას“ სულ მალე მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვიხილავთ. ორმოქმედებიან კომედია-ზღაპარში შეხვდებით ტყის ბინადრებს, რომლებიც იძულებულები არიან ემიგრაციაში გაიხიზნონ. იმოგზაურებთ ჯადოსნურ სამყაროში, მაგიური ნივთების წყალობით, ნახავთ როგორ დაამარცხებენ ჭინჭრაქა და მზეთუნახავი ბოროტ დევს და მის გამზრდელ ქოსას. ერთი სიტყვით, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მაყურებელს საოცარი სანახაობა ელის. ეს არ არის სპექტაკლი მხოლოდ ბავშვებისთვის. დღევანდელობას მორგებულ ზღაპარშიც „ჭინჭრაქას“ გმირები პოლიტიკური ქვეტექსტებით საუბრობენ. ისინი ხუმრობენ ყველასათვის ნაცნობ და საჭირბოროტო თემებზე. დრამატურგ გიორგი ნახუცრიშვილის პიესა „ჭინჭრაქა“ 11, 12, 13 და 14 მაისს დიდ სცენაზე გათამაშდება. სწორედ იგივე ავტორის პიესა დადგა, ათეული წლების წინათ, მიხეილ თუმანიშვილმა და მაშინდელ რეალობას მოარგო. მაშინ ამ სპექტაკლში ქართული თანავარსკვლავედის თითქმის სრული შემადგენლობა თამაშობდა. მას შემდეგ ვერავინ გაბედა ამ პიესას შეჭიდებოდა. ამჯერად მაყურებლის წინაშე გამოცდის ჩაბარება რეჟისორ გოგა ქაჩიბაიას უწევს.**

**გოგა ქაჩიბაია:** - რატომ გადავწყვიტე? მარტივი პასუხი მაქვს,- რატომაც არა! ამ პიესის სცენიდან გამოხატვის სულ სხვა ფორმა ავირჩიეთ. სანახაობითი მიმართულება მივეცით. ზღაპარია, თანამედროვე ელემენტებით, თანამედროვე ცეკვით, მუსიკით და ბევრი საინტერესო დეტალით. ერთ შემადგენლობაში დევს გოგო თამაშობს. პატარ-პატარა ექსპერიმენტები უხვად არის და ვცდილობ, რომ ამით იყოს განსხვავებული...

**- არ გაუკვირდათ, როდესაც თქვით, რომ „ჭინჭრაქას“ დადგმას აპირებდი?**

- კი, როგორ არ გაუკვირდათ, ხმაურიანი „ჭინჭრაქა“ გამოგვივიდა. ყველას აქვს ასოციაცია, რაღაცით ხომ არ დაემსგავსება თუმანიშვილის სპექტაკლსო. იმდენად გენიალური იყო ის სპექტაკლი და იმდენად მაგარი მსახიობები მონაწილეობდნენ, რომ უნებურად გაფიქრებინებს ბევრ რამეს... მსახიობს მაინც დაუძლეველის დაძლევის შიში თან სდევს, მაგრამ ისევ ვამბობ, რატომაც არა, უნდა სცადო! თან ჩვენი აბსოლუტურად განსხვავებული სპექტაკლია და უფრო შოუს ხასიათს ატარებს...



**- თვითონ მაყურებლის შიში არა გაქვთ, ან იმის შიში, თუ როგორ მიიღებენ თეატრის კრიტიკოსები?**

- შეიძლება ხმამაღალი და ამბიციური ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ამის შიში არა მაქვს. შიში და ცუდზე ფიქრი ნამუშევარს ყოველთვის აფუჭებს. მუშაობის პროცესის დროს ექსტაზში იმდენად შედიხარ, რომ ამაზე ფიქრი სისულელედ მიგაჩნია. ნამუშევარს ყოველთვის ეტყობა, როცა შიშის ქვეშ არის გაკეთებული, ამიტომ თავისუფლება ჯობია.

**- და მაინც, რისკი არ იყო „ჭინჭრაქას“ არჩევა?**

-კი, რა თქმა უნდა, რისკი იყო და გავრისკე!



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ოვაშვილმა ახალი ფილმის გადაღება დაიწყო



**რამდენიმე დღეა, რაც რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა „სიმინდის კუნძულის“ გადაღება დაიწყო... ფინანსებიც მოძიებულია და მთავარი როლის შემსრულებლებიც ნაპოვნია. მოხუცის როლს თურქი მსახიობი განასახიერებს, გოგონას როლს კი, 14 წლის მარიამ ბუთურიშვილი, რომელიც რეჟისორმა ცხინვალთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინა. მოხუცის როლთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, მოლაპარაკებები პიერ რიშართანაც მიმდინარეობდა, მაგრამ რეჟისორმა ბოლოს სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო.**

**გიორგი ოვაშვილი:** - თითქმის ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ საბოლოოდ სხვა არჩევანი გავაკეთეთ. მოხუცის როლს ერთ-ერთი ცნობილი თურქი მსახიობი ილიად სალმანი განასახიერებს. ის მენტალურად და ვიზუალურად ამ პერსონაჟთან ყველაზე ახლოს არის. გოგონა კი ქართველია, ის ფოტოთი აღმოვაჩინეთ და ძალიან დიდი წვალების შემდეგ ერთ-ერთ შორეულ სოფელში ვიპოვეთ. არც სახელი ვიცოდით და არც გვარი. გვქონდა მხოლოდ ფოტო...

**- თქვენ გიყვართ არაპროფესიონალებთან მუშაობა.**

- კი, მათთან მუშაობისას ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ჩემთვის მთავარია ეს ადამიანი ვიზუალურად და თავისი შინაგანი სამყაროთი იყოს პერსონაჟთან ახლოს. ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სამსახიობო გამოცდილება, ან ცნობადობა.

გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის, „სიმინდის კუნძულის“ გადაღებები 2012 წლის მაისში უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ფილმის გადაღება ერთი წლით დაგვიანდა. მიზეზად რეჟისორი ფინანსებთან დაკავშირებულ პრობლემებს ასახელებს. ფილმის ბიუჯეტი დღეს მილიონ ევროს შეადგენს. „სიმინდის კუნძული“ 4 ქვეყნის - ქართული, ფრანგული, გერმანული და შვეიცარიული - წარმოებაა.

**გიორგი ოვაშვილი:** - გადაღებები ტყიბულის რაიონში, წყალსაცავზე მიმდინარეობს. გადაღებების დაგვიანება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ, გარკვეული მიზეზების გამო, ქართული დაფინანსება ჩავარდა. ამის გამო მაშინ ჩვენი კოპროდუქცია დაიშალა და მერე ხელახლა მოგვიწია ყველაფრის აწყობა. საბოლოოდ ქართული დაფინანსების ნაწილი მივიღეთ. ქართული ბიუჯეტი მთელი ბიუჯეტის 20-22 პროცენტია. ფინანსები ბოლომდე მაინც არ არის მოძიებული, მაგრამ ვმუშაობთ და გაჭირვებით რაღაცას ვაკეთებთ. 2 ეტაპად გვაქვს ფილმის გადაღება დაგეგმილი. პირველი ეტაპი ივნისის დასაწყისში დამთავრდება, მერე ვჩერდებით და რადგან მეორე ნაწილში შემოდგომა გვაქვს, სექტემბერსა და ოქტომბერში გავაგრძელებთ. პრემიერა 2014 წლის მაისში იქნება.




„სიმინდის კუნძული“ ფსიქოლოგიური დრამაა. მოქმედება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბუნებრივ საზღვარზე - მდინარე ენგურზე ვითარდება. მდინარეში, წყალდიდობის დროს წარმოქმნილ კუნძულზე, მოხუც გლეხს სიმინდი მოჰყავს. მოგვიანებით კუნძულზე ქართველი მესაზღვრე ჩნდება, რომელიც მოხუცის და მისი 16 წლის შვილიშვილი გოგონას, ერთი შეხედვით, იდილიურ ცხოვრებას არღვევს...




# „ნაწილები“ მისტიკა ფილმსა და რეალობაში

**ფილმის გადაღების დასრულების შემდეგ, სახლი, სადაც ფილმს იღებდნენ, მეპატრონემ სასწრაფოდ გაყიდა. როგორც მსახიობები ამბობენ, გადაღების პროცესში იქ ბევრი უცნაური რამ ხდებოდა... უნებურად იმსხვრეოდა სარკეები... ოთახში კი ვილაცები დააბიჯებდნენ...**

**დავით ქაცარავა:** - თავისით იღებოდა და იხურებოდა ფანჯრები, უცნაური ხმები შემოდიოდა იქიდან, სადაც, წესით, არავინ უნდა ყოფილიყო. შინაგანად გრძნობდი, რომ მარტო არ იყავი, რაღაც უცხო მატერიები ტრიალებდნენ შენს ირგვლივ. ძალიან რთულია ამის გადმოცემა, ეს უნდა გეგრძნო. მთელ ტექნიკურ ჯგუფს ეს შეგრძნება თან დაგვყვებოდა... 2 წელია ამ ფილმისთვის ვიბრძვით. ძალიან ბევრი დაბრკოლება შეგვექმნა მთელი პროცესის განმავლობაში. ამიტომაც გაიწელა ამდენ ხანს. ეს არ იყო კომედია, ეს არ იყო სასიყვარულო ისტორია, ეს იყო სერიოზული ემოციებით დატვირთული ფილმი, ფილოსოფიის მატერიებით. ეს ბრძოლა ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი ნერვების ხარჯზე. მუდმივი წვა და ნერვიულობა გვქონდა, მაგრამ დღემდე მოვედით...



პრემიერაზე მისული მაყურებელი ერთხმად აღნიშნავდა, რომ ყველაზე მეტად მსახიობების კარგმა თამაშმა აღაფრთოვანა. ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ლაშა ონიანი, გიორგი კალანდაძე, ნოდარ მამულაშვილი, გიორგი გურგულია, დავით ქაცარავა, მარინა ჯანაშია - მისტიკური ფილმის „ნაწილების“ გმირები მართლაც შეუდარებლები იყვნენ.

**ნოდარ მამულაშვილი, პროდიუსერი:** - ფილმში სამეცნიერო ექსპერიმენტია აღწერილი. რომლის განხორციელებას ამ პროცესის მონაწილენი სავალალო შედეგამდე მიჰყავს. ფილმის ჟანრი ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფიაში განსხვავებულია. სცენარი ისეა აგებული, რომ შინაარსი ნებისმიერი ქვეყნისთვის გასაგები იქნება. შესაბამისად, ქართული პრემიერის შემდეგ ფილმის გატანას საზღვარგარეთაც ვგეგმავთ.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა აშინებს დათოს საყვარ





**my View**
**დეა თავბერიძე**

მაყურებლის მიერ გასკანდალებული დათოს საყვარელი ცხოვრებაში რუსული აქცენტით საუბრობს. ქართული სკოლა დაამთავრა, უნივერსიტეტიც, მაგრამ, იმის გამო, რომ რუსულად ამეტყველდა, აქცენტი დღემდე მოჰყვება. ალბათ, მისი პროფესიონალიზმის დამსახურებაა, რომ სერიალში ეს საერთოდ არ იგრძნობა, რეალურ ცხოვრებაში კი - ვერაფერი მოვუხერხეო, ამბობს ღიმილით. საერთოდ, ღიმილი, დადებითი ემოციები და გულწრფელობა ჩემი რესპონდენტის დამახასიათებელი თვისებებია. ნათიას როლის შემსრულებელი ნინო მუმლაძე, ბევრისგან განსხვავებით, ზეკდემამოსილებით არ ინილბება... ამ უბრალო გოგონას, მსახიობობა თურმე ბავშვობიდან ოცნებად ჰქონდა. ამაში ხელი, ალბათ, შემოქმედებითმა ოჯახმა შეუწყო, მასთან ყველა მუსიკოსია. წლინახევრიდან კონცერტებს მართავდა, როცა წამოიზარდა სპექტაკლებსაც დგამდა და როლებს ოჯახის წევრებზე ანაწილებდა. როცა პატარა მსახიობმა თავისი არტისტულობით ყველა დაღალა, ოჯახში ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ხელოვნების სკოლაში შეეყვანათ, მაშინ 4 წლის იყო... მსახიობობაზე კი ოცნებობდა, მაგრამ დედას სხვა სურვილი ჰქონდა, უნდოდა მისი შვილი ვოკალისტი ყოფილიყო, ამიტომაც მოუხდა კონსერვატორიასთან არსებული ვოკალური ათწლედის დამთავრება. მაგრამ, დედის სურვილისამებრ, კონსერვატორიაში არ ჩაუბარებია, თეატრით მოვიწამლეო... თეატრით მოწამვლას თეატრალური ინსტიტუტი და რამდენიმე თეატრის გამოცვლაც მოჰყვა... დღეს, მხოლოდ სერიალით არის დაკავებული, მაგრამ საკუთარ გასართობ გადაცემაზეც ფიქრობს. ეს მომავლის საკითხია, მანამდე კი ნინო მუმლაძე დათოსა და ნათიას რომანით გამოწვეულ აჟიოტაჟზე, ასევე საკუთარ ცხოვრებასა და სურვილზე, რომელიც ამ ეტაპზე სტკივა და ცოტათი აშინებს კიდეც...

**ნინო მუმლაძე:** - რომანტიკული ვარ, მაგრამ გადაჭარბებით არა, როდესაც კონკრეტულ თემებს ეხება საქმე, რეალობის შეგრძნებას არ ვკარგავ. შეიძლება რაღაც სიტუაციაში მომინდეს მეტი რომანტიზმი, მაგრამ თუ რაღაც გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, ყოველთვის ცივი გონებით ვსაზღვრავ. რომანტიკულია ნებისმიერის გარემო, რომელიც ცდება იმ ყოველდღიურობასა და რეალობას, რომელშიც ვარსებობთ, ეს შეიძლება ნებისმიერი არაორდინარული რამ იყოს, რაც სიხარულს მომგვრის...

**- შენს ცხოვრებაში რამდენად ხშირია ამგვარი წუთები?**

- გამომდინარე იქედან, რომ შემოქმედებითი ადამიანი ვარ და არ მიყვარს ერთფეროვნება, ხშირად არის... ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხშირად ვიცვლი სამსახურს, მართალია ზოგიერთი სამსახური დაიხურა და ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით მომიხდა წამოსვლა, მაგრამ ყოფილა სიტუაციები, სადაც მუშაობის სამი წელი ჩემთვის ძალზე კრიტიკული ხდება, მიჭირს ერთფეროვნება. სამსახური თუ შემოქმედებითი არ არის, დისკომფორტი მექმნება. ჩემი სამსახური, პირველ რიგში, უნდა მაკმაყოფილებდეს, ისე, რომ თავს შემოქმედებითად რეალიზებულ ადამიანად ვგრძნობდე, საერთოდ არ მაინტერესებს ვიღაცისთვის რაღაცის მტკიცება... ან მინიშნება, რომ მე შენზე მეტი შემიძლია...

**- ჩემი ცოლის დაქალებში თავს როგორ გრძნობ?**

- პროფესიულ დონეზე თეატრთან პირველი შეხება „თეატრალური სარდაფი“ იყო. ძალიან კარგი გარემო იყო, შემოქმედებით ვიყავით დაკავებულნი და ერთმანეთთან სიყვარულის გარდა არაფერი გვაკავშირებდა. ეს პერიოდი ძალიან ტკბილად მაგონდება, აი, ასეთივე დონეზეა „ჩემი ცოლის დაქალებიც“...

**- ამ სერიალამდე ჟურნალისტობდი კიდეც, ტელეწამყვანიც იყავი, რამდენად საინტერესო იყო შენთვის სხვა პროფესიის შეთავსება?**

- „რეალტივიში“ 2 წელი ვიმუშავე... დედამ აბსოლუტურად შემთხვევით ნახა რომ კასტინგი იყო და იქნებ სცადოო... მეც სივი გავაგზავნე, იმ დღესვე დამირეკეს, მივედი და ამიყვანეს. 4 თუ 5 თვე როგორც ჟურნალისტმა ვიმუშავე. აბსოლუტურად შემოქმედებითი გადაცემა იყო. სხვადასხვა თემებზე, ვაკეთებდი ჩართვებს, სიუჟეტებსაც ვამზადებდი... ამ თვეების განმავლობაში გარკვეული პრაქტიკა მივიღე და მერე დილის ეთერში გადაცემის წამყვანი გავხდი... ეს ამპლუა ძალიან მომეწონა, იმდენად, რომ რამე გადაცემას კიდევ წავიყვანდი სიამოვნებით. ძალიან მინდა, რომ ეს საქმე გავაგრძელო... დღესაც აქტიურად ვფიქრობ იმაზე, რომ რამე შემოქმედებითი ან გასართობი გადაცემა გავაკეთო. იდეები ბევრი მაქვს, თუ ვინმე დამეხმარება და ხორცს შეასხამს ამ ყველაფერს, ბედნიერი ვიქნები... ძალიან მინდა ვიყო სერიალში, მინდა გადამიღონ კინოშიც, მაგრამ აუცილებლად ვიფიქრებ საკუთარ გადაცემაზე...

**- სანამ საკუთარ გადაცემას გააკეთებ, მანამდე ისეთი გმირი შექმენი, რომ მაყურებელი საკმარისზე მეტად გააღიზიანე, ეს ქუჩაშიც იგრძნობა?**

- თუ ეს ამბავი გულზე ასე ხვდება ხალხს, იმას ნიშნავს, რომ სცენარი ძალიან კარგი და რეალისტურია და ალბათ, ჩვენც, როგორც მსახიობები, საკმაოდ ბუნებრივად ვასრულებთ ყველაფერს. ამიტომ ხალხის ასეთი მძაფრი რეაქცია ჩვენთვის, გარკვეულწილად, კომპლიმენტიც არის... რა თქმა უნდა, ძალიან სასაცილოა იმ ადამიანების ფრაზები, რომლებიც რეალობასა და სერიალს შორის საზღვარს კარგავენ და პირადად მე (ანუ არა ნათიას, არამედ ნინო მუმლაძეს) და ლევან ყოჩიაშვილს (და არა დათოს) ცუდ კონტექსტში მოგვიხსენიებენ, მწვავე რეაქციები ძირითადად „ფეისბუქზეა“, ქუჩაში ნაკლებად. ძირითადად უფრო იუმორში ატარებენ, როცა დამინახავენ ეცინებათ და რაღაცებს ხუმრობით მეუბნებიან, ყველაზე მეტად კი კომპლიმენტებს ვისმენ ხოლმე... ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, ეს არ არის ჩემთვის სამსახური, მხოლოდ ანაზღაურებისთვის, არამედ არის სამსახური, რომელშიც მართლა შემოქმედებითად ვიხარჯები და მართლა ვქმნი პერსონაჟს, ყოველ სცენაზე მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, აქ გადაღებები აბსოლუტურად უტოლდება ფილმის გადაღებას და ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩვეულებრივი ყოველდღიური სერიალისა. გარდა ამისა, არიან კარგი ადამიანები და მართლა ჩემი მეგობრები, მყავს არაჩვეულებრივი პარტნიორი, ძალიან კარგი რეჟისორები გიორგი ლიფონავა და რატი რამიშვილი. მთელი ჯგუფი ერთ გუნდად არის შეკრული და ორიენტირებულია იმაზე, რომ კარგი შედეგი დადონ და არა იმაზე, რომ ვიღაცას რაღაც დაუმტკიცონ. ეს ძალიან სასიამოვნოა.

**- ცხოვრებაში რამდენად მაცდური ქალი ხარ?**

- შეგნებულად და სპეციალურად ამას ნამდვილად არ ვაკეთებ. პრინციპში, ვერც ნათიაზე ვიტყვი, რომ სპეციალურად გააკეთა რამე, რომ დათო მოეხიბლა, უბრალოდ, შედეგი გამოვიდა ასეთი...

**- ცხოვრებაში თუ გქონია იგივე სიტუაცია?**



**„ძალიან მინდა, რომ ეს დრო, ადრე თუ გვიან, დადგეს ჩემს ცხოვრებაში“**







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ელს რეალურ ცხოვრებაში



## „ეს არის ის, რასაც მთელი ცხოვრება ხმალამოღებული ვებრძვი და ვერაფრით ვერ მოვუგე“

- არა, ცოლიან მამაკაცთან რომანი ნამდვილად არასოდეს მქონია. სხვისი კაცი, ჩემთვის, არის სხვისი კაცი და მორჩა! ალბათ, ნათიაც არ არის შეუგნებელი გოგო, უბრალოდ, ემოციებს, გრძნობებს აჰყვა და მერე ველარ დაიხია უკან, ძალიან შეტოპა...

**- რამდენად ამართლებ ნათიას?**

- არანაირად არ ვამართლებ, არასწორად მოიქცა. მე, პირადად, როცა ვიგებ, რომ ადამიანი ცოლიანია, საქმე გრძნობებამდე არ მიმყავს, იქვე მთავრდება ყველაფერი. უნდა გაჩერდე და აღარ უნდა გააგრძელო... ნათიამ გააგრძელა, მე მის ადგილას ასე არ მოვიქცეოდი... ხოლო თუ ადამიანმა იმდენი ხანი დაგიმალა რომ ცოლიანია, რომ უკვე გრძნობებში შეგიყვანა, ე.ი. გარეწარია და აუცილებლად უნდა დაშორდე. მადლობა ღმერთს, ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა... არც შეგნებულად და სპეციალურად „მიჩალიჩია“ არასოდეს, არავისზე! საერთოდ, ვფიქრობ, რომ ქალის პრიორიტეტი არ არის ვიღაც შეგნებულად „დაკეროს“ ეს უფრო კაცის პრიორიტეტია. ყოველთვის იყვნენ, არსებობენ და დღესაც არიან ადამიანები ჩემ გარშემო, ვისაც მოვწონვარ, ვისაც სურს ჩემი ყურადღების მიპყრობა და ამ თაყვანისმცემლებს შორის, ნორმალურმა ქალმა, ალბათ, უნდა გააკეთოს არჩევანი. ასეა თუ ისეა, რაც არ უნდა 21-ე საუკუნე იყოს და რაც არ უნდა გენდერულობა, მამაკაცის ბუნებაში დევს ეს გარკვეული მონადირის ინსტინქტი და თუ კაცმა მოგინადირა, შემდეგ უფრო მეტად დაგაფასებს...

**- ამ ეტაპზე არის მამაკაცი, რომელსაც მონადირებული ჰყავხარ?**

- არა, ამ ეტაპზე არავინ არის ჩემს ცხოვრებაში.

**- მე კი ყური მოვკარი, რეალურ ცხოვრებაში ნათიას შეყვარებული უცხოეთში არისო.**

- კი, იყო ერთი ადამიანი, მაგრამ ეს არ იყო, ალბათ, სერიოზული ურთიერთობა... ასეთი პატარა გატაცებები ცხოვრებაში რამდენიმე მქონდა, არც ისე პატარა ვარ, 28 წლის ვარ და, რა თქმა უნდა, იყო რამდენიმე, რომელის მიმართაც რაღაც სიმპათიები გამაჩნდა. ასევე იყო ისიც, თითქოს რაღაც იყო ჩვენს შორის, მერე უცხოეთში მოუხდა წასვლა, იქ ერთი თვე დაჰყო და ძირითადად ინტერნეტით ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს, მაგრამ მივხვდი, რომ ის ის არ არის, არ გაამართლა იმედები...

**- თავდავიწყებით გყვარებია ვინმე?**

- არა, თავდავიწყებით შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ... არ შემხვდა შესაბამისი ადამიანი თუ კონკრეტულად რაშია პრობლემა, ვერ ვხვდები. შეიძლება ჩემშია პრობლება. როგორც კი ვხვდები, რომ რაღაც წინააღმდეგობას ვეჩეხები და ეს ის არ არის, ვინც ცხოვრების თანამგზავრად მინდა, მაშინვე უკან ვიხევ, აღარ მივყვები ხოლმე ამ აჟიტირებასა და გრძნობებს. ასე ვთქვათ, გარკვეულწილად, ვახერხებ ჩემი გრძნობების გაკონტროლებას.

**- გინდა, რომ იყო თავდავიწყებით შეყვარებული?**

- რა თქმა უნდა, მინდა... ოღონდ არ მინდა ეს იყოს ისეთი ურთიერთობა, რომელიც შემდეგ გულს მატკენს, ალბათ, ამიტომ ვუფრთხილდები ასე საკუთარ თავს, ძალიან ბევრი მაგალითი მინახავს, თუნდაც ჩემს მეგობრებში, რომ ასე თავდავიწყებით სიყვარულს დიდი ტკივილიც მოუტანია, ეს არ მინდა. ამიტომაც ყოველთვის იმაზე მეტს ვფიქრობ, ვიდრე შეიძლება სხვა გოგო ფიქრობდეს. თუ შემხვდება ამქვეყნად ადამიანი, რომელთანაც დარწმუნებული ვიქნები, რომ არა ტკივილი, არამედ მხოლოდ ბედნიერება მელოდება, მაშინ, რა თქმა უნდა, მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ ბოლომდე, ყურებამდე შეყვარებული ვიყო და ძალიან, ძალიან მინდა, რომ ეს დრო, ადრე თუ გვიან, დადგეს ჩემს ცხოვრებაში.

**- როგორი უნდა იყოს შენთვის სასურველი მამაკაცი?**

- ჩამოყალიბებული სტერეოტიპი არ მაქვს, ბევრი მაგალითი მინახავს, როცა ქალები ერთს ამბობენ და შემდეგ აბსოლუტურად სხვა რამეს აკეთებენ, ამბობენ, ასეთს არასოდეს შევიყვარებო და მერე ზუსტად ასეთს მიყვებიან... ამიტომ სტერეოტიპებს არ ვქმნი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანთან კომფორტულად ვგრძნობდე თავს. სხვადასხვა ფაქტორებზე მსგავსი შეხედულებებიც უნდა გვქონდეს, დაახლოებით ერთნაირი იუმორის გრძნობა, საერთო თემები და ფიზიკურადაც რაღაცით უნდა მხიბლავდეს... შეიძლება არ იყოს ლამაზი, მაგრამ მიგიზიდოს და ვერც დაასახელო და გაიგო რით. ასეთი მიზიდულობა აუცილებლია...

**- გავიგე ხატავს და ლექსებსაც წერსო.**

- ეს უფრო ადრე, სადღაც 13 წლიდან 20-22 წლამდე. მაშინ ძალიან ბევრს ვწერდი - ლექსებს, მინიატურებს, ჩანახატებს... ეს ძირითადად მაშინ ხდებოდა, როდესაც შინაგანი დისკომფორტი მქონდა, ვწერდი და ვხატავდი. სამწუხაროდ, ახლა დრო ნაკლები მრჩება ხატვისთვის, ალბათ, უფრო რეალისტი და ნაკლებად რომანტიკული გავხდი, ვფიქრობ, მიწაზე დავეშვი...

**- ადრე ხშირად დაფრინავდი ხოლმე?**

- ძალიან, თან როგორ, იმდენად შორს და იმდენად მაღლა, რომ სხვა გალაქტიკებში გადავდიოდი ხოლმე, ზედმეტადაც კი... ასაკთან ერთად ცოტათი დავეშვი... წლებმა იმოქმედა... გსურს თუ არა, ცხოვრება ცხვირ-პირში ბევრ რეალურ რაღაცას გაჯახებს. ასე რომ, გიწევს თვალების ახელა იმ რეალობაზე, რომელშიც ცხოვრობ, მერე ხვდები, რომ თუ ტვინი არ დაატანე, შეიძლება რაღაცით დაზარალდე... ჰოდა, რატომ?.. როცა შეიძლება, რომ ჭკვიანად მოიქცე... ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ასაკში ცანცარა და ქენქერა ვიყავი, ასე ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, ეს შემოქმედებითი ნაპერწკალი იყო და სულით-ხორცამდე დავფრინავდი, ახლა უფრო პროფესიულად ვუდგები ყველაფერს. რა თქმა უნდა, ემოციაც არის, მაგრამ ბევრად გაანალიზებულად ვაკეთებ რაღაცებს. ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც...

**- შენი სუსტი წერტილი რა არის?**

- ზედმეტი წონა. ეს არის ის, რასაც მთელი ცხოვრება ხმალამოღებული ვებრძვი და ვერ მოვუგე ვერაფრით, განსაკუთრებით ტკბილეული მსპობს, რომელზეც უარს ვერასდროს ვამბობ. ვგიჟდები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შოკოლადს ვხედავ, ბინდი მეკვრება თვალებზე...



## „ცხოვრებაში არასოდეს არაფერი არ უნდა ინანო“





**- ყველაზე ხშირად რაზე ნერვიულობ და რა გაშინებს?**

- უმუშევრობაზე... სამწუხაროდ, საქართველოში, შენი პროფესიონალიზმი ხშირად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ყოველთვის დასაქმებული იყო. ეს ძალიან რთული პრობლემაა და მით უმეტეს ჩემთვის, იმიტომ რომ მე მართლა დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და როდესაც უმუშევარი ვრჩები ეს ჩემთვის დიდი ტრაგედიაა და სანამ რამეს ახალს ვიშოვი, სერიოზული თავის ტკივილია. კიდევ, მარტოობის მეშინია ძალიან. არ მინდა, რომ ასე მარტო დავრჩე მთელი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ პირად ცხოვრებას საშველი ვერ დავაყენე და ძალიან გადავდე, რეალურად ძალიან მეშინია. როდესაც ასაკი „მომიჭერს“, ალბათ, რაღაცა ნაბიჯს მაინც გადავდგამ, მაგრამ არ მინდა შევქმნა ოჯახი მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახი იყოს. მინდა, რომ მართლა გულწრფელად ვიყო ბედნიერი, ამიტომ მიჭირს ჩემი მეორე ნახევრის მოძებნა. მეორე ნახევარს რომ თავი დავანებოთ, მინდა შვილი მყავდეს. ქალი ვარ და მიუხედავად ჩვენი კარიერული წინსვლებისა, ქალის მთავარი მისია, ამქვეყნად, მაინც ეს არის...

**- რას ვერ ეგუები ყველაზე მეტად?**

- როდესაც შესაბამისად ვერ მაფასებენ. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ამბიციური ადამიანი ვარ და იმაზე მეტს ვითხოვ, ვიდრე მეკუთვნის, ეს ასე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, რაც მეკუთვნის ის აუცილებლად უნდა მივიღო... ეს იქნება ანაზღაურება, ყურადღება, თუ დაფასება...

**- რამეს თუ ნანობ ცხოვრებაში?**

- არა, არაფერს ვნანობ. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში არასოდეს არაფერი არ უნდა ინანო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქართველი პიანისტი დები, რომელთა გ



**my View**
თამარ გონგაძე

ამ წარმატებული ქართველი დების შესახებ ევროპაში მოღვაწე მეცო სოპრანო ქეთი ქემოკლიძისგან წინა კვირას შევიტყვე - პლასიდო დომინგოს ფავორიტი პიანისტები არიანო. თითქმის თხუთმეტი წელია ნინო და თამარ სანიკიძეები ამერიკაში იკეთებენ კარიერას. დღეს ნინო ლოს ანჯელესის ოპერაში მუშაობს, თამარი - სეზონურად ლოს ანჯელესის და სან ფრანცისკოს ოპერებშია. რაც შეეხება დომინგოსთან მათ სიახლოვესა და წარმატებულ თანამშრომლობას, ეტყობა, მაინც ესპანური და ქართული ტემპერამენტის ნათესაური კავშირი თავისას შვრება. დები პლასიდოს ყოველწლიური საერთაშორისო კონკურსის „ოპერალიას“ მუსიკალური განყოფილების წევრები არიან. „ხშირად მეკითხებიან, როგორ დაიწყო „ოპერალიამ“ არსებობა. წლების განმავლობაში ყოველთვის დიდ ინტერესს გამოვხატავდი ახალგაზრდა მომღერლებისა და იმ სიძნელეების მიმართ, რომელიც მათ კარიერის დასაწყისში ხვდებათ. მივხვდი, რომ მხოლოდ ნიჭი არ არის საკმარისი. მათ ყოველთვის სჭირდებათ მენეჯერების, იმპრესარიოების, ოპერის დირექტორების ყურადღება და მათგან გზის გაკაფვა. ჩემი მიზანია, დავეხმარო არა მხოლოდ ახალ, ძლიერ ხმებს, არამედ აღმოვაჩინო მათი პიროვნულობა, ხასიათი და ძალა, რომელიც მათ სრულყოფილ არტისტად ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს. ინდივიდუალიზმი ხვალინდელი ვარსკვლავების განმსაზღვრელი რამაა. „ოპერალიას“ გამარჯვებულების კარიერის განვითარებაზე დიდ ინტერესს ვიჩენ. მათ ყოველთვის ჩემი ყურადღების ქვეშ ვამყოფებ“ - „ოპერალიას“ გვერდზე წერს პლასიდო დომინგო.



თამარი და პლასიდო დომინგო



ტენორი ნინო სანიკიძესთან ერთად



„მე და ნინოს პლასიდო იმ დონემდე გვენდობა, რომ კონკურსანტების რეპერტუარს მთლიანად ჩვენ გვადგენინებს“

**„სადაც დომინგოა, ჩვენც იქ ვართ. ორივე და მისი ფავორიტები ვართ“**

**„ჯიბეში 70 დოლარი მედო, ხელში პატარა ჩემოდანი მეჭირა. ერთი ინგლისური სიტყვა არ ვიცოდი. ეს მართლა იყო ამერიკული ოცნება“**

სანიკიძეები 2008 წლიდან, პლასიდოს მიწვევით, „ოპერალიეს“ მუსიკალური განყოფილების წევრები გახდნენ. როგორც ქეთი ქემოკლიძემ მითხრა, მათ გარეშე ტენორი კონკურსებს აღარც ატარებს და ისე ენდობა, კონკურსანტების მომზადება მთლიანად მათზეაო.

### „პლასიდოსთან გინდა საუკეთესოდ დაუკრა“

თამარი ვაშინგტონში ცხოვრობს და მერილენდის უნივერსიტეტში ასწავლის. მასაც და ნინოსაც ამერიკაში მუსიკალური სადოქტორო აქვთ დაცული. თამარი 1998 წელს წავიდა ამერიკაში. მერე ნინო ჩაიყვანა. 2000 წელს თამარს სოლო კონცერტით დებიუტი „კარნეგი ჰოლში“ ჰქონდა. 14 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. ახლაც ხშირად უკრავს „კარნეგი ჰოლში“.

2002 წელს პლასიდომ ჯერ ნინოს მოუსმინა და თავის პროგრამაში ერთ-ერთ პიანისტად აიყვანა. ორი წლის შემდეგ - თამარიც შეუერთდათ.

„პლასიდოს პროგრამაში ბევრი პიანისტი ჰყავს, მაგრამ ეტყობა თავიდანვე მოეწონა ჩვენი დაკვრის სტილიც, ტექნიკაც და შრომისუნარიანობაც, რადგანაც დასაკრავად ყოველთვის განსაკუთრებულ პროექტებს გვაძლევდა. მაგალითად, 2007 წელს, ვაშინგტონში დომინგო დირიჟორობდა „ტრავიატას“, სადაც მისი ცოლი რეჟისორი იყო. მე მთავარ პიანისტად დამნიშნეს. ვგრძნობდი, რომ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევდა მეც და ნინოსაც. ამბობდა - თქვენ განსაკუთრებულად უკრავთო. ერთხელ, სანამ თავის კონკურსში ამიყვანდა, კენედის ცენტრში ზიგმუნდის პარტიას რეპეტიციობდა. იმავე საღამოს ამ ცენტრის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში მქონდა კონცერტი. მისი რეპეტიციის შესვენებაზე სპეციალურად გამოვიდა, რომ ჩემთვის მოესმინა. მაშინ პირველად მომისმინა სცენაზე. გამომიგზავნა ასისტენტი, აუცილებლად მინდა ჩემს პროგრამში მოხვდეო. ასე დამპატიჟა თავის პროგრამაში. პლასიდოსთან გინდა საუკეთესოდ დაუკრა. მეც ასე ვარ“.

### სტუმრად ბუშთან

„ბუშის პრეზიდენტობის დროს, თეთრ სახლში „კამპანელა“ დავუკარი. ბუში ისე აღფრთოვანდა, რომ თეთრი სახლის პერსონალური ტური მომცა. მე და ბუში საათ-ნახევარი ვიდექით ოვალურ ოფისში და მსოფლიო პოლიტიკურ სიტუაციას განვიხილავდით. სააკაშვილზე მელაპარალებოდა. მე ქართული პოლიტიკის აზრზე არ ვიყავი და ყველაფერზე თავს ვუკრავდი. რა უნდა მეთქვა“.

### „ოპერალია“

„2006 წელს დომინგომ ლოს ანჯელესში ჩამოაყალიბა ახალი პროგრამა და მე მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელად მიმიწვია. 2008 წელს კი, მე და ნინო, „ოპერალიას“ მუსიკალური განყოფილების წევრებად დაგვპატიჟა.

გარდა ამისა, მე ვაშინგტონის ოპერის მუსიკალური განყოფილების წევრი ვარ, ნინო კი - ლოს ანჯელესის. სადაც დომინგოა, ჩვენც იქ ვართ. ორივე და მისი ფავორიტები ვართ. თბილად არის ჩვენს მიმართ განწყობილი. სამი ვაჟიშვილი ჰყავს და თქვენ ჩემი ქალიშვილები ხართო, მითხრა. სახლში მასთან ბევრჯერ ვართ სტუმრად ნამყოფი. მისი ერთი შვილიშვილი - დომენიკი ჩემი მეგობარია. ის ყოფილი მომღერალია. ახლა ოპერის ადმინისტრაციაში და „ოპერალიაში“ მუშაობს.

დომინგო ბათუმში რომ იყო ჩამოსული ნინოსთან ერთად მეც დამპატიჟა, მაგრამ მე იმ დროს სან ფრანცისკოს ოპერაში ვმუშაობდი და ჩამოსვლა ვერ მოვახერხე.

პლასიდოს ჩვენი მუსიკალური გემოვნების სჯერა. სულ მეკითხება - ხომ არ იცი, დღეს ახალი მომღერალი ვინ არის? ტენორს ვეძებ, ახალ მეცოს ვეძებ და ყური გამახვილებული გქონდესო...“

### „ძალიან უყვარს ქართველები“

„ორი წლის წინ „ოპერალია“ ლა სკალაში იმართებოდა. ჩემთან დედა იყო



„სულ იმას ამბობს, თქვენ რომ უკრავთ, ისე არავინ უკრავსო“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...არეშე დომინგო კონკურსს არ ატარებს

**„პლასიდოს ჩვენი მუსიკალური გემოვნების სჯერა. სულ მეკითხება - ხომ არ იცი, დღეს ახალი მომღერალი ვინ არის? ტენორს ვეძებ, ახალ მეცოს ვეძებ და ყური გამახვილებული გქონდესო“**



**„სამი ვაჟიშვილი ჰყავს და თქვენ ჩემი ქალიშვილები ხართო, მითხრა“**

ჩამოსული სტუმრად. დედა - დოდო ცინცაძე, ფორტეპიანოს ცნობილი პედაგოგია. პლასიდომ დედა რომ გაიცნო, ქართული საფორტეპიანო სკოლის მიმართ თავისი სიმპათია გამოხატა. ლა სკალაში პლასიდო სპექტაკლს მღეროდა და დედამ ითხოვა, იქნებ ერთი მოსაწვევი მიშოვოთო. პლასიდომ სამეფო ლოჟაში ყველაზე საუკეთესო ადგილის მოსაწვევი გაუგზავნა.

წელს ვერონაში ტარდება ეს მაღალი ხარისხის კონკურსი „ოპერალია“, 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. შარშან ჩინეთში ჩატარდა, მაგრამ მე ფეხმძიმობის გამო ვერ გავემგზავრე. იმ დროს გამიჩნდა შვილი. ჩინეთიდან მომილოცა პლასიდომ და მისმა ცოლმა.

თვითონ კონკურსი ერთი კვირა გრძელდება, მაგრამ მე და ჩემი და და მომღერლები ერთი კვირით ადრე ჩავდივართ. მერე მძიმე ექსპრესიული მუშაობა იწყება. მე და ნინოს პლასიდო იმ დონემდე გვენდობა, რომ კონკურსანტების რეპერტუარს მთლიანად ჩვენ გვადგენინებს. გვეუბნება - მინდა მომღერლების მრჩეველები იყოთო. ჩვენთან მოდიან მომღერლები, ვამეცადინებთ და რჩევას ვაძლევთ რა იმღერონ ხოლმე. რეპერტუარს ვუდგენთ, რომ პირველ ტურზე საუკეთესოდ წარმოაჩინონ თავი. უკვე რამდენი წელია ამ კონკურსზე ვმუშაობთ და ვიცით, რომელი ნაწარმოებით ჯობს წარდგენა. პლასიდო თვითონაც ზის ჟიურიში და, ბუნებრივია, მასზე გავლენაც აქვს. ვინც მას არ მოსწონს, ის ამ კონკურსს ვერ მოიგებს, რა თქმა უნდა.

მაგრამ მე ხვალ სან ფრანცისკოში უნდა გავფრინდე-მეთქი. მან მითხრა - არ მახსოვს ასე კარგად ადამიანთან ბოლოს როდის ვიგრძენი თავი. თუ შეიძლება, გავაგძელოთ ურთიერთობაო. შენ ვაშინგტონში იქნები, მე სან ფრანცისკოში და აბა, როგორ-მეთქი? მე ჩამოვალო. ერთი თვის შემდეგ, ნორმი ჩამოფრინდა. დავახლოვდით, ასე დავმეგობრდით. ერთი წლის შემდეგ დავინიშნეთ. და ჰავაიზე ორი კვირით წავედით. იქ კი სიურპრიზად სანაპიროზე ხელი მოვაწერეთ. მარტო ჩვენ ვიყავით, პლაჟზე ყვავილებით უზარმაზარი გული იყო გაკეთებული და შუაში ჩვენ ვიდექით. მერე ჩემთან ჩამოვიყვანე სახლში. ჩემს მშობლებს ისე შეუყვარდათ, პირველად მას კითხულობენ, როგორ არისო? სამი წლის მერე შვილი გაგვიჩნდა. დეა უსაყვარლესობის განსახიერებაა. მალე ერთი წლის გახდება. ივნისში, ერთი თვით, შვილის მოსანათლად ჩამოვდივართ.

დედობამ კი შემცვალა, მაგრამ არც საქმის მიტოვება მინდა. ჩემი შვილი რომ გაიზრდება მინდა ჩემით იამაყოს. კარიერის გასაკეთებლად იმდენი დრო გჭირდება, რომ მერე მისი დანგრევა ძალიან დასანანია. საბედნიეროდ, ისეთი მეუღლე მყავს, ყველანაირად მხარში მიდგას. როდესაც მე ჩემს სეზონურ სამსახურში მივდივარ, ჩემი ქმარი და ძიძა იტოვებს ბავშვს. მერე ძიძა და დეა ჩამოდიან ჩემთან.

ცოტა ხანში 15 წელი გახდება, რაც საქართველოდან წამოვედი. ჯიბეში 70 დოლარი მედო, ხელში პატარა ჩემოდანი მეჭირა. ერთი ინგლისური სიტყვა არ ვიცოდი. ეს მართლა იყო ამერიკული ოცნება. დაკვრა შემეძლო კარგად და ვიცოდი, რომ ჩემგან რამე გამოვიდოდა. კარიერა ბევრი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ აეწყო. ისე არაფერი არ მოდის, ყოველ შემთხვევაში, ამერიკაში. ყველაფრისთვის უნდა იბრძოლო. აქ ყველაფერზე იმხელა კონკურენციაა, რომ გაუჩერებლად ვმუშაობ“.

# EXCLUSIVE



ძალიან უყვარს ქართველები. სულ იმას ამბობს, თქვენ რომ უკრავთ, ისე არავინ უკრავსო. დაკვრის ხარისხით მოვხიბლეთ.

აპრილში ლოს ანჯელესში ქეთი ქემოკლიძე რომ „კონკიას“ მღეროდა, მე ვიყავი მუსიკალური განყოფილების წევრი. ქეთის დიდი წარმატება ჰქონდა. დირიჟორი ჯეიმს კოლნონი, ოპერის მუსიკალური დირექტორი, რომელმაც 10 ენა იცის, ასე ხუმრობს, თქვენ აქ ქართულ მაფიას აკეთებთ და ქართულის სწავლა უნდა დავიწყოო. სეზონი არ გადის 5-6 ქართველმა მომღერალმა არ იმღეროს. ნინო მაჩაიძე ძალიან უყვართ. ახლა ახალ პროექტში ლადო ათანელი მღერის“.

**ამერიკული ოცნება და ოჯახი**

თამარს ამერიკელი მეუღლე ჰყავს. ნორმ ქროსლი სამი წლის წინ შემთხვევით გაიცნო. „ვუთხარი ძალიან სიმპათიური და ძალიან კარგი ხართ,



ნორმი, დეა და თამარი



თამარი ჯორჯ ბუშთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინა სუბლატის ქართული შ…

**my View**
**თამარ გონგაძე**



„გოგონა ვარსკვლავური გარეგნობით“ - ეს იყო ნინა სუბლატის პირველი შეფასება „საქართველოს ვარსკვლავის“ კასტინგზე. კასტინგის შემდეგ სამი საკონკურსო გამოსვლა ჰქონდა, კომენტარები კი თანდათან „გამძაფრდა“. „შოკის მომგვრელად კარგი იყო“ - ასე შეაფასა ის ზაზა შენგელიამ. მიშა მშვილდაძე კი ნინასადმი თავის სიმპათიებს თავიდანვე არ ზოგავს. თვალშისაცემად ენაწყლიანია. „იმედია, ეს გოგო შემოიტანს სექსუალურ სტილს ქართულ იდიოტურ, ტრადიციულ პოპში“, „ამ გოგოში ძალიან ბევრი ცეცხლია. რომ ვუყურებ, მადონა მახსენდება. შოუს დადგმა შეუძლია. ვარსკვლავური იმიჯი აქვს“ - წერენ you tube-ზე. სხვათა შორის, დიდი დაკვირვება არ უნდა, რომ მიხვდე, ნუკას და ნინას ფანებს შორის უკვე დიდი დაძაბულობა შეინიშნება. ერთის ფანები მეორეს ცინიკურად და მსუბუქი წაკბენებით მოიხსენიებენ. უდავოა, რომ ორივე შოუს გამოკვეთილი ლიდერია და ბუნებრივია, რომ ფანების არმიები ჰყავთ. სუბლატი, თავისი ფსევდონიმის მსგავსად, გამორჩეულია თავისი სასცენო იმიჯით. მის შემხედვარე მშვილდაძეს სწორედ ამიტომაც გაუჩნდა მადონას ასოციაცია. სცენაზე ძალიან თავისუფალია და ეს მისგან გასაოცარია, რადგანაც სცენაზე დგომის გამოცდილება არ აქვს. ყველაზე ხშირად ბიორკს უსმენს. მის რეპერტუარში რიანას სიმღერების ქავერებია, რომელთაც ივენთებზე ლაუნჯებში ასრულებდა. უნდა სიმღერა მისი პროფესია გახდეს და უცხოეთში კარიერის აწყობის დიდი სურვილიც აქვს.



**„ექვსი წლის ვიყავი დედა და მამა რომ დაშორდნენ. დედამ რომ მითხრა, საცხოვრებლად ბებიასთან გადავდივართო, ისე ძალიან მიყვარს ბებია, სიხარულისგან გავგიჟდი“**

**„რვა წლის ვიყავი „კლიჩკად“ სუბლატი რომ მოვიგონე. მას შემდეგ შემრჩა და კომფორტულად ვარ, თან სცენურია, თან კითხვებს ბადებს“**



პიტოსთან ერთად



### „დიდი ხანი ვერ ვხვდებოდი მშობლების გაყრას“

**ნინა სუბლატი:** „აქამდე სახლში ვიჯექი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 12 წლის ასაკში მეგობრებს ბენდი გვქონდა. პოპროკს ვუკრავდით. მერე მივხვდით, რომ აზრი არ ჰქონდა, არ გაამართლა და თავი დავანებეთ. ბევრჯერ მინდოდა კონკურსებზე გასვლა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ადრე იყო. ძალიან კარგი, რომ აქამდე არც გავედი. ახლა მეთორმეტე კლასში ვარ. მინდა სამხატვრო აკადემიაში ან ინტერიერის, ან ტანსაცმლის დიზაინზე ჩაბარება.

მოსკოვში დავიბადე და სამ წლამდე იქ ვცხოვრობდი. თბილისში რომ ჩამოვედით, ქართული არ ვიცოდი. მამას დედა ლატვიელია, ირა ზელენჩი და მოსკოვში მასთან ვიზრდებოდი.

გადმოცემით ვიცი, რომ სულ ვმღეროდი. დედ-მამა სერიოზული მელომანები იყვნენ. მაღალ ხმაზე უსმენდნენ ჯენის ჯოპლინს, „ზეპელინს“ და მეც შემაყვარეს ეს ხარისხიანი მუსიკა. ჩემი გემოვნება ბავშვობიდან ჩამოყალიბდა. მამას დისკების კოლექციები ჰქონდა, აგროვებდა, წმენდდა, უვლიდა. მე სიმღერას ავიკვიატებდი და, როგორც დედა მიყვება, ყველგან ვმღეროდი - გზაში, სახლში, ძილში. ჯოპლინის ერთი სიმღერა მქონდა ჩახვეული და ბოლოს დამიმალეს დისკი. ეზოში თამაში არ მიყვარდა, სახლში თოჯინებით ვთამაშობდი. მაგრამ ცხრა წლიდან ეზოში რომ გავვარდი, მერე უკან ვერ შემოვყავდი.

დედა თვრამეტი წლის იყო, რომ გათხოვდა და ერთ წელში უკვე მე ვყავდი. ახლა დედა 36 წლის არის. არ სჯერათ, რომ დედაჩემია, ჩემი და ჰგონიათ. ვგიჟდები დედაზეც და ბებიაზეც. ექვსი წლის ვიყავი დედა და მამა რომ დაშორდნენ. დედამ რომ მითხრა, საცხოვრებლად ბებიასთან გადავდივართო, ისე ძალიან მიყვარს ბებია, სიხარულისგან გავგიჟდი. ისე ვერთობოდი ბებიასთან, არც მახსენდებოდა მამა. თუმცა ის სანახავად ხშირად მაკითხავდა. დიდი ხანი ვერ ვხვდებოდი მშობლების გაყრას. მერე რომ გავაანალიზე, მივხვდი, რომ ეს ტრაგედია არ იყო. იმდენ ოჯახს ვნახულობდი, სადაც ცემა-ტყეპა იყო და მაინც ერთად ცხოვრობდნენ, მივხვდი, ასე ჯობდა. მყავს ნახევარდა და და ნახევარძმა. მამას ცოლთანაც მეგობრულად ვარ. ჩვენ მაინც ერთი ოჯახი ვართ“.



**„მიშას კომენტარებზე ვხალისობ. ძალიან მიყვარს“**

**„პირველ საკონკურსო კონცერტზე რომ აუტსაიდერი აღმოჩნდები, მთელი კვირა ისეთი დაძაბული ხარ და პესიმისტი ხდები, შეიძლება ჩათვალო, რომ მაგარი ლუზერი ხარ“**

### სუბლატი

„ვფიქრობ, გარეგნობის და ხასიათის ჩათვლით ყველაფერი არაქართული მაქვს. გვარი ქართული მაქვს, უბრალოდ, რვა წლის ვიყავი „კლიჩკად“ სუბლატი რომ მოვიგონე. მას შემდეგ შემრჩა და კომფორტულად ვარ, თან სცენურია, თან კითხვებს ბადებს. ამიტომ არ ვამბობდი, სულაბერიძე რომ ვარ. ხალხს სომეხიც კი ვეგონე. მწერენ, შენ ვერ მოიგებ ამ პროექტსო. რატომმეთქი? როდის იყო აქ სომხები იმარჯვებდნენო. არ ვარ სომეხი-მეთქი, რომ ვუპასუხე, აბა, გვარს რატომ მალავო“?

### სცენაზე ბოდეთი

**- რატომ მონაწილეობ „საქართველოს ვარსკვლავში“?**

- პირველ რიგში გამარჯვება მინდა. თუმცა მარტო ბინის და მანქანის მოგება არ არის ჩემი სურვილი. ძალიან დიდი ხანია ვემზადები მსგავსი ტიპის მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. მინდა საქართველოში რაღაც შეიცვალოს. ჩემი ყოველი გამოსვლაც იმისკენ არის მიმართული, რომ მაყურებელმა რაღაც ახალი ნახოს. სცენაზე ბოდეთი რომ გამოვედი, წამოვიდა კომენტარები - „ვა, ქართველმა გოგომ გაიხადა?“ „აბა, შემდეგში რას იზამს?“ მინდა მაყურებელს რამე არაქართული შევთავაზო. თანაც არც ამ პროექტში და არც სხვა ქართულ მუსიკალურ პროექტში არავინ იმ მომღერლებზე ნაკლები არ ვართ, ვის სიმღერებსაც ვასრულებთ. ყველა ამბობს, რომ „საქართველოს ვარსკვლავში“ ძლიერი და განსხვავებული ნაკრები შედგა. მეც კასტინგზე იმ განწყობით მივედი, რომ ეთქვათ - განსხვავებული ხარო. არ მინდოდა ნანი ბრეგვაძის სტილში დამდგარს მემღერა. ნანი ბრეგვაძე ძალიან მიყვარს, მაგრამ მისი დრო წავიდა. ახლა უკვე ჩვენი დრო მოვიდა. სცენაზე გაუნძრევლად რატომ უნდა ვიდგეთ? მერე ლაპარაკობენ, საქართველოში არ არის შოუბიზნესი, ვერავინ ვერ მოძრაობს სცენაზეო. როცა მოძრაობენ, მერე ეგ არ მოსწონთ. მინდა, რომ დაინახონ, ჩვენც ვმოძრაობთ და თან ძალიან მაგრად. ქავერების შესრულებაზეც ლაპარაკობენ, ორიგინალი ჯობსო, „ბეთ ჰარტი“ მაგარია, ნინა მაქამდე სად მივაო? სანამ ასეთი შედარება იქნება, სცენაზე ბოდე და მოკლე კაბა გაგვიკვირდება, იქამდე ვერაფერს ვიზამთ. მიხარია, რომ სხვა კონკურსანტებიც განსხვავებულნი აღმოჩნდნენ. იმიტომ მინდა პროექტში სამი თვე დარჩენა, რომ ქართულ შოუბიზნესში რაღაც შევცვალო.

**- პროექტში კონკრეტული მისიით ყოფილხარ...**

- ალბათ, ყველას უნდა რაღაც ახალი გააკეთოს. ამისთვის კი დიდი გამბედაობაა საჭირო. ჩემს ასაკში რისკიც იყო სცენაზე ბოდეთი გასვლა. იდეა მარიკო ლეჟავამ მომაწოდა. ის ჩემი მეგობარია. მე რასაც გავაკეთებ, უკვე იციან, რომ არც ვულგარული იქნება და არც გადაჭარბებული. თუ სიმღერას კარგად ასრულებ, შენი ბოდე მართლა აღარავის აინტერესებს. ხალხიც გვერდში დამიდგა და რისკმაც გაამართლა. სოციალურ ქსელებში რომ შევედი, ცუდი კომენტარებისთვის მოვემზადე გული რომ არ დამწყვეტოდა და სტიმული არ დამეკარგა. არაფერი ცუდი იქ არ დამხვდა - ეს შემდეგზე საერთოდ გაიხდისო, ეგ იყო და ეგ. გამიხარდა, რომ არ გამიპროტესტეს და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს მიტინგი არ გაუმართავს. კიდევ გაოცებას? რატომაც არა, გააჩნია რეპერტუარს რას მომცემენ. მოკლედ,


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოუბიზნესის შეცვლა უნდა

შეიძლება ის, რაც გავაკეთე მთლად დახვეწილი არ იყო, თუმცა დასაწყისისთვის არ იყო გამაღიზიანებელი.

**- მადონას რახან შეგადარეს, მის სტილში კონუსებიანი „ლიფით“ ხომ არ გელოდოთ?**

- ვნახოთ... წამსვლელი ვარ. საქმეს და პირადს ერთმანეთთან არ ვაიგივებ. თუ სცენაზე თამამი ვარ, იმას არ ნიშნავს, რომ ქუჩაშიც „ლიფით“ დავდივარ. მინდა ეს ხალხმაც „გადახარშოს“.

**- არც მამას ჰქონია შენს ბოდეზე „ქართული რეაქცია“?**

- ისიც ჩემსავით უყურებს ამ ყველაფერს, სცენა - სცენაა, სახლი, მამა და დედა სხვები არიან. სცენაზე როცა ვარ, მისთვის მთავარია კარგი შემსრულებელი ვიყო, შვილი ცალკე ვარ. მშობლები გვერდში მიდგანან. ორშაბათობით ყველაფერს ვბლოკავ, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, დარბაზს, ჟიურის, წამყვანებს. ყველაფერზე იმდენად გადადის ყურადღება, რომ შეიძლება დაიბნე, სიმღერის ტექსტი დაგავიწყდეს ან მოძრაობა გამოგრჩეს. იმ დროს იმდენად აჟიტირებული და ემოციური ვარ, სიმართლე გითხრათ, არ მესმის ჟიურის შეფასება.








ჟურნალ „სითის“ ფოტო

უცებ ვერ გამოვდივარ სიმღერის ემოციიდან. მერე სახლში მისული ვუყურებ ჩემ გამოსვლას.

### „ძალიან მიყვარს მიშა“

**- ნინა, მიშა მშვილდაძეს განსაკუთრებულად მოსწონხარ და არა მარტო როგორც შემსრულებელი, ვფიქრობ, როგორც ქალიც...**

- არ ვიცი, თუ ასეა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. მიშას კომენტარებზე სახლში ყურების დროს ვხალისობ. ძალიან მიხარია, რომ ასეთ კომენტარებს მიკეთებს. კვირიდან კვირამდე მთელი გუნდი მართლა იმდენს შრომობს, რომ კარგი პერფორმანსი გამოვიდეს, დიდი სტიმულია, როცა ჟიური კარგ შეფასებას და შედარებებსაც (მიშამ მადონას რომ შემადარა) აკეთებს. ჟიურის შეფასება ზარებზე მეტს ნიშნავს. მთელი კვირის დასკვნითი ნაწილია. ძალიან მიყვარს მიშა და არა მხოლოდ ის.

კვირის განმავლობაში ჟიურისთან უშუალო შეხება არ გვაქვს. რეპეტიციის დროს ზოგჯერ მიშას ვხვდებით და გვამხნევებს, თუმცა ჩემთვის ცალკე კომპლიმენტი არ უთქვამს. სცენაზე რასაც მეუბნება, საკმარისია.

### „ჩემს თავში ეჭვი არ შემპარვია“

„ძალიან ცუდი განცდა იყო აუტსაიდერებში დგომა. იმდენი რამ ვიფიქრე, აღარც მახსოვს. მე კი არა, არავინ ელოდა ჩემს იქ დგომას. ეს დარბაზის რეაქციას დაეტყო კიდეც. კარგად არც ისმოდა, ვინ ვარდებოდა, საოცარი დაბნეულობა იყო. აუტსაიდერებში დგომით სტიმული არ დამიკარგავს, მაგრამ მოქმედებს ადამიანზე. უხერხულია მთელი დღეები შრომობ და უცებ არ გიფასდება. მთავარია, როგორ მიუდგები და როგორ გადაიტან ამ ყველაფერს. მე კარგად გადავიტანე. სიმღერა ის საქმე არ არის, რომელშიც ვიღაცის სტიმული მჭირდება, თუნდაც კომენტარების, თუნდაც ზარების სახით. ისედაც ვმღეროდი და არასდროს მეზარებოდა. ის, რომ აუტსაიდერი ვიყავი, არაფერს ნიშნავს და ამის მაგალითი იყო შემდეგი კონცერტი. ახლა იმაზე ვნერვიულობ, აუტსაიდერობამ ბავშვებზე არ იმოქმედოს და არ დაიძაბონ. მე და ნუკა გვალია ვლაპარაკობდით, აუტსაიდერებში დგომა ისეთი ცუდი გრძნობაა, იქ კიდევ მე აღმოვჩნდები-მეთქი. პირველ საკონკურსო კონცერტზე რომ აუტსაიდერი აღმოჩნდები, მთელი კვირა ისეთი დაძაბული ხარ და პესიმისტი ხდები, შეიძლება ჩათვალო, რომ მაგარი ლუზერი ხარ. ჩემს თავში ეჭვი არ შემპარვია, უბრალოდ, მივხვდი, რომ მხოლოდ მეგობრებმა დამიმესიჯეს. ვისაც ველაპარაკე, მითხრეს - არ ველოდით შენს აუტსაიდერებში ყოფნასო. მაგის ფიქრს, დაგერეკათ-მეთქი.

კონკურსანტები საერთოდ არ აღვიქვამთ ერთმანეთს კონკურენტებად. ეს ყველას უკვირს. მეგობრულად ვართ ერთმანეთის მიმართ განწყობილი. ერთმანეთზე კარგ შეფასებას რომ გავიგებთ, ვსხედვართ და გიჟებივით ტაშს ვუკრავთ. ყველამ ვიცით, ესემესლიდერი ვინ არის, you tube-ზე ნახვებით ვინ ლიდერობს. ადგილის დატაცებაზე მართლა არ ვართ, ერთმანეთის წარმატება გვახარებს. კარგი გარემოა, რომელსაც კარგი ადამიანები ქმნიან და კარგი შოუც ამიტომ გამოდის“.

### „ამის მერე სხვებიც უფრო გამბედავები იქნებიან“

**- როგორ ფიქრობ, ფინალისტი ხარ?**

- რეიტინგით პირველი ვარ, მერეა ნუკა და მერე დანარჩენები. თუმცა ზარები ამაზე არ მეტყველებს. ძალიან გამიხარდება ფინალისტი თუ ვიქნები. თუმცა საამისოდ მე არაფერს ვაკეთებ, ბანკიდან ანგარიშები არ გამომაქვს, რომ გავიმარჯვო. ახლა პროექტში ცხრანი ვართ. ცხრავე ისეთი მაგარია, ხალხი ველარ ხვდება, ვის დაურეკოს.

**- რას გაძლევს ეს პროექტი?**

- რასაც არ უნდა ლაპარაკობდეს ხალხი, არ უნდა დანებდე. ზოგს მოსწონხარ, ზოგს - არა. ჩვენ მაყურებლის მოწონებაზე ვართ დამოკიდებული. ჩვენი შრომა მაქსიმალურად უნდა ჩავდოთ. ისეთი შოუ უნდა გამოგვივიდეს, როგორიც მაყურებელს არ უნახავს. ვცდილობთ ევროპას დავემსგავსოთ. თუ ჩემი გამოსვლები არაფერს შეცვლის, იმ ადამიანებისთვის მაინც იქნება სტიმული, ტატუს გამო რომ თავს არიდებენ სცენაზე გასვლას. უამრავი ტატუ მაქვს. არ გამოაჩინოო, მეგობრებმა „მირჩიეს“. არაფერი რეაქცია არ მოჰყოლია. ამის მერე სხვებიც უფრო გამბედავები იქნებიან.



### „სიყვარული ყველაზე მთავარია!“

ივლისში ერთი წელი გახდება, რაც ნინა შეყვარებულია. მისი რჩეული 19 წლის პიტო სეთურიძეა.

„მე და პიტო ისე კარგად ვართ, რომ ჩვენი ურთიერთობა ერთი წლის ურთიერთობას არ ჰგავს. ყველაფერში ვუგებთ ერთმანეთს და ყველანაირად კარგად ვართ. საჯაროდ ამიტომაც ვთქვი, რომ შეყვარებული ვარ. პიტო აკადემიაში სწავლობს, არქიტექტურის ფაკულტეტზე. ალბათ, მისი გავლენაა, რომ მე იქ მინდა ჩაბარება. უყვარს გართობა, ნინა და ასე შემდეგ... ძალიან კრიტიკულია და აზრს პირველად მას ვეკითხები ხოლმე. ვიცი, რომ ობიექტურია. სმენა არ აქვს, მაგრამ ზოგად სასცენო იმიჯს დადებითად მიფასებს. მეც სულ რჩევას ვეკითხები, კარგი გემოვნება აქვს.

ძალიან ეჭვიანი ვარ. როცა რამეში ეჭვი მეპარება, ვეკითხები ხოლმე. ტელეფონს და „ფეისბუქს“ არ ვუქექავ. დარწმუნებული ვარ, არ მომატყუებს. ვიცი, რომ ჩემი ეჭვები ყოველთვის უსაფუძვლოა, მაგრამ „ვერ ვარ“ :) სერიოზულად ერთხელ ვიეჭვიანე. მომეჩვენა, სინამდვილეში არაფერი იყო, მაგრამ დავიძაბე და გავუპროტესტე. პიტო ჩემებსაც მოსწონთ. გვიყვარს ღამის კლუბში ერთად გართობა. თავს არ „ვზოგავთ“, ყველანაირად ვერთობით.

ათი წლის მერე, თუ კიდევ ერთად ვიქნებით, ვიქორწინებთ. ამ ეტაპზე ერთად ცხოვრების და ქორწინების საშუალება არც ერთს არ გვაქვს.

**- ყველას გასაგონად რას იყვირებდი?**

- სიყვარული ყველაზე მთავარია! მის გარეშე არაფერი არსებობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



**my View**
**დეა თავბერიძე**

**საზოგადოებისთვის ის მძიმე კაცია, მეგობრებისთვის კი, უბრალოდ, „კოვზირა“... გადაცემის წამყვანს სტუმრები ეუბნებიან, პროკურორივით მკაცრი ხარო... მიმიხვდით, ალბათ, იმ კაცზეა საუბარი, რომელიც თავის სტუმრებს გადაცემაში „დაკითხვას“ უწყობს... მძიმე კაცი, „ტაბულას“ „გაუღიმარი ხელმწიფე“ დავით კოვზირიძეა... პროკურორად მონათლული წამყვანი რესპონდენტის ამპლუაში ღიმილიანია, მსუბუქი იუმორით... „კოვზირა“ თურმე ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, ძალიან მაგრად ვთამაშობდიო, მაგრამ მშობლებმა რატომღაც ფეხბურთზე არ შეიყვანეს. მას მერე ჟინს იმით იკლავს, რომ სოლოლაკში ქუჩის ფეხბურთს მეგობრებსა და უბნელებს ეთამაშება... ეტყობა ფეხბურთის ამგვარმა სიყვარულმა „აიძულა“, რომ ფეხბურთელებზე ეწერა. ჰოდა, მისი ჟურნალისტური კარიერა, წლების წინათ, სპორტული გაზეთით „სარბიელი“ დაიწყო... თუმცა, ჟურნალისტობამდე სულ სხვა პროფესიას დაეუფლა...**

**დავით კოვზირიძე:** - გაგეცინებათ და პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი ვარ, მაგრამ წარმოდგენაც არ მაქვს, რა ხდება ამ სფეროში. ბავშვობაში წერა მიყვარდა. რაღაცას დავწერდი, მერე კლასს წავუკითხავდი და იხოცებოდნენ სიცილით. სულ მთხოვდნენ, რამე დაწერეო... მეც, სკოლიდან მოყოლებული, სულ რაღაცებს ვწერდი ხოლმე... მერე, მეგობარმა მირჩია, იქნებ, ბედი „სარბიელში“ სცადოო. გამიმართლა, ძალიან მაგარ პერიოდში აღმოვჩნდი იქ, გიო ახვლედიანით დაწყებული, ძალიან მაგარი ჟურნალისტები მუშაობდნენ მაშინ. ბევრი რამ ვისწავლე მათგან. შრომაც ბევრი მიწევდა, ძალიან ვიღლებოდი კიდეც, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რომ ბევრი რამ მომცა „სარბიელში“ გატარებულმა სამმა წელმა... იქიდან მოყოლებული, ხშირად ვიცვლიდი ჟურნალ-გაზეთებს, ბევრგან მომიწია მუშაობა, ძირითადად სპორტზე ვწერდი, 2010 წლიდან „ტაბულაში“ ვარ, მანდაც სპორტს ვკურირებდი, მერე კი ნელ-ნელა არასპორტულ თემებზეც გადავედი... ასე განვითარდა ჩემი ჟურნალისტური კარიერა... ორი წლის წინ გამოიცა ჩემი პირველი წიგნი „გელუჩა“.

**- ამ გადაცემის იდეა როგორ გაჩნდა?**

- მეგობრებთან ერთად კაფეში ვიჯექი, ინტერნეტ ტელევიზიას აკეთებდნენ, გადავწყვიტეთ რაიმე სახის გადაცემა გაგვეკეთებინა. მერე ფორმატიც შევარჩიეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ მე უნდა წამეყვანა. სულ სამნი ვისხედით. მძიმე კაცი გადაცემას ერთ-ერთმა მეგობარმა დაარქვა...



# „თავიდან ცოტა მებრძვიან და მიძალიანდებიან, მაგრამ რაღაც მომენტში მაინც იხსნებიან“

## „სექსშოპებიც უნდა იყოს და ბევრად მეტი თავისუფლება, რომ ეს ქვეყანა რაღაცას დაემსგავსოს“...

**- რატომ მძიმე კაცი?**

- ალბათ, ცოტა მძიმე ხასიათი მაქვს... მძიმე კითხვებსაც ვსვამ, ოღონდ უფრო პოლიტიკოსებთან, იმიტომ რომ პოლიტიკოსები წნეხში უნდა გყავდეს ყოველთვის, მაგათი მოდუნება არ შეიძლება.

**- ე.ი. შენ ახერხებ, რომ პოლიტიკოსები წნეხში გყავდეს?**

- ალბათ, იმიტომ რომ გადაცემაში აღარ მოდიან.

**- ეშინიათ შენი?**

- შეიძლება, ზუსტად არ ვიცი. არადა საშიში არაფერია, მეგობრები სულ მეუბნებიან - აი, ის მოიყვანე, ძალიან ცუდად იქცევა და დედა ვუტიროთო... მაგრამ ეს გადაცემის მიზანი არ არის... უფრო, ალბათ, ის აშინებთ, რომ სარკესავით არის, ისეთ კითხვებს ვსვამ, თუ არაბუნებრივად უპასუხებს, გამოჩნდება... ასეთი ფორმატი გამოვიდა და რახან არ მოდიან ე.ი. კარგია...

**- მაინც ვინ არ მოდის, ვის დაურეკეთ და ვინ გითხრათ უარი?**

- ძალიან ბევრმა, მაგრამ ჯერ არ ვიტყვი, იქნებ მოვიდნენ... თუმცა, ხელისუფლებაში ვინც არის, ძირითადად ის შინდება და არ მოდის. საერთოდ, ძალიან შეკუმშული ფორმატია, ძალიან მოკლე პასუხები უნდა გამცენ, ეს იციან და, ალბათ, ესაც აშინებთ, ქართველებს უყვართ ბევრი ლაპარაკი, მით უმეტეს პოლიტიკოსებს და ეტყობა შეზღუდულად გრძნობენ თავს.

**- კითხვებს თავად ადგენთ?**

- რა თქმა უნდა, მე თვითონ ვაკეთებ ყველაფერს, სტუმრის შესახებ ვეძებ ინფორმაციას. 2-3 დღე მჭირდება, რომ 20-30 კითხვა გავამზადო, მერე სტრუქტურულად ავაწყო. უბრალოდ კი არ ვყრი იმ კითხვებს, ვალაგებ კიდეც... ბევრს კი ჰგონია, რომ ეს მარტივად გასაკეთებელი გადაცემაა, მაგრამ არ არის ასე...

**- მაია ასათიანი მთელი გადაცემა გსაყვედურობდა, თვალებში არ მიყურებ, ფურცელს და კითხვებს ჩაჰკირკიტებო...**

- მაია ასათიანმა შოუ დადგა, მისი პროფესიაც და საქმეც ეგ არის, რომ წარმოდგენა გააკეთოს და გააკეთა კიდეც, მგონი არ გამოუვიდა ცუდი, საინტერესო და მხიარული გადაცემა გამოვიდა.

**- მეც დავინტერესდი, რატომ არ უყურებ მოწვეულ სტუმრებს თვალებში? ეს გადაცემის სტილია თუ უფრო კითხვების ბრალი?**

- ხო, ძირითადად კითხვების, ვეძებ, რომელი კითხვის მერე რა დავსვა. წინასწარ კი მაქვს დალაგებული, მაგრამ, გადაცემის პროცესში რაღაცები იცვლება... ამიტომ ეს ის არ არის, რომ ვერ ვუყურებ თვალებში...

**- დასამახსოვრებელი რესპონდენტი რომელი იყო?**

- ამ გადაცემის პირველი სტუმარი კოტე ყუბანეიშვილი იყო, მგონია, რომ ასეთი ნიჭიერი ადამიანები საქართველოში ძალიან ცოტაა. ერთ სიტყვაში ავუხსენი მისგან რა მინდოდა, თუ რა ფორმატის გადაცემა იყო, ძალიან ზუსტად მიიღო და სხარტად მიპასუხა. ძალიან უცნაური გამოვიდა ანდრია ურუშაძის გადაცემა...



ზოგადად, ყველა თავისებურად საინტერესოა, იმიტომ რომ ძალაუნებურად ყველა იხსნება, თავიდან ცოტა მებრძვიან და მომზადებულები მოდიან, მაგრამ, რაღაც მომენტში იხსნებიან.

**- შენი გადაცემა, როგორ ფიქრობ, დისკომფორტს არ უქმნის რესპონდენტს?**

- უქმნის, უმეტესობა თავიდან ძალიან ნერვიულობს, ყველას ვეკითხები - გაქვთ თუ არა ნანახი გადაცემა? ბევრი მპასუხობს - არაო... მერე ვატყობ, რომ მომზადებულები არიან და ყველა გადაცემა ნანა-

## დავით კოვზირიძე: „ცხოვრება იმისთვის ღირს, რომ მაქსიმალურად ისიამოვნო“





## „30 წლის ქალიშვილი მგონი მარაზმია. 16-17 წლიდან დაწყებული სექსუალური ცხოვრება უნდა ჰქონდეს ყველას“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ადაცემის მიღმა

exclusive



## „იმას არასოდეს ვაკეთებ, რაც ჩემი არ არის, ვერ ვიტან იმის კეთებას, რაც არ მომწონს“

ხი აქვთ. ვინც მომზადებული მოდის, ის უფრო ნერვიულობს...

**- ქართულ ტელესივრცეში შენ თავად რომელი გადაცემა და რომელი ტელეწამყვანი მოგწონს?**

- არც ერთი გადაცემა არ მომწონს, არც გამორჩეული ტელეწამყვანი მყავს. დიდად აღფრთოვანებული არავისით ვარ, დასახვეწია ეს სფერო და ნელ-ნელა იხვეწება. ალბათ, 10 წლიწადში ერთი-ორი კარგი გადაცემა გვექნება. ახლა „ტაბულაც“ დაიწყებს სრულ მაუწყებლობას და რაღაც სიახლეები იქნება, ჭაობიდან გამოვალთ ნელ-ნელა...

**- ეს გადაცემა რამდენად შენია?**

- იმას არასოდეს ვაკეთებ, რაც ჩემი არ არის, ვერ ვიტან იმის კეთებას, რაც არ მომწონს. ძალიან მიხარია, რომ სულ იმ საქმეს ვაკეთებ, რაც მომწონს და რითიც ვცხოვრობ... ჩემი რომ არ იყოს, ნაღდად არ გავაკეთებდი. მე თვითონვე მაინტერესებს ის ტიპები, რომლებიც ჩემს გადაცემაში მოდიან, მაინტერესებს მართლა როგორი ტიპები არიან და მინდა, რომ ეს ხალხმაც ნახოს... ჩემთვის ყველა რესპონდენტი საინტერესო მასალაა, ყველა სხვადასხვანაირად აზროვნებს, სხვადასხვანაირი ინტერესები აქვს და ყველას თავისი კუთხიდან უნდა მოერგო. მაინც, ლავირება დასახვეწია... ძალიან მინდა მოუხშირონ რესპონდენტებმა ჩემს გადაცემაში სიარულს, ძირითადად ისევ პოლიტიკოსებზე მაქვს აქცენტი...

**- გადაცემის მიღმა რა ხდება შენს ცხოვრებაში, დაოჯახებული თუ ხარ?**

- ჩემი მეუღლეა ეკა შალიკიანი, ერთი შვილი გვყავს 9 წლის ბიჭი, გოგლა.

**- მეუღლე რა პროფესიის არის?**

- კოსმეტოლოგი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო საქართველოში, იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეუღლეა, მართლაც ასეა, ყოველწლიურად დადის ევროპაში, იღებს განათლებასა და პრაქტიკას და ძალიან უყვარს თავისი საქმე...

**- ცოლი სიყვარულით მოიყვანეთ?**

- ჰო, აბა როგორ უნდა მომეყვანა?!

**- გარიგებაც ხომ გვაქვს ქართველებს?**

- მე ასეთი რაღაცების არ მწამს...

**- როგორი ქმარი ხართ?**

- მომთხოვნი არ ვარ. მე და ჩემს ცოლს ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ერთმანეთის ცხოვრებაში ზედმეტად არ ვყოფთ ცხვირს. ძალიან მაგარი ძმაკაცები ვართ. სიურპრიზებისა და საჩუქრების კეთება ერთმანეთისთვის ორივეს გვიყვარს.

**- რჩევებს თუ გაძლევს ხოლმე გადაცემასთან დაკავშირებით?**

- ვსაუბრობთ ხოლმე, თუ რამე არ მოეწონება მეუბნება, იდეებსაც მაწვდის. კითხვებში კი ცხვირს არავის ვაყოფინებ.

**- მოდი რამდენიმე კითხვა შენი გადაცემიდანაც დავსვათ... პრეზერვატივების თემა გაქვს ხოლმე ხშირად. როგორ ფიქრობ, ბუსუსებიანი პრეზერვატივები უნდა იყიდებოდეს?**

- ბუსუსებიანიც უნდა იყიდებოდეს, მარწყვის გემოიანიც და საერთოდ, ყველა სახის, რაც კი მსოფლიოში პრეზერვატივი არსებობს... სექსშოპებიც უნდა იყოს და ბევრად მეტი თავისუფლება, რომ ეს ქვეყანა რაღაცას დაემსგავსოს.




## „ძალიან მინდა, როგორც ევროპა ცხოვრობს, ისე ვიცხოვროთ ჩვენც. მინდა, რომ ადამიანი გრძნობდეს თავს ადამიანად“

**- ქალიშვილობის ინსტიტუტი უნდა იყოს?**

- რა არის საერთოდ ქალიშვილობის ინსტიტუტი?

**- აუცილებელია, რომ ქალიშვილი გათხოვდეს ქალი?**

- მგონი ცოტა სიველურეა იმის მოთხოვნა, რომ გოგო აუცილებლად ქალიშვილი იყოს, როცა გათხოვდება. 30 წლის ქალიშვილი მგონი მარაზმია. 16-17 წლიდან დაწყებული სექსუალური ცხოვრება უნდა ჰქონდეს ყველას... მაშინ, როდესაც მე ვიყავი 16 წლის, ძალიან რთულად იყო ეს საკითხი, დღეს კი, მიხარია, რომ პატარა 20-21 წლის ჩემს თანამშრომლებს და მეგობრებს, ამ მხრივ, ბევრად უკეთესად აქვთ საქმე. ვისაც სექსი უნდა, იმას სექსი აქვს და ეს ძალიან ბუნებრივიც არის...

**- და გჯერათ, რომ ეს მართლა ასეა?**

- ეტყობა იმათ წრეში ასეა და მე ძალიან ვემხრობი ამას... რა არის ამაში გასაკვირი, ეს ხომ ბუნებრივი რამ არის? როგორც ჭამა უნდა ადამიანს, ისე უნდა სექსიც... სექსის გამო ცოლს ხომ არ მოიყვან... ამიტომ ვინც ასე არ ფიქრობს, არ არის ეს ჯანმრთელი და ეს უნდა შეიცვალოს... ვინც სწორად ცხოვრობს, გაუმარჯოს იმ ხალხს, ვინც არ ცხოვრობს, ვურჩევ, რომ იცხოვრონ...

**- ცოდვად რას თვლით?**

- მე ჩემი კრიტერიუმები მაქვს. ცოდვად მიმაჩნია ძირითადად ის, რაც ზოგადად არის აღიარებული ცოდვად. ცუდი საქციელი, რაც სხვას ვნებს და ასევე შენც, ცოდვაა...

**- ქორწილამდე სექსი ცოდვაა?**

- არა კაცო, როგორ შეიძლება ეგ ცოდვა იყოს, ცოდვა კი არა, მადლია...

**- რაზე ნერვიულობ ხოლმე ყველაზე მეტად?**

- წყობიდან ადამიანების სიბნელეს და უმეცრებას გამოვყავარ. იმას, რომ არავინ არაფრის კეთება არ იცის და ძალიან დიდი ამბიციები აქვთ. ეს კატასტროფაა, ამიტომაც ვცხოვრობთ ისე რა ქვეყანაში. ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს, გადასარევად ვიქნებით და ერთმანეთის ცხოვრებაშიც თუ არ ჩავყოფთ ცხვირს, ესეც შესანიშნავი იქნება... რაც უფრო თავისუფლები ვიქნებით, მით უკეთესი ჩვენთვის... ისე, როგორც ევროპაშია...

**- ეს როდის იქნება დავით?**

- ეს მაშინ იქნება, როცა მოვინდომებთ, ჩვენი საქმის კეთებას ვისწავლით, ვიშრომებთ და დავისვენებთ ისე, როგორც გვიხარია დასვენება. არავინ არ შეგვზღუდავს, არც შრომის დროს და არც დასვენების დროს... ცხოვრება იმისთვის ღირს, რომ მაქსიმალურად ისიამოვნო...

**- ახერხებთ ამას?**

- ვერა.

**- რატომ, რა გიშლით ხელს?**

- იმიტომ, რომ არ მაძლევენ საშუალებას, სიამოვნება მივიღო. ჯერჯერობით ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული, სულ ქაოსია ჩვენს ქვეყანაში. ვერ დავლაგდით. როცა დალაგებული არ ხარ, რაღაცები არეულია და ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა, ძალიან მინდა, როგორც ევროპა ცხოვრობს, ისე ვიცხოვროთ ჩვენც. ადამიანი გრძნობდეს თავს ადამიანად. სხვა რისთვის უნდა იცხოვრო?

## „წყობიდან ადამიანების სიბნელეს და უმეცრებას გამოვყავარ. იმას, რომ არავინ არაფრის კეთება არ იცის და ძალიან დიდი ამბიციები აქვთ“

**- საერთოდ არ ყოფილხართ მძიმე კაცი.**

- გადაცემაში ვინც მოდის, ამბობს, მძიმე ხარო.. ბევრი იმასაც მეუბნება, პროკურორივით ზიხარო... ზოგიერთისთვის კი საერთოდ არ ვარ მძიმე კაცი... მეც, არა მგონია, რომ ძალიან მძიმე ვიყო... უბრალოდ, დილით, სანამ ყავას დავლევ, ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ ხოლმე... ოღონდ ესეც ცოტა ხანი, მერე უკვე აღარ... სხვათა შორის დავინტერესდი ასე რატომ ხდება-მეთქი და ბევრმა მითხრა, ჩვენც ვბუზღუნებთო... ეტყობა, მამაკაცების უმეტესობა ასეა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N19 (217) ორშაბათი, 13 მაისი, 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



დავით კოვზირიძე: „ცხოვრება იმისთვის ღირს, რომ მაქსიმალურად ისიამოვნო“

EXCLUSIVE

# მძიმე კაცთან გადაცემის მიღმა



ნინო მუმლაძე: „სხვისი კაცი, ჩემთვის, სხვისი კაცია და მორჩა!“

# რა აშინებს დათოს საყვარელს რეალურ ცხოვრებაში

EXCLUSIVE



# ნინა სუბლატს ქართული შოუბიზნესის შეცვლა უნდა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება